

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
მ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის
ინსტიტუტი

ტექსტოლოგიის საკითხები

III



ზამოხციშვილი „მეცნიერება“
თბილისი
1971

კრებულში მოთავსებული შრომები ძირითადად ეხება ქართულ კლასიკოსთა შემოქმედებითი ლაბორატორიის საკითხს. განხილულია ილია ჭავჭავაძის „გლახის ნამბობის“, მიხ. ჭავჭავაძის „არსენა მარაბდელის“ და ვ. ბარნოვის „ზაზართა სასძლოს“ ტექსტები და ნაჩვენებია, თუ როგორ თანდათანობით ჩამოყალიბდა დასახელებული თხზულებანი, ვიდრე ისინი საბოლოო სახეს მიიღებდნენ.

სარედაქციო კოლეგია:

მ. მეფარიშვილი.

მ. სანაძე

მ. ჰრედაშვილი:

ლუბა მიწარიზვილი

ღვაწლმოსილი მეცნიერი

სამოცდაათი წელი შეუსრულდა ფილოლოგურ მეცნიერებათა დოქტორს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს სოლომონ ივლიანეს ძე ყუბანეიშვილს. იგი დაიბადა 1901 წ. ნოემბრის 6-ს სოფ. შუამთაში (ვანის რ.). ამ სოფელში ყუბანეიშვილები დღეს თხუთმეტიოდე კომლს შეადგენენ. მათი წინაპარი, ანდრია მათეს ძე ყუბანეიშვილი, იმერეთის მეფეს სოლომონ მეორეს კეტირიდან (წყალტუბოს რ.) გადმოუყვანია მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში და მღვდლად განუწესებია მის მიერ ახლად დასახლებულ მუხაყურის (შუამთასა და გომს შუა მდებარე ტერიტორია) მცხოვრებთათვის.

პირველდაწყებითი სწავლა სოლომონ ყუბანეიშვილმა ტობანიერის პირველდაწყებით სასწავლებელში მიიღო, ხოლო საშუალო განათლება — ქუთაისის მეორე ტექნიკუმში, რომელიც 1923 წ. დაამთავრა. ამავე წელს გაიწვიეს სამხედრო სამსახურში. მსახურობდა ქუთაისის მაზრის სამხედრო კომისარიატში¹.

1924 წ. სექტემბერში ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პედაგოგიური ფაკულტეტის ენისა და ლიტერატურის დარგზე², სადაც ისმენდა ივ. ჯავახიშვილის, გრიგოლ წერეთლის, კ. კეკელიძის, ა. შანიძის, გ. ახვლედიანის, შ. ნუცუბიძის, ალ. წერეთლის და სხვა ცნობილ ქართველ მეცნიერთა ლექციებს³.

1 ნ. მელიქაძე, სამაგალითო მომუშავეის წასვლა, 1924

2 ამ წლიდან უნივერსიტეტში შემოღებული იქნა მისაღები გამოცდები.

3 პირველ კურსზე ლექციებს ისმენდა არასპეციალურ საგნებშიც — მათემატიკაში, ფიზიკაში, ბიოლოგიაში და სხვ., რადგანაც 1924—25 სასწავლო წელს პედაგოგიური ფაკულტეტის პირველი კურსი დარგობრივად არ იყო დიფერენცირებული.

სტუდენტობის დროს სოლ. ყუბანეიშვილი ხარბად დაეწაფა ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლების შესწავლას. მან შეისწავლა იმ დროს უნივერსიტეტში დაცული სიძველეთსაცავების ფონდები (სა-ეკლესიო, წერა-კითხვის და საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოების ხელნაწერი კოლექციები) და შეადგინა ნაშრომი „ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები“. ამას გარდა, გულმოდგინედ აგროვებდა მოსახლეობაში ძველ ხელნაწერებს და სწირავდა მუზეუმს.

სტუდენტობის დროს აქტიურ მონაწილეობას იღებდა სტუდენტთა ლიტერატურულ სამეცნიერო წრეში, გამოდიოდა მოხსენებებით ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხებზე, მისი ინიცია-მაც მალე ფართოდ გაშალა მუშაობა.

ტივით უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა საენათმეცნიერო წრე, რომელ-

1928 წელს დაამთავრა უნივერსიტეტის კურსი და დაიწყო მუშაობა ყვარლის სატყეო ტექნიკუმში ქართული ფენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. მასწავლებლობასთან ერთად ასრულებდა სხვადასხვა საზოგადოებრივ დავალებებს: იყო სოფლსაბჭოს კულტსექციის გამგეობის წევრი, მხარეთმცოდნეობის რაიბიუროს თავმჯდომარე და სხვ.

1935 წ. დაინიშნა საქართველოს მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტში მეცნიერ თანამშრომლად და დაევალა ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ვაჟა-ფშაველას კაბინეტის მოწყობა. ამასთან დაკავშირებით ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა იგი მიავლინა ფშავში, თიანეთში, თონეთში, ქედაში, გორში, ქუთაისსა და ღუშეთში ვაჟა-ფშაველას შესახებ მასალების მოსაძიებლად და შესაკრებად. ამ მივლინების შესახებ გაზ. „კომუნისტი“ (1935 წ. 30. V) თუწყებოდა: „ამხ. ყუბანეიშვილმა შემოიარა საქართველოს ყველა ის კუთხე, რომელსაც რაიმე კავშირი თუ ჰქონდა ვაჟა-ფშაველას ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან, ინახულა მისი ნათესავები და მეგობრები ღუშეთში, გორში, თონეთში, თიანეთში და სხვ. შეკრიბა ძვირფასი ცნობები და მოგონებები, აგრეთვე საარქივო მასალა, რომელიც შეეხება პოეტის მოწაფეობისა და მასწავლებლობის პერიოდს“⁴.

სოლ. ყუბანეიშვილის მიერ მოწყობილმა კაბინეტმა მნახველთა კარგი შეფასება მიიღო⁵.

1936 წ. საქართველოს მხარეთმცოდნეობის საზოგადოებამ სოლ. ყუბანეიშვილს დაავალა თელავში იოსებ დავითაშვილის ცხოვრებისა

4 ცნობები ამ მივლინების შესახებ იხ. აგრეთვე 1936 წ. გაზეთებში: „კომუნისტი“ № 225; „მუშა“ № 223 და „ახალგაზრდა კომუნისტი“, 30, V.

5 შ. და დიანი, დარიალის კარი, „კომუნისტი“ № 153, 1935.

და შემოქმედების ამსახველი მუდმივი გამოფენის მოწყობა. ამ მიზნით იგი პოეტის შესახებ მასალების შესაკრებად მივლინებული იყო იმ ადგილებში, რომლებთანაც კავშირი ჰქონდა იოსებ დავითაშვილს. თელავში (აქ გაატარა ი. დავითაშვილმა თავისი ცხოვრების უკანასკნელი წლები) ჩატარებული მუშაობის შესახებ გაზ. „კოლმეურნის ხმა“ (1936 წ. № 68) იუწყებოდა: „სოლ. ყუბანეიშვილმა გამოძებნა ქ. თელავში და სოფლებშიც ი. დავითაშვილის ნაცნობები, ჩაწერა მათი მოგონებები ი. დავითაშვილზე და მასთან ერთად ოჯახებში აღმოაჩინა მგოსნის უძველესი სურათი და ლექსების პირველი (1880 წ.) გამოცემა, რომელიც დღეს იშვიათ ეგზემპლარს წარმოადგენს. ამას გარდა, გადაიღო ფოტო-სურათი ყველა იმ ადგილისა, სადაც უცხოვრია ან უმუშავია იოსებ დავითაშვილს. ახლად აღმოჩენილი მასალები საინტერესო ცნობებს შეიცავს დავითაშვილის თელავში ყოფნის პერიოდიდან, რომელთა უმეტესობა დღემდის უცნობია“⁶.

სოლ. ყუბანეიშვილმა მოიარა გარდატენი (გორის რ.), სადაც ი. დავითაშვილმა ბავშვობის წლები გაატარა, ესაუბრა პოეტის ნათესავებს და ჩაწერა მათი მოგონებანი. საყურადღებო მასალები ჩაიწერა აგრეთვე სოფელ რუისში (ხაშურის რ.), სადაც ცხოვრობდნენ ი. დავითაშვილის მშობლები. ი. მაისურაძესთან ერთად სოლომონ ყუბანეიშვილმა გორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მოაწყო ქართველ ხალხოსან მწერალთა მუდმივი გამოფენა.

1937 წელს სოლ. ყუბანეიშვილმა დაამთავრა ასპირანტურის კურსი და დაიწყო მუშაობა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში მეცნიერ თანამშრომლად, ხოლო 1938 წლიდან გადავიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასისტენტად ძველი ქართული ლიტერატურის კათედრაზე. შემდეგ კი დამოუკიდებლად მიჰყავდა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსი. ამავე კურსს სხვადასხვა დროს კითხულობდა აგრეთვე ბათუმისა და თელავის სამასწავლებლო ინსტიტუტებში და სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

1940 წ. 22 თებერვალს სოლ. ყუბანეიშვილმა დაიცვა დისერტაცია ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე.

დისერტაციის თემა იყო: „ნარკვევი მეექვსე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“ (ევსტათი მცხეთელი). ოფიციალურმა

⁶ იხ. აგრეთვე „Вечерний Тбилиси“, 1936, № 153; გაზ. „მუშა“, 1936 წ., № 188.

ოპონენტმა პროფ. კ. კეკელიძემ ამ ნაშრომის შესახებ აღნიშნა: „მთავარი ღვაწლი და დამსახურება ავტორისა შემდეგში მდგომარეობს:

1. მან ცნობაში მოიყვანა შესწავლილი ძეგლის ყველა არსებული ხელნაწერი, დეტალურად შეუდარა ისინი ერთმანეთს და ასეთი შედარების შედეგად ფაგვითვალისწინა ფილიაცია ამ ხელნაწერებისა. ეს ჯერ გაკეთებული არ ყოფილა.

2. რამდენადაც ქართული ფილოლოგიის დღევანდელი მდგომარეობა ამის შესაძლებლობას იძლევა, მან მოგვცა კრიტიკულად დადგენილი ტექსტი ამ საყურადღებო ძეგლისა, რის უქონლობა ამდენხანს შესამჩნევად აძნელებდა როგორც ძეგლის გამოყენებას სხვადასხვა მიზნებით, ისე მისი რაობის შეგნებას და სხვა მომიჯნავე საკითხების გარკვევას.

3. ძეგლის ბიბლიური ციტაციის შესამოწმებლად ავტორმა გადაიკითხა უშუალოდ ხელნაწერებში და ამოწერა იქიდან შესატყვისი ადგილები ქართული ოთხთავის ისეთი უძველესი (მე-9—10 საუკ.) რედაქციებიდან, როგორცაა პადიშის, ჯრუჭის და პარხალის.

4. კვლევა-ძიებითს ნაწილში მან შეტი სინათლე შეიტანა ზოგიერთ სადისკუსიო საკითხში, ამასთან ერთად წამოაყენა რამდენიმე ახალი საკითხი, რომელზედაც დამაკმაყოფილებელი პასუხი მოგვცა.

შედეგად თავისი მუშაობისა ავტორმა გამოარკვია როგორც ადგილი, ისე მნიშვნელობა ამ ძეგლისა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

ყველაფერი ეს მაჩვენებელია იმისა, რომ ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის იმ პერიოდს, საიდანაც აღებულია ნაშრომის თემა, ეყოლება შემდეგში საიმედო მკვლევარი, თუ, რასაკვირველია, ის თავის თავზე იმუშავებს ისეთი ბეჯითობით, როგორც ამდენხანს მუშაობდა“⁷.

მეორე ოფიციალურმა ოპონენტმა პროფ. აღ. ბარამიძემაც ნაშრომს მაღალი შეფასება მისცა: „სოლომონ ყუბანეიშვილის სადისერტაციო შრომა, — წერს ოფიციალური ოპონენტი, — დაკვირვებული, ბეჯითი და სერიოზული მუშაობის შედეგთა. ავტორი საკმაოდ ერკვევა საგნის სპეციალურ ლიტერატურაში ქართულ და რუსულ (ნაწილობრივ გერმანულ) ენებზე. იძლევა აღებული საკითხის ფართო ისტორიულ მიმოხილვას და ზოგ შემთხვევაში საკუთარ თვალსაზრისსაც გვითვალის-

⁷ კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, X, 1968, გვ. 60.

ლწინებს... თავისი ნაშრომით დისერტანტი ამჟღავნებს დიდ შრომისმ. ა. ევარეობას, კვლევა-ძიების უნარს, დაკვირვების ნიჭს და ალღოს. განსაკუთრებით აღსანიშნავია დისერტანტის მიერ ჩატარებული ტექსტუალური ძიებანი ძველი ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო ძეგლის მიმართ“.

სამეცნიერო საბჭომ სოლ. ყუბანეიშვილს ერთხმად მიანიჭა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

დიდი სამამულო ომის პერიოდში ადგილობრივ პერიოდულ ორგანოებში ხშირად იბეჭდებოდა სოლ. ყუბანეიშვილის პატრიოტული შინაარსის წერილები. ცალკე წიგნად დაიბეჭდა მეცნიერულ-პოპულარული ნაშრომი „სამშობლოსათვის ბრძოლისა და თავდადების მოტივები ძველ ქართულ ლიტერატურაში“.

1942 წლიდან სოლ. ყუბანეიშვილი მუშაობას იწყებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ახლად დაარსებულ ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად. ამ დროიდან იგი პედაგოგიურ მუშაობას უთავსებს ჰეცნიერულ შრომას.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა ყურადღება გაამახვილა ქართველ კლასიკოსთა გამოცემების მომზადების საკითხზე.

პრეზიდიუმის 1955 წლის 24. V სხდომაზე აღინიშნა, რომ „წესრიგი არ არის დამყარებული ქართული ლიტერატურის კლასიკოსების თხზულებათა სრული კრებულების აკადემიურ გამოცემათა მომზადების საქმეში“ და ამიტომ რუსთაველის სახელობის ინსტიტუტის „ერთ-ერთ უპირველეს აპოკანად ჩაითვალოს ქართული ლიტერატურის კლასიკოსების ნაწარმოებთა აკადემიური გამოცემების მძალახარისხოვანი მომზადება“. 1957 წ. 23 მაისის სხდომაზე ჰიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია: „აკადემიის განვითარების პერსპექტიული გეგმის შესაბამისად შეიქმნას შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში ტექსტოლოგიის (კლასიკოსთა პუბლიკაციის) განყოფილება“. ამ განყოფილების გაფორმება მოხდა იმავე წლის დეკემბერში. განყოფილების ხელმძღვანელად შ. რუსთაველის სახელობის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ წამოაყენა სოლ. ყუბანეიშვილის კანდიდატურა. წარდგინებაში პროფ. ალ. ბარამიძე წერდა: „სოლომონ ყუბანეიშვილი გამოცდილი, დახელოვნებული და დამსახურებული ტექსტოლოგია. ის თანაბარ ინტერესს იჩენდა და იჩენს ძველ და ახალი ქართული ლიტერატურის ძეგლების პუბლიკაციის საქმისადმი

(მასვე გამოქვეყნებული აქვს ქართული ზალხური ზეპირი სიტყვიერების ძეგლები)“. ჩამოთვლის რა სოლ. ყუბანეიშვილის გამოცემულ ძეგლებს, პროფ ალ. ბარამიძე ასკვნის: „სოლ. ყუბანეიშვილი სავსებით ღირსეული კანდიდატია დაიკვიროს რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში ტექსტოლოგიის განყოფილების ზელმძღვანელის ვაკანტური თანამდებობა“. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა სოლომონ ყუბანეიშვილი დამტკიცა ტექსტოლოგიის განყოფილების ზელმძღვანელად და იგი დღესაც უნარიანად განაგებს ამ განყოფილებას.

სოლ. ყუბანეიშვილი სტუდენტობის დროიდანვე ავლენდა მეცნიერული კვლევისადმი დიდ ინტერესსა და უნარს. განსაკუთრებით გატაცებული იყო ძველი ქართული ლიტერატურის საკითხების შესწავლით. ჯერ კიდევ უკანასკნელი კურსის სტუდენტმა მეცნიერულად დაამუშავა არაერთი საინტერესო საკითხი ძველი ქართული წყერლობიდან.

ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების 1927 წლის 19 აპრილის საჯარო სხდომაზე წაიკითხა მოხსენება „ცხრაობითი თვლის სისტემა ქართულში“. კამათში მონაწილეობა მიიღეს ა. შანიძემ, ა. ჩიქობავამ, დ. კარიჭაშვილმა და ს. გორგაძემ, რომლებმაც მომხსენებლის ძირითადი დებულება გაიზიარეს. დასკვნით სიტყვაში თავმჯდომარემ დ. კარიჭაშვილმა აღნიშნა, რომ „წარმოდგენილ მოხსენებაში დადასტურებულია ცხრა როგორც სათვალავი ერთეული. ეს დამტკიცებულია მასალებით. ამ შხრივ საკითხი ამოწურულია... მთლიანად მოხსენება საყურადღებოა და მომხსენებელი მადლობის ღირსია“⁸.

მეორე მოხსენება სოლ. ყუბანეიშვილმა წაიკითხა იმავე წლის 9 დეკემბერს საისტორიო-საენათმეცნიერო საზოგადოების საჯარო სხდომაზე: „საკითხი მოქცევა ქართლისაჲ-სა და გრიგოლ დიაკონის თხზულების შესახებ“.

მომხსენებელმა ვრცლად მიმოიხილა შატბერდისა და ჭელიშის „მოქცევა ქართლისაჲს“ ვარიანტები, გაარკვია ჭელიშური ვარიანტის დაწერის დრო და ლიტერატურული წყაროები, შეეხო აგრეთვე გრიგოლ დიაკონის თხზულების საკითხს. მომხსენებლის აზრით, ამ თხზულების ერთი ნაწილი ჩართული უნდა იყოს შატბერდულ „მოქცევა ქართლისაჲ“-ში, სახელდობრ მე-14 თავი, რომელიც ჭელიშის ხელნაწერში არაა შეტანილი.

⁸ ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების 1927 წ. 19 IV საჯარო სხდომის ოქმი № 69/4.

მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია დამსწრეთა შორის. სიმ. ჯანაშიამ აღნიშნა: „საინტერესოა მომხსენებლის მიერ აღნიშნული სი- ახლოე ლეონტი პროველისა ჰელიმის ვარიანტის ცნობებთან“.

სხდომის თავმჯდომარემ პროფ. ივ. ჯავახიშვილმა განაცხადა, რომ „მომხსენებლის დაკვირვება ძალიან საყურადღებოა იმდენად, რამდენად გამოირკვა, რომ ჰელიმური ხელნაწერი ჰქონია ლ. პროველს. მაშასადამე, ეს ხელნაწერი არსებობდა უკვე მე-11 საუკუნეში“⁹.

ამრიგად, მომავალი მეცნიერის პირველი ნათლობა ჩატარდა ქართული ერის კულტურის დიდ მოამაგეთა წინაშე. მათ მიერ დალოცვილი გზა სოლომონ ყუბანეიშვილმა განვლო პატიოსანი შრომით და მეცნიერული სინდისით. ის ოცდათხუთმეტ წელზე მეტია თავდადებათ ემსახურება ქართული ლიტერატურის საკითხებზე კვლევა-ძიების საქმეს.

ინტენსიური მეცნიერული კვლევის საშუალება სოლომონ ყუბანეიშვილს 1935 წლიდან მიეცა, როდესაც ის სამეცნიერო დაწესებულებაში იწყებს მუშაობას. ძირითადად ძველი ქართული ლიტერატურის საკითხებითაა დაინტერესებული, მაგრამ პარალელურად მოღვაწეობას ეწევა ახალი ქართული ლიტერატურის სფეროშიც. განსაკუთრებით უყვარს მას მუშაობა მუზეუმებსა და არქივებში, სადაც ის დიდიდან საღამომდის ჩაკირკიტებს ძველ წყაროებს და ეძიებს მისთვის საინტერესო მასალებს.

ჩვენი მწერლობის კლასიკური ხანიდან კარგად ცნობილი ოდა „აბდულ-მესიანი“ მთლიანი სახით ჩვენამდე არაა მოღწეული, მას შიგადაშიგ აკლია სტროფები. სოლ. ყუბანეიშვილმა აღმოაჩინა ორი ახალი სტროფი, რომლებიც შინაარსის მიხედვით თხზულებაში უნდა ყოფილიყო პირველი—90-ე და 91-ე სტროფებს შორის, მეორე კი 95-ე და 96-ე სტროფებს შუა. ეს სტროფები გადმოუწერია ამბროსი ნეკრესელს (მე-18 ს.), რომელსაც სოლ. ყუბანეიშვილის გამოკვლევით, ხელთ ჰქონია „აბდულ-მესიანის“ უფრო ვრცელი, მაგრამ დეფექტური ნუსხა, სადაც ზოგი სტროფის წაკითხვა და წყობა სხვანაირი ყოფილა, ვიდრე დღესდღეობით ცნობილ ხელნაწერშია მოცემული¹⁰.

9. საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების 1927, XII, 9 ჩვეულებრივი კრების ოქმი № 259.

მოხსენების პირველი ნაწილი—„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ჰელიმური რედაქცია“ დაიბეჭდა 1940 წ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში, ტ. XII. მეორე ნაწილი—„გრიგოლ დიაკონი და მისი თხზულება“ დაიბეჭდა 1945 წ., „ლიტერატურული ძიებანი“, II.

10 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, V, № 8, 1944, გვ. 849—354.

საყურადღებო ნარკვევი უძღვნა სოლ. ყუბანეიშვილმა მე-18 საუკუნის ქართული ჰომილეტიკოსის ამბროსი ნეკრესელის ცხოვრებასა და სალიტერატურო მოღვაწეობას. საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით, ნაშრომში გარკვეულია ამბროსი ნეკრესელის გენეალოგია, მისი მოღვაწეობა წილენლობის, მანგლულობისა და ნეკრესელობის დროს. ნაშრომში მთლიანი სურათია მოცემული მაშინდელი ქართლ-კახეთის საშინაო და საგარეო მდგომარეობისა და ამბროსი ნეკრესელის ჰომილიებისა და საერო ხასიათის პოეზიის საკითხებზე. ასეთი ვრცელი, მრავალი ახალი ცნობის შემცველი მონოგრაფია ამბროსა ნეკრესელზე ჯერ არ დაწერილა¹¹.

სოლ. ყუბანეიშვილმა სპეციალური ნარკვევი უძღვნა იგავარაკული ჟანრის თხზულების „მელის წიგნის“ ქართულ ვერსიას. საკითხის ყოველმხრივმა შესწავლამ მეცნიერი შემდეგ დასკვნამდე მიიყვანა: ქართული „მელის წიგნის“ ოთხი ხელნაწერიდან პირველი არის A 1786 ხელნაწერი, არსებულა მისგან მომდინარე მეორე ნუსხა, რომელსაც ჩვენამდე არ მთულწევია, ყოველ შემთხვევაში ჭერჯერობით ცნობილი არ არის. მესამე ნუსხა არის S 2966, რომელიც პირველი ნუსხიდან მომდინარეობს. ამ ხელნაწერიდან შექმნილია საქართველოს ცენტრარქივის ხელნაწერი № 467 და A 549. A 1786 ნუსხიდან მომდინარეობს H 59 ხელნაწერი, რომლის შემდგენელს „მელის წიგნის“ 164 არაკიდან 73 ამოუკრებია, გაუსწორებია სტილისტურად, ზოგი მათგანი გაუფრცია, ზოგიც გაუერთიანებია და ერთიც ახალი დაუმატებია, რომელიც დღესდღეობით უცნობი წყაროდან აქვს შემოტანილი. „მელის წიგნის“ მთარგმნელს, იოანე პენტელაშვილს, სომხური „მელის წიგნის“ არაკებიდან ქართულად ყველა უთარგმნია (1798 წ.); გარდა 111-ე არაკისა. უკანასკნელის ნაცვლად მას კრებულში შეუტანია სხვა არაკი, რომელიც ქართული ფოლკლორისა და „მელის წიგნის“ 103-ე არაკის საფუძველზეა შედგენილი. მკვლევრის აზრით, ძველი ი. პენტელაშვილს უხეიროდ უთარგმნია, დედნის ზოგი ადგილი დაუმახინჩებია და ზოგიც ვერ უთარგმნია. მეცნიერის დასკვნით, ვარდანისეული არაკები ჩვენში ზღაპრებისა და ანდაზების სახით უფრო ადრე ყოფილა გავრცელებული, ვიდრე მისი ქართული თარგმანი მოგვევლინებოდა¹².

საყურადღებო ნარკვევი გამოაქვეყნა სოლ. ყუბანეიშვილმა „რუსულ-ქართული კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან მე-18 სა-

¹¹ სოლ. ყუბანეიშვილი, ამბროსი ნეკრესელი, ლიტერატურული ძიებანი, 111, 1947, გვ. 225—253.

¹² სოლ. ყუბანეიშვილი, მელის წიგნის ქართული ვერსია, ლიტერატურული ძიებანი, ტ. V, 1949, გვ. 201—228.

უკუნეში¹³. ამ ნაშრომით პირველად გახდა ცნობილი, თუ როგორ მზადდებოდა ნიადაგი მოსკოვში ქართული წიგნების ბეჭდვისათვის. ბაქარის ბიბლია, რომელიც 300 ცალი დაბეჭდილა სინოდის ნებართვის გარეშე, შეუჩერებიათ და საქმის კვლევა-ძიება დაუწყიათ, რაც რამდენიმე წელს გაგრძელებულა. ამ ხნის განმავლობაში ბიბლიის ნაბეჭდი ფორმები ნესტისაგან გაფუჭებულა. გადარჩენილა მხოლოდ 100 ცალი, რომელიც ბაქარს ადრე ყდაში ჩაუსვამს და საქართველოში დაუპირებია მისი გამოგზავნა. ბიბლიის გადარჩენილი 100 ეგზემპლარი 1761 წელს სინოდის დასტურით საქართველოში გამოუგზავნია ბაქარის შვილს ალექსანდრეს.

სოლ. ყუბანეიშვილის ამ ნაშრომით ნათელი შეიქმნა, თუ რატომ გახდა ბაქარის ბიბლია ასე მალე ბიბლიოგრაფიული იშვიათობა.

ძვირფასი ცნობები გამოაქვეყნა სოლ. ყუბანეიშვილმა ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლების გამოცემის ისტორიიდან. ამ ნაშრომში მკვლევარს განხილული აქვს „ვისრამიანი“ (1884 წ. გამოცემა), „არჩილიანი“, „ქილილა და დამანა“, სულხან-საბა ორბელიანის თხზულებები („მოგზაურობა ევროპაში“ და „ანექდოტები“), „დილარიანი“ და ოქროპირ ბაგრატიონის „ტრალედია ვეფხისტყაოსანი“.

სპეციალური ნარკვევი უძღვნა სოლ. ყუბანეიშვილმა მე-18 საუკუნის მწერალს ტიმოთე გაბაშვილს, რომელიც გაგზავნილი იყო რუსეთში იმერეთის მეფის ალექსანდრე მეხუთის მიერ დიპლომატიური დავალებით. ნაშრომი დამუშავებულია რუსეთის არქივებში მოპოვებული დოკუმენტების მიხედვით¹⁴.

ღვაწლშობილმა მეცნიერმა დიდი ამაგი დასდო ვახტანგ VI-ის ამალაში მყოფი პოეტების ცხოვრებისა და შემოქმედების გამოვლენას. ამ მიზნით სოლ. ყუბანეიშვილი წლების მანძილზე სპეციალურ კვლევა-ძიებას ეწეოდა საბჭოთა კავშირის არქივებში და შედეგიც ბრწყინვალე აღმოჩნდა. მან დაპაჯერებლად დაამტკიცა პოემა „ვახტანგის“ ავტორის ვინაობა. მის მიერ მოპოვებული დოკუმენტების მიხედვით, თითქმის ამომწურავად წარმოგვიდგინა პოეტი თომა ბარათაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის საკითხები. ბევრი სადავო საკითხი დავით გურამიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედებიდან ახლებურად გადაჭრა და ბევრი ახალი ცნობაც გამოავლინა. ამასთან ერთად დამაჯერებლად უარყო დ. გურამიშვილზე ზოგიერთი მეცნიერის მცდარი შეხედულება. ახალი დოკუმენტების საფუძველზე სოლ. ყუბანეიშვილმა ნათელი მოპოვინა სულხან-საბა ორბელიანის რუსეთში გადასა-

¹³ ლიტერატურული ძიებანი; X, 1956, გვ. 219—233.

¹⁴ აკად. კორნელი კეკელიძისადმი მიძღვნილი კრებული, 1959 წ., გვ. 339—353.

ხლების საკითხებსაც. ზემოაღნიშნული მწერლების შესახებ ნარკვევები ავტორმა პირველად ცალ-ცალკე გამოაქვეყნა¹⁵, მაგრამ შემდეგ ხელახლა გადასინჯა არქივებში დაცული დოკუმენტები, რის შედეგად ნაშრომი გადაამუშავა, განავრცო და ჩამოაყალიბა მონოგრაფიად „ქართველი პოეტები მეთვრამეტე საუკუნის უკრაინაში“.

1961 წელს ეს შრომა ავტორმა წარადგინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ფილოლოგიის ფაკულტეტის ძველი ქართული ლიტერატურის კათედრის დოცენტი (ამჟამად პროფესორი) ლ. მენაბდე წინასწარ დასკვნაში წერდა: „დოც. სოლ. ყუბანეიშვილის საკვალიფიკაციოდ წარმოდგენილი ნაშრომი ერთობ დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს, მასში მონოგრაფიულადაა შესწავლილი რამდენიმე მწერალი, და რაც მთავარია, მე-18 საუკუნის უკრაინაში ქართველ პოეტთა ცხოვრებისა და შემოქმედების დასახასიათებლად მოხზობილი და გამოყენებულია დიდძალი საარქივო მასალა, რომლის ერთი ნაწილის მიკვლევა და პუბლიკაცია დოც. სოლ. ყუბანეიშვილის დამსახურებას წარმოადგენს.“

„ქართველი პოეტები მე-18 საუკუნის უკრაინაში“ პირველი სერიოზული გამოკვლევაა უკრაინაში მყოფ ქართველ კალმის ოსტატთა შესახებ. მართალია, ზოგი რამ ადრეც იყო ცნობილი და დაწერილი, მაგრამ დოც. სოლ. ყუბანეიშვილმა იმდენი ახალი ცნობა მოიპოვა და გამოიყენა, იმდენი ახალი საკითხი დასვა და შეძლებისდაგვარად გადაჭრა, რომ მისი ნაშრომი აუცილებლად საპატიო ადგილს დაიჭერს უკრაინაში მოღვაწე ქართველ მწერალთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლის ისტორიაში“.

1962 წლის 17 ოქტომბერს სოლ. ყუბანეიშვილმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე წარმატებით დაიცვა დისერტაცია ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

15 ახლად მოპოვებული დოკუმენტების შესახებ სოლ. ყუბანეიშვილმა წინასწარი მოხსენება წაიკითხა შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე, 1952 წლის 19. XII. ამ მოხსენების ანგარიში დაიბეჭდა ამავე წელს გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ (№ 52). იხ. აგრეთვე: ლიტერატურული ძიებანი, ტ. IV 1948, გვ. 175—183; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე XIV, № 4, 1953, გვ. 247—252; „დავით გურამიშვილი ქართველ ჰუსართა პოეზიაში“, 1955 (323 გვ.); ლიტერატურული ძიებანი, IX, 1955, 123—165; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, III, 1960, გვ. 133—149; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე XXXV, № 2. 1964. გვ. 505—512.

სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ოფიციალურმა ოპონენტმა პროფ. ალ. ბარამიძემ აღნიშნა: „დისერტაციის ავტორი სოლ. ყუბანეიშვილი საკმარისად არის ცნობილი ქართველ მეცნიერთა წრეში. იგი ჩემი, უპრეტენზიო და ნაყოფიერი მუშაკია, მის კალამს ეკუთვნის სხვადასხვა ზასიათის არაერთი და ორი ნაშრომი ქართული მწერლობის ისტორიიდან. სოლ. ყუბანეიშვილი სპეციალურად სწავლობს და იკვლევს ძველი ქართული მწერლობის საკითხებს, თუშცა არცახალ მწერლობას სტოვებს უწყურადღებოდ... ბევრი შრომა და ენერგია მოახშარა სოლ. ყუბანეიშვილმა მე-18 საუკუნეში რუსეთსა და უკრაინაში გადახვეწილი ქართველი მწერლების ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლას. კერძოდ ბევრი გააკეთა. მან დიდი პოეტის დავით გურამიშვილის შემოქმედებითი ცხოვრების საკითხების გასარკვევად...

სოლ. ყუბანეიშვილის ნაშრომი მთლიანად კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. მისი მთავარი ღირსება ისაა, რომ ავტორს საფუძვლიანად შეუსწავლია თბილისის, მოსკოვის, ლენინგრადის და ვლადიმირის სიძველეთსაცავები და არქივები. სისტემური, თანმიმდევრული და სკრუპულოზური კვლევადიების შედეგად გამოუვლენია და გამოუქვეყნებია პირველხარისხოვან დოკუმენტთა მთელი სერია, რაც ხელს უწყობს რუსულ-ქართული კულტურული ურთიერთობისა და რუსეთსა და უკრაინაში მე-18 საუკუნის მანძილზე მოღვაწე ქართველი მწერლების ცხოვრებისა და შემოქმედების უმნიშვნელოვანესი საკითხების გარკვევას...

სოლ. ყუბანეიშვილმა დაასაბუთა, რომ პოემა „ვახტანგის“ ავტორი ყოფილა ოტია ფავლენიშვილი, მანვე გაარკვია ამ ძეგლის მნიშვნელობა ქართული ისტორიოგრაფიისათვის.

საინტერესო ცნობები აქვს სოლ. ყუბანეიშვილს თავმოყრილი ჩვენთვის უცნობ პოეტ ჯავახიშვილზე, რომელსაც ვახტანგის წრეში იმდენად აფასებდნენ, რომ აჯიბრებდნენ გურამიშვილთან.

სოლ. ყუბანეიშვილმა თითქმის ამომწურავი სისრულით აღადგინა პოეტ თომა ბარათაშვილის საინტერესო და რთული ცხოვრების სურათი.

მან ახალი საყურადღებო ფაქტებით წარმოგვიდგინა სულხან-საბა ორბელიანის რუსეთში გადასვლისა და ბოლოდროინდელი დიპლომატიური მოღვაწეობის ამბები, საბოლოოდ გაარკვია დიდი ქართველი პეიგავის გარდაცვალებისა და დასაფლავების საკითხები.

ერთი სიტყვით, ასკვნის პროფ. ალ. ბარამიძე, სადისერტაციო ნაშრომი ქართული კულტურის ისტორიის ფრიად მნიშვნელოვანი მონაკვეთისადმი მიძღვნილი და გულმოდგინედ დამუშავებული ისეთი სამეცნიერო გამოკვლევაა, რომელიც დიდ შენაძენს წარმოადგენს“.

ოფიციალური ოპონენტი პროფ. მიხ. ჩიქოვანი სოლ. ყუბანეი-
შვილის ნაშრომის შინაარსობრივი და სტრუქტურული მხარის გან-
ხილვის შემდეგ აღნიშნავს:

„სოლ. ყუბანეიშვილის მონოგრაფია „ქართული პოეტები მე-18
საუკუნის უკრაინაში“ ქართული ლიტერატურათმცოდნეობის გვერდ-
აუვლელი თვალსაჩინო შენაძენია. იგი საკმაოდ რელიეფურობით წარ-
მოგვიდგენს მის ავტორს, როგორც მკვლევარს და ლიტერატურის ის-
ტორიკოსს. ამავე დროს სოლ. ყუბანეიშვილი არაა მხოლოდ ამ ერთი
ნაშრომის ავტორი. საზოგადოება მას კარგად იცნობს, როგორც ძვე-
ლი ქართული ლიტერატურის ადრინდელი პერიოდის მკვლევარს.
უმნიშვნელოვანეს ძეგლთა გამომცემელს... ტექსტოლოგს, რომელიც
არ იფარგლება მხოლოდ ძველი მწერლობით და მნიშვნელოვან კვალს
აჩენს მე-19 და მე-20 საუკ. მწერალთა თხზულებების გამოცემის სა-
ქმეს...“

სოლ. ყუბანეიშვილი ჩვენს წინაშე წარმოსდგება როგორც დიდი
და ფართო დიაპაზონის მკვლევარი, საბჭოთა ფილოლოგიური სკოლის
წარმომადგენელი, მეცნიერული მეთოდით შეიარაღებული, რომელიც
შესანიშნავად ერკვევა ლიტერატურულ და ისტორიულ მოვლენათა
რთულ ლაბირინთებში... ავტორი შესანიშნავად იცნობს პირველ წყა-
როებს და ამჟღავნებს საარქივო ძიებათა დიდ უნარს, რაც ასე აუცი-
ლებელია ისტორიული ხასიათის კვლევის დროს. ამის გამო სოლ. ყუ-
ბანეიშვილის ყოველი მოსაზრება დასაბუთებული და ძნელად უარსა-
ყოფია“.

მაღალი შეფასება მისცა სოლ. ყუბანეიშვილის შრომას ოფიცია-
ლურმა ოპონენტმა პროფ. დავ. გამეზარდაშვილმაც. მან აღნიშნა:
„ქართული ლიტერატურის ცნობილი მკვლევარისა და ნიჭიერი ტექს-
ტოლოგის დოც. სოლ. ყუბანეიშვილის მიერ ფილოლოგიურ მეცნიე-
რებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგე-
ნილი ნაშრომი „ქართული პოეტები მეთვრამეტე საუკუნის უკრაინა-
ში“ საკმაოდ თავისებური და მეტად საინტერესო გაჰოკვლევია...
სპეციალისტები და ქართული ლიტერატურის ისტორიის მკითხველი
დოც. სოლ. ყუბანეიშვილს დიდი ხანია იცნობს, როგორც პირველი
წყაროების გამომძიებელს და, თუ შეიძლება ასე ითქვას, შემსრულე-
ბელს ისეთი „შავი“ მეცნიერული სამუშაოსას, რომელიც ყველას ეხმა-
რება ფართო კვლევა-ძიების გაშლაში. იგი ამ მხრივ ბეჭითად და კე-
თილსინდისიერად ემსახურება ჩვენი ლიტერატურის ისტორიის შე-
მდგომი წინსვლის საქმეს. მიუხედავად იმისა, რომ პირველყოფლისა
იგი ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხებს იკვლევს,

მას უაღრესად მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ახალი ქართული მწერლობის შესწავლის საქმეში... ჩვენ გარკვეულ მონაპოვრად მიგვაჩნია დოც. სოლ. ყუბანეიშვილის მიერ დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომი, რომელიც ამდიდრებს, აფართოვებს და აზუსტებს ჩვენს ცოდნას დ. გურამიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

მეტად ძვირფასია აგრეთვე, დისერტანტის მიერ გაწეული მუშაობა სხვა იმიგრანტი პოეტების ფავლენიშვილის, ჯავახიშვილის და თომა ბარათაშვილის მოღვაწეობის შესასწავლად“. შემდეგ ოპონენტი ჩამოთვლის ნაშრომში გადაწყვეტილი და დაზუსტებული საკითხების წყებას და ასკვნის: „დოც. სოლ. ყუბანეიშვილის მიერ რუსეთის სიძველეთა საცავებში მოპოვებული ახალი დოკუმენტებისა და მასალის ანალიზის შედეგად წარმოდგენილი დასკვნების მნიშვნელობა უდავოდ დიდია. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს მასალა დისერტანტს შემთხვევით კი არ უპოვნია, როგორც იტყვიან, ზედ კი არ წადგომია, არამედ წინასწარგამიზნული კვლევის შედეგად აქვს გამოვლენილი. ეს გარემოება კი ბევრის მოქმედია...“

შრომა იმითაც საყურადღებოა, რომ, მდიდარ მასალაზე დაყრდნობით, დაწვრილებით არის წარმოდგენილი ქართველ-რუს და უკრაინელ ხალხთა მეგობრობის ისტორიის ერთ-ერთი საინტერესო ფურცელი“..

დისპუტის დამთავრების შემდეგ საპეცნიერო საბჭომ სოლ. ყუბანეიშვილს ერთხმად მიანიჭა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხებიდან აღსანიშნავია სოლ. ყუბანეიშვილის რუსთველოლოგიური ძიებანიც. მის კალამს ეკუთვნის ნარკვევი „ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემებისადმი დაშოკირებულება XVIII—XIX საუკუნეებში“. სადაც მეცნიერმა უდაოდ გამოარკვია, რომ „ვეფხისტყაოსნის წინააღმდეგ იდეურ ბრძოლას ეწეოდა კლერიკალური წრის რეაქციული ფრთა, რომელიც სამეძაო თხზულებად აღიარებდა მას, მაგრამ „ფიზიკური“ განადგურება ამის გამო თვით პოემას არასოდეს განუცდია“. მეცნიერის აზრით, „ფიზიკურად“ განადგურებული იქნა მხოლოდ ვეფხისტყაოსნის პირველი ბეჭდური გამოცემის ცალები, მაგრამ არა პოემის შინაარსის მიზეზით, არამედ მასზე დართული ვახტანგ ვეფხისტყაოსნის კომენტარების გამო, რომელშიაც ავტორმა კლერიკალების მიერ სამეძაოდ მიჩნეული პოემა საღმრთო საპიჯნურო თხზულებად გამოაცხადა. ვახტანგის კომენტარები გახდა მიზეზი იმისა, რომ 1826

წელს პეტერბურგში ქართველმა ბატონიშვილებმა ვერ მოახერხეს ვახტანგისეულ ვეფხისტყაოსნის ხელახალი გამოცემა¹⁶.

ამ საკითხებს ავტორი ვრცლად ეხება აგრეთვე თავის წიგნში „ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიიდან“, სადაც მიმოხილულია პოემის გამოცემანი XVIII—XIX საუკუნეებში. ამ ნაშრომში ვახტანგისეული გამოცემის ვრცელი მიმოხილვის შემდეგ ავტორი ეხება მ. ბროსეს 1841 წლის გამოცემას, საუბარია ამ გამოცემის ინიციატორების (თეიმურაზ ბაგრატიონი, მ. ბროსე, დ. ჩუბინაშვილი, ზ. ფალავანდიშვილი, გ. ავალიშვილი) ღვაწლზე. განხილულია მ. ბროსეს წინასიტყვაობა და სხვა საკითხები.

ვეფხისტყაოსნის ბროსესეული გამოცემის შემდეგ ნაშრომში განხილულია დ. ჩუბინაშვილისეული 1846 წ. გამოცემა, რომელიც შესულია დ. ჩუბინაშვილის ქრესტომათიის მეორე ტომში. სოლ. ყუბანეიშვილი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ 1846 წლის გამოცემა ახალს არაფერს შეიცავს. ამ გამოცემისათვის დ. ჩუბინაშვილს, პირველი და უკანასკნელი გვერდების გამოკლებით, გამოყენებული აქვს ბროსეს გამოცემის დაბეჭდილი თაბახები. ავტორს კრიტიკულ გამოცემად მიაჩნია დ. ჩუბინაშვილის მეორე, 1860 წლის, გამოცემა, რომელიც სტროფობრივი შემადგენლობით პირველისაგან განსხვავებულია და დართული აქვს სამეცნიერო აპარატი.

პეტერბურგის გამოცემების მიმოხილვის შემდეგ სოლ. ყუბანეიშვილი ეხება ვეფხისტყაოსნის საქართველოში ბეჭდვის ისტორიას, რომელიც იწყება გ. წერეთლისა და დ. ყიფიანის 1867 წლის გამოცემით. ამ ხნიდან მოყოლებული მე-19 საუკუნეში პოემის 13 გამოცემა დაიბეჭდა. ნაშრომში განხილულია გამოცემათა წყაროები. თარიღები და ტირაჟები. მოცემულია ამ გამოცემათა პოლიგრაფიული აღწერილობანი და ნაჩვენებია რა საზოგადოებრივი რეზონანსი ჰქონია ამა თუ იმ გამოცემას.

ქართველიშვილისეულ გამოცემას არ ერთვის ვარიანტები და ამიტომ მკითხველისათვის მთლად ცნობილი არ იყო ის დიდი ტექსტოლოგიური მუშაობა, რომელიც ამ გამოცემის ტექსტის დამდგენმა კომისიამ ჩაატარა.

სოლ. ყუბანეიშვილმა მოიპოვა დ. ჩუბინაშვილისეული 1860 წელს გამოცემული ვეფხისტყაოსნის ის ცალი, რომელიც კომისიას უსწორებია ქართველიშვილისეული გამოცემისათვის. ამან ნათელი გახადა ილია ჭავჭავაძის, ივ. მაჩაბლის, იონა მეუნარგიას და სხვათა

¹⁶ სოლ. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის გამოცემისადმი დამოკიდებულება XVIII—XIX სს-ში, ლიტერატურული ძიებანი, I, 1943, გვ. 109—123.

მიერ ქართველიშვილისეულ გამოცემაზე ჩატარებული ტექსტოლო-
გიური მუშაობა.

სოლ. ყუბანეიშვილის ნაშრომში ქართველიშვილისეული გამო-
ცემის შესახებ ისეთი ცნობებია მოტანილი, რომლებიც დიდ ინტე-
რესს იწვევს. ამ ინტერესს უფრო აცხოველებს წიგნში დაბეჭდილი ვე-
ფხისტყაოსნის გამოცემათა თავფურცლების ფოტოპირები, რომლე-
ბიც თითოეულ გამოცემასთან ფიზიკურად ხელშეხების გარეშობას იწ-
ვევს და მკითხველს დიდ სიამოვნებას გვრის.

სოლ. ყუბანეიშვილს ეკუთვნის ვეფხისტყაოსნის რუსულ და
გერმანულ ენებზე მთლიანი სახით თარგმნის პირველი ცდების გამო-
ვლენა. ნაშრომში „ვეფხისტყაოსნის რუსულ ენაზე თარგმნისა და გა-
მოცემის პირველი ცდა“ დადასტურებულია, რომ პოემის რუსულ ენა-
ზე მთლიანი სახით გადათარგმნისა და გამოცემის მზადება საქართვე-
ლოში დაწყებულია 1889 წელს და ამ საქმის ინიციატორი ყოფილა
გრიგოლ ლევანის ძე დადიანი. უკანასკნელს საქმის შესახებ საკითხი
აღუძრავს განათლების მინისტრის ი. დელიანოვის წინაშე, მაგრამ მი-
ნისტრს თავი არ შეუწუხებია, რის გამოც განზრახვა სისრულეში ვერ
მოუყვანიათ¹⁷.

შეორე ნაშრომში „ვეფხისტყაოსნის გერმანულ ენაზე თარგმნის
ისტორიიდან“¹⁸ ავტორი გვაცნობს პროფ. ალ. ცაგარლის განზრ-
ახვას, რომ ვეფხისტყაოსანი გერმანულ ენაზე გადათარგმნის ბო-
დენშტედტს, რაც არ განხორციელებულა. აქვე ეხება ა. ლაისტის
თარგმანის გამოცემის ისტორიას.

დიდი მუშაობა ჩატარა სოლომონ ყუბანეიშვილმა ვეფხისტყაოს-
ნის ტექსტის აკადემიური გამოცემის წინასწარი სამზადისისათვის. მან
გამოსცა ვეფხისტყაოსნის მე-17 საუკ. ვრცელი ხელნაწერის ტექსტი,
რომელსაც დაურთო სხვა ხელნაწერებიდან ჩანართი სტროფები და
ამით მოამზადა ნიადაგი პოემის ტექსტის სტროფული შოკულობის
დადგენისათვის. ამას გარდა შეადგინა და ცალკე წიგნად გამოსცა ვე-
ფხისტყაოსნის ხელნაწერთა სტროფული მოკულობა, სადაც ნათელი
სურათია დახატული 48 ძირითადი ხელნაწერის სტროფულ შედგენი-
ლობაზე და პირობითი ნიშნების საშუალებით წარმოდგენილია თი-
თოეული სტროფის აღწერილობა. ამასთან ერთად ნაშრომს დართული
აქვს მის მიერ გამოცემული ვეფხისტყაოსნის სტროფების ანბანურად
დალაგებული საძიებელი, გამოყენებული ხელნაწერების ისტორია და
მათი ფოტოსურათები.

17 ზუგდიდის მუზეუმის შრომები, I, 1947, გვ. 385—392.

18 „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), № 2, 1971, გვ. 133—138.

ეს შრომა რუსთველოლოგიის ძვირფასი შენაძენია. იგი ამომწურავ ცნობებს იძლევა პოემის ძირითად ხელნაწერებზე.

სოლ. ყუბანეიშვილის ხელმძღვანელობით მომზადდა ვეფხისტყაოსნის ძირითადი ხელნაწერების ვარიანტების ოთხტომეული, რომლის პირველი ტომი მის მიერ არის შედგენილი. ვარიანტების შედგენასთან დაკავშირებით მეცნიერმა პოემის ხელნაწერებს ახალი ლიტერები ზისცა, რომლებიც შემდეგ დამკვიდრდნენ რუსთველოლოგიაში.

სოლ. ყუბანეიშვილის ღვაწლი რუსთველოლოგიაში სწორად შეაფასა აკად. აკაკი შანიძემ, რომელმაც პოემის 1966 წლის გამოცემის მეცნიერისათვის მიძღვნილ ცალს ასეთი წარწერა გაუკეთა: „ძვირფას სოლომონ ყუბანეიშვილს, ვეფხისტყაოსნის საკითხების კვლევაში დიდად დამაშვრალს“.

სოლ. ყუბანეიშვილის კვლევა-ძიება არ იფარგლება მარტორდენ ძველი ქართული ლიტერატურით, მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კვლევა-ძიების საქმეშიც.

1937 წელს პან მეტად საგულისხმო მონოგრაფია გამოაქვეყნა ვაჟა-ფშაველასზე, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ვაჟას შემოქმედებისა და მსოფლმხედველობის შესწავლის საქმეში.

ამ წიგნის წინასიტყვაობაში ტ. ტაბიძე წერს: „წინამდებარე წიგნი, ახალგაზრდა მეცნიერ სოლ. ყუბანეიშვილისა, მიზნად ისახავს პირველად ქართულ მწერლობაში მასალებზე და დოკუმენტებზე დაყრდნობით მოგვეცეს მთის უდიდესი მგოსნის ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების მატანე... თქმა არ უნდა, ვაჟა-ფშაველას იშვიათი პოეტური ბუნების შესატყვისი მონოგრაფია აქამდე არ არსებობს... სოლ. ყუბანეიშვილის ნაშრომი ამ მხრივ ავსებს დიდ ზარვეზს და საკმაო ნათელს ფენს ვაჟა-ფშაველას ცხოვრებას“. სოლ. ყუბანეიშვილმა ამ წიგნით „მოგვცა ვაჟა-ფშაველას მონუმენტური სახე“ (გვ. V—VI).

სოლ. ყუბანეიშვილის ამ ნაშრომს საზოგადოება გულთბილად შეხვდა და მას მაღალი შეფასება მისცა. მეკლეკარი სოლ. ცაიშვილი გაზ. „კომუნისტურ განათლებაში“ (1937 წ. № 23) წერდა: „წიგნი შედგენილია საქმისადმი დიდი სიყვარულით, მონდომებით და ენერგიით, 500 გვერდის მანძილზე მკითხველის წინაშე ერთი მეორეს სცკლის მიმზიდველი ჭურათები და მნიშვნელოვანი დოკუმენტები. მოგონებები, მიწერ-მოწერა, გამოუქვეყნებელი ლექსები, პოემები და სხვ. წაიკითხავთ ყველა ამათ და თქვენში დარჩება ვაჟა-ფშაველას ცხოვრების აღწერის სრული შთაბეჭდილება... ეს წიგნი განძია. ქართული ლიტერატურის ისტორიაში და საყვარელი მკითხველისათვის“. „აღნიშნული წიგნი ავსებს იმ ზარვეზს, რომელიც ართულებდა ვაჟა-

ფშაველას ცხოვრების ყოველმხრივ გათვალისწინებას და ამ მხრივ იგი საინტერესო შრომას წარმოადგენს“ — წერდა სერგი ქილაია („ლიტერატურული საქართველო“, 1937, № 17). „სოლ. ყუბანეიშვილის შრომა იმდენად საინტერესოა, რომ ახლა შეუძლებელია ვაჟა-ფშაველას ბიოგრაფიის შესწავლა ან სწავლება მის გარეშე. ეს შრომა პირველი ცდაა ჩვენს ლიტერატურაში ქართველი კლასიკოსის შესახებ არსებულ მასალისა და დოკუმენტების გამოცემისა“ — აღნიშნავდა ე. ა. (ვაზ. „მუშა“, 1937, № 66)¹⁹.

1940 წელს სოლ. ყუბანეიშვილმა გამოაქვეყნა მეორე საინტერესო და მეტად შრომატევადი ნაშრომი „ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების მატთანე“, რომლის პირველ ნაწილში ქრონოლოგიური წესით მოცემულია ცნობები პოეტის მოღვაწეობის შესახებ: შემდეგ მოდის ბიბლიოგრაფიული ცნობები: ანბანზე დალაგებულია ვაჟა-ფშაველას ყველა ნაწარმოები, დაბეჭდილი პერიოდულ გამოცემებში, ცალკეული გაშოცემანი, თარგმანები სსრ კავშირის ხალხთა და უცხო ენებზე, ბიბლიოგრაფია იმისა, რაც პოეტის შესახებ დაწერილა.

წიგნში არის აღწერილი ვაჟა-ფშაველას არქივები, რომლებიც დღეს დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში და ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. წიგნში მოთავსებულია პოეტის მამის პავლე რაზიკაშვილის „დარიგებანი“, რაც მას სხვადასხვა დროს წარმოუთქვამს და სადაც აღწერილია ფშაველების ზნეჩვეულებანი და ყოფაცხოვრება გასული საუკუნის 80-იან წლებში. აქვეა დაბეჭდილი შესანიშნავი საბავშვო მწერლის, ვაჟას ძმის, თედო რაზიკაშვილის ავტობიოგრაფიის მოზრდილი ნაწილი²⁰.

ასეთი ნაშრომი ქართველ მწერალზე ჯერ არ შედგენილა. თუ რამდენად მნიშვნელოვანია სოლ. ყუბანეიშვილის დასახელებული ნაშრომი, ამის შესახებ მოვესმინოთ ამ წიგნის რეცენზენტს მკვლევარს და საზოგადო მოღვაწეს სოლ. ცაიშვილს. იგი წერს: „სოლომონ ყუბანეიშვილის „ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების მატთანე“ ჩვენი სიტყვაკაზმული მწერლობის ისტორიისათვის კარგი შენაძენია. ეს არ არის ჩვეულებრივი ბიოგრაფია, — ცხოვრების სრული აღწერა,

¹⁹ იხ. აგრეთვე ვაზ. „მუშა“, 1935, № 223 და 1937, № 41.

²⁰ დასახელებულ წიგნზე ბიბლიოგრაფია და ცნობები იხ. ვაზ. „კომუნისტი“, 1937 წ. № 206, 1941 წ. № 5; „Заря Востока“, 1937 წ. № 208.

ეს მეორე წიგნია, რომელიც ენგურის ფაბრიკის გამოშვებულ ქალღმერთზე დაიბეჭდა. პირველი წიგნი რუსულიდან თარგმნილი მათემატიკის სახელმძღვანელოა.

ფაქტებითა და მასალებით დასურათხატებული. ის არც მასალების კრებულია ბიოგრაფიისათვის, არამედ პოეტის დაბადებიდან გარდაცვალებამდე (1861—1915) გავლილი გზის შესანიშნავი თარიღების ნუსხაა... საერთოდ წიგნის აპარატურა იმდენად მოფიქრებულია, შეწყობილი და თანმიმდევრულად გამართულია, რომ იპყრობს მკითხველს“ (გაზ. „კომუნისტი“, 1941 წ., № 5).

ეს ნაშრომი ამოსავალი წიგნი გახდა ვაჟა-ფშაველას თხზულებათა აკადემიური გამოცემებისათვის. დასახელებულ ორ წიგნში წარმოდგენილი ზუსტი თარიღების საშუალებით, მკვლევარის მიერ გაცოცხლებული და ამეტყველებულია პოეტის ცხოვრების მთელი გზა დასაწყისიდან შემოქმედებით ზეღვსვლამდე და მისი სიცოცხლის სამწუხარო დასასრულამდე. საქმის სიყვარულმა შეაძლებინა მკვლევარს ამოდენა საბუთების „ჩხრეკა“. „ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების მატინე“ და „ვაჟა-ფშაველა“ ისეთი წიგნებია, რომლებიც გაკეთდა ერთხელ და სამუდამოდ სახელმძღვანელოდ დარჩებიან.

სოლ. ყუბანეიშვილის კალამს ეკუთვნის ბიოგრაფიული ნარკვევი ი. დავითაშვილზე, ბაჩანაზე, გრ. რჩეულიშვილსა და სხვა მწერლებზე, რომლებიც დართული აქვს დასახელებულ ავტორთა თხზულებების ყუბანეიშვილისეულ გამოცემებს.

ღვაწლმოსილი მეცნიერი უყურადღებოდ არ ტოვებს ფოლკლორულ საკითხებსაც. მან დაამუშავა ლიტერატურული და ხალხური „როსტომ-ზურაბიანის“, „ბეჟანიანის“, და „ზააქიანის“ ურთიერთობის საკითხები. რძეელიც მოხსენების სახით წაიკითხა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე 1941 წელს, ხოლო ერთი თავი „ლიტერატურული და ხალხური ზააქიანი“ დაიბეჭდა 1953 წელს²¹. მკვლევრის დასკვნით, „შაჰნამეს“ ებიზოდები გაცილებით უფრო ადრე ყოფილა ცნობილი ქართულ ფოლკლორში, ვიდრე ფირდოუსის (934—1025) „შაჰნამე“ ითარგმნებოდა (XII ს.) ქართულად.

ვრცელი ნარკვევი უძღვნა სოლ. ყუბანეიშვილმა ხალხური ვეფხიტყაოსნის გმირების დახასიათებას, რომელიც დაიბეჭდა 1938 წ. უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის კრებულში „შოთა რუსთაველი“.

ღვაწლმოსილმა მეცნიერმა მონოგრაფიულად შეისწავლა ბახტრიონის გმირები ქართულ მწერლობასა და ხალხურ სიტყვიერებაში. ეს ნაშრომი ავტორმა ცალკე წიგნად გამოაქვეყნა 1953 წ.²²

21 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XIV, № 6, გვ. 377—318.

22 სოლ. ყუბანეიშვილი, ბახტრიონის გმირები ქართულ მწერლობასა და ხალხურ სიტყვიერებაში, თბ., 1953.

სოლ. ყუბანეიშვილი ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ტექსტოლოგიაში. გამოქვეყნებული აქვს ძეგლები ქართული ლიტერატურის ძველი და ახალი პერიოდიდან. ამ გამოცემებში გამოიმუღავენებულია დიდი ერუდიცია და საქმის სიყვარული.

სოლ. ყუბანეიშვილის დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს მის მიერ შედგენილი ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათიის ორტომეულის შედგენა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ძველი ქართული ლიტერატურის კათედრაზე წარმოიშვა აზრი შედგენილი ყოფილიყო ქრესტომათია, რომელშიც მოცემული იქნებოდა სასწავლო პროგრამით ნავარაუდები თხზულებანი ან მთლიანი, ან კუპიურების სახით. ასეთი განზრახვის სისრულეში მოყვანა დაეკისრა კათედრის წევრს, დოც. სოლ. ყუბანეიშვილს, „ხოლო რედაქტორული ხელმძღვანელობა ამ სტრიქონების ავტორს“, — წერს აკად. კორნელი კეკელიძე ქრესტომათიის პირველი ტომის წინასიტყვაობაში.

სოლ. ყუბანეიშვილმა იკისრა ამ შრომატევადი საშვილიშვილო საქმის შესრულება. მან ორ დიდ ტომად შეადგინა და გამოსცა ქრესტომათია.

I ტომში მოთავსებულია ძველი ქართული ლიტერატურის V—XIII საუკუნის ძეგლები, მეორეში — XVI—XVIII საუკუნეების. ძეგლები დალაგებულია ქანრების მიხედვით. თითოეულ ქანრს წამძღვარებული აქვს შესწავლილი წერილი, რომელშიც მოცემულია ამა თუ იმ ქანრის აღმოცენებისა და განვითარების მიმოხილვა. ტექსტებს კი დართული აქვს მოკლე ცნობები, სადაც აღნიშნულია თხზულების დაწერის დრო და ავტორი, ძეგლის სადაურობა, ხელნაწერები და გამოცემები ქართულსა და უცხო ენებზე და ბიბლიოგრაფია. წიგნები შემკულია XI—XII საუკ. წიგნის თავსართების რეპროდუქციით.

„სოლ. ყუბანეიშვილის მიერ შედგენილი და გამოცემული ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია უექველად დიდი მოვლენაა ჩვენი წარსულის შესწავლის საქმეში, — წერს I ტომის შესახებ ცნობილი ენათმეცნიერი ივ. იმნაიშვილი, — ამოერიდან სტუდენტობას ხელთ ექნება ძველი ქართული ლიტერატურის ვრცელი ქრესტომათია, რომელიც შიგ ფართოდ წარმოდგენილი მასალების გარდა, შეიცავს მოკლე ცნობებს თითოეული ძეგლის შესახებ და კარგად მოზრდილ ლექსიკონს, რომელიც აუცილებელია ამნაირი ქრესტომათიისათვის. ლექსიკონი შედგენილია ახალგაზრდა მეცნიერის მოხილ კაბაშიელის მიერ, მაგრამ ამ წიგნის მნიშვნელობა მართო ამით არ განისაზღვრება, მას უხვად გამოიყენებს აგრეთვე საქართველოს წარსულის სხვადასხვა დარგის მკვლევარი: ისტორიკოსი; ენათმეცნიერი, ეთნოგრაფი, ხელოვნებათმცოდნე და სხვ. დასასრულ, ამ წიგნს სია-

მოვნებით მოჰკიდებს ხელს აგრეთვე ჩვენი ძველი კულტურით დაინტერესებული ფართო მკითხველი საზოგადოებაც²³.

ქრესტომათიის ორივე ტომი სამაგიდო წიგნია ძველი ქართული წერილობითი ძეგლების შემსწავლელთათვის.

1948 წელს სოლ. ყუბანეიშვილმა გამოსცა ოტია ფავლენიშვილის პოემა „ვახტანგიანი“²⁴, რომელიც ერთადერთი თხზულებაა, სადაც ვრცლად აღწერილი თვითმხილველის მიერ ვახტანგ მეფის რუსეთში გადასახლების ამბები. პოემა გამოცემულია ოთხი ზელნაწერის მიხედვით, რომელთა შორის სამი ჩვენი მეცნიერის გამოვლენილია. გამოკვლევაში სოლ. ყუბანეიშვილს განხილული აქვს თხზულების ზელნაწერები, გარკვეულია პოემის ავტორის ვინაობა და შესწავლილია ლიტერატურული წყაროები. ტექსტს ერთვის ვარიანტები და პირთა საძიებელი. საყურადღებოა სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუის“ ყუბანეიშვილისეული გამოცემა, რომელიც დაბეჭდილია სულხან-საბა ორბელიანის თხზულებათა I ტომში²⁵. ეს გამოცემა ძირითადად ემყარება მე-18 საუკუნის ექვს თარიღიან ზელნაწერს, მაგრამ ტექსტის დასადგენად გამომცემელს უყურადღებოდ არ დაუტოვებია უთარილო და მოგვიანო ხანის ზელნაწერებიც. გამოცემას დართული აქვს შენიშვნები და ვარიანტები. უკანასკნელში ისეთი ნაირწყაითხვებია მოცემული, რომლებიც შინაარსობრივ სხვაობას იძლევიან ძირითად ტექსტთან შეპირისპირებით, ან მნიშვნელოვან ჰორფოლოგიურ და სინტაქსურ თავისებურებას ავლენენ. ნაშრომში შეტანილია „სიბრძნე-სიცრუის“ ცნობილი 57 ზელნაწერის აღწერილობა. სულხან-საბა ორბელიანის აღნიშნული თხზულების ყუბანეიშვილისეული გამოცემა პირველი აკადემიური გამოცემაა ამ ძეგლისა. 1963 წელს სოლ. ყუბანეიშვილმა გამოაქვეყნა მე-18 ს. ძეგლი, იესე ტლაშაძის პოემა „ბაქარიანი“, სადაც მოთხრობილია ქართლ-კახეთის მდგომარეობა მე-18 საუკუნის პირველი მეოთხედისა. ნარკვევში ავტორი ეხება „ბაქარიანის“ მნიშვნელობას, მოცემული აქვს ზელნაწერის აღწერილობა, განხილულია სტროფული შედგენილობის საკითხი, პოემის კვლევის ისტორია და ავტორის ბიოგრაფიული ცნობები. ტექსტს დართული აქვს მეცნიერული აპარატი და ახლად აღმოჩენილი დოკუმენტები.

23 ივ. იმნაიშვილი, ძველი ქართული ენისა და ლიტერატურის ძეგლების გამოცემის გამო, პუშკინის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. VII, 1949, გვ. 243.

24 ლიტერატურული ძიებანი, IV, 1948, გვ. 175—219.

25 სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი 1959, გვ. 150—253—310.

ნაყოფიერი ჰუმანობა აქვს ჩატარებული ჩვენს მკვლევარს მე-19 საუკუნის ძეგლების გამოცემის საქმეში. მნიშვნელოვანია მისი იოსებ დავითაშვილის თხზულებათა პირველი აკადემიური გამოცემა²⁶. ამ გამოცემის შესახებ ცნობილი ენათმეცნიერი შოთა ძიძიგური წერს: „ამ საყურადღებო გამოცემის რედაქტორს სოლ. ყუბანეიშვილს საფუძვლიანი მუშაობა ჩაუტარებია იოსებ დავითაშვილის თხზულებათა სრული კრებულის შესადგენად. გამოცემას დართული აქვს ისტორიული-ლიტერატურული კომენტარები, აღდგენილია მეფის ცენზურის მიერ დაზიანებული ადგილები, ახსნილია პოეტის მიერ ინიციალებით დაშიფრული პიროვნებანი, რითაც ი. დავითაშვილის ჰრავალი მხარეა გაშუქებული... ამ გამოცემის სახით მკითხველს საშუალება ეძლევა გაითვალისწინოს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი ქართველი მწერლის იოსებ დავითაშვილის მთელი შემოქმედება“²⁷. „წიგნის ერთი თვალის გადავლებითაც კი ნათელია, — წერს სოლომონ ცაიშვილი, — თუ რაოდენ დაკვირვებული ჰუმანობა ჩაუტარებია რედაქტორს. ამ გამოცემით დავითაშვილი პირველად წარსდგა ქართველი მკითხველის წინაშე მთელი სისრულით როგორც პოეტი, მწერალი და ეთნოგრაფი, გლეზური წრიდან გამოსული თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე, თვითნასწავლი ინტელიგენტი, ქემპარიტი შემოქმედი და ჰოქალაქე... რედაქტორს გულდასმით გადაუსინჯავს თბილისის ყველა სიძველეთსაცავი, საფუძვლიანად შეუსწავლია ი. დავითაშვილის ძეგლები (სულ 28 ხელნაწერი კრებული) და დაწვრილებით გაუანალიზებია ისინი... პოეტის ბიოგრაფიაში კი გამომწეურებულია მრავალი საინტერესო და დღემდე უცნობი მასალა ი. დავითაშვილის ცხოვრებიდან“²⁸.

მეტად შრომატევადია სოლ. ყუბანეიშვილის მიერ ჩატარებული ტექსტოლოგიური მუშაობა ალ. ყაზბეგის თხზულებათა ხუთტომეულის გამოცემაზე, რომელიც განხორციელდა 1948—1950 წლებში. ვინაიდან ალ. ყაზბეგის თხზულებების ხელნაწერებს არ მოუღწევია, ამიტომ მეცნიერმა ტექსტოლოგმა ტექსტის დასადგენად ის ნაბეჭდი წყაროები გამოიყენა, რომელთა გამოცემაში, საფიქრებელია, ავტორმა მიიღო მონაწილეობა. ამ მოსაზრებით მან უყურადღებოდ დატოვა ალ. ყაზბეგის სიცოცხლეში გამოცემული (1891—1892) ოთხტომეუ-

26 იოსებ დავითაშვილი, თხზულებათა კრებული, თბილისი, 1951.

27 შ. ძიძიგური, იოსებ დავითაშვილი, სრული კრებული, „მნათობი“ 1951, № 2, გვ. 150.

28 სოლ. ცაიშვილი, იოსებ დავითაშვილის მემკვიდრეობა, ვახ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1952, № 2.

ლის ტექსტი, რადგანაც მკვლევრის დასაბუთებით დასაბუთებულ გამოცემაში ავტორს მონაწილეობა არ მიუღია.

აღ. ყაზბეგის თხზულებათა ხუთტომეულში გამოცემულს ვარიანტები ცალკე ტომებისათვის კი არ დაურთავს, არამედ ბოლო ტომში დაუბეჭდავს ყველა ტომის ნაირწყაიბხეები. გამოცემის ეს წესი ქართულ ტექსტოლოგიაში პირველია.

სოლ. ყუბანეიშვილმა გამოსცა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი ქართველი მწერლის გრიგოლ რჩეულიშვილის თხზულებანი (1965 წ.). რჩეულიშვილის ისტორიული რომანები ფართო პოპულარობით სარგებლობდა თავის დროზე და დღესაც დიდი ინტერესით იკითხება. გამოცემაში გარდა რომანებისა წარმოდგენილია ლექსები, დრამატული პოემა, თარგმნილი და გადმოკეთებული ნაწერები. ტექსტში რედაქტორს გაუსწორებია დედნის არქაული ფორმები, ბარბარიზმები და ზოგიერთი ფონეტიკური უზუსტობანიც. „გრ. რჩეულიშვილის თხზულებანი, განსაკუთრებით გადმოკეთებულები და ნათარგმნი, სავსეა ბარბარიზმებით, ისე, რომ შეუძლებლად დაეინახეთ თანამედროვე მკითხველისათვის ტექსტის იმ სახით მიწოდებაო“, აცხადებს გამომცემელი.

განსაკუთრებული მზრუნველობით გამოსცა სოლ. ყუბანეიშვილმა ბაჩანას, ი. ბაქრაძის თხზულებანი და აგრეთვე აკაკი წერეთლის ლირიკის ოთხტომეული.

დიდად იღვაწა სოლ. ყუბანეიშვილმა ქართული ფილოლოგიის პატრიარქის აკადემიკოს კორნელი კეკელიძის შესახებ კრებულის შედგენაზე, როჟელსაც ეწოდება „დიდი ქართველი მეცნიერი აკად. კორნელი კეკელიძე“ (1965 წ.). ეს კრებული იმითაა მნიშვნელოვანი, რომ დოკუმენტურად გამოვლენილია საბჭოთა საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი კორნ. კეკელიძის სამეცნიერო მოღვაწეობისადმი და ნაჩვენებია ის მწუხარება, რომელიც გამოიწვია ამ დიდი ქართველი მეცნიერის გარდაცვალებამ. „კრებული შედგენილია საქმის ცოდნითა და დიდი სიყვარულით, იგი მრავალმხრივ სასარგებლო წიგნია“, წერს პროფ. ი. მეგრელიძე²⁹.

კორნელი კეკელიძემ ვერ მოასწრო თავისი „ეტიუდების“ გამოცემის დამთავრება, გამოსცა მხოლოდ რვა ტომი და გამზადებული დარჩა მეცხრე ტომი. შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დირექციამ სოლ. ყუბანეიშვილს დაავალა „ეტიუდების“ დარჩენილი ტომების შედგენა და გამოსაცემად

²⁹ ი. მეგრელიძე, შესანიშნავი კრებული დიდ ქართველ მეცნიერზე, „მნათობი“, 1966, № 6, გვ. 183—184.

მომზადება, მან დავალება მუყაითად შეასრულა. გამოსაცემად მოამზადა „ეტიუდების“ ბოლო ზედი (X—XIV) ტომი, რომელთაგან X ტომი უკვე დაიბეჭდა (1968 წ.), ხოლო დანარჩენების გამოცემას აგრძელებს გამომცემლობა „მეცნიერება“.

სოლ. ყუბანეიშვილისათვის კარგადაა ცნობილი ეპისტოლური მემკვიდრეობის დიდი მნიშვნელობა ლიტერატურის ისტორიის საკითხების კვლევის დროს. ამიტომაც, რომ ის დიდი ინტერესით ეკიდება ეპისტოლური ტექსტების გამოცემის საქმეს. ამ მხრივ საინტერესოა მისი პუბლიკაციები: პლატონ იოსელიანის წერილები მარი ბროსესადმი³⁰, წერილები თედო რაზიკაშვილისადმი და თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები მარი ბროსესადმი (1964 წ.). წერილები თედო რაზიკაშვილისადმი³¹ დალაგებულია ავტორების მიხედვით, ხოლო მ. ბროსესადმი თეიმურაზ ბაგრატიონის და პლატონ იოსელიანის მიწერილი წერილები წარმოდგენილია ქრონოლოგიური აღმავლობით (ეპისტოლური მემკვიდრეობის გამოცემის ეს წესი მიღებულია თანამედროვე ტექსტოლოგიაში). ტექსტებს დართული აქვს წინასიტყვაობა, ხოლო ბოლოს ერთვის ჰოკლე, მაგრამ ბევრის მთქმელი „შენიშვნები და კომენტარები“. კომენტარებში გამომცემელს ჩართული აქვს მ. ბროსეს წერილები თეიმურაზ ბაგრატიონისადმი მიწერილი, აგრეთვე ბაგრატიონიშვილის, სვიმონ ტაბიძის და შეფის სძლის, ელენეს, წერილები ბროსესადმი, რომლებიც საკომენტარო საკითხს ნათელს ჰფენენ.

სოლ. ყუბანეიშვილს გამოცემული აქვს ფოლკლორული ტექსტებიც. ყვარელში მასწავლებლად ყოფნის დროს მან, ვარლამ თოფურის ხელმძღვანელობით, დიდძალი დიალექტოლოგიური ტექსტები ჩაიწერა და გადასცა საქართველოს საენათმეცნიერო საზოგადოებას. წლების განმავლობაში, თავისი სტუდენტებისა (თბ. უნივერსიტეტი, ბათუმისა და სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტები) და მასწავლებელთა საკვალიფიკაციო კურსების მსმენელთა დახმარებით, ეწეოდა ეპიტოლური პოეზიის შეგროვებას. 1940 წელს სოლ. ყუბანეიშვილმა გამოსცა „ქართული ზალხური ეპოსი“, სადაც მოთავსებულია ეთერიანი, ტარიელიანი, ამირანიანი და როსტომიანი. გამომცემელს ძირითადად აუღია თითოეული მათგანის ვრცელი ვარიანტი, მისთვის შეურწყავს ე. წ. ზედმეტი ცნობები, რომლებიც სხვა ვარიანტებში აღმოჩენილა და ამ სახით მოუტია უვრცელესი ვარიანტი. ამ წესით აღადგინა მან

30 შ. რუსთაველის სახ. ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, I, 1941.

31 კ. მარქსის სახ. სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის შრომები 111, გვ. 142—198.

ბახტრიონის ბრძოლა ხალხური პოეზიის მიხედვით³². ამ შემთხვევაში სოლ. ყუბანეიშვილმა კარგად გააჩიყენა წინა თაობის, კერძოდ, პ. უმიკაშვილის მეთოდი, რომელიც მან გამოიმუშავა „არსენას ლექსის“ შესაქმნელად.

სოლ. ყუბანეიშვილი ლიტერატურული ძეგლებისადმი განსაკუთრებულ ზრუნვას იჩენს სწავლობს, იკვლევს, თავს უყრის თითოეულ ფრაგმენტს და ტექსტოლოგიური მცენიერების უახლესი პრინციპების მიხედვით ამთლიანებს ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებითი მუშაობის შედეგს.

შეუენლებელი, სისტემატური მუშაობით სოლ. ყუბანეიშვილმა წარუშლელი კვალი გაავლო ქართული ტექსტოლოგიის ისტორიაში. მაღალ დონეზე შესრულებული გამოცემები ნათელი დასტურია იმისა, რომ დიდებულ წინაპართა წამოწყებას ქართული წერილობითი ძეგლების გამოცემის საქმეში სოლ. ყუბანეიშვილი წარმატებით აგრძელებს.

სოლ. ყუბანეიშვილის ხელმძღვანელობის შედეგია შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის მიერ მომზადებული ქართველ კლასიკოსთა გამოცემები: ვ. ბარნოვის ათტომეული, გ. ტაბიძის თორმეტტომეული, მიხ. ჯავახიშვილის რვატომეული, ალ. ორბელიანის სამტომეული; გ. წერეთლის თორმეტტომეული, ი. გრიშაშვილის ათტომეული, ლ. ქიანელის ოთხტომეული, ქ. ლომთათიძის ორტომეული და სხვ.

მისი რედაქტორობით დაიბეჭდა კრებული „ტექსტოლოგიის საკითხების“ პირველი და მეორე წიგნი, რომლებიც ეხება ტექსტოლოგიის ძირითადი პრობლემების ახსნასა და ქართული მასალების მიხედვით გაშუქებას. ასე მაგალითად: ტექსტის ნაბეჭდი და ხელნაწერი წყაროები, ძირითადი ტექსტის არჩევა-დადგენა, ატრიბუციისა და დათარიღების საკითხები; ეპისტოლური ტექსტის გამოსაცემად მომზადება, რედაქციები და ვარიანტები და სხვა. დღემდე ქართულ ენაზე ტექსტოლოგიის თეორიული საკითხები არ ყოფილა სპეციალური კვლევა-ძიების საგანი. აღნიშნული კრებულები წარმოადგენს ამ საკითხების შესწავლის პირველ ცდას.

სოლ. ყუბანეიშვილი დიდ შრომას ეწევა ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეშიც. მისი ასპირანტები წარჩინებით ამთავრებენ საასპირანტო კურსს. დიდ მზრუნველობას იჩენს აგრეთვე იგი ტექსტოლოგიის განყოფილების თანამშრომელთა კვალიფიკაციის

³² სოლ. ყუბანეიშვილი. ბახტრიონის ბრძოლა ქართულ მწერლობასა და ხალხურ სიტყვიერებაში, 1953, გვ. 40—44, შდ. გაზ. „მებრძოლი“, 1943, № 53.

ამაღლებსათვისაც. სოლ. ყუბანეიშვილის ხელმძღვანელობითა და დახმარებით ზოგმა მათგანმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და ზოგიც ემზადება დაცვისათვის.

სოლ. ყუბანეიშვილი არის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის და გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის სამეცნიერო საბჭოების წევრი. იგი ბეჯითად შემსრულებელია ყოველგვარი საზოგადოებრივი დავალებისა, მუდამ საქმეში ჩართული, ჩუმი და თავაზიანი, დაუზარელი და სანდო, საქმისადმი ერთგული, — ეს არის მისი, როგორც მეცნიერისა და ადამიანის, განსაკუთრებული ნიშანთვისება.

ქარგი მუშაობისათვის ინსტიტუტის დირექციის მიერ ბევრჯერ ყოფილა დაჯილდოებული მადლობითა და პრემიით.

1954 წელს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, დეაწლმოსილი მეცნიერი სოლ. ყუბანეიშვილი დაჯილდოვდა „საპატიო ნიშნის“ ორდენით. დაჯილდოებულია აგრეთვე ბედლებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1969 წლის 14 მარტის ბრძანებულებით, ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის მას მიენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

დეაწლმოსილი მეცნიერი 70 წლისაა. იგი კვლავ ახალგაზრდული შემართებით უძღვება თავის საქმეს, არ ეტყობა დაღლა, კვლავ აგრძელებს თავის საყვარელ პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას.

ჯანმრთელობა და დღეგრძელობა ჩვენს დეაწლმოსილ მეცნიერსა და იშვიათ ადამიანს სოლომონ ყუბანეიშვილს!

ვუსურვებთ მას კვლავ ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას საბჭოთა მეცნიერების სასახლეოდ.

სოლომონ ყუბანეიშვილის შრომების ბიბლიოგრაფია*

1. ქრონოლოგიური საძიებელი

1934

1. Таризл в народных вариантах поэмы Шота Руставели: На рубеже Востока, 1934, № 21 (24), XI, 30.

* ბიბლიოგრაფიაში შეტანილი არაა ენციკლოპედიებში დაბეჭდილი ნაწერები და 1920—1932 წლებში სხვადასხვა საკითხზე გამოქვეყნებული წერილები.

ვარსკვლავით (*) აღნიშნულია ის ნაშრომი, რომელიც წყობის პროცესშია.

2. სახელოვანი იუბილარი (ფირდოუსის დაბადებიდან 1000 წლის შესრულების გამო): ახალგაზრდა კომუნისტი, 1934, № 211.

3. ნინოშვილის ათეიზმი. თბ., გამ-ბა „მებრძოლი ათეისტი“. თბ., 1934. 64 გვ. (რადენ კალაძის წინასიტყვაობით, გვ. 5—8).

1935

4. Новое о Важа Пшавела (Беседа с Кубаненшвили С. И.): На рубеже Востока, 1935, № 24, X, I.

5. რედაქცია: აბესალომ და ეთერი. ხალხურა ტექსტი: საუნჯე ხალხური შემოქმედებისა, 1, თბ., გამ-ბა „კოლექტივიზაცია“, 1935. გვ. 155—168.

1936

6. ვაჟა-ფშაველას დაბადების თარიღი: ლიტერატურული საქართველო, 1936, № 16.

7. ვაჟა-ფშაველა თონეთში: ლიტერატურული საქართველო. 1936, № 19.

1937

8. მუშა მგოსანი (ი. დავითაშვილი): მუშა, 1937, № 4271.

9. რედაქცია, წინასიტყვაობა, შენიშვნები: წერილები თედო რაზიკაშვილისადმი — კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის შრომები — წიგნი III, 1937, ტფ., გვ. 142—198.

10. იოსებ დავითაშვილი: კომუნისტური განათლება, 1937, № 28.

11. „ვაჟა-ფშაველა“. თბ., სახელგამი, 1937. 493 გვ.

1938

12. რედაქცია და წინასიტყვაობა: ბაჩანა, ლექსები და პოემები. თბ., გამ-ბა ფედერაცია, 1938. 550 გვ.

13. Герої «Венхіс ткасані» в народних переказах: Сб. Шота Руставелі. (Статті и матеріали), АН УССР, Київ, 1938, с. 148—183.

14. რედაქცია და წინასიტყვაობა: ი. ბაქრაძე, თხზულებათა კრებული, თბ., ფედერაცია, 1938. 112 გვ.

15. ქართული ლიტერატურა პორტრეტებზე და ილუსტრაციებში — ვაჟა-ფშაველა, თბ., სახელგამი, 1938.

16. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ კელიშური რედაქცია: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. XII, თბ., 1940, გვ. 91—101. რეზუმე რუს. ენ.

17. ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანე, თბ., სახელგამი, 1940. 266 გვ: შინაარსი: წინასიტყვაობა, გვ. V—VII; ვაჟა-ფშაველას გენეალოგია, გვ. IX; ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანე, გვ. 3—94. ბიბლიოგრაფია: ვაჟას ფსევდონიმები. ვაჟას ნაწერები—ავტორის სიცოცხლეში გამოქვეყნებულნი, დალაგებული ანბანის მიხედვით, გვ. 99—122; ვაჟა-ფშაველა უცხო ენებზე: რუსულად, სომხურად, გერმანულად, ინგლისურად, უკრაინულად, უნგრულად, ესპერანტოს ენაზე. ვაჟა-ფშაველას ფამოცემები ქართულ და რუსულ ენებზე, გვ. 127—129; ვაჟა-ფშაველას იკონოგრაფია, გვ. 130—137; ვაჟას არქივი: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის პალეოგრაფიული განყოფილება S და A ფონდები (დღეს: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი), მწერალთა მუზეუმი (დღეს: გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი), გვ. 139—160; როდის რა დაიწერა ვაჟა-ფშაველაზე, გვ. 161—213; ავტორთა საძიებელი, გვ. 214—222. დოკუმენტები და მასალები: ვაჟას მოხსენებები ქშშკგ საზოგადოების გამგეობისადმი, გვ. 226—230, „ივერია“ ვაჟა-ფშაველას შესახებ, გვ. 231—232, ი. ჭავჭავაძე ვაჟა-ფშაველას შესახებ, გვ. 233; პავლე რაზიკაშვილის „დარიგებანი“, გვ. 234—240, თედო რაზიკაშვილის ავტობიოგრაფია, გვ. 241—248, ვაჟა-ფშაველას ნაწერები მეფის ცენზურის მიერ აკრძალულნი, გვ. 249—264.

18. რედაქცია და წინასიტყვაობა: ქართული ჩალხური ეპოსი (ეთერიანი, ტარიელისანი, ამირანიანი, როსტომიანი). თბ., საბლიტგამი, 1940. 80 გვ.

1041.

19. რედაქცია, წინასიტყვაობა და შენიშვნები: პლატონ იოსელიანის წერილები. აკად. მარი ბროსესადმი: შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული — წიგნი. I, ბათუმი, აჭარის სახელმწ. გამ-ბა, 1941, გვ. 149—205.

1042

20. საშობლოსათვის ბრძოლისა და თავდადების მოტივები. ძველ ქართულ ლიტერატურაში (V—XII სს.), თბ., სტალინის სახელობის თბილისის სახელმწ. უნივ. გამ-ბა; 1942. 65 გვ.

21. ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემისადმი დამოკიდებულება XVIII—XIX სს-ში: ლიტერატურული ძიებანი, I, თბ., 1943, გვ. 109—123. რეზუმე რუს. ენ.

22. „ელგუჯა“ და მეფის ცენზურა: ლიტერატურული საქართველო. 1943, № 18, VII, 18.

23. ფაქტები და შენიშვნები (ორი თარიღი დავით რექტორის ბიოგრაფიიდან): ლიტერატურული საქართველო 1943, № 9 (285), IV, 10.

24. ბახტრიონისათვის ბრძოლა ხალხური პოეზიის მიხედვით: მებრძოლი, 1943. № 53, VII, 17.

1944

25. გრიგოლ დიაკონი და მისი თხზულება: ლიტერატურული ძიებანი, II, თბ., 1944, გვ. 311—324. რეზუმე რუს. ენ.

26. ხალხური საგმირო პოეზია: მებრძოლი, 1944, № 28.

27. აბდულ-მესიანის ახლად აღმოჩენილი სტროფები: საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე, 1944, ტ. V, № 8, გვ. 849—854. რეზუმე რუს. ენ.

1945

28. ნიკ. ბარათაშვილის ხელნაწერები და გამოცემანი: ნიკოლოზ ბარათაშვილი. თხზულებანი. 1945. თბ., სახელმწიფო გამომცემლობა, გვ. 116—142.

29. ვაჟა-ფშაველას ცდა შანიაევსკის უნივერსიტეტში შესასტუმრად: ლიტერატურა და ხელოვნება, 1945, № 26, VIII, 9.

30. ნ. ბარათაშვილი განჯაში: კომუნისტი, 1945, № 204, X, 14.

31. ნიკ. ბარათაშვილის თხზულებათა ვარიანტები (გამოკრებილი გ. იმედაშვილთან და თ. ჭყონიასთან ერთად); ნიკოლოზ ბარათაშვილი. თხზულებანი 1945. თბ., სახელმწ. გამ-ბა, გვ. 143—158.

1947

32. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. 1 (სასულიერო შინაარსის ლიტერატურული ძეგლები შენიშვნებითა და ძირითადი ლიტერატურის ჩვენებით). თბ., სტალინის სახელობის თბილისის სახელმწ. უნივ. გამ-ბა. 1947. 488 გვ. (ლექსიკონი შეადგინა მიხ. ჭაბაძე-შვილმა).

33. ამბროსი ნეკრესელი (ცხოვრება და სალიტერატურო მოღვაწეობა): ლიტერატურული ძიებანი, III, თბ., 1947, გვ. 225—253.

34. ვეფხისტყაოსნის რუსულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის პირველი ცდა: ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, I, თბ., 1947. გვ. 385—392.

1948

35. რედაქცია და შენიშვნები: ყაზბეგი, ალ. თხზულებათა სრულად კრებული ოთხ ტომად. ტ. I. მოთხრობები და რომანები. თბ., გამ-ბა „საბჭოთა მწერალი“. 1948. 492 გვ.

36. ვახტანგის: ლიტერატურული ძიებანი, IV, თბ., 1948. გვ. 175—219.

37. ალექსანდრე ყაზბეგი და მეფის ცენზურა (თეზისები) — წგ.: რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის VII სამეცნიერო სესია. 1948 წლის 20—21 სექტემბერი. მოხსენებათა თეზისები, გვ. 8.

38. რედაქცია და შენიშვნები: ყაზბეგი, ალ. თხზულებათა სრულად კრებული ოთხ ტომად. ტ. II. მოთხრობები და რომანები. თბ., გამ-ბა „საბჭოთა მწერალი“. 1948. 492 გვ.

1949

39. მელის წიგნის ქართული ვერსია: ლიტერატურული ძიებანი, V, თბ., 1949, გვ. 201—228.

40. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. II (საერო შინაარსის ლიტერატურული ძეგლები, შენიშვნებითა და ძირითადი ლიტერატურის ჩვენებით). თბ., სახელმწ. უნივ. გამ-ბა, 1949. 467 გვ. (ლექსიკონი შეადგინა ივ. ჭავთარაძემ).

41. რედაქცია და შენიშვნები: ყაზბეგი, ალ. თხზულებათა სრულად კრებული ოთხ ტომად. ტ. III. ლექსები, პოემები და პიესები. თბ., გამ-ბა „საბჭოთა მწერალი“, 1949. 641 გვ.

1950

42. რედაქცია და შენიშვნები: ყაზბეგი, ალ. თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად. ტ. IV. დაუმთავრებელი ორიგინალური მოთხრობები, პიესები და გადმოკეთებული დრამატული ნაწარმოებები. თბ., გამ-ბა „საბჭოთა მწერალი“, 1950. 494 გვ.

43. რედაქცია, შენიშვნები და ვარიანტები: ყაზბეგი, ალ. თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად. ტ. V. წერილები სხვადასხვა საკითხზე, ავტობიოგრაფიული ცნობები, კერძო მიმოწერა. თბ., გამ-ბა „საბჭოთა მწერალი“, 1950. 550 გვ.

44. რედაქცია: ეგნატე ნინოშვილის მოხსენებითი ბარათი ილია ჭავჭავაძისადმი: სახალხო განათლება, 1950, № 3.

45. რედაქცია და ვარიანტები: წერეთელი, ა. თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად. ტ. I. ლექსები. 1856—1879. თბ., სახელმწ. გამ-ბა 1950. 503 გვ.

46. რედაქცია და ვარიანტები: წერეთელი, ა. თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად. ტ. II. ლექსები. 1880—1900. თბ., სახელმწ. გამ-ბა, 1950. 564 გვ.

1951

47. რედაქცია, წინასიტყვაობა და შენიშვნები: დავითაშვილი, ო. თხზულებათა სრული კრებული. თბ., გამ-ბა „საბჭოთა მწერალი“, 1951. 416 გვ.

1958

48. ლიტერატურული და ხალხური ზაქიანი: საქართველოს სსრ ძეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XIV, № 6, 1953. თბ., გვ. 377—382. იგივე რუსულ ენაზე: Сообщения АН ГССР, т. XIV, № 4, 1953, стр. 377—382.

49. ცნობები ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლების გამოცენის ისტორიიდან: ლიტერატურული ძიებანი, VIII, 1953. თბ.; გვ. 415—430.

50. დავით გურამიშვილი ქართულ ჰესართა პოლკში (ახალადმოწინილი დოკუმენტების მიხედვით): საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე, 1953. ტ. XIV, № 4, გვ. 247—254. იგივე რუსულ ენაზე: Сообщения АН ГССР, т. XIV, № 4, 1953, стр. 247—254.

51. ბახტრიონის გმირები ქართულ მწერლობასა და ხალხურ სიტყვიერებაში, თბ., საქართველოს სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, 1953. 44 გვ.

52. რედაქცია: გორდეზიანი, ბ. ქართული მხედრული შრიფტი. თბ., გამ-ბა „ტექნიკა და შრომა“, 1953. 124 გვ.

1954

53. რედაქცია და ვარიანტები: წერეთელი, ა. თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად. ტ. III. ლექსები. 1901—1914. თბ., სახელმწ. გამ-ბა, 1954. 586 გვ.

1956

54. რუსეთის სახელოვანი არმიის გეომარი (დავ. გურამიშვილის დაბადებიდან 250 წლისთავი): ლენინის დროშა, (ა/კ სამხედრო ოლქის გაზეთი), 1955, № 120, X, 7.

55. დავით გურამიშვილი ქართულ ჰუსართა პოლკში: ლიტერატურული ძიებანი. IX თბ., 1955, გვ. 123—165. რეზუმე რუს. ენ.

56. რედაქცია და ვარიანტები: წერეთელი, ა. თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად. ტ. IV. ლექსები, გადმოკეთებული და თარგმნილი. თბ., სახელმწ. გამ-ბა, 1955. 498 გვ.

57. Перед юбилеем (К 250-летию со дня рождения Д. Гуррамишвили), Молодой Сталинец, 1955, № 114, IX, 22 (без подписи).

58. В Гусарской роте (К 250-летию со дня рождения Д. Гуррамишвили), Сталинец, 1955, № 121, X, 8.

59. დიდი ქართველი პოეტი დავ. გურამიშვილი: დაიბეჭდა საქართველოს ყველა რაიონის 1955 წ. გაზეთებში: საკოლმეურნეო ცხოვრება, № 80; ოქტომბრის გზით, № 80; კოლექტიური შრომა, № 79; ქარელის კოლმეურნე, № 119; ტყვარჩელის მადაროელი, № 120 და სხვ.

60. რეც.: ახალი ნარკვევი დავით გურამიშვილზე: ლიტერატურული გაზეთი, 1955, IX, 23 (ე. მეტრეველის და ლ. მენაბდის თანაავტორობით).

61. დავით გურამიშვილი ქართულ ჰუსართა პოლკში. თბ., საქართველოს სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა. 323 გვ.

62. რედაქცია, ვარიანტები და შენიშვნები: ყაზბეგი, ალ. თხზულებანი ორ ტომად. ტ. I. თბ., გამ-ბა „საბჭოთა მწერალი“, 1955. 527 გვ.

63. რედაქცია, ვარიანტები და შენიშვნები: ყაზბეგი ალ. თხზულებანი ორ ტომად. ტ. II. თბ., გამ-ბა „საბჭოთა მწერალი“, 1955. 554 გვ.

1956

64. რუსულ-ქართული კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან XVIII საუკუნეში: ლიტერატურული ძიებანი X. თბ., 1956, გვ. 219 — 233.

65. რედაქცია და წინასიტყვაობა: ვეფხისტყაოსნის ჩანართი და დანართი ტექსტებით. თბ., საქართველოს სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა. 1956. 359 გვ.

1958

66. სულხან-საბა ორბელიანის გამგზავრება მოსკოვში: ლიტერატურული ძიებანი, XI, თბ., 1958, გვ. 67—96.

1959

67. ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა სტროფული შედგენილობა. თბ., საქართველოს სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, 1959. 328 გვ.

68. ტიმოთე გაბაშვილი რუსეთში: აკად. კორნელი კეკელიძის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბ., სახელმწ. უნივ. გამ-ბა, 1959, გვ. 339—353.

69. რედაქცია, წინასიტყვაობა, ვარიანტები და ხელნაწერთა აღწერილობა: სიბრძნე სიცრუისა: სულხან-საბა ორბელიანი. თხზულებანი ოთხ ტომად. ტ. I. თბ., სახელმწ. გამ-ბა „საბჭოთა საქართველო“, 1959, გვ. 7—149, 253—309.

1960

70. თომა ბარათაშვილი (ცხოვრება და სალიტერატურო მოღვაწეობა): საქართველოს სსრ მეცნ. აკად. საზოგ. მეცნ. განყ-ბის მოამბე 1960, III, გვ. 133—151.

71. თ-რედ.: კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I. ძველი მწერლობა. თბ., გამ-ბა „საბჭოთა საქართველო“, 1960. 720 გვ.

72. ვახტანგიანის ავტორის ვინაობისათვის: (თეზისები). — წგ.: რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის XX სამეცნიერო სესია. 1960 წლის 9 და 10 თებერვალი. მოხსენებათა თეზისები, გვ. 22—23.

73. რედაქცია, შესავალი წერილი და შენიშვნები: ჩვენი საუნჯე. ქართული მწერლობა ოც ტომად. ტ. I (V—XIII სს. ქართული პროზისა და პოეზიის ძეგლები). თბ., გამ-ბა „ნაკადული“. 1960, გვ. 7—564.

74. ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტები, ნაკვეთი პირველი. თბ., საქართველოს სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, 1960. 283 გვ.

1961

75. ვაჟას უკანასკნელი წერილი: კომუნისტი, 1961, VI, 18.

76. ილია და ვაჟა: კომუნისტი, 1961, № 147, VII, 1. გამომხმარებელი: სოციალისტური სოფელი (გეგეჭკორის რ.), 1961, VII, 26.

77. თ-რედ.: ვაჟა-ფშაველა. თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად. ტ. I. ლექსები (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ვარიანტები და შენიშვნები დაურთო ზ. ჭუმბურიძემ). თბ., გამ-ბა „საბჭოთა საქართველო“, 1961. 547 გვ.

78. თ-რედ.: ვაჟა-ფშაველა. თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად. ტ. II. პოემები (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ვარიანტები და შენიშვნები დაურთო ც. კალაძემ). თბ., გამ-ბა „საბჭოთა საქართველო“, 1961. 398 გვ.

79. თ-რედ.: ვაჟა-ფშაველა. თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად. ტ. III. მოთხრობები. 1881—1909 (ტექსტი გამოსაცემად მო-

ამზადეს, ვარიანტები და შენიშვნები დაურთეს ე. შარაშენიძემ და ლ. სანაძემ). თბ., გამ-ბა „საბჭოთა საქართველო“, 1961. 614 გვ.

80. თ-რედ.: ვაჟა-ფშაველა. თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად. ტ. IV. მოთხრობები, დრამატული ნაწარმოებები, თარგმანები (ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, ვარიანტები და შენიშვნები დაურთეს ე. შარაშენიძემ და ლ. სანაძემ). თბ., გამ-ბა „საბჭოთა საქართველო“, 1961. 698 გვ.

81. თ-რედ.: ვაჟა-ფშაველა. თხზულებათა სრული კრებული. ხუთ ტომად. ტ. V. პუბლიცისტური და ეთნოგრაფიული წერილები (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ვარიანტები და შენიშვნები დაურთო ე. შარაშენიძემ). თბ., გამ-ბა „საბჭოთა საქართველო“, 1961. 509 გვ.

82. თ-რედ.: ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან ასი წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული (1861—1961). თბ., საქართველოს სსრ მეცნ. აკადემ. გამ-ბა, 1961. 258 გვ.

83. ცხოვრება ვაჟა-ფშაველასა. თბ., სახელმწ. გამ-ბა „საბჭოთა საქართველო“, 1961. 338 გვ.

84. თ-რედ.: ბარნოვი, ვ. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტ. I. 1878—1901 (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და ვარიანტები დაურთო დ. რამიშვილმა). თბ., გამ-ბა „საბჭოთა მწერალი“, 1961. 463 გვ.

85. თ-რედ.: ბარნოვი, ვ. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტ. II. 1902—1911 (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ვარიანტები, შენიშვნები და სიტყვების განმარტება დაურთო რ. კუსრაშვილმა). თბ., გამ-ბა „საბჭოთა მწერალი“, 1961. 551 გვ.

86. თ-რედ.: ბარნოვი, ვ. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტ. III. 1912—1914 (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ვარიანტები, შენიშვნები და სიტყვების განმარტება დაურთო რ. კუსრაშვილმა). თბ., გამ-ბა „საბჭოთა მწერალი“, 1961. 564 გვ.

87. თ-რედ.: ბარნოვი, ვ. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტ. IV. 1916 (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ვარიანტები და სიტყვების განმარტება დაურთო რ. კუსრაშვილმა). თბ., გამ-ბა „საბჭოთა მწერალი“, 1961. 411 გვ.

1969

88. ვეფხისტყაოსნის დ. ჩუბინაშვილისეული პირველი გამოცემა (თეზისები) წგ.: რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის XXII სამეცნიერო კონფერენცია. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. გვ. 6.

89. რელაქცია, ვარიანტები და შენიშვნები: ყაზბეგი, ალ. თხზუ-

ლებანი ორ ტომად. მოთხრობები და რომანები. ტ. I. თბ., სახელმწ. გამ-ბა „საბჭოთა საქართველო“. 1962. 557 გვ.

90. რედაქცია, ვარიანტები და შენიშვნები: ყაზბეგი, ალ. თხზულებანი ორ ტომად. მოთხრობები და რომანები. ტ. II. თბ., სახელმწ. გამ-ბა „საბჭოთა საქართველო“, 1962. 538 გვ.

91. თ-რედ.: ბარნოვი, ვ. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტ. V. 1917—1918 (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ვარიანტები, შენიშვნები და სიტყვების განმარტება დაურთო რ. კუსრაშვილმა). თბ., გამ-ბა „საბჭოთა მწერალი“, 1962. 484 გვ.

92. თ-რედ.: ბარნოვი, ვ. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტ. VI. 1919—1922 (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ვარიანტები და სიტყვების განმარტება დაურთეს ზ. კუმბურაძემ, ლ. ჭრელია-შვილმა და ლ. მეგრელიშვილმა). თბ., გამ-ბა „საბჭოთა მწერალი“, 1962. 721 გვ.

93. თ-რედ.: ბარნოვი, ვ. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტ. VII. 1923—1925 (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ვარიანტები, შენიშვნები და სიტყვების განმარტება დაურთო ე. შარაშენიძემ). თბ., გამ-ბა „საბჭოთა მწერალი“, 1962. 690 გვ.

94. რედაქცია და ვარიანტები: ტლაშაძე, ი. ბაქარიანი, თბ., საქართველოს სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, 1962. 73 გვ.

1063

95. რედაქცია: ალ. ყაზბეგი ც. კეკელიძის შესავალი სიტყვა წარმოთქმული 1948 წ. IX, 20 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში ალ. ყაზბეგის დაბადებიდან ასი წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სხდომაზე): ლიტერატურული ძიებანი, XV, 1963, გვ. 327—329.

96. რედაქცია: კ. კეკელიძე, ნ. ბარათაშვილის სევდა. საქართველოს სსრ მეცნ. აკად. საზოგად. მეცნიერ. გან-ბის მოამბე. 1963, III. გვ. 153—164.

97. თ-რედ.: ბარნოვი, ვ. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტ. VIII. 1926—1928 (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ვარიანტები, შენიშვნები და სიტყვების განმარტება დაურთო ე. შარაშენიძემ). თბ., გამ-ბა „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1963. 650 გვ.

98. თ-რედ.: ბარნოვი, ვ. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტ. IX. 1929—1934 (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები, ვარიანტები და სიტყვების განმარტება დაურთო ლ. ჭრელია-შვილმა). თბ., გამ-ბა „ლიტერატურა და ხელოვნება“. 1963. 503 გვ.

99. პოეტი ჭავჭავაძე: მაცნე, 1964. № 6. თბ., გვ. 224—227.
100. რედაქცია, წინასიტყვაობა და შენიშვნები: თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. მ. ბროსესადმი. თბ., გამ-ბა „მეცნიერება“, 1964. 132 გვ.
101. თ-რედ.: ვაჟა-ფშაველა. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტ. I. ლექსები. 1884—1903 (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ვარიანტები და შენიშვნები დაურთო ზ. ჭუმბურიძემ). თბ., გამ-ბა „საბჭოთა საქართველო“, 1964. 438 გვ.
102. თ-რედ.: ვაჟა-ფშაველა. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტ. II. ლექსები. 1904—1915 (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ვარიანტები და შენიშვნები დაურთო ზ. ჭუმბურიძემ). თბ., გამ-ბა „საბჭოთა საქართველო“, 1964 წ. 521 გვ.
103. თ-რედ.: ვაჟა-ფშაველა. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტ. III. პოემები. 1883—1900 (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ვარიანტები და შენიშვნები დაურთო ც. კალაქემ). თბ., გამ-ბა „საბჭოთა საქართველო“, 1964. 407 გვ.
104. თ-რედ.: ვაჟა-ფშაველა. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტ. IV. პოემები. 1901—1915 (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ვარიანტები და შენიშვნები დაურთო ც. კალაქემ). თბ., გამ-ბა „საბჭოთა საქართველო“, 1964. 397 გვ.
105. თ-რედ.: ვაჟა-ფშაველა. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტ. V. მოთხრობები. 1881—1895 (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ვარიანტები და შენიშვნები დაურთო ლ. სანაძემ). თბ., გამ-ბა „საბჭოთა საქართველო“, 1964. 407 გვ.
106. თ-რედ.: ვაჟა-ფშაველა. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტ. VI. მოთხრობები. 1896—1909 (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ვარიანტები და შენიშვნები დაურთო ე. შარაშენიძემ). თბ., გამ-ბა „საბჭოთა საქართველო“, 1964. 338 გვ.
107. თ-რედ.: ვაჟა-ფშაველა. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტ. VII. მოთხრობები. დრამატული ნაწარმოებები (ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, ვარიანტები და შენიშვნები დაურთეს ე. შარაშენიძემ და ლ. სანაძემ). თბ., გამ-ბა „საბჭოთა საქართველო“, 1964. 397 გვ.
108. თ-რედ.: ვაჟა-ფშაველა. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტ. VIII. თარგმანები (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ვარიანტები და შენიშვნები დაურთო ლ. სანაძემ). თბ., გამ-ბა „საბჭოთა საქართველო“, 1964. 407 გვ.

109. თ-რედ.: ვაჟა-ფშაველა. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტ. IX. პუბლიცისტური და ეთნოგრაფიული წერილები (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ვარიანტები და შენიშვნები დაურთო ე. შა-რაშენიძემ). თბ., გამ-ბა „საბჭოთა საქართველო“, 1964. 495 გვ.

110. რედაქცია, ვარიანტები და შენიშვნები: ვაჟა-ფშაველა. თხზუ-ლებათა სრული კრებული ათ ტომად. ტ. X. კორესპონდენციები, პუბ-ლიცისტური წერილები, სხვადასხვა დამატებანი. თბ., გამ-ბა „საბჭო-თა საქართველო“, 1964. 477 გვ.

111. ვეფხისტყაოსნის დ. ჩუბინაშვილისეული პირველი გამოცე-მა: ძველი მწერლობის საკითხები. კრებული მეორე. თბ., 1964, გვ. 209—212.

112. რედაქცია: უკრაინის დიდი შვილი (კორნელი კეკელიძის სიტყვა წარმოთქმული 1939 წ. 7 მარტს თბილისის რუსთაველის სახე-ლობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, ტ. შექჩენკოს დაბადების 125 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სსდომაზე): კომუნისტი, № 56, (12872), III, 7.

113. თ-რედ.: ბარნოვი, ვ. თხზულებათა სრული კრებული ათ ტო-მად ტ. X (ლიტერატურული და პუბლიცისტური წერილები. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ვარიანტები, შენიშვნები და სიტყვათა გან-მარტება დაურთო რ. კუსრაშვილმა). თბ., გამ-ბა „ლიტერატურა და ლოგოგრაფია“, 1964. 515 გვ.

114. ვახტანგიანის ავტორის ვინაობისათვის: საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე, XXXV:2. 1964. თბ., გვ. 505—512. რეზუმე რუს. ენ.

115. ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების მატთან: ვაჟა-ფშაველა. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტ. X, თბ., გამ-ბა „საბჭოთა საქართველო“, 1964, გვ. 285—370.

116. რედაქციისაგან: ბარნოვი, ვ. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტ. X. თბ., გამ-ბა „ლიტერატურა და ლოგოგრაფია“, 1964, გვ. 512. (ხელმოუწერელია).

1965

117. დიდი ქართველი მეცნიერი აკად. კორნელი კეკელიძე. კრე-ბული. თბ., გამ-ბა „მეცნიერება“, 1965. 231 გვ.

118. რედაქცია, წინასიტყვაობა, ვარიანტები და შენიშვნები: რჩე-ულიშვილი, გრ. თხზულებანი. თბ., გამ-ბა „საბჭოთა საქართველო“, 1965. 364 გვ.

119. ვეფხისტყაოსნის ბექდვის ისტორიიდან (XVIII—XIX სს.) გამ-ბა „მეცნიერება“, 1966. 246 გვ.

119ა. რედაქცია: ი. ლორთქიფანიძე, გ. ტაბიძის თხზულებათა ტექსტოლოგიური საკითხები, თბ., გამ-ბა „მეცნიერება“, 1965. 184 გვ.

120. რედაქცია: ტაბიძე, გ. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. I. ლექსები 1908—1916 (ტომი გამოსაცემად მოამზადა, ვარიანტები და შენიშვნები დაურთო ი. ლორთქიფანიძემ). თბ., გამ-ბა „საბჭოთა საქართველო“, 1966. 503 გვ.

121. თ-რედ.: ტაბიძე, გ. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. II. ლექსები 1917—1927 (ტომი გამოსაცემად მოამზადა, ვარიანტები და შენიშვნები დაურთო ი. ლორთქიფანიძემ). თბ., გამ-ბა „საბჭოთა საქართველო“, 1966. 490 გვ.

122. თ-რედ.: ტაბიძე, გ. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. III. ლექსები. 1928—1931 (ტომი გამოსაცემად მოამზადეს, ვარიანტები და შენიშვნები დაურთეს ც. კალაძემ და ც. ყიფშიძემ). თბ., გამ-ბა „საბჭოთა საქართველო“, 1966. 646 გვ.

123. თ-რედ.: ტაბიძე, გ. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. IV. ლექსები. 1932—1940 (ტომი გამოსაცემად მოამზადა, ვარიანტები და შენიშვნები დაურთო ლ. სანაძემ). თბ., გამ-ბა „საბჭოთა საქართველო“, 1966. 472 გვ.

124. თ-რედ.: ტაბიძე, გ. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. V. ლექსები. 1941—1945 (ტომი გამოსაცემად მოამზადეს, ვარიანტები და შენიშვნები დაურთეს ლ. სანაძემ და ლ. მეგრელიაშვილმა). თბ., გამ-ბა „საბჭოთა საქართველო“, 1967. 518 გვ.

125. რედაქცია: კ. კეკელიძე, აკაკი შანიძეს (კ. კეკელიძის სიტყვა წარმოთქმული 1957 წლის 10 მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში აკაკი შანიძის დაბადების 70 წლისთავის საიუბილეო ზეიმზე): ორიონი, თბ., სახელმწ. უნივ. გამ-ბა, 1967, გვ. 47—49.

126. დავით გურამიშვილი უკრაინაში: ორიონი (საიუბილეო კრებული, შიძღვნილი აკაკი შანიძის დაბადების 80 წლისთავისადმი). თბ., 1967, გვ. 296—305.

127. რედაქცია: კორნელი კეკელიძე, ცხოვრება ლირსისა მიქელ პარეხელისა: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები; ტ. 121, გვ. 29—33.

128. რედაქცია და წინასიტყვაობა: კორნელი კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ. X. თბ., გამ-ბა „მეცნიერება“. 1968. 314 გვ.

129. რედაქცია, ვარიანტები და შენიშვნები: ყაზბეგო, ალ. თხზულებანი ორ ტომად. მოთხრობები და რომანები. ტ. I. თბ., გამ-ბა „მერანი“, 1968. 557 გვ.

130. რედაქცია, ვარიანტები და შენიშვნები: ყაზბეგო ალ. თხზულებანი ორ ტომად. მოთხრობები და რომანები. ტ. II. თბ., გამ-ბა „მერანი“, 1968. 538 გვ.

131. რედაქცია: ტაბიძე, გ. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. VI. ლექსები. 1946—1957 (ტომი გამოსაცემად მოამზადა, ვარიანტები და შენიშვნები დაურთო რ. კუსრაშვილმა), თბ., გამ-ბა „საბჭოთა საქართველო“, 1968. 602 გვ.

1969

132. გალაკტიონი მშობლიურ სოფელში. განთიადი (ვანის რ.), 1969, № 62, V, 31.

133. თ-რედ.: ჭავჭავიძე, მიხ. თხზულებანი რვა ტომად. ტ. I. მოთხრობები, ჭაყოს ხეხნები (ტომი გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო ა. მირიანაშვილმა). თბ., გამ-ბა „საბჭოთა საქართველო“, 1969. 410 გვ.

134. ვაჟა-ფშაველა და ივანე ბუჭქურაული: ბახტრიონი (ახმეტას რ.), 1969, № 141, XI, 29.

1970

135. აკად. კორნელი კეკელიძის პუბლიკაციები: ტექსტოლოგიის საკითხები, I. თბ., გამ-ბა „მეცნიერება“, 1970, გვ. 178—195.

136. რედაქცია: ტექსტოლოგიის საკითხები I. თბ., გამ-ბა „მეცნიერება“, 1970. 228 გვ.

137. თ-რედ.: ტაბიძე, გ. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. VIII. პოემები. 1911—1940 (ტომი გამოსაცემად მოამზადა, ვარიანტები და შენიშვნები დაურთო ლ. მეფარიშვილმა). თბ., გამ-ბა „საბჭოთა საქართველო“, 1970. 358 გვ.

138. თ-რედ.: ჭავჭავიძე, მიხ. თხზულებანი რვა ტომად. ტ. II. კვაკი კვაკანტირაძე, მოთხრობები, თეთრი საყელო (ტომი გამოსაცემად მოამზადეს, შენიშვნები დაურთეს „კვაკი კვაკანტირაძეს“ დ. იოვა-

შეილმა, „თეთრი საყელოს“ და მოთხრობებს მ. გვეტაძემ). თბ., გამ-ბა „საბჭოთა საქართველო“, 1970. 794 გვ.

1971

139. თ-რედ.: ტაბიძე, გ. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. VII. ლექსები (ტომი გამოსაცემად მოამზადეს ე. შარაშენიძემ და ლ. ჰრე-ლაშვილმა). თბ., გამ-ბა „საბჭოთა საქართველო“, 1971, 356 გვ.

140. თ-რედ.: გ. ტაბიძის თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. IX, პოემები (ტომი გამოსაცემად მოამზადა, ვარიანტები და შენიშვნები დაურთო ლ. შეფარიშვილმა). თბ., გამ-ბა „საბჭოთა საქართველო“. 1971. 336 გვ.

141. რედაქცია, წინასიტყვაობა და შენიშვნები: კორნელი კეკელიძის რუსთველოლოგიური ნარკვევები, თბ., გამ-ბა „მერანი“, 1971. 318 გვ.

142. რედაქცია: ტექსტოლოგიის საკითხები, II. თბ., გამ-ბა „მეცნიერება“. 1971. 184 გვ.

143. რედაქცია და შენიშვნები: რაზიკაშვილი თ. საბავშვო მოთხრობები ორ ტომად, ტ. I. თბ., გამ-ბა „ნაკადული“. 1971. 230 გვ.

144. რედაქცია და შენიშვნები: რაზიკაშვილი თ. საბავშვო მოთხრობები ორ ტომად, ტ. II. თბ., გამ-ბა „ნაკადული“, 1971. 230 გვ.

145. რედაქცია და წინასიტყვაობა: კორნელი კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. XI. თბ., გამ-ბა „მეცნიერება“ 1971*.

146. ვეფხისტყაოსნის გერმანულ ენაზე თარგმნის ისტორიიდან. მაცნე (ენისა და ლიტერატურის სერია), 1971, № 2, გვ. 133—138.

P. S. 147. რეც.: მიხ. აბრამიშვილი—ძველი ქართული თეატრი: კომუნისტი, 1926, № 21, I, 28.

148. შობის დღესასწაული, თბ., სახელგამი, 1930, 56 გვ.

149. ახალწელიწადი, თბ., სახელგამი, 1931. 20 გვ.

150. შობის დღესასწაული, თბ., სახელგამი, 1931. 52 გვ.

151. სამღვდლოება ზალხურ სიტყვიერებაში, თბ., სახელგამი, 1932. 80 გვ.

152. მარქსი და ენგელსი რელიგიის შესახებ, თბ., 1933. 56 გვ.

153. სტალინი რელიგიისა და მასთან ბრძოლის შესახებ, თბ., 1933. 40 გვ.

154. რედაქცია და წინასწარსიტყვაობა: მელანია, მამა ქრისტეფორე (მეფის ცენზურის მიერ აკრძალული და ახლად აღმოჩენილი მოთხრობა), თბ., 1934, 43 გვ.

155. დავით გურამიშვილი დაღესტანში: ლიტერატურული გაზე-
თი, 1955, 8, VII (ალ. ბარამიძის თანაავტორობით).

ანბანური სამიზგალი

1. წიგნები, წერილები, რეცენზიები, მოხსენებები

- აბდულ-მესიანის ახლად აღმოჩენილი სტროფები 27.
აბრამიშვილი მიხ. ძველი ქართული თეატრი 147.
ალექსანდრე ყაზბეგი და მეფის ცენზურა 37.
ამბროსი ნეკრესელი (ცხოვრება და სალიტერატურო მოღვაწე-
ობა) 33.
ახალი ნარკვევი დავით გურამიშვილზე 60.
ახალწელიწადი 149.
ბახტრიონის გმირები ქართულ მწერლობასა და ხალხურ სი-
ტყვიერებაში 51.
გალაკტიონი მშობლიურ სოფელში 132.
გრიგოლ დიაკონი და მისი თხზულება 25.
დავით გურამიშვილი დაღესტანში 155.
დავით გურამიშვილი უკრაინაში 126.
დავით გურამიშვილი ქართულ ჰუსართა პოლკში 50, 55, 61.
დიდი ქართველი მეცნიერი აკად. კორნელი კეკელიძე 117.
დიდი ქართველი პოეტი დავ. გურამიშვილი 59.
„ელგუჯა“ და მეფის ცენზურა 22.
ვახტანგიანი 36.
ვახტანგიანის ავტორის ვინაობისათვის 72, 114.
ვაჟა-ფშაველა 11.
ვაჟა-ფშაველა და ივანე ბუქურაული 134.
ვაჟა-ფშაველა თონეთში 7.
ვაჟა-ფშაველას დაბადების თარიღი 6.
ვაჟა-ფშაველას ცდა შანიავესკის უნივერსიტეტში შესასვლელად

29.

- ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების მათიანე 17, 115.
ვაჟას უკანასკნელი წერილი 75.
ვეფხისტყაოსნის ბექდვის ისტორიიდან (XVIII—XIX სს.) 119.
ვეფხისტყაოსნის გერმანულ ენაზე თარგმნის ისტორიიდან 146.
ვეფხისტყაოსნის დ. ჩუბინაშვილისეული პირველი გამოცემა 88.

111.

ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემისადმი დამოკიდებულება XVIII—XIX სს-ში 21.

ვეფხისტყაოსნის რუსულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის პირველი ცდა 34.

ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტები. ნაკვეთი პირველი 74.

ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა სტროფული შედგენილობა 67.

თომა ბარათაშვილი 70.

ილია და ვაჟა 76.

იოსებ დავითაშვილი 10.

კორნელი კეკელიძის პუბლიკაციები 135.

ლიტერატურული და ხალხური ზააქიანი 48.

მელის წიგნის ქართული ვერსია 39.

მოქცევაჲ ქართლისაჲს ჭელიშური რედაქცია 16.

მუშა მგოსანი (ი. დავითაშვილი) 8.

ნ. ბარათაშვილი განჯაში 30.

ნიკ. ბარათაშვილის თხზულებათა ვარიანტები 31.

ნიკ. ბარათაშვილის ხელნაწერები და გამოცემანი 28.

ნინოშვილის ათეიზმი 3.

პოეტი ჭავჭავაძე 99.

რედაქციისაგან — ბარნოვი ვ. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად 116.

რუსეთის სახელოვანი არმიის მეომარი (დავ. გურამიშვილის დაბადებიდან 250 წლისთავი) 54.

რუსულ-ქართული კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან XVIII საუკუნეში 64.

სამშობლოსათვის ბრძოლისა და თავდადების მოტივები ძველ ქართულ ლიტერატურაში (V—XII სს.) 20.

სახელოვანი იუბილარი (ფირდოუსის დაბადებიდან 1000 წლის შესრულების გამო) 2.

სულხან-საბა ორბელიანის გამგზავრება მოსკოვში 66.

ტიმოთე გაბაშვილი რუსეთში 68.

ფაქტები და შენიშვნები (ორი თარიღი დავით რექტორის ბიოგრაფიიდან) 23.

ქართული ლიტერატურა პორტრეტებში და ილუსტრაციებში — ვაჟა-ფშაველა 15.

შობის დღესასწაული 148, 150.

ცნობები ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლების გამოცემის ისტორიიდან 49.

ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი 83.

В Гусарской роте (К 250-летию со дня рождения Д. Гура-
мишвили) 58.

Герои «Вепхისტკაოსანი» в народных переказах 13.

Новое о Важа Пшавела 4.

Перед юбилеем (К 250-летию со дня рождения Д. Гура-
мишвили) 57.

Тарнел в народных вариантах поэмы Шота Руставели I.

II ტექსტები გამოცემული წინასიტყვაობით, ვარიანტებითა და შენიშვნებით

ბაქრაძე, ი. თხზულებათა კრებული 14.

ბაჩანა, ლექსები და პოემები 12.

ბახტრიონისათვის ბრძოლა ხალხური პოეზიის მიხედვით 24.

დავითაშვილი, ი. თხზულებათა სრული კრებული 47.

ევნატე ნინოშვილის მოხსენებითი ბარათი ილია ჭავჭავაძისად-
მი 44.

ვაჟა-ფშაველა. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად.
ტ. X. 110.

ვეფხისტყაოსანი ჩანართი და დანართი ტექსტებით 65.

თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. მ. ბროსესადმი 100.

კორნელი კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის
ისტორიიდან ტ. X 128, ტ. XI 145.

კორნელი კეკელიძის რუსთველოლოგიური ნარკვევები 141.

მარქსი და ენგელსი რელიგიის შესახებ 152.

მელანია, მამა ქრისტეფორე 154.

პლატონ იოსელიანის წერილები აკად. მარი ბროსესადმი 19.

რაზიკაშვილი, თ. მოთხრობები I 143. II 144.

რჩეულიშვილი, გრ. თხზულებანი 118.

სამღვდელოება ხალხურ სიტყვიერებაში 151.

სიბრძნე სიცრუისა 69.

სტალინი რელიგიისა და მასთან ბრძოლის შესახებ 153.

ტლაშაძე ი. ბაქარიანი 94.

ქართული ხალხური ეპოსი 18.

ყაზბეგი ალ. თხზულებანი ხუთ ტომად: I 35, II 38, III 41,
IV 42, V 43. ორ ტომად: 1955 წ. I 62, II 63. 1962 წ. I 89, II 90.
1968 წ. I 129, II 130.

ჩენი საუნჯე I 73.

ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია I 32, II 40.

წერეთელი ა. თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად: I 45, II 46, III 53, IV 56.

წერილები თედო რაზიკაშვილისადმი 9.

ხალხური საგმირო პოეზია 26.

III რედაქცია

აბესალომ და ეთერი (ხალხური ტექსტი) 5.

ბარნოვი ვ. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად: I 84, II 85, III 86, IV 87, V 91, VI 92, VII 93, VIII 97, IX 98, X 113.

გორდეზიანი ბ. ქართული მხედრული შრიფტი 52.

ვაჟა-ფშაველა. თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად: I 77, II 78, III 79, IV 80, V 81. ათ ტომად: I 101, II 102, III 103, IV 104, V 105, VI 106, VII 107, VIII 108, IX 109, X 110.

ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან ასი წლისთავეისადმი მიძღვნილი კრებული (1861—1961) 82.

კორნელი კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I. 71.

კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძეს 125.

კორნელი კეკელიძე, ცხოვრება ღირსისა მიქელ პარეხელისა 127.

კორნელი კეკელიძე. ნ. ბარათაშვილის სევდა 96.

კორნელი კეკელიძე, ალ. ყაზბეგი 95.

ი. ლორთქიფანიძე, გ. ტაბიძის თხზულებათა. ტექსტოლოგიური საკითხები 119ა.

ტაბიძე გ. თხზულებანი თორმეტ ტომად: I 120, II 121, III 122, IV 123, V 124, VI 131, VII 139, VIII 137, IX 140.

ტექსტოლოგიის საკითხები I 136, II 142.

უკრაინის დიდი შვილი (ტ. შევჩენკოს დაბადების 125 წლისთავე) 112.

ჯავახიშვილი მიხ. თხზულებანი რვა ტომად: I 133, II 138.

ლილა სანაძე

ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობის“ შემოქმედებითი ისტორია

საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეები შეუნელებელი ინტერესით იკვლევენ ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ძირითად პრობლემებს. არსებობს საყურადღებო შრომები ილიას მსოფლმხედველობის, ლიტერატურულ-ესთეტიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებების შესახებ. მაგრამ ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა შემოქმედებითი ისტორიის შესწავლა ჯერ კიდევ არ გამზდარა სპეციალური კვლევის საგანი. ამ მხრივ პირველ ცდას წარმოადგენს დ. ჯანელიძის წერილი „როგორ მუშაობდა ი. ჭავჭავაძე“ (იხ. უჩრ. „ჩვენი თაობა“, 1937 წ. № 2—3). ამ საკითხის გაშუქებას კი დიდი მნიშვნელობა აქვს ილიას შემოქმედების ყოველმხრივი შესწავლისათვის.

თუმცა კრიტიკულ ლიტერატურაში არაერთხელ ვხვდებით ილიას შემოქმედებითი ლაბორატორიის ზოგიერთი საკითხის კვლევას, მაგრამ ისინი ძირითადად ნაწარმოების შექმნის ისტორიის მხოლოდ გარეგნულ ფაქტებს გვაცნობენ და ნაკლებად ეხებიან ავტორის მხატვრული ჩანაფიქრის განხორციელების პროცესს.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია ილია ჭავჭავაძის მოთხრობის, კერძოდ, „გლახის ნაამბობის“, შემოქმედებითი ისტორიის შესწავლა. ტექსტოლოგიური ანალიზის საფუძველზე შრომაში წარმოდგენილია დიდი ქართველი კლასიკოსის თხზულების იდეურ-მხატვრული ზრდისა და სრულყოფის სურათი.

საკითხის კვლევის პროცესში ჩვენთვის ძირითად დასაყრდენს წარმოადგენდა „გლახის ნაამბობისა“ და „კაცია-აღამიანის“ ავტორისდროინდელი გამოცემები და ამ მოთხრობების პირვანდელი ესკიზების სხვადასხვა ვარიანტების ავტოგრაფები.

ზემოდასახელებული მასალის გაანალიზებამ საშუალება მოგვცა გვეჩვენებინა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითი ძიების გზა, ნა-

იელგვეყო, თუ როგორ ხორციელდებოდა ავტორის მხატვრული ჩანაფიქრი, უმჯობესდებოდა მისი გამომსახველობითი ხერხები, სრულყოფილი ხდებოდა მხატვრული სახეები, იხვეწებოდა სტილი და ენა. შრომაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ავტორის მიერ ტექსტში შეტანილ იმ ცვლილებებს, რომლებიც გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევენ ილია ჭავჭავაძის მუშაობის ხასიათზე და ავლენენ მწერლის იდეურ-მხატვრული ზრდის საფეხურებს.

ლიტერატურული მემკვიდრეობის ღრმა და ამომწურავი შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ნაწარმოების შემოქმედებითი ისტორიის გაცნობას. მხატვრული შემოქმედების ქმნილება ხანგრძლივი და დაძაბული მუშაობის შედეგია. მწერლის შემოქმედებითი ლაბორატორიის შესწავლა მდიდარ მასალას იძლევა ამ მუშაობის მეტოდისა და პროცესის შესახებ. იგი საშუალებას გვაძლევს საყურადღებო დასკვნები გავაკეთოთ შემოქმედის მსოფლმხედველობასა და ლიტერატურულ-ესთეტიკურ შეხედულებებზე, გავარკვიოთ, თუ რა თვალსაზრისით ხელმძღვანელობდა მწერალი - ნაწარმოებში ამა თუ იმ ცვლილების შეტანისას და ხშირად ისიც, თუ რა ფაქტიურ მასალას ეყრდნობოდა ავტორი.

ზოგჯერ პატარა ლექსის შექმნისა და ჩამოყალიბების პროცესის გაცნობამ შეიძლება უაღრესად მდიდარი მასალა მისცეს მკვლევარს ნაწარმოების აზრობრივად გაღრმავებისა და ავტორის იდეურად მომწიფების შესახებ. მაგალითად, ცნობილია, რომ ლერმონტოვის „ტყვე“ თავდაპირველად მსუბუქი რომანტიკულ-ლირიკული ხასიათის ლექსი იყო. მისი ბოლო ვარიანტის სახით კი ლერმონტოვმა შექმნა შედარებით რეალისტური ხასიათის ნაწარმოები, რომელშიაც ტყვე დეკაბრისტთა საკანის ანარეკლს ვხედავთ¹.

საწინააღმდეგო დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა ჟუკოვსკის ნაწარმოებთა ავტოგრაფებზე დაკვირვება. ამ ავტოგრაფების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ ჟუკოვსკი ცდილობდა ხელოვნურად გაეზუნდოვანებინა აზრი და მოესპო რეალისტური ელემენტები ნაწარმოებში.

ამრიგად, იმისათვის, რომ გავიგოთ როგორც ევოლუცია, ისე უკანდახევა მწერლის შემოქმედებაში, საკმარისი არ არის ვიცნობდეთ მხატვრული ნაწარმოების მხოლოდ ბოლო რედაქცია. საჭიროა იმ

¹ იხ. Дурыйли, С. И., Как работал Лермонтов, 1934.

მრავალრიცხოვანი ავტოგრაფისა და ვარიანტის ყურადღებით შესწავლა, რაც საკმაო რაოდენობითაა დაგროვილი თითქმის ყველა მნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოების შექმნის პროცესში.

მსოფლიო ლიტერატურის ყველა ის გენიალური ქმნილება, რომელმაც დროთა განმავლობაში შეინარჩუნა თავისი ძალა და ელვარება, შექმნილია პასუხისმგებლობის უდიდესი გრძნობით და ნაწარმოებზე ენერგიული მუშაობის შედეგად.

ლიტერატურული შრომა არ არის ადვილი, — აღნიშნავდა მაქსიმ გორკი,—და მთელი მისი შემოქმედება ამის მკაფიო დასაბუთებაა. მას არა აქვს თითქმის არც ერთი ნაწარმოები, რომლის მხოლოდ ერთი რედაქცია არსებობდეს. გორკის არქივში დაცულია 2500 ხელნაწერი და ავტორიზებული ტექსტი. მათ შორის არის ეპოპეა „კლიმ სამგინის ცხოვრების“ ოთხივე ნაწილის სრული ტექსტის ავტოგრაფი, რომელშიაც მინაწერები ხელნაწერის არშიაზე და ჩამატებანი ცალკეულ ფურცლებზე შეადგენენ საბოლოო ტექსტის თითქმის ნახევარს.

რომანი „დედა“ ექვს რედაქციადაა ცნობილი და, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ამ რომანის ხელნაწერი, მისი ცალკეული გამოცემების შესწავლაც კი მდიდარ მასალას იძლევა გორკის შემოქმედებითი მუშაობის პროცესის გასაცნობად. გორკი არ კმაყოფილდებოდა იმ დიდი მუშაობით, რასაც იგი ხელნაწერზე ატარებდა და, როცა შემთხვევა მიეცემოდა, ასწორებდა ნაწარმოების დაბეჭდილ ტექსტს სხვა გამოცემისათვის. ანალოგიურ სამუშაოს ასრულებდნენ სხვა მწერლებიც. მაგ. ცნობილმა ქართველმა მწერალმა ალ. ყაზბეგმა გაზ. „დროებიდან“ გადმოწერა საკუთარი რომანი „მამის მკვლელი“ და შეასწორა იგი ცალკე გამოცემისათვის². ხოლო გენიალურმა რუსმა მწერალმა ლ. ტოლსტოიმ „ომისა და მშვიდობის“ ეურანალ „Русский вестник“-ის ტექსტი ამ რომანის ცალკე გამოცემისათვის რამდენჯერმე გაასწორა³.

ლევ ტოლსტოისათვის ლიტერატურული შრომა იყო საყვარელი საქმე, რასაც მან მთელი თავისი ტიტანური ენერგია შეაღია. ხელოვნების ის გასაოცარი ნიმუშები, ის გრანდიოზული სურათები, რაც შექმნილია ამ გენიალური რუსი მწერლის მიერ, მიღებულია დაუღალავი შემოქმედებითი შრომის შედეგად, რასაც მკაფიო გამოხატულება უპოვია ტოლსტოის ნაწარმოებთა ხელნაწერებსა, ავტოგრაფებსა და კორექტურებში. „სამუდამოდ უარყოფილ უნდა იქნეს აზრი შეს-

2 იხ. ალ. ყაზბეგი, თხზულებანი, ტ. 1, 1948, გვ. 480.

3 იხ. Н. Гудзний, Как работал Л. Толстой, 1936.

წორებების გარეშე წერის შესახებ. 3—4 გასწორება — ეს კიდევ ცოტაა“⁴—წერდა ტოლსტოი თავის დღიურში 1852 წლის 8 ოქტომბერს. და, მართლაც, თითქმის ყველა მის ნაწარმოებს ვრცელი შემოქმედებითი ისტორია აქვს. ცნობილია, რომ ტოლსტოიმ „ომი და მშვიდობა“ რვაჯერ გადაწერა. არსებობს ამ რომანის 10.000 გვერდი ხელნაწერი, ხოლო „აღდგომის“ ხელნაწერები და ავტორის მიერ ნასწორები კორექტურები 7 000 გვერდს შეიცავს, რაც გაცილებით აღემატება მისი საბოლოო რედაქციის ნაბეჭდ ტექსტს. ტოლსტოი არაჩვეულებრივი მოთმინებითა და ნებისყოფით მუშაობდა ნაწარმოების ამ თუ იმ სურათსა და ფრაზაზე. საგულისხმოა, რომ მან „ჰაჯი მურატში“ თავი ნიკოლოზ პირველის შესახებ 25-ჯერ გადაწერა და შეიღი ვარიანტი შექმნა, საბოლოოდ კი მასში არ შეუტანია პირველი ვარიანტის არც ერთი ფრაზა.

დაუცხრომელ და თავდადებულ შემოქმედებით შრომაზე მიუთითებენ აგრეთვე გამოჩენილი რუსი მწერლების: პუშკინის, გოგოლის, ნეკრასოვის და მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის კორიფეების ილიას, აკაკის, ვაჟას და სხვა მწერალთა ფერცვლილი ხელნაწერები, ნაწარმოების სხვადასხვა რედაქციები და არა ერთგზის გადაწერილი და ნასწორები ვარიანტები.

მწერლის დანიშნულების მაღალ შეგნებაზე, ლიტერატურული საქმიანობის სირთულესა და სერიოზულობაზე მიუთითებს ილია ჭავჭავაძის სიტყვები: „ლიტერატურული მოღვაწეობა ბუნებითად იმისთანა რამ არის, რომ ღლე-მუღამ უკან დევნა უნდა, ღლემუღამ მის სფეროში ტრიალი, ღლე-მუღამ ფიქრსა და ტვინის მოძრაობაში უნდა იყოს მისი მიმდევარი კაცი. ამისთანა გარემოება აძულებს კაცს მთლად ამ მოღვაწეობაზედ იყოს გადაგებული, გადადებული და მაშინ იგი მოიმოქმედებს მას, რის შემძლეც არის თავისის ნიჭითა და მომზადებულობითა“⁵.

მაგრამ, არა მხოლოდ ლიტერატურული ნაწარმოების შექმნა მოითხოვს გულდადებით შრომას ავტორისაგან, არამედ ხელოვნების ყოველგვარი ნიმუში, ჩერნიშევსკი რაფაელის შესახებ წერდა: «Не сразу и ему удавалось найти хорошее выражение своей идеи»⁶.

და არა მხოლოდ ხელოვნება, არამედ ყოველგვარი პოლიტიკუ-

⁴ Л. Толстой, Полное собрание сочинений, т. 46, 1934, стр. 144.

⁵ ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. IX, 1928, გვ. 29—30.

⁶ Чернышевский, Полное собрание сочинений, т. XV, 1950, стр. 513.

რი და მეცნიერული ხასიათის შრომა-საჭიროებს ავტორის დაუზარელ მუშაობას.

დიდი ენერგიითა და მონდომებით წერდა კარლ მარქსი თავის შრომებს. მარქსის შემოქმედებითი მუშაობის შესახებ საინტერესო ცნობას იძლევა პოლ ლაფარგი თავის მოგონებაში. იგი წერს: «Маркс никогда не был доволен своей работой; он всегда впрочем и делал в ней изменения и всегда находил, что его изложение не дает достаточно ясного представления о предмете»⁷. როგორც ვხედავთ, არც მარქსს — ამ ბუმბერაზ ადამიანს — შეეძლო დიდი შრომის გარეშე მიეღწია სასურველი შედეგისათვის შემოქმედებაში.

ამრიგად, მეტად რთული და შინაარსიანია მწერლის შემოქმედებითი შრომა. მწერლისათვის საკმარისი არ არის შემოქმედის ნიჭი და ზოგადი განათლება, რადგან მისი საქმიანობა მოითხოვს არა მხოლოდ ცხოვრებისეული პრობლემების ცოდნას, არამედ წვრილმან, ყოველდღიურ საყოფაცხოვრებო დეტალებზე გულმოდგინე დაკვირვებას. მსოფლიო ლიტერატურის ყველა გენიოსი შემოქმედი კარგად იცნობდა არა მარტო ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო ნიმუშებს, არამედ ისინი გულმოდგინედ ეცნობოდნენ მეცნიერების ყოველგვარ მიღწევას და საჭიროების შემთხვევაში, სპეციალურად სწავლობდნენ ისტორიის, ეკონომიკის, გეოგრაფიის, ტექნიკისა და სხვათა საკითხებს. ჰემმარიტი მწერლის ცოდნა ისევე მრავალფეროვანია, როგორც თვით ცხოვრება, რადგან მის შემოქმედებაში სინამდვილის მრავალფეროვნება აისახება არა ზედაპირული მოვლენებითა და შემთხვევითი ფაქტებით, არამედ არსებითი, ტიპური თვისებებით, განზოგადებული სახეებით; რადგან მისი კალმის ქვეშ თანადროულობასთან ერთად ცოცხლდებიან კაცობრიობის ისტორიის უშორესი ეპოქები, ყველა ეროვნებისა და პროფესიის ადამიანები მთელი თავისი გრძნობებით, ზრახვებითა და ინტერესებით.

ამიტომ არის, რომ მწერლები ბევრს მუშაობენ ადამიანის შინაგანი ბუნების და არსებული სინამდვილის ყოველმხრივ შესწავლისათვის. ცნობილია, რომ ცხოვრების უკეთ გაცნობისა და ხალხის ფართო მასებთან დაახლოვების მიზნით, განსაკუთრებული უბის წიგნაკები ჰქონდათ ცნობილ მწერლებს: ტოლსტოის, გორკის, პუშკინს, გოგოლს, ი. ჰავკვაძეს, ა. წერეთელს, ვაჟა-ფშაველას, მ. ჯავახიშვილს, გ. ტაბიძესა და სხვებს, რომლებშიაც ისინი ინიშნავდნენ მათთვის უცხო ხალხურ გამოთქმებსა და ადათ-წესებს. ამ უბის წიგ-

⁷ К. Маркс, Ф. Энгельс, Об искусстве, 1938, стр. 662.

ნაკების საყურადღებო მასალებს შემდეგ ისინი ფართოდ იყენებდნენ თავიანთ მხატვრულ შემოქმედებაში.

ცხოვრების ყოველდღიურ მოვლენებთან ერთად შემოქმედისათვის დაკვირვების ობიექტს შეადგენს ადამიანი, მისი სულიერი სამყარო, მისი განცდები და შთაბეჭდილებანი, რასაც საუკეთესოდ უნდა იცნობდეს მწერალი. მაქსიმ გორკიმ მოხდენილად უწოდა მწერლობას „ადამიანთმცოდნეობა“. და, მართლაც, ძნელია უჩვენო ანა კარენინას, დეზდემონასა და ელგუჯას ფაქიზი გრძობები, ჰამლეტისა და ჩაილდ ჰაროლდის სულიერი მღელვარება, ისევე, როგორც ადვილი. არ არის ნათლად და დამაჯერებლად ასახო იაგოსა და გოფსეკის, ჩიჩიკოვისა და პარპაგონის, ბელიკოვისა და თათქარიძეების უშინაარსო, ეგოისტური, ავადმყოფური ზრახვებითა და მისწრაფებებით სავსე ცხოვრება, თუ კარგად არ იცნობ ადამიანის რთულ ბუნებას, მის ფსიქიკას, მის სულიერ სამყაროს.

მოვლენებისა და ფაქტების გულმოდგინე შესწავლა, ადამიანთა ფსიქიკაზე დაკვირვება, რასაც მთელი სიცოცხლის განმავლობაში აწარმოებენ მწერლები, სათანადო ასახვას პოულობს მათ მხატვრულ შემოქმედებაში. მაგრამ ერთბაშად როდი ხდება ჩანაფიქრის გადატანა ქალაქზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, უნიჭიერესი მწერლებიც კი არაერთგზის უბრუნდებოდნენ თავისი შემოქმედების პრობლემას, ასწორებდნენ, ავრცობდნენ თუ ამოკლებდნენ მას.

ნაწარმოებზე მუშაობის პროცესში ხდება არა მარტო უნებლიე გრამატიკული შეცდომების ლიკვიდაცია, არამედ ტარდება უაღრესად ღრმა შინაარსის შემცველი შემოქმედებითი ხასიათის მუშაობა, რაც სათანადო კვალს ტოვებს ნაწარმოების სხვადასხვა ვარიანტებსა და რედაქციებში.

ვარიანტული სხვაობა ხშირად გამოწვეულია ნაწარმოების ენობრივად გაუმჯობესების, მხატვრული ან აზრობრივი თვალსაზრისით სრულყოფის მიზნით და დაკავშირებულია ავტორის ცდასთან, — მოძებნოს შესატყვისი ფორმა, რომელიც მაქსიმალურად შეესაბამება შინაარსს. ძნელია დავასახელოთ ისეთი მხატვრული ნაწარმოები, რომელსაც არ განეცადოს ანალოგიური ხასიათის ცვლილებები.

არის შემთხვევები, როდესაც ავტორს ნაწარმოებში ცვლილებები შეაქვს იმ ნაკლებდამაჯერებლობისა და შეუსაბამობის მოსპობის მიზნით, რაც ნაწარმოების ფინალსა და მის დანარჩენ ნაწილს შორის არსებობს. ამის მაგალითად გამოდგება ეგნატე ნინოშვილის მოთხრობის „საახალწლო პურღვინოსა“ და მისი ბოლო ვარიანტის — „გოგია უიშვილის“ — შეპირისპირება. „საახალწლო პურღვინოში“

ფინალი არ იყო ბუნებრივად განვითარებული, აქ უფრო მოცემული იყო „მშვიდი და მომთმენი“ გოგია... მაგრამ მოთხრობის ხელმეორედ გადაშუშავებით ავტორმა უფრო გააღრმავა და გააფართოვა თავისი გმირის პიროვნება, მისი მოქმედების ფონის გაფართოვებით ფინალიც ბუნებრივი გახდა⁸.

ნაწარმოებში შეუსაბამობა თავს იჩენს მაშინაც, როდესაც გმირს მისი ბუნებისა და ხასიათისათვის ნაკლებდამაჯერებელი მოქმედება მიეწერება. ამიტომ, ხშირად მოსალოდნელია, ვარიანტულ სხვაობებს შორის შეგვხვდეს ანალოგიური შეუსაბამობის ლიკვიდაციის მიზნით შეტანილი შესწორება. მაგ. ალ. ყაზბეგი თავისი ცნობილი რომანის „ელგუჯას“ პირველ გამოცემაში (იხ. გაზ. „დროება №№ 125—251) მაშინ, როდესაც აღწერდა ნაჩალნიკის მიერ მზალოს შეურაცხყოფას, წერდა: „ამას (ნაჩალნიკს ლ. ს.) თავმოყვარეობა ნებას არ აძლევდა თავი დაენებებინა მზალოსათვის და, ოღონდაც თავის საწადელისათვის კი მიეღწია — და, ის რას დასდევდა ქალისაგან თვალების ბრიალს“. მაგრამ, რადგან დაუჭერებელია, რომ ისეთ სუსტ არსებას, როგორც მზალო იყო, ნაჩალნიკისათვის „თვალების ბრიალი“ გაებედნა, ამიტომ, ავტორმა „ელგუჯას“ 1884 წლის გამოცემაში ეს აღგილი ასე შეასწორა: „ამას თავმოყვარეობა ნებას არ აძლევდა თავი დაენებებინა მზალოსათვის და, ოღონდაც თავის საწადელისათვის კი მიეღწია — და, ის რას დასდევდა ქალის ხვეწნას და თხოვნას“. ამ ცვლილების შეტანით მწერალმა მოსპო ზემოხსენებული წინააღმდეგობა და კარგად მიუთითა ქალის უძლურებაზე გამხეცებული ნაჩალნიკისა წინაშე.

გამორიცხული. არ არის შემთხვევა, რომ ნაწარმოების ავტორაფებსა და რედაქციებში გამოხატულება პოვოს მწერლის მსოფლმხედველობაში მომხდარმა გარდატეხამ, ან ავტორის თვალსაზრისის შეცვლამ ამა თუ იმ საკითხზე. მაგ. ცნობილია, რომ გორკის „ვალაშურ ზღაპარში“ თავდაპირველად გამოთქმული ჰქონდა თვალსაზრისი, — რომ თავისუფლება და სიყვარული შეუთავსებელია; ამიტომ, რომ ადამიანები სიყვარულის საკითხში ბოროტნი და დამლუპველნი არიან. ამას ადასტურებს ნაწარმოების ფინალიც: მწყემსის სიყვარულმა იმსხვერპლა ტყის პატარა ფერია. ნაწარმოების ბოლო ვარიანტში („ლეგენდა პატარა ფერიაზე და ახალგაზრდა მწყემსზე“) გატარებულია საწინააღმდეგო აზრი—ადამიანებს შეუძლიათ ძლიერ და თავდავიწყებით სიყვარული. ფერიასათვის კი უცხოა ადა-

8-ე. ნ. ნ. შვილი, მოთხრობები. ტ. 1, 1932, გვ. 327.

მიანური სიყვარული. მას არ ძალუძს გაიგოს ეს გრძნობა ამიტომ ფერიას სიყვარულის გამო იღუპება მარკო — აღამიანი⁹.

ასევე, პოეტის შეხედულებებში მომხდარი გარდატეხით უნდა აიხსნას ცნობილი ქართველი რომანტიკოსის გრ. ორბელიანის პოემის („საღლეგრძელოს“) ბოლო ვარიანტში ნიკოლოზ პირველის საღლეგრძელოს შეტანა.

მუშაობის პროცესში ტიპიურის უკეთ გამოკვეთის მიზნით ავტორი ხშირად იღებს წერილმან, შედარებით უმნიშვნელო ფაქტებს ნაწარმოებიდან და აძლიერებს არსებითსა და დამახასიათებელს. ასე მაგალითად — ნეკრასოვმა პოემაში „რუსი ქალები“ არ შეიტანა მერი ვოლკონსკაიას მიერ ციმბირში როიალის წაღების ფაქტი, რათა ამით ჩრდილი არ მიეყენებინა იმ დიაღი იდეისათვის, რისი გადმოცემაც პოემის მიზანს შეადგენდა. ხოლო პირიქით, მიუხედავად ვოლკონსკების ვაჟის განცხადებისა, — რომ მისი მშობლების შეხვედრა ციმბირში მაღაროში არ მომხდარა, ნეკრასოვმა მაინც დატოვა ეს ამბავი პოემაში, რადგან მას ამით სურდა ხაზი გაესვა იმ გარემოებისათვის, რომ ბორკილგაყრილ პატიმრებს მიწის ქვეშ მძიმე პირობებში ამუშაებდნენ.

შესაძლებელია მხატვრულ ნაწარმოებში შეტანილი ზოგერთი ცვლილება ავხსნათ ავტორის პოლიტიკური მოსაზრებით. მაგ. აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავის“ ერთ ვარიანტში ვკითხულობთ:

„ზურგში ურკვია სომხის მახილი
და გულზე ადევს ქართველის ხმალი“

იმ დროს, როდესაც მეფის რუსეთი განსაკუთრებით იყო დაინტერესებული კავკასიელ მოძმე ხალხებს შორის ჩამოეგდო უფლლი და მტრობა, აკაკი წერეთელმა საჭიროდ არ ცნო ხაზგასმით აღენიშნა სომხებსა და ქართველებს შორის არსებული მტრული დამოკიდებულება, თუნდაც უშორეს წარსულში და ეს ადგილი პოემის შემდეგ ვარიანტში ასე შეასწორა:

„ზურგში ურკვია მას მტრის მახილი
და გულზე ადევს მისივე ფარო“¹⁰.

არა იშვიათად ვხვდებით ისეთ შემთხვევებსაც კი, როდესაც მწერალი ტოვებს მხატვრული ჩანაფიქრის შინაარსისა და იდეის გადმოცემისათვის შერჩეულ თავდაპირველ ხაზს და ახალ ჟანრობრივ

⁹ იხ. Белкина; В творческой лаборатории М. Горького, 1940.

¹⁰ ა. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, 1940, გვ. 689.

ფორმებში ამჯობინებს მის სრულყოფას. მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ ალ. ყაზბეგის რომანის „მამის მკვლელის“ ბედი, რომელიც ავტორს თავდაპირველად პიესის სახით ჰქონდა დაწერილი¹¹.

ლიტერატურის ისტორიამ იცის არა ერთი და ორი ისეთი შემთხვევა, როდესაც ავტორი იძულებულია თავისი სურვილის წინააღმდეგ შეცვალოს ტექსტი, მთლიანად ამოიღოს ესა თუ ის ადგილი და საერთოდ შეარბილოს პოლიტიკური სიმძაფრე ნაწარმოებში, რათა იხსნას იგი ცენზურის ბრკეყალებისაგან. ასეთი მაგალითების დასახელება უხვად შეიძლება როგორც რუს, ისე ქართველ და სხვა მოწინავე პროგრესულ მწერალთა შემოქმედებიდან.

შემოქმედებითი პროცესი არ არის უბრალო ფიზიკური პროცესი. კემპარიტი მწერლისათვის იგი არც მხოლოდ გონებრივი შრომაა. შემოქმედებითი მუშაობა კავშირშია სულიერ სამყაროსთან და ღრმად განიცდება შემოქმედის მიერ. გამოჩენილი ქართველი პოეტი აკაკი წერეთელი პირდაპირ მიუთითებს: „რაც არ ამალეღვებდა და არ გამმკვალავდა, იმაზე ხმასაც არ ვიღებდი“¹². ყოველი დიდი შემოქმედისათვის საკუთარი გმირი ძვირფასი და მახლობელია. ცნობილი საბჭოთა მწერალი ალ. ტოლსტოი იგონებს ერთ მომენტს თავის შემოქმედებითი მუშაობიდან და წერს: მახსოვს, როდესაც მე აღეწერე გენერლის სიკვდილი რომანში („Чудакни“ — ლ. ს.), რამდენიმე დღე დავდიოდი გაბრუებული, თითქოს და სინამდვილეში განმეცადოს სიკვდილი¹³. ამ მხრივ კიდევ უფრო საყურადღებოა ერთი მაგალითი დიდი ფრანგი მწერლის ჰონორე დე-ბალზაკის შემოქმედებითი ცხოვრებიდან: ერთხელ ბალზაკთან მოვიდა მისი მეგობარი, რომელმაც ნახევრად გულწასული მწერალი ნახა სავარძელში მჯდომარე. სასწრაფოდ ექიმთან, ბალზაკი კვდება! დაიყვირა მან. მეგობრის ხმაზე ბალზაკი გამოფხიზლდა და უპასუხა მეგობარს: ახ, შენ არაფერი გესმის, ეს-ეს არის გარდაიცვალა მამა გორიო.

შემოქმედებითი მუშაობის პროცესი, რომელიც მოითხოვს სულიერი და გონებრივი ძალების ასეთ უჩვეულო დაძაბვას, მუდამ დიდ ინტერესს იწვევდა როგორც თვით შემოქმედთა შორის, ისე მკითხველ საზოგადოებაში. ამ საკითხს სპეციალური სტატიები უძღვნეს გოეთემ („Молодым поэтам“ — 2 სტატია), მ. გორკიმ („О том, как я учился писать“, „О возвеличенных и „начинающих“, „Помощь начинающим литератором“, „Беседа с молодыми“, „О „ли-

¹¹ ალ. ყაზბეგის თხზულებანი, ტ. 1, 1948 წ., გვ. 482—490.

¹² ა. წერეთელი, ტ. 1, 1940, გვ. 858.

¹³ Как мы пишем, 1930, стр. 147—148.

ტერატურული ტექნიკა“), ვ. მაიაკოვსკიმ („Как делать стихи?“),
ბ. ოსტროვსკიმ („Мой творческий путь“), მაკარენკომ („О творчес-
ком труде писателей“), ალ. ტოლსტოიმ („Как создавалась трило-
гия „Хождение по мукам“), ილ. ერენბურგმა („Писатель и жизнь“),
ალ. ფადეევმა („Как я работал над романом „Разгром“), ედგარ
ალან პომ („Философия творчества“), ი. ჭავჭავაძემ („პოეზიის ახალ-
გაზრდა მოყვარულთ“), ვ. ბარნოვმა („პოეზია და მისი საფუძვლები“),
მ. ჭავჭავაძის მიერ („როგორ იწერებოდა „არსენა მარაბდელი“) და სხვებმა.

საგულისხმო შეხედულებები აქვს გამოთქმული ილია ჭავჭავაძეს
მწერლის შემოქმედებითი შრომის შესახებ არა მხოლოდ ზემოდასა-
ხელებულ სტატიაში, არამედ მრავალრიცხოვან ლიტერატურულ-
კრიტიკულ წერილებში, ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში. 1958 წელს
„საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში“ (ტ. XX, № 5) გა-
მოვაქვეყნეთ წერილი „ილია ჭავჭავაძე მწერლის შემოქმედებითი
შრომის შესახებ“, ამიტომ აქ ამ საკითხს აღარ შეეხებით.

იდეალისტური ესთეტიკის ზოგიერთ წარმომადგენელს შეუძ-
ლებლად მიაჩნია მწერლის შემოქმედებითი პროცესის მეცნიერული
შესწავლა, მხატვრული ნაწარმოების შექმნისას მიღებულ გამოცდი-
ლებათა და შემოქმედების პროცესში განცდილ შთაბეჭდილებათა
გაზიარების შესაძლებლობა. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღე-
ბოა კანტის თვალსაზრისი: «Гений сам не может описать или на-
учно показать, как он создает свое произведение; в качестве
природы он дает правило; и поэтому автор произведения, кото-
рым он обязан своему гению, сам не знает, каким образом у не-
го осуществляются идеи для этого, и не в его власти произволь-
но или по плану придумать их и сообщить их другим в таких
предписаниях, которые делали бы и других способным созда-
вать подобные же произведения»¹⁴.

ამრიგად, კანტს შეუძლებლად მიაჩნდა მწერლის შემოქმედებითი
პროცესის მეცნიერული შესწავლა, მხატვრული ნაწარმოების შექ-
მნისას მიღებულ გამოცდილებათა და შემოქმედების პროცესში გან-
ცდილ შთაბეჭდილებათა გაზიარების შესაძლებლობა.

ბელინსკიც შემოქმედების პირველ პერიოდში ფიქრობდა, რომ
ავტორს არ შეუძლია ცვლილებები შეიტანოს საკუთარ ნაწარმოებში.
მაგრამ შემდეგში მან უარყო ეს აზრი, როგორც მკლარი და მიუღე-
ბელი. აი, რას სწერდა ბელინსკი ბაკუნინს ამის შესახებ: „ოდეს-
ღაც ვფიქრობდი, რომ პოეტს არც ლექსისა და არც სიტყვის შეცე-

ლა არ შეუძლია. მეუბნებოდნენ, პუშკინის შავად ნაწერი რვეულე-
ბი საწინააღმდეგოს ამტკიცებსო, მე კი ვუპასუხებდი: თვითონ პუ-
შკინიც რომ მარწმუნებდეს ამაში, არ დავიჯერებდი-მეთქი. ასეთი აზ-
რი ახლა არ მინდა და არც არაფრად ვაგდებ¹⁵.

წინააღმდეგ იდეალისტური ესთეტიკის დამკველეებისა, საბჭოთა
მეცნიერები დიდი ინტერესით იკვლევენ და სწავლობენ შემოქმედე-
ბითი ლაბორატორიის საკითხებს. ისინი გრძნობენ, რომ ამ საკი-
თხის გაშუქებით შესაძლებელია გარკვეულ იქნეს შემოქმედის
მსოფლმხედველობის ფორმულირების გზა, მისი ნიჭისა და უნარის
განვითარება.

ნაწარმოების წინასწარი ჩანაწერების, ავტოგრაფების, სხვადასხვა
ვარიანტების, კორექტურების, ავტორიზებული ტექსტისა და
გამოცემების შესწავლა ნათელყოფს, თუ რაოდენ დიდ მუშაობას
ეწეოდა მისი ავტორი. დამახასიათებელი ტიპების შექმნისათვის, მხატ-
ვრული სახის სრულყოფისა და აზრის სიზუსტისათვის.

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში მწერალთა შემოქმედები-
თი ლაბორატორიის საკითხი ნაკლებადაა შესწავლილი. მართალია,
არსებობს რამდენიმე წერილი, რომლებშიაც გაშუქებულია მწერალ-
თა შემოქმედებითი ლაბორატორიის ესა თუ ის საკითხი, მაგრამ ამ
თემაზე დაწერილი შრომების რაოდენობა ჯერ კიდევ მცირეა.

შემოქმედებითი ლაბორატორიის საკითხებისადმი მიძღვნილ ნაშ-
რომთა შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ პროფ. პროკ-
ლე კეკელიძის ფუნდამენტური გამოკვლევა, რომელიც აკ. წერეთ-
ლის ისტორიულ პოემებს შეეხება¹⁶. საყურადღებო შრომას წარ-
მოადგენს აგრეთვე ი. ლორთქიფანიძის „გ. ტაბიძის თხზულებათა
ტექსტოლოგიური საკითხები“.

ქართველი ლიტერატურათმცოდნეების ვალია — კიდევ უფრო
მეტად გაამახვილონ ყურადღება მწერლის შემოქმედებითი მუშაობის
საკითხებზე, გულმოდგინედ შეისწავლონ ნაწარმოებთა მრავალმეტყ-
ველი შავი ხელნაწერები და ავტოგრაფები, რაც დიდად შეუწყობს
ხელს მწერლის შემოქმედების, მისი ღვაწლისა და დამსახურების
შეუმცდარ შეფასებას.

15 ბ. ბელინსკი, რჩული ფილოსოფიური თხზულებანი, 1948, გვ. 172.

16 ბ. კეკელიძე, აკაკი წერეთლის ისტორიული პოემები (ტექსტოლოგიური
გამოკვლევა), თბილისი, 1961.

ილია ჭავჭავაძის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის დროს საქართველოს წინსვლის ერთ-ერთ მთავარ შემაფერხებელ ძალას ბატონყმური წყობილება წარმოადგენდა. მე-19 საუკუნის 60-იანი წლების საქართველოში ბატონსა და ყმას შორის გამწვავებული კლასობრივი წინააღმდეგობა მკაფიოდ იყო გამოხატული. ბატონყმური ინსტიტუტი მძიმე ტვირთად აწვა გლეხობას. საზოგადოებრივი ურთიერთობის ეს სისტემა დაღუპვას უქადდა საქართველოს. ამიტომ ქართული რევოლუციის საუკეთესო წარმომადგენელს, ილია ჭავჭავაძეს, უყურადღებოდ არ დაუტოვებია ეს უაღრესად მტკივნეული საკითხი. მან თავის შემოქმედების ფართო ტილოზე მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო ბატონყმური სინამდვილის გაბედულ მხილებას. ბატონყმობის საკითხს უძღვნა ილია ჭავჭავაძემ თავისი შემოქმედებითი პროდუქციის დიდი ნაწილი.

ილია ჭავჭავაძე არ ზოგავდა ძალასა და ენერგიას, არ იშურებდა ფერებს, რათა მკაფიოდ დაეხატა თავადაზნაურობის გადაგვარებული სახე, ეჩვენებინა სოციალური უსამართლობა და მისგან გამომდინარე ბატონსა და ყმას შორის არსებული გამწვავებული ურთიერთობა. ილიამ დიდი განზოგადებითი მნიშვნელობის მქონე მხატვრული სახეებით ამხილა ბატონყმური სისტემის მანკიერებანი და ყმა-გლეხების ავბედითობა. მან სიცხადითა და სისადავით ნათელყო, რომ ბატონყმური ურთიერთობა მავნებელია როგორც ბატონისათვის, ისე ყმისათვის.

ჯერ კიდევ თავისი შემოქმედების ადრეულ პერიოდში, სტუდენტობის დროს დაწერილ ნაწარმოებებში, შეეხო ილია ბატონყმობის საკითხს. შემდეგში ამ საკითხმა ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი დაიკავა მის შემოქმედებაში.

ილია ჭავჭავაძის ბატონყმური ურთიერთობის ამსახველ ნაწარმოებთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს რეალისტური პროზის საუკეთესო ნიმუშს „გლახის ნაამბობს“.

„გლახის ნაამბობი“ შესანიშნავი მხატვრული ტილოა, რომელზედაც ძლიერ მხატვრულ სახეებში ასახულია ბატონყმური წყობილების სუბსიდაგან ბედდამზრალი ადამიანების შემადარწუნებელი სახეები. ეს ადამიანები, მიუხედავად მაღალი სულიერი თვისებებისა, ვერ ახერხებენ თავიანთი უაღრესად კეთილშობილური ოცნებების სრულყოფას და სოციალური პირობების მოუწესრიგებლობის გამო მიწასთან გასწორებულნი და დამარცხებულნი გამოდიან.

„გლახის ნაამბობში“ იდეის მოხდენილ მხატვრულ შესრულებასთან ერთად მკითხველს ხიბლავს ის უჩვეულო პირდაპირობა და მოუჩივებლობა, რასაც ილია ბატონყმურ სინამდვილეში არსებული სოციალური წინააღმდეგობის მხილების დროს იჩენს. იგი დაუნდობლად აელენს მისი თანადროული სოციალური სისტემის მოუწესრიგებლობას და მიუთითებს მის მჩაგვრელ, ექსპლოატატორულ ბუნებაზე. ნაწარმოებიდან ჩანს, რომ ბატონყმობის დროს თავადაზნაურთა უფლებამოსილი ნაწილი უქნარა, უზნეო და ამორალური იყო, ხოლო მოსახლეობის დიდი უმრავლესობა, რომლებიც მოკლებულნი იყვნენ ადამიანური ცხოვრების ელემენტალურ პირობებს, მათ ხელში ექსპლოატაციისა და გართობის საგანს წარმოადგენდა.

„გლახის ნაამბობი“ ილია ჭავჭავაძემ 1873 წელს დაასრულა, მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ შემოქმედებითი მუშაობის დიდი ნაწილი ამ ნაწარმოებზე 1860 წლისათვის მას უკვე ჩატარებული ჰქონდა.

„გლახის ნაამბობს“ ვრცელი შემოქმედებითი ისტორია აქვს. იგი ერთი მოფიქრებით, ერთი კალმის მოსმით არ დაუწერიხ ავტორს. ილიას დიდი შრომა გაუწევია იმისათვის, რომ შეექმნა გაბროს, დათიკოს, პეპიასა და სხვათა დამაჯერებელი რეალისტური მხატვრული სახეები.

როდესაც ვეცნობით „გლახის ნაამბობის“ ჩამოყალიბების გზას, ნათელი ხდება ის პასუხისმგებლობა, რომლითაც ეკიდებოდა ილია ჭავჭავაძე შემოქმედებით შრომას.

„გლახის ნაამბობის“ იდეა დიდხანს ფლობდა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებით ფანტაზიას. პირველად „გლახის ნაამბობის“ სიუჟეტური რკალი ავტორმა განავითარა თავის ორ დაუმთავრებელ მოთხრობაში „კოლა“ და „კაკო“, „გლახის ნაამბობის“ შედარება ამ მოთხრობებთან მდიდარ მასალას იძლევა „გლახის ნაამბობის“ მხატვრული ნააზრევის გენეზისის შესასწავლად. იგი ნათელყოფს, თუ რა დიდი შემოქმედებითი მუშაობა ჩაუტარებია მის ავტორს იმისათვის, რათა საბოლოოდ ჩამოეყალიბებინა ეს ნაწარმოები.

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული „კოლასა“ და „კაკოს“ კავშირი ილია ჭავჭავაძის სხვა ნაწარმოებებთან. (განსაკუთრებით საყურადღებოა ამ მხრივ პ. ინგოროყვას საგულისხმო შენიშვნები და კომენტარები ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გამოცემებში და დ. ჯანელიძის ზემოდასახელებული წერილი), მაგრამ სპეციალური კვლევის საგნად ეს საკითხი ჯერ არ გამხდარა. არ ყოფილა მოცემული მუშაობის პროცესში მწერლის მიერ ტექსტში შეტანილი ცვლილებებისა და შესწორებების ანალიზი.

რაც მდიდარ მასალას იძლევა ნაწარმოების იდეურ-მხატვრული სრულყოფის გასათვალისწინებლად. ჩვენი შრომის მიზანია ტექსტოლოგიური ანალიზის საფუძველზე გაარკვიოს ილია ჭავჭავაძის შემოდასახელებული მოთხრობების ურთიერთობა „გლახის ნაამბობთან“.

ილია ჭავჭავაძის დაუმთავრებელი მოთხრობები „კოლა“ და „კაკო“ დაწერილია 1858—59 წლებში. მიუთითებენ, რომ ამ მოთხრობებში გაერთიანებულია „გლახის ნაამბობის“, „კაცია-ადამიანის“ და „კაკო ყაჩაღის“ იდეა. მაგრამ, უნდა შევნიშნოთ, რომ დასახელებულ მოთხრობებს „კაკო ყაჩაღთან“ ძალიან ცოტა აქვს საერთო. შესაძლებელია მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ მოსალოდნელი იყო ავტორს „კაკო ყაჩაღის“ სიუჟეტური ხაზი განევითარებინა მოთხრობების (განსაკუთრებით „კაკოს“) ბოლო ნაწილში, სადაც ბატონის მოკვლისა და დაპატიმრების შემდეგ ალბათ კაკოს ყაჩაღად გავარდნაზე იქნებოდა საუბარი. შესაძლოა ამით იყო გამოწვეული ის გარემოებაც, რომ უფრო მოგვიანებით, როდესაც ილია ჭავჭავაძემ კაკო ყაჩაღის თავგადასავალი გალექსა, მას პოემის თავდაპირველი ესკიზები („ნიაფო, ჩემო ნიაფო...“) მოთხრობა „კაკოს“ ავტოგრაფის წინა, თავისუფალ გვერდზე დაუწერია (იხ. ხელნაწ. ინს-ტის S ფონდის № 4996). ამ მოთხრობებისა და „კაკო ყაჩაღის“ ერთგვარ კავშირზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ კაკო და ზაქრო („კოლაში“ მოთხრობის გმირის სახელი არის ზაქრო) ილია ჭავჭავაძეს „კაკო ყაჩაღში“ გამოყვანილი ჰყავს, როგორც ორი გაყაჩაღებული გლეხი, რომლებიც ზოგ რამეში გვანან შემოდასახელებული მოთხრობების გმირს. არის ერთგვარი მსგავსება კოლასა (აღნიშნულ მოთხრობებში ბატონის სახელია) და „კაკო ყაჩაღის“ ბატონის მეტყველებას შორის. მაგრამ სხვა რაიმე არსებითი მსგავსება პოემასა და მოთხრობებს შორის არ შეინიშნება.

გაცილებით უფრო მეტია საერთო „გლახის ნაამბობს“, „კაცია-ადამიანსა“ და შემოდასახელებულ ორ დაუმთავრებელ მოთხრობას — „კაკოსა“ და „კოლას“ შორის. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს ორი უკანასკნელი მოთხრობა წარმოადგენს „გლახის ნაამბობისა“ და „კაცია-ადამიანის“ პირვანდელ რედაქციას, განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ ამ მოთხრობებში, განსაკუთრებით „კაკოში“, გაერთიანებული სახით არის წარმოდგენილი „გლახის ნაამბობისა“ და „კაცია-ადამიანის“ სიუჟეტი. „კოლაში“ კი უფრო ვრცლად წარმოდგენილია „გლახის ნაამბობის“ ამბავი.

„კოლას“ ორი ვარიანტი არსებობს.

„გლახის ნაამბობისაგან“ განსხვავებით, „კოლას“ ორივე ვარიანტში თხრობა მესამე პირში მიმდინარეობს. მოთხრობა იწყება გომბორის მიდამოებში, გაზაფხულის დღის აღწერით, სადაც „ერთი უშველებელი მუხის ჩრდილქვეშ“ მძინარე ახალგაზრდა ბატონის ცოტა მოშორებით ზის ორი კაცი. ერთი მათგანი — ახალგაზრდა — არის ზაქრო, ხოლო მეორე — ხანში შესული — დათო. ზაქრო და დათო წყნარად საუბრობენ. საუბრის თემა კი არის მათი ახალგაზრდა ბატონი კოლა. ამ საუბრის საშუალებით ავტორი საკმაოდ აცნობს მკითხველს ახალგაზრდა ბატონს.

შემდეგ ილია აგვიწერს ბატონის გაღვიძებას და კოლას, ზაქროსა და დათოს გამგზავრებას ბატონის სახლისაკენ. ამით მთავრდება პირველი თავი.

მოთხრობის მიხედვით, კოლა და ზაქრო რუსეთიდან ბრუნდებიან, სადაც რვა წლის წინ იძულებით გაგზავნეს კოლა „ფეთფებელთან“ ჩხუბის გამო. ამ ხნის განმავლობაში კოლას მშობლები დაიხოცნენ. მოთხრობის მეორე თავში აღწერილია ახალგაზრდა ბატონის განცდები, რაც რვა წლის უნახავი, დაცარიელებული საკუთარი სახლის ნახვით არის გამოწვეული.

მოთხრობის ორივე ვარიანტში მესამე თავის მხოლოდ დასაწყისია წარმოდგენილი. იგი შეიცავს ადრიაინი დილის სურათის აღწერას, რასაც აივნებიდან თვალს ადევნებს ახალგაზრდა ბატონი. მეორე ვარიანტში ეს თავი შედარებით ვრცლად არის მოცემული. აქ საუბარი იწყება კოლას მშობლებზე.

„კოლას“ როგორც პირველი, ისე მეორე ვარიანტი არ წარმოადგენს საბოლოოდ დამუშავებულ და სრულყოფილ ნაწარმოებს. არც ერთი მათგანი დამთავრებული არ არის. მაგრამ ამ ვარიანტების შესწავლა მაინც იძლევა ავტორის შრომის პროცესის გათვალისწინების საშუალებას და გვეხმარება მწერლის ჩანაფიქრის გარკვევაში.

„კოლას“ ავტოგრაფებსა და ვარიანტებში ვხვდებით ისეთ სხვაობებსა და შესწორებებს, რომლებიც გამოწვეულნი არიან შინაარსობრივი შეუსაბამობისა და გამირისათვის შეუფერებელი, არადამაჯერებელი მოქმედების ლიკვიდაციის მიზნით. ეს შესწორებები და ცვლილებები მეტწილად კოლას მხატვრული სახის ტიპიურად სრულყოფის ცდასთან არის დაკავშირებული.

„გლახის ნაამბობის“ შემოქმედებითი ისტორიის შესწავლისათვის მდიდარ მასალას სწორედ იმ მუშაობის გათვალისწინება იძლევა, რომელიც ილია ჭავჭავაძეს ახალგაზრდა ბატონის მხატვრული

სახის შექმნისათვის ჩაუტარებია. ამ მუშაობის გაცნობა გვარწმუნებს, რომ ილია ჭავჭავაძე ცდილობდა დაეცვა ერთგვარი ზომიერება და ერიდებოდა ახალგაზრდა ბატონის დახასიათებაში შეეტანა ისეთი რამ, რაც ნაკლებად მოუხდებოდა მის შინაგან ბუნებას. პირველ რიგში ჩვენ სწორედ ამ ტიპის შესწორებებსა და ცვლილებებზე გვექნება საუბარი.

„კოლას“ პირველ ვარიანტში ვკითხულობთ: „მის (კოლას ლ. ს.) მშვენიერს, მაგრამ დათენთილ სახეს ეტყობოდა ზედ ღამის მოუსვენრობა და ტანჯვა“¹⁷. მაგრამ, რადგან ჩვეულებრივ მშვენიერს უწოდებენ არა იმას, ვინც მხოლოდ გარეგნულადაა ლამაზი და თვალს მოსწონს, არამედ იმას, ვინც გარეგნულ ფორმასთან ერთად განსაკუთრებით გამოირჩევა თავისი შინაარსით, თავისი სულიერი ღირსებებით, ბუნებრივია, ეს ეპითეტი საკმაოდ შეუფერებელი იქნებოდა კოლასათვის. ამიტომ, მეორე ვარიანტში სიტყვა „მშვენიერი“ ავტორს „ლამაზით“ შეუცვლია.

პირველ ვარიანტში იქ, სადაც ლაპარაკია კოლას მოწყენაზე მშობლების მოგონების გამო, ილია ჭავჭავაძეს დაუწერია „თანდათან უფრო მწუხარება ეკიდებოდა უიმისოდაც ყოველთვის მოწყენილს სახეზედ“. მაგრამ, ისეთ ფუქსავატ და ცხოვრებაზე არასერიოზული თვალსაზრისის მქონე ადამიანს, როგორც კოლა იყო, დაუჭერებელია, რომ ყოველთვის მოწყენილი სახე ჰქონოდა. მით უფრო, რომ მოთხრობაში არაერთხელ არის აღნიშნული — კოლას სიცოცხლით სავსე თვალები ჰქონდაო. ძნელი წარმოსადგენია, რომ „ცოცხალი თვალების“ მქონე სახე მუდამ მოწყენილი იყოს. ვფიქრობთ, ამის გამო ილიას ეს წინადადება მოთხრობის მეორე ვარიანტში აღარ შეუტანია. აქ მხოლოდ კოლას თანდათანობით მოწყენაზეა საუბარი და ნახსენები აღარ არის მისი „ყოველთვის მოწყენილი“ სახე.

პირველი ვარიანტის ბოლოს ავტოგრაფში ვკითხულობთ: „მართლაც, ყოველისფერი მის გარშემო მოაგონებდა მას თავის საუკუნოდ დამარხულ სიყმაწვილესა...“ ავტორს ეს სიტყვები გადაუხაზავს, რადგან ახალგაზრდა ბატონს არ შეეძლო თავისი სიყმაწვილე საუკუნოდ დამარხულად მიეჩნია. არ შეეძლო არა თავისი ჯანსაღი და სწორი მსოფლმხედველობის გამო; არამედ იმიტომ, რომ კოლა ცხოვრების აზრს ქეიფსა და დროსტარებაში ხედავდა. ამაში კი იგი თავის

17 „კოლასა“ და „აკაოდან“ ყველა ციტირებული ადგილი მოტანილია: აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის S ფონდის № 5015-დან („კოლას“ პირველი ვარიანტი); № 5014-დან („კოლას“ მეორე ვარიანტი) და № 4996-დან („აკაოდან“).

თავს საკმაოდ ახალგაზრდად, უნარიანად, ძლიერად და მოხერხებულად თვლიდა.

საყურადღებოა ერთი შესწორება „კოლას“ პირველი ვარიანტის ავტოგრაფში. აქ ილია ჭავჭავაძეს ტექსტში წაუშლია წინადადება — „თუ კაცი, ნამეტნავად მგრძნობიარეა“. ამით ავტორმა თავი დააღწია მოსალოდნელ წინააღმდეგობას, რადგან კოლას ბუნებისათვის (ეს წინადადება კოლას შეეხებოდა) შეუსაბამო იქნებოდა მისი ნამეტნავად მგრძნობიარედ მოხსენიება ავტორის მიერ შემდგომ გამიზნული მოქმედების ფონზე.

საერთოდ კი მოთხრობის ორივე ვარიანტის მიხედვით, მთავარი გმირი, ერთი შეხედვით, დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს მკითხველზე. აი, რას ეუბნება ზაქრო დათოს თავისი ბატონის შესახებ: რუსეთში „თუნდ რო არ წავეყვანე, მე თითონ წავეყვებოდი; მე მაგას მინამ ცოცხალი ვარ არ დაეშორდები, თუნდ რო ჯოჯოხეთში წავიდეს, იქაც გავყვები. პატარაობითვე, ძამო, ძმასავითა ვარ მაგასთან შეზდილი და ეგეც არ არის ჩემთვის ურიგო ბატონი“. ამას ზედ ერთვის ავტორის მიერ ახალგაზრდა ბატონის მოხდენილი აღწერა: „მშვენიერი რამ იყო ეს წარმოსადეგი ყმაწვილი კაცი! ლამაზი გამომეტყველი სახე დამწვარი ჰქონდა მზისაგან, შავი, გონიერი, ჰკვით სავსე დიდრონი თვალები სავსე იყენენ ეშხითა. არაფერს ნაკლულოვანებას კაცი ვერ შენიშნავდა, რაც უნდა ღრმად გაეისიჯა მისი პირი სახე. შავი წვერი ჩერქეზულად გრგვლად დაყენებული მშვენიერად შემორტყმოდა მის რგვალ სახესა. თეთრი შალის ფართე ჩერქეზული, შავი ძვლის მასრებით მოწყობილი ლამაზადა: ზატავდა მის საროს, მაღალ ტანსა და განიერ ვაჟკაცურ გდნოგდებულ მკერდსა. უბრალო, მაგრამ ლამაზ ვერცხლის ბალთებიან ჩერქეზულ ქამარზე ეკიდა ვერცხლით შემოსილი პატარა ხანჯალი და წითელ ბუდით ვერცხლითვე შექედილი დამბაჩა... ხმალი ჩერქეზული, ისიც მოხდენით შეკაზმული, ეკრა ქართულ ხმალსავით წელზედ. ლამაზად შეკრული ევროპიული მაღალი ყელიანი ჩექმა ეცვა გაწყობილად ლაზათიანად მოყვანილ ფეხზედა. პიკეს ახალუხი წმინდა, წმინდა თეთრი ტილოს პერანგი, რომელიც უჩანდა გულზედ გადახსნილ ახალუხიდამ, ამბობდა, რომ ეს ლაზათიანი ყმაწვილი კაცი ჩვეულია სიფაქიზესა.

ბიკმა ცხენი მოართო. ამან ერთხელ კიდევ ზარმაცად დაამთქნარა და გამოაჩინა მშვენიერი ლარივით სწორედ გაწყობილი თეთრი კბილები. მერე მივიდა ცხენთან და ვეფხვივით თვალის დახამხამების უმაღ ზედ მოახტა. ცხენმა რა იგრძნო მხედარი, გაიგანოიერა

ცხვირის ნესტოები, მოიხარა კისერი, დაიწვია უკანა, თითქო ფრთხი-
სო, აათამაშა წინა ფეხები, და რა შეკრა კამარა, ლომსავით ერთი
ისკუპა. მხედრის მარჯვე მოხმარებამ მალე ჩააგდო ფიცხი ცხენი ნა-
ბიჯშია. უკეთესს თვალი ვერასა ნახავდა, როგორც ამ მშვენიერ
ცხენსა და მის მშვენიერ და ლაზათიან მხედარსა!“.

ამრიგად, კოლა მარჯვე, მოხდენილი, სიფაქიზესა და სიკოხტა-
ვეს ჩვეული მხედარი და არც თუ ურიგო ბატონია. მაგრამ დავუბ-
რუნდეთ დათოსა და ზაქროს საუბარს. ზაქრო დათოს ბატონისა და
მისი უფროსის წაჩხუბების ამბავს უყვება და დასძენს:

— მაშ? იმისთანა ახირებულნი არის.

— როგორ ეტყობა, რო თავადის შვილის სისხლი უდგა ძარღ-
ვებში, კაცს არაფერს დაუთმობს.

— ეგრეა, ეგრე! მიუგო ზაქრომა, რა სხვა პასუხი ვერ მოახერხა
ამ შენიშენაზედ...

— დაიცა, ზაქრო, ერთ რასმე გეტყვი, უთხრა მცირეს ხანს შემ-
დეგ უფრო დაბლა ხმით ხნიერმა: თუ მაგისთანა კაცი ყოფილა
ჩვენ რა გვეშველება?

— კიდეც ეგ არის, ძმაო, საკვირველი, რომ რასაც ეგ შენ და-
გითმობს, არც თუ შენ, გლეხ-კაცსა, ერთი სიტყვით, იმას თავის
ტოლს არ მოუთმენს. იმისთანა გაუგებარი ხასიათისა არის — ამ-
ბობს ზაქრო.

აქ პირველად ებადება მკითხველს ეჭვი კოლას მიმართ. მართა-
ლია თუ არა ზაქრო? დაუთმობს კი კოლა მეტს გლეხკაცს, კიდრე
თავის ტოლს?

ბატონის მიმართ ეჭვს აძლიერებს მოთხრობის მეორე ვარიანტის
მეორე თავის დასაწყისიც. იგი წარმოადგენს ზაქროსა და დათოს დი-
ალოგის გაგრძელებას. ეს დიალოგი პირველ ვარიანტში არ გვხვდება.
იგი შეეხება კოლას ქალებთან დამოკიდებულების საკითხს. აქ ავ-
ტორის ჩანაფიქრის გარკვევა არ არის ძნელი, რადგან კოლასა
და ზაქროს შორის ურთიერთობა და ბატონის სახის საბოლოო ჩამო-
ყალიბება კოლას ქალებთან დამოკიდებულების საკითხს უნდა გა-
დაეწყვიტა, ავტორს მიზნად დაუსახავს წინასწარ წარმოედგინა ამ
მზრივ თავისი გმირი.

ზაქრო უამბობს დათოს კოლას „სამიჯნურო“ თავგადასავალს:
„ბატონს ერთი საყვარელი ჰყვანდა ვიღაც დიდ კაცის ქალი — იმის
თვალეში სწორედ ვარსკვლავებს რო იტყვიან, ის იყო. ბევრი ხათა-
ბალა გამოგვივლია იმის თავობაზედ ...იმდენი ხათაბალა გამოიარა

თითონაც და მეც გამომატარა და ბოლოს იმასაც თავი დაანება და სსვას დაუწყო უკან ღევნა.

— თავადისშვილია და, — შენიშნავს დათო.

— მართალია, თავადისშვილია, მაგრამ ეგ დალოცვილი მეტის-მეტა მსუნვაგია. თუ ქალს სადმე თვალი შეასწორო, თუ პატარა პირწყალი-ანიც არის, აედევნება უკან, იმდევნსა იქს თავის ნებაზედ მოიყვანს, მერე ამოიძულებს ისევე და თავ-გაანებებს ... მე ამისი ფიქრი მაქვს, რომ ამისთანა ხეტებაში თავი არავის შეაკლას. ჩვენი ქვეყანა ხომ რუსეთი არ არის, ერთი ცალფულიანი და მაგისი ჯანი.

— ეგეც კი. თუნდ ეგ არ იყო, ყმისათვისაც კი არ ვარგა უცოლო და მერე მაგისთანა დაუნდობარი ბატონი. რა ვიცი? თავზედ ლაფი არავის დაასხას. მერე ზოგიერთს ასეთი ქალები ჰყავთ, რო თვალი ზედ დაგრჩება — შენიშნავს დათო.

ზაქრომ ამაზედ არა უთხრა რა. ამან იცოდა თავისი ბატონის უწმაწურობა და ეხლა მართლა ფიქრში შეუვიდა და ჰკვას ახლო დაუჭდა დათოს სიტყვები“.

ეს დიალოგი გვარწმუნებს, რომ ილია ჭავჭავაძეს მოთხრობის დრამატული ხაზის განვითარება „კაკოშიაც“ იმგვარად ჰქონდა მოფიქრებული, როგორაც იგი „გლახის ნაამბობში“ წარმოგვიდგინა.

როგორც აღვნიშნეთ, კოლას ქალებთან დამოკიდებულებაზე „კოლას“ პირველ ვარიანტში არაფერია ნათქვამი, ხოლო „კაკოში“ კი, ნაცვლად „კოლას“ მეორე ვარიანტის ზემოდასახელებული დიალოგისა, ბატონის უხნეო საქციელის შესახებ თვით ავტორის საშუალებით ვგებულობთ. ისევე, როგორც „გლახის ნაამბობში“, გაბრო პირდაპირ მიუთითებს თავისი ბატონის ამ „ერთი ავი სენის“ შესახებ.

იმისათვის, რომ უფრო ძლიერად ეჩვენებინა ბატონის არაადამიანური ბუნება, მისი დაუნდობლობა და ვერაგობა ყმების მიმართ. ილია ჭავჭავაძეს მოთხრობის მეორე ვარიანტში კოლა და ზაქრო კიდევ უფრო დაუახლოვებია ერთმანეთთან.

ამის პარალელურად, მეორე ვარიანტში ზაქრო უფრო მეტი სიყვარულით იხსენიებს ბატონს. მაგ. პირველი ვარიანტის მიხედვით ზაქრო თავისი ბატონის შესახებ ამბობს: „ერთხელ უფროსმა მეტი სიტყვა რად მითხრაო, კინალამ თავი არ შეაკლა, მაგრამ, კიდევ მადლობა ღმერთს, ზელში მძარტყა ტყვია, თორემ ვინ იცის რა მოუვიდოდა“. მოთხრობის მეორე ვარიანტში კი ავტორს ეს ადგილი ასე შეუცვლია: „ერთხელ უფროსმა მეტი სიტყვა რად მითხრაო, კინალამ თავი ზედ არ შეაკლა. მკლავში დამიჭრეს საწყალი, კინალამ მკლავი არ დაუშავდა“. როგორც ვხედავთ, მეორე ვარიანტის მიხედ-

ვით უფროსთან წაჩხუბებისას დაიჭრა არა უფროსი, არამედ კილა. ამბის ამგვარად შებრუნებით ავტორს ერთხელ კიდეც მიეცა შესაძლებლობა ეჩვენებინა ზაქროს სიყვარული და ნაზი დამოკიდებულება ბატონის მიმართ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეორე ვარიანტში ზაქროს მიერ ბატონის ქება ავტორს კიდეც უფრო გაუვრცია, მაგრამ ეს ქება არ მართლდება ახალგაზრდა ბატონის მოქმედებით და მკითხველი ექვის თვალთ შეჰყურებს ყმის მიერ თავისი ბატონის დადებით შეფასებას. ის ადგილი, რომელიც ჩვენ ზემოთ მოვიტანეთ, მეორე ვარიანტში ასეა წარმოდგენილი:

„ჩემთვის თავის დღეში მაგას არაფერში ძალა არ დაუტანებია, ისეთი დალოცვილი ბატონია. — რო მიდიოდა, განა არა მკითხა: „ზაქრო! წამომყვები?“ — რატომ არა მეთქი, ჯანაბასაც თან გაიხლები, არამც თუ რუსეთშია.

— ეს უნდა იცოდეთ, რომ რვა წელიწადი უნდა იქ ვიყვნეთო.

— თუნდა ათასი წელიწადი-მეთქი, შენ ცოცხალი მყვანდე, თორე მე ჰირიც ჰირად არ დამაჩნდება. მართალიც არის, უმაგისოდ მე გაძლება სამოთხეშიც არ შემიძლია; პატარაობითვე მაგასთან თანშეზრდილი ვარ, მერე ეგეც ერთი ღვთისაგან დალოცვილი რამ არი, ეგ მსახურისათვის სწორედ ღმერთია“.

მაგრამ, ამასთან ერთად, ავტორი კიდეც უფრო აღრმავეებს მკითხველის ეჭვს კოლას მიმართ. ასე მაგალითად, თუ პირველ ვარიანტში დათოსა და ზაქროს ბატონის მიმართ გამოთქმული ექვენარევი დიალოგი საკმაოდ მოკლედ იყო წარმოდგენილი, მეორე ვარიანტში ეს ადგილი კიდეც უფრო გაუვრცია ავტორს:

„— კაი ბატონი, ბატონი კი აღარ არის, მამაა ჩვენისთანა კაცისათვის“. — ამბობს დათო მეორე ვარიანტის მიხედვით.

„მაგრამ... — განაგრძობს ავტორი, — აქ მცირე ხანს შედგა, თითქო ეძნელებაო იმის თქმა, რის თქმაც უნდაო: მაგრამ... მაგარი, ესა, რომ მაგაზედ შემიტყვია, ძლიერ ანჩხლიაო...“

— თავადიშვილია, ჩემო ზაქრო, და თავმამწონეა. ეგ ჩვენსავით არ მოითმენს. მაგას ფეხებზედ ჰკიდია დიდი კაცი, განა მარტო მაგას, ყველა თავადიშვილის სისხლი ეგრეა.

ზაქრომ რა ჯმ დათოს ღრმა შენიშვნაზედ ვერა პასუხი ხელად ვერ მოახერხა, თანხმობით თავი დაიქნია და დადუმდა. დათოც ჩაფიქრდა. თუმცა ეს პირად ამართლებდა ბატონის ამგვარ ქცევას, მაგრამ გულში კი შიში მიეცა, რომ ამისთანა ხასიათისაა, ვისაც უნდა ამას იქით ემონოს თითონ. დიდხანს ცდილობდა, რომ თავისი დაფარული

შიში არ გამოეთქვა, მაგრამ ბოლოს მაინც შეტყობის სურვილმა ძალა დაატანა და თქვა დაბლა ხმით:

— მაშ ბიჭო, მაგისთანა კაცი ჩვენ სიკეთეს არ შეგვეყრის. თუ ტყუილ-უბრალოდ აპილპილდება, ჩვენ ხომ იცი გლახ-კაცები ვართ. ერთი რამ იმის საამური რომ არ წამოგვეცდეს, ხომ გაბრაზდება?“

შემდეგ დათო და ზაქრო დიდი ბატონის ქებას დაიწყებენ და ზაქრო კოლას შესახებ ამბობს:

— „არც ეს დაუფარდება იმას კაიკაცობაში, ნუ გეშინიან.

— მე რისა უნდა მეშინოდეს? — უპასუხებს დათო — შეეშინდეს იმას, ვინც არაფერი იცის, თორემ მე ბატონის სამსახურში დავბერდი, ამჟოლს ავეყები, დამჟოლს დავყვები. ჩემი დრო გადავიდა, თუ ამოდენა ხანია ბატონს ჩემთვის გული არ უტკენია, ესლა ამ სიბერის დროს რა ღმერთი გამიწყობს; მაგრამ ხიფათია, მოსავეალია, ვინ იცის? — გაიქნიეს დათომ ექვით თავი“.

დათოს დროული დაეკვებით, ზაქროს დადუმებით თუ სხვა საშუალებებით ილია ჭავეჭავაძე მკითხველს აგრძნობინებს, რომ კოლა ისეთი არ უნდა იყოს, როგორაც მას გულკეთილი და მოსიყვარულე ზაქრო გვიხატავს. ამას ზედ ერთვის კოლას მკაცრი და უხეში მოქმედება, რაც უფრო თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი „კოლას“ მეორე ვარიანტში.

მოთხრობის პირველი ვარიანტის მეორესთან შედარებისას საგულისხმოა კიდევ ერთი ადგილი, რომელსაც ავტორის შემოქმედებით მუშაობის კვალი აჩნია. კერძოდ — როდესაც დახოცილი ღედ-მამის მოგონების გამო კოლა ტირილს დაიწყებს და ამის უნებლიე მოწმე ზაქრო გახდება, ამ ამბავს თავდაპირველად პირველი ვარიანტის ავტორმა ავტორი ასე აღწერდა: „ბატონი წამოდგა, მაგრამ არ იყო რომ ზაქროს აქ ყოფნა ამ ტირილში არ ითაკილა. მას თითქმის იამა კიდევ, რო თავის წინ კაცი დაინახა, რომელსაც ეტყოდა მაინც თავის მწუხარებას, მერე იმისთანა კაცი, როგორიც იყო ზაქრო ამისათვის გულშემატკივარი და ძმასავით თან შეზრდილი“. როგორც ვხედავთ, ამ ნაწყვეტის მიხედვით, კოლასა და ზაქროს შორის მკვიდრო სულიერი კავშირი არსებობს. ბატონი ზაქროში თავისი დარღების თანამოზიარეს სედავს და ეამება მისი ნახვა გაჭირვების დროს. ამ გარემოებას არ შეიძლებოდა ერთგვარ წინააღმდეგობაში არ ჩაეყენებინა ავტორი, რომელსაც მიზნად ჰქონდა — მოქმედების შემდგომ განვითარებაში ეჩვენებინა ბატონსა და ყმას შორის არსებული სულიერი სხვაობა. შეიძლება ითქვას, რომ ბატონის შინაგანი ამპარტავანი ბუნების გამოვლენისათვის ეს შემთხვევა ხელსაყრელიც კი იყო ავტორისათვის. გულ-

ზვიად და შეუგნებელ ბატონს, რომელსაც მხოლოდ გარეგნულად ჰქონდა კარგი დამოკიდებულება ზაქროსთან, არ შეიძლებოდა არ სწყენოდა ზაქროს შესვლა ოთახში მისი ტირილის დროს. თუნდაც ეს ტირილი ისეთი კეთილშობილი გრძნობით ყოფილიყო გამოწვეული, როგორც მშობლების სიყვარულია. ამიტომ ილია ჰავეჭავაძეს ზემოთ-მოყვანილ ტექსტში პირველ ყოვლისა გადაუშლია სიტყვა „ეამა“ და სამაგიეროდ „ეწყინა“ დაუწერია. ამით ილიამ არსებითად შეცვალა მოქმედების განვითარების პირვანდელი ხაზი და დროულად გამოაქვლინა ბატონის შინაგანი ბუნება. მუშაობის შემდგომ პროცესში ილიას ზემომოყვანილი ტექსტი მთლიანად დაუწუნებია, გადაუშლია იგი და მის ნაცვლად არშიაზე მიუწერია: „ბატონი წამოდგა, მაგრამ არ იყო, რომ ზაქროს აქ ყოფნა არ ითაკილა. მას თითქოს ეწყინა კიდევ, რო ვაცმა ეს მოტირალი დაინახა. მაგრამ ეხლა რაღა ეშველებოდა? მარ-ღად შეიკავა ცრემლი და, თითქო დამნაშავესავეთ თავს იმართლებსო, უთხრა თავის ერთგულს მსახურს მოწყენით კი, მაგრამ გულამომჭა-რაღ...“

— შენ დედ-მამა კიდევა გყავს, ჩემო ზაქრო? ნეტავი შენ“.

მეორე ვარიანტში ავტორს გაუგრძელებია ბატონის უარყოფითი ბუნების გამოვლენის ხაზი. მოთხრობის მეორე ვარიანტში ეს ადგილი ასეა წარმოდგენილი: „ბატონმა ძალიან ითაკილა ზაქროს აქ ყოფნა და მრისხანედ უთხრა:

— სულელო, აკი გითხარ; მინამ მე არ დაგიძახო, აქ ნუ ამოხვალ-მეთქი“.

ამრიგად, „კოლას“ მეორე ვარიანტის მიხედვით კოლა ზაქროს მი-მართ საკმაოდ უხეში და მრისხანეა. ილია ჰავეჭავაძეს ეს ადგილი მო-თხრობა „კაკოში“ არ შეუტანია, მაგრამ აქაც პირველივე დილოგი, რომელიც ბატონსა და ყმას შორის იმართება, ამქლავანებს კოლას საკ-მაოდ უხეშ დამოკიდებულებას ყმებისადმი. რაც შეეხება „გლახის ნა-ამბობს“, აქ პირველი ვარიანტის ხაზია განვითარებული და ბატონსა და ყმას შორის სრული სიმშვიდე და ერთგვარი კეთილი დამოკიდე-ბულება სუფევს, ვიდრე მათი ინტერესები საბოლოოდ არ შეეჯახნენ ერთმანეთს.

იმ შესწორებების გარდა, რომლებიც ავტორს ახალგაზრდა ბატო-ნის მხატვრული სახის სრულყოფისათვის ჩაუტარებია, „კოლას“ ვარი-ანტებსა და ხელნაწერებში სხვა სახის ცვლილებებსაც ვხვდებით. ზო-გი მათგანი გამოწვეულია შინაარსობრივი შეუსაბამობის ლიკვიდაცი-ის მიზნით, ზოგი ნაწარმოების იდეურ-მხატვრულ გაუმჯობესებას ემ-

სახურება, ზოგი ასწორებს სტილისტურ-გრამატიკულ შეცდომას და შ. მოვიტანთ ამ ტიპის შესწორებების რამდენიმე მაგალითს.

მოთხრობის პირველ ვარიანტში, როდესაც ზაქრო მოსამსახურეებს ბატონის მოწყენის მიზეზს აუხსნის, ავტორი დასძენს — „ზაქრომ ეს სიტყვები იმ შემატყვიარ გულის ხმით გამოჰსთქვა, რომელთაც ეგრე საოცარია ხოლმე ქართველ მოსამსახურეში და ამასთან ხშირი“. ეს წინადადება მთლიანად ამოღებულია მოთხრობის მეორე ვარიანტიდან და, ჩვენის აზრით, სრულიად მართებულადაც, რადგან — ავტორმა მოთხრობაში ბატონი და ყმა ერთმანეთს დაუახლოვა არა იმიტომ, რომ ბატონის მოყვარული ყმები საქართველოს სინამდვილეში ხშირად იყვნენ, არამედ იმისათვის, რათა ეჩვენებინა, რომ ასეთი დაახლოვების შემთხვევაშიც კი, ამ ორ სოციალურ ფენას შორის ურთიერთის გაგება და სიყვარული სიზმარია.

„კოლას“ პირველ ვარიანტში ერთ ადგილზე ვკითხულობთ: „მუჯარზედ მოგროვილიყვენ შინა მოსამსახურეები, რომ როგორმე დაენახათ თავისი ახალი, რვა წლის უნახავი ბატონი“. მეორე ვარიანტში, განმეორების მოსპობის მიზნით, ამ წინადადებიდან ილიას ამოულია სიტყვები: „რვა წლის უნახავი“. ეს სიტყვები ახალს არაფერს მატებდნენ ნაწარმოებს, რადგან მოთხრობაში უკვე არაერთგზის რყო აღნიშნული, რომ ბატონმა რვა წლის წინათ დატოვა თავისი სამშობლო.

საგულისხმოა აგრეთვე, რომ „კოლას“ პირველი ვარიანტის სიტყვები: „როგორ ეტყობა, რო თავადის შვილის სისხლი უდგა ძარღვებში, კაცს არაფერს დაუთმობს“, — მოთხრობის მეორე ვარიანტში ავტორმა კიდევ უფრო განაზოგადა და ახლა უკვე ხაზგასმით მიუთითა, რომ ეს თვისება დამახასიათებელია ყველა თავადიშვილისათვის. „თავადიშვილია, ჩემო ზაქრო, და თავმომწონეა. ეგ ჩვენსავით ვერ მოითმენს. მაგას ფეხებზედ ჰკიდია დიდი კაცი, განა მართო მაგას? ყველა თავადის-შვილის სისხლი ეგრეა“ — ვკითხულობთ მეორე ვარიანტში.

ერთგან თავდაპირველად ილიას დაუწერია „ცხონებული ბატონი კი ამბობდა“, მაგრამ, რადგან ჩვეულებრივ მოთხრობაში ბატონად კოლა იწოდებოდა, ამიტომ, იგივეობის მოსპობისა და ტექსტში მეტი გარკვეულობის შეტანის მიზნით, ავტორს შემდეგში სიტყვა „ბატონის“ წინ ჩაუმატებია „დიდი“. ამით მკითხველი ადვილად ხვდება, რომ აქ ლაპარაკია კოლას მამაზე.

პირველ ვარიანტში ავტორს დაუწერია „ის ყმაწვილი კაცი, თითქოს ცხენზე დაიხუთაო, ორიოდ ნაბიჯი კოჭლობით გადადგა“. მაგრამ, რადგან ქართულში ქვემდებარეს ბრუნვაში მართავს მთავარი წინადადების შემასმენელი, ამიტომ ილიას შემდეგში ეს ადგილი შეუსწო-

რებია და „ყმაწვილი კაცი“ „ყმაწვილმა კაცმა“-დ გადაუსწორებია, თუმცა სიტყვა „ის“ შეუსწორებელი დარჩენია. ალბათ ამის გაშო, მოთხრობის ყველა ნაბეჭდ ტექსტში გამომცემლებს უყურადღებოდ დაუტოვებიათ ეს შესწორება და ტექსტი ბეჭდურ გამომცემებში იმ სახით იკითხება, როგორც იგი ავტორს თავდაპირველად (შესწორებამდე) ჰქონდა დაწერილი¹⁸. სასურველი იქნებოდა, აღნიშნულ წინადადებაში სათანადო შენიშვნის დართვით გამომცემლებს ნაცვალსახელის ერთი ფორმა მეორეთი შეეცვალათ და დაებეჭდათ ამ წინადადების ბოლო სწორი ვარიანტი: „იმ ყმაწვილმა კაცმა, თითქოს ცხენზე დაიხუთაო, ორიოდ ნაბიჯი კოქლობით გადადგა“.

შეტად საგულისხმო მასალას „გლახის ნაამბობის“ შემოქმედებითი ისტორიის შესასწავლად იძლევა, აგრეთვე, მოთხრობა „კაკო“. აქ „გლახის ნაამბობის“ სიუჟეტის გარდა წარმოდგენილია ბევრი რამ, რაც შემდეგ „კაცია-ადამიანში“ შეუტანია ავტორს.

როგორც „კოლაში“, ისე „კაკოშიც“ თხრობა მესამე პირში მიმდინარეობს. მოთხრობის მიხედვით კოლა ლუარსაბ თათქარიძისა და მისი მეუღლის ქეთევანის ერთადერთი შვილია.

„კაკოს“ პირველ და მეორე თავში ლაპარაკია ლუარსაბ თათქარიძისა და მის მეუღლეზე, აღწერილია კოლას დაბადება და მისი აღზრდა. მესამე თავში ავტორი მოგვითხრობს კოლასა და კაკოს (იგივე ზაქაროს) ქალაქში ჯამგზავრების ამბავს. მოთხრობის მეოთხე თავის მიხედვით ისინი უკან ბრუნდებიან სოფელში ლუარსაბისა და მისი მეუღლის გარდაცვალების გამო. აქვე აღწერილია კოლას უხეში დამოკიდებულება ყმებთან. ამავე თავის დასასრულს ხვდება კოლა თამროს. მეხუთე თავში კოლა იწყებს ზრუნვას თავისი ბოროტი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად. აქვე ვეცნობით გიტოს, რომელიც დიდად არის დაინტერესებული დაეხმაროს ბატონს ამ ბნელ საქმეში. შემდეგ თავში თანმიმდევრობით არის გადმოცემული თამროს მამის და კაკოს შეხვედრა და თამროსა და მამის საუბარი. მოთხრობის ერთი თავი დათმობილი აქვს დიამბეგის ოჯახში ქეიფისა და დროსტარების აღწერას, რომლის აქტიური მონაწილენი არიან — თვით მასპინძელი—მეჭრთამე და გაიძვერა დიამბეგი, უაზროდ მოქაქანე „ფილოსოფოსი“ გქელაძე, მლიქვნელი და ჰორიკანა ტრახაძე და სხვა მათი მსგავსი თავადიშვილები, მათ შორის, რა თქმა უნდა, კოლაც.

ჩვენამდის მოლწეულია „კაკოს“ ერთი ავტოგრაფი. ეს ავტოგრაფი

¹⁸ იხ. ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. III, 1926, გვ. 152; ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, 1950, გვ. 493.

ამ მოთხრობის ერთ-ერთი ადრეული ტექსტია. „კოლასაგან“ განსხვავებით, „კაკოში“ ახალგაზრდა ბატონის მხატვრული სახე ძირითადად უარყოფითი შტრიხებითაა წარმოდგენილი.

აქ ავტორი არაერთგზის იხსენიებს კოლას, როგორც ჭკვიან, ნიკიურ, ცქვიტ და გონებაამხვილ ყმაწვილს და მის გახრწნაში მხოლოდ შინაურ გარემოს და საზოგადოებას სდებს ბრალს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მოქმედების სარბიელზე გამოსვლისთანავე კოლა უარყოფით შთაბეჭდილებას ტოვებს. მოთხრობის დასაწყისშივე კოლა მკითხველის წინაშე წარმოდგება, როგორც უზნეო, გათავზედებული, ტალახში მოსვრილი ბავშვი, რომელიც უწმინდურ სიტყვებს ლაპარაკობს სტუმრების წინაშე, თეთრწვერა მღვდელს „წვერა-ძალღს“ ეძახის და საკმლიან თეფშში ფეხებს აჭყაპუნებს. ცუდ შთაბეჭდილებას ტოვებს კოლა ჭბუჯობის დროსაც. იგი მეტის-მეტად უხეშია ყმებთან დამოკიდებულებაში. აი, როგორ აფვიწერს ავტორი კოლას პირველ შეხვედრას ყმასთან: კოლამ „დაიბარა თავისი მამის ნაცვალი მოხუცებულ და პატიოსანი დათო და უბრძანა, რომ „ასის თუმნის მაგიერ, რომელიც მამა ჩემს შემოსდიოდა, ორასი თუმანი უნდა შემომივიდესო!

— რომელ ქარხნიდან, ჩემო კოლავ? — ეგრე უთხრა ბებერმა დათომ რაღაცანი დარწმუნებული იყო, რომ კოლას თითქმის თავის ხელში გაზდილს, არ ეწყინებოდა.

— რაო, კოლავო! — მიუგო გამწყრალმა ბატონმა, — ქოფაკო, არ გეკადრება ბატონი დამიძახო?

— რა ვიცოდი, შენი კენესა მე! — მიუგო დაღონებით ამ სიტყვებისაგან გულნაკლულმა დათომ. — მე მეგონა თქვენ ისევ ის კოლა ბრძანდებოდით, რომელსაც ერთხელ ხელში ვათამაშებდი ხოლმე სიამოვნებით, როგორც შვილსა.

— ესლა ხომ არ გნებავს მათამაშო, ვირო! გასწი, შენ შენი საქმე უნდა იცოდღე — გამოავდო საწყალი დათო, რომელსაც სიყვარულისა და პატივისცემის მეტი გულში არაფერი არ ჰქონდა.

— მათამაშებდი, როგორც შვილსა?... ის კი არ იცი, ქოფაკო ძალღო, რომ მე და შენს შვილში დიდი ზღვა არი“.

არანაკლებ სიმკაცრეს იჩენს კოლა კაკოს მიმართ. მოთხრობაში არ არის მოცემული არც ერთი შეხვედრა ან დიალოგი ბატონსა და ყმას შორის, რომელიც მათ კეთილდამოკიდებულებაზე მიუთითებდეს. პირიქით, კოლა კაკოს სულელსა და ბრყვეს ეძახის და სასტიკად ემუქრება. აი, რა სიტყვებით მიმართავს იგი კაკოს: „დამეკარგე, სულელო, ტვინი წაიღე ბევრი ყბედობით“, „რას მიჰქარავ, მე შენი თავი არა მაქვს, გამეცალე აქედან“, „დამესხენ მეტი, სულელო, რას რო-

ტავ ნეტავი“, „ბრიყვო, მომშორდი“, და სხვ. ყოველივე ამის შემდეგ დამაჯერებლობას მოკლებულია კოლას მიმართ კაკოს კეთილი განწყობილება და ავტორის შენიშვნა: „უთხრა სიყვარულით ბიჭმა ბატონს“-ო. ასევე არადაამარწმუნებლად გაისმის კოლას შენიშვნა: „ლამის თავი შემაძღლოსო ამ ბიჭმა“, რადგან განსაკუთრებული სიყვარული კაკოს მიმართ მას არც ადრე გამოუქმელავებია.

ისევე, როგორც „კოლაში“, აქაც ილია ჭავჭავაძე ახალგაზრდა ბატონის მოხდენილ გარეგნობას აგვიწერს, მაგრამ ახლა უკვე დასძენს -- კოლას სახის გამომეტყველებასა და მიხვრა-მოხვრაში იგრძნობოდა, რომ ამ „მშვენიერ ტანში საძაგელი სული არის მოთავსებული“.

კოლას გარეგნობისა და შინაგანი ბუნების სრული შეუსაბამობის შესახებ მეტად საგულისხმოა ერთი ადგილი „კაკოს“ ავტოგრაფიდან. რომელიც ავტორს გადაუშლია. ეს ადგილი მხატვრული ნაწარმოებისათვის ერთგვარად შეუფერებელი იყო, რამაც, ალბათ. გამოიწვია მისი მოთხრობიდან ამოღება, მაგრამ მშვენიერებაზე ილია ჭავჭავაძეს შეხედულებებისა და კოლას მხატვრული სახის გარკვევისათვის იგი მეტად საყურადღებოა. აქ ილია ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ კოლა თუმცა გარეგნულად ლამაზი იყო, მაგრამ მისი სულიერი სიმახინჯე არ იფარებოდა ამ სილამაზით. ილია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მშვენიერებას არ შექმნის მხოლოდ ფორმა, რადგან მშვენიერებაში იგი გულისხმობს სრულ ჰარმონიას გარეგნულ ფორმასა და შინაგან ბუნებას შორის.

„კაკოს“ ავტოგრაფში ავტორის მიერ გადახაზული ეს ტექსტი კომოქვეყნებული არ არის. იგი უცნობია ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის. ამიტომ, მოვიყვანთ მას მთლიანად: „რომ შეხედავდიოთ და ძალიან დააკვირდებოდით იმის სახეს, იტყოდით გულისტკივილითა: ამ მშვენიერ ტანში, როგორ უნდა იყოს საძაგელი სულიო!“ — წერს ილია, — ხოლო ამ წინადადების შემდეგ გადაშლილია: „ეგ შესაძლებელია, ჩემო მკითხველო, თუმცა უწინდელი ესტეტიკები მოგახსენებდნენ, რომ მშვენიერ ტანში მშვენიერი სულიც არისო, მაგრამ ჩვენ ხშირად ვხედავთ წინააღმდეგს. მშვენიერებაში თვითონ მშვენიერება არის უცოდველი, მარტო ფორმა, ყალიბი არ შეიქმს მშვენიერებას. იგი შედგება მხოლოდ მაშინ, როცა ყალიბი და ის რაც ყალიბშია ჩამოსხმული, ურთიერთს ეთანხმებიან, ფორმა უნდა თანა შესწევდეს იდეასა და იდეა ფორმასა.“

კაცი რო ჰგვანდეს მშვენიერ ცხენსა, აქ მშვენიერება კი არ იქნება. იქნება სრული სიმახინჯე, იმიტომ რო იდეა კაცისა არ შეპფეროს ცხენის ფორმასა. ხომ ვერ ვიტყვით იმ კაცზედ, რომელიც ცხენსა

ჰგავს, მშვენიერიაო!... მშვენიერებაში ისმის ფშვენა დიდის შემოქმედისა, რომელიც, უებრო სიბრძნე, ასულდგმულებს ფორმას, ცოცხალ და შესაფერ სულითა, მეტყველითა შემოქმედის დიდებაზე. სადაც ფორმაა და არ არის იქ შესაფერი იღვია იქ მშვენიერებაც [არ] არის. აი, რით აიხსნება ის, რომ ვხედავთ ხოლმე მშვენიერს და ზოგი ამათგანი არამც თუ მიგვიზიდავს ჩვენ, სრულიად განირიდეებს ჩვენს გულს ხოლმე; იმიტომ, რომ უახლოვდებით მას რამთვენსაც, იმდენს უფრო და უფრო ვრწმუნდებით, რომ სული და ტანი შეუსაბამოდ შეკავშირებულიან“.

უნდა შევნიშნოთ, რომ საერთოდ „კაკოში“ საგრძნობლად შემცირებულია ახალგაზრდა ბატონის ქება. ამიტომ აქ ისე მკვეთრად არ იგრძნობა ის წინააღმდეგობა, რომელმაც „კოლას“ მეორე ვარიანტში იჩინა თავი. აქ გმირის სახე მეტწილად უარყოფითი შტრიხებითაა წარმოდგენილი.

მაგრამ ი. ჰავკავაძის უცვლელ მიზანს „კოლას“ პირველი ვარიანტიდან „გლახის ნაამბობის“ ბოლო რედაქციამდე წარმოდგენდა ის, რომ ახალგაზრდა ბატონის ხასიათი ერთმანეთის საწინააღმდეგო მოქმედებაში გამოველინებინა. სხვა საკითხია, თუ შემოქმედებითი მუშაობის რომელ ეტაპზე როგორ ცდილობდა ავტორი მის განხორციელებას.

ილია ჰავკავაძეს „კაკოზე“ მუშაობა არ დაუსრულებია. მოთხრობა არ არის არც დამთავრებული და არც მთლიანად სრულყოფილი. მასში გვხვდება სუსტი, ნაკლებად დამუშავებული, წინააღმდეგობების შემცველი და სტილისტურად გაუმართავი ადგილები.

ხელოვნური და ნაძალადევი კაკოსა და დათოს დიალოგის ერთი ადგილი. როცა კაკო დახმარებას პირდება დათოს მოსალოდნელი უბედურების დროს (იგულისხმება კოლასაგან თამროს შეურაცხყოფა), კმაყოფილი დათო ამბობს:

— „ღმერთო! შენ გადინხადე ჩემ მაგიერ სიკეთე, თორემ შენ თიონ ხედავ, მე არ შემიძლიან“ — ამბობს კაკოს დაპირებით გახარებული დათო.

— „შენც შეგიძლიან და ღმერთსაც, — შიუგო მორცხობით კაკომ.

— მე საიღამ? — თქვა რაღაც ფიქრით გახარებულმა დათომ, — ჩემი სიმდიდრე სულ ერთი გოგოა!“

აქ მეტად არაბუნებრივად ჩანს დათოსაგან თავის გოგოს მოხსენიება. ამკარად იგრძნობა, რომ ავტორმა დათოს ეს სიტყვები იმისთვის ათქმევინა, რომ მას კაკოსაგან ასეთი პასუხი მიეღო: „ — აბა კიდევც ის გოგოა გადამხდელი“.

„გლახის ნაამბობში“ თუმც თვითონ პეპია სთავაზობს გაბროს შეერთოს მისი ქალი ცოლად, მაგრამ აქ ეს ადგილი გაცილებით უფრო დამაჯერებლად არის წარმოდგენილი. განსაკუთრებით სარწმუნოა სინარჯისა და მოულოდნელობისაგან დათოს დაღუპება და პეპიას შენიშვნა: „რას გაჩუმდი?... თუ არ გინდა სოქვი: მე მაგით გულს არ მატკენ. ცოლ-ქმრობა ნებითია“¹⁹.

საეჭვოა ისიც, რომ თამროს, რომელიც საკმაოდ დაახლოებული იყო კაკოსთან, არ სცოდნოდა თავისი გრძნობის ნამდვილი შინაარსი და კაკოსთან მისი ურთიერთობა და-ძმურ სიყვარულად ჩათვალა. ეს მით უფრო ძნელი დასაჯერებელია, რომ კაკო პირდაპირ ეუბნება დათოს — მე და თამროს ცოლ-ქმრობის პირობა გვაქვსო. კაკოს საცოლედ იხსენიებს თამროს აგრეთვე გიტო და თვით ავტორიც.

საგულისხმოა, რომ „გლახის ნაამბობში“ უკვე აღარ გვხვდება თამროს მიერ გაბროს ძმადნათიყად მოხსენიება.

შეუსაბამობას აქვს ადგილი თამროსა და კაკოს მეორე დიალოგის ბოლოს; სადაც ვკითხულობთ: „გააგრძელა სიტყვა კაკომ და გააკრავუნა კბილები. პატარა ხანს იღგა, დიდხანს ჩასცქეროდა თამროს ლამაზს, შავ, ჩაღრმავებულ თვალებში, მერე არაფერი არ უთხრა თამროსა და გამწყრალსავეთ ისევ იმ ღობეზედ გადმოხტა და გასწოა საითყენაც“ (ზაზი ყველგან ჩვენია — ლ. ს.). რა თქმა უნდა, შეუძლებელია პატარა ზნის განმავლობაში დიდხანს უცქირო რამეს.

„გლახის ნაამბობში“ ილია ჭავჭავაძემ ცნობილი სიუჟეტი საბოლოოდ ჩამოაყალიბა და დასრულებული სახე მისცა, რისთვისაც ზან საკმაოდ დიდი შემოქმედებითი მუშაობა ჩაატარა. ამ მუშაობაზე მიუთითებს თუნდაც ის უმნიშვნელო ფაქტი, რომ „გლახის ნაამბობში“ იირითადად შეცვლილია თხრობის მიმდინარეობა, მოქმედ პირთა სახელები და სათაურის შერჩევის ხაზი.

„გლახის ნაამბობში“ ახალგაზრდა ბატონი დათიკოდ იწოდება, კაკო ანუ ზაქრო — გაბროდ, თამროს მამა დათო კი — პეპიად.

აქ ავტორმა თხრობის შედარებით რთული ფორმა აირჩია — ამბავს მთლიანად გაბრო გადმოგვცემს პირველ პირში. ეს გარემოება ჩვეულებრივ ართულებს ხასიათების ყოველმხრივ გამოვლენასა და მოქმედების ფართოდ ჩვენებას, მაგრამ „გლახის ნაამბობში“ არ იგრძნობა მსგავსი ხარვეზები. აქ, როგორც მოქმედება, ისე თხრობა წინა

¹⁹ ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. II, 1950, გვ. 93. „გლახის ნაამბობიდან“ (კრიტიკული ყველა ტექსტი მოტანილია ამავე გამოცემიდან.

მოთხრობებთან შედარებით გაცილებით უფრო სხარტად და ლაკონურად მიმდინარეობს.

„გლახის ნაამბობში“ არ გვხვდება ყალბი მოტივები და არაბუნებრივი საღებავები, მასში ადგილი არა აქვს წინააღმდეგობებსა და შეუსაბამობას. აქ ყოველი დეტალი, ყოველი ხასიათი, ყველა დიალოგი, მოქმედება და ნაწარმოების ენა ქართული სინამდვილის ღრმა ცოდნითაა გამსჭვალული.

როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, „გლახის ნაამბობი“ თავიდან ბოლომდე პირველ პირშია დაწერილი. მოთხრობის დასაწყისში ილია ჭავჭავაძე ნადირობის შესახებ გვესაუბრება. მეორე თავში კი ავტორი აგვიწერს, თუ როგორ შეხვდა იგი ნადირობის ღროს ერთ უპატრონო გლახას (გაბრიელს), რომელიც მას თავის თავგადასავალს უამბობს.

გაბრიელის თავგადასავალი იწყება მოთხრობის შესამე თავიდან. აქ მოკლედ მოთხრობილია გაბრიელისა და მისი ბატონის (დათიკოს) ბავშვობისა და ქალაქში გამგზავრების ამბავი. ამავე თავში იხსენიება იმერლის ბიჭი, რომელმაც გაბრიელი მღვდელთან მიიყვანა წერა-კითხვის შესასწავლად. მომდევნო სამი თავი კი მთლიანად დათმობილი აქვს მღვდლის შესახებ ამბის თხრობას. ამის შემდეგ კი „გლახის ნაამბობი“ მეტ-ნაკლებად მისდევს „კაკოს“ ცნობილ სიუჟეტს.

„კოლასა“ და „კაკოში“ არსად მღვდელი არ გვხვდება. „კოლაში“ სრულიად არაფერია ნათქვამი ზაქროს მასწავლებელზე, ხოლო „კაკოში“ ამ როლს ასრულებს თვითონ იმერლის ბიჭი.

„გლახის ნაამბობის“ შავი ხელნაწერები და სრული ავტოგრაფი ჩვენამდე არ შენახულა. ამიტომ იმ მუშაობის გათვალისწინებაში, რომელიც ილია ჭავჭავაძემ „კოლადან“ „გლახის ნაამბობამდე“ ჩაატარა, დიდად გვეხმარება ამ მოთხრობების ანალოგიური ადგილების შედარება. ტექსტუალურად „გლახის ნაამბობი“ განსაკუთრებით ახლოს დგას „კაკოსთან“. „კაკოდან“ დიდი ნაწილი მცირე ცვლილებებითა და უმნიშვნელო სტილისტური ხასიათის შესწორებებით შესულია „გლახის ნაამბობში“. მაგალითისათვის მოვიტანთ ერთს:

თამროსა და კაკოს დიალოგი
(„კაკო“)

თამროსა და გაბროს დიალოგი
(„გლახის ნაამბობი“)

— თამრო, აქა ხართ?

— შენა ხარ? — მკითხა იმან;

— აქა ვარ, გამოდი! უთხრა აწითლებულმა თამრომ, რომელმაც იცნო ხმა დამძახებლისა.

როცა მიველ და წამოვუწექ წინა. — მე ვარ, შენი კვნეს მე! რა და ხარ ეგრე მოწყენილად, ჩემო

პატარა ხანს უკან ერთი კარგი თქვენი მოსაწონი კოხტა ყმაწვილი ბიჭი გადმოხტა და მოვიდა თამროსთან და წამოუწვა წინ ბალახზედ. ეს იყო ჩვენი ნაცნობი კაკო. მათ ერთმანეთი უყვარდათ და პირობა ჰქონდათ ცოლ-ქრმობისა.

— რათა ხარ ეგრე მოწყენილი, ჩემო გვრიტო? ჰკითხა ალერსით კაკომა. რა ნახა თავის საყვარელი რაღაც ნაღვლით მოცული.

— დღეს ავი დღეა ჩემთვისა,— მიუგო პასუხად მორცხობით კი არა, იმიტომ რომ დიდი ხანია შეჩვეულნი იყვნენ ერთმანეთთან ლაპარაკსა.

— რათა? გენაცვალოს ჩემი თავი, — უთხრა ეშხით სავსემ კაკომა.

— ისე! — მიუგო ნაღვლიანად ლამაზმა გოგომ.

— მაინც?

— დღეს მამა-ჩემი საყდრიდგან გუნება-ნაქცევი ძოვიდა და იმისთვის.

— შენ დღეს საყდარში იყავ? წამოვარდა კაკო რაღაც შიშითა, ჩქარა ჰკითხა თამროსა.

— ვიყავ, რაზედ შეკრთი ასე? — ჰკითხა თავის რიგზედ გაკვირვებულმა თამრომა.

— ბატონი იქ იყო? — ჰკითხა იმავე აჩქარებით ძოლუთქენელმა კაკომ.

— იქ იყო, დერეფანში იდგა, როცა მე წინ გამოუარე, — მიუგო უფრო გაკვირვებულმა.

სიკეთე? — ვკითხე შე, რადგანაც ნაღვლიანობა შევატყე.

— დღეს ავი დღე გამითენდა.

— რადა? ავი იმას, ვისც ავი შენთვის მოინდომოს. რადა ნაღვლობ?

— არის მიზეზი.

— მაინც?

— დღეს მამა-ჩემი ავ-გუნებაზედ მოვიდა საყდრიდგან და იმიტომ.

— შენ დღეს საყდარში იყავ?... წამოვვარდი ფეხზედ და ისე აჩქარებით ვკითხე, რომ თამრო გაოცდა.

— ვიყავ, — ძითხრა იმან, — რაზედ აჰფეთქდი?

— ბატონი იქ იყო?

— იქ იყო. დერეფანში იდგა, როცა მე წინ გამოუარე.

— შენ წინ გამოუარე?...

გავაგრძელე სიტყვა და დავაჩრატუნე კბილები.

— იქ იყო? — გააგძელა სიტ-
ყვა კაკომ და დააკრაქუნა კბილე-
ბი.

„გლახის ნაამბობში“ ვხვდებით ისეთ ადგილებსაც, რომლებიც „კაკოში“ სრულიად არ ყოფილა წარმოდგენილი. მაგ. ასეთებია: შეყვარებულების პირველი შეხვედრა და მათი საუბარი; გაბროსა და დათოს ის დიალოგი, რომელიც თამროს შეუხება და სხვა. არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ილია ჭავჭავაძეს „გლახის ნაამბობში“ გარკვეული მოსაზრებით არ შეუტანია ესა თუ ის ნაწილი „კაკოდას“, ან პირიქით დაუმატებია ზოგი რამ. „გლახის ნაამბობში“ წარმოდგენილი პეპიასა და გაბროს დიალოგი კაკოსა და დათოს დიალოგის ახალი რედაქციაა. დიალოგების შეპირისპირებისას ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ „გლახის ნაამბობში“ ეს დიალოგი მიმდინარეობს არა ბატონის ეზოში, არამედ გვიანდამით პეპიას სახლის დერეფანში. ამ მცირე ცვლილებით ილიამ უფრო დამაჯერებელი გახადა დიალოგი და მეტი გამართლება მისცა თამროს მამის წყრომას, რომელიც „კაკოში“ ერთგვარ შეუსაბამობასაც კი იწვევდა — კაკოსთან თავდაპირველი გულთბილი მისალმების შემდეგ:

„— დათოს გაუმარჯოს!...

— ღმერთმა გაგიმარჯოს, შვილო! — მიუგო გულშოწყვეტილად და რაღაც დაღონებით (დათომ—ლ. ს.).

— დათო! მე შენთან მოსალაპარაკები მაქვს, — უთხრა პირდაპირ კაკომა...

— რა გინდათ, შვილო, ჩემგან, ხომ არ მომკლამთ სიბერის დროს, დამაცადეთ, ისეც ჩემი აღსასრული შორს არ არის, — აყვედრებდა დათო; — როგორ არ გებრალებით ბებერი კაცი! ღმერთი არ არის თქვენში?!“.

თუმცა, აქ ავტორი აღნიშნავს, რომ დათოს კაკო ბატონისაგან მოგზავნილი ეგონაო, მაგრამ დათოს ასე უეცარი, პირდაპირი საყვედური მაინც ნაადრევი ჩანს. მაშინ, როდესაც „გლახის ნაამბობში“ თამროს მამის ექვს აძლიერებს მის სახლში ღამით გაბროს მოსვლა, რაც ერთგვარ ფარულ და საიდუმლო ხასიათს ატარებს. ამიტომ აქ დიალოგის დასაწყისი გაცილებით უფრო გამართლებულია:

„— პეპიას გაუმარჯოს!... — ვკითხულობ „გლახის ნაამბობში“.

— ვინა ხარ? თუ ავი სული არა ხარ, ამ დროს აქ რა ხელი გაქვს?... მე შენთან საქმე არა მაქვს—რა. თუ შენ კაი კაცი იყო, მზეს არ დაემალლებოდი. ამ დროს ძალსაც კი სძინავს!..“

„გლახის ნაამბობში“ ავტორს გაუფრცია მოხუცის ის სიტყვები. რომლებშიაც იგი ბატონყმური სისტემის ერთგვარ კრიტიკას იძლევა. და ამბობს: „მე რა შემიძლია თქვენთან, ქვეყანა თქვენყენა!“ („კაკო“). ამის ნაცვლად „გლახის ნაამბობში“ ვკითხულობთ: „ჩემი პირდაპირ მორეგნა დიად აღვილია, მაგრამ მოტყუება კი ძნელია... მე რაღა ცდუნება მინდა? თქვენ რაღა ოსტატობა გინდათ? მე რა შემიძლიან თქვენთან, ქვეყანა თქვენკენ არის“. როგორც ვხედავთ, აქ უფრო ხაზგასმითაა აღნიშნული ის. გარემოება, რომ ბატონსა და მის ამაღას ყმის მიმართ არ სჭირდება არავითარი ოსტატობა და ხერხი, რადგან ძალა ბატონის ხელშია და მას შეუძლია თავისი სურვილების ყოველგვარი შენიღბვის გარეშე მიაღწიოს მიზანს.

„გლახის ნაამბობში“ თამროსა და მამის დიალოგი ძირითადში „კაკოში“ წარმოდგენილ დიალოგს მიჰყვება, მაგრამ ზოგიერთი ცვლილება მაინც შეინიშნება. „გლახის ნაამბობში“, ნაცვლად საღამო ხანისა, ეს დიალოგი დილით მიმდინარეობს და, რაც უფრო საყურადღებოა, მას ადგილი აქვს ბაღჩაში წყლის პირას, სადაც თამრო სარეცხსა რეცხდა. „კაკოში“ კი თამრო აივანზე რეცხდა სარეცხს, რაც სოფლისათვის არ არის ისე დამახასიათებელი.

როდესაც დათო „საყვედურობს“ თამროს იმის გამო, რომ თამრომ მას რაღაც დაუშალა, ავტორი წერს — „რას ამბობ, ნეტა ვიცოდე — მიუგო თამრომ მართლოს გულით“. აქ სიტყვები „მართლის გულით“ წინააღმდეგობაშია სინამდვილესთან, ამიტომაც ეს სიტყვები „გლახის ნაამბობში“ აღარ გაუმეორებია ავტორს.

მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა „კოლას“ და „კაკოს“ შედარება „გლახის ნაამბობთან“ იმდენად არა მსგავსი ადგილების შეპირისპირების თვალსაზრისით, რამდენადაც გმირების ხასიათის გამოვლენის, მათი მხატვრული სახის სრულყოფის ჩვენების მიზნით. ამ მხრივ პირველყოვლისა ყურადღებას იმსახურებს დათიკოს მხატვრული სახე.

„გლახის ნაამბობში“ ილია ჭავჭავაძემ ახალგაზრდა ბატონის მკაფიო და დამაჯერებელი სახე შექმნა. მართალია, ავტორი როგორც „კოლაში“, ისე „კაკოში“ ცდილობდა ეჩვენებინა კოლა, როგორც უარყოფითი, ისე თავისი დადებითი მხარეებით, მაგრამ ახალგაზრდა ბატონის სრულყოფილი სახე არც ერთ მოთხრობაში არ ყოფილა მოცემული.

მოთხრობა „კოლას“ პირველი ვარიანტის ნაწყვეტში ჯერ კიდევ არ არის ნაჩვენები გმირის უარყოფითი შინაგანი ბუნება. აქ გმირი დადებითად არის წარმოდგენილი, ხოლო იმის შესახებ, თუ როგორ

მოხდებოდა შემდეგ მისი უარყოფითი თვისებების გამოვლენა, დანამდვილებით არაფრის თქმა არ შეიძლება.

რაც შეეხება ამ მოთხრობის მეორე ვარიანტს, აქ არსად არ იგრძნობა ავტორის მიერ აღიარებული ბატონსა და ყრმას შორის არსებული კარგი დამოკიდებულება და პირველივე დიალოგი, რომელიც ზაქროსა და კოლას შორის იმართება, მკითხველს რწმენას უკარგავს ბატონის ყოველგვარ სიკეთეზე.

„კაკოში“ კი მოქმედების განვითარების მთელ მანძილზე კოლა მხოლოდ ცუდი მხარით წარმოგვიდგება და არაფრით არ მელაგნდება, რომ იგი „ბუნებით კარგი“ იყო. არსად ეს კარგი კოლას მოქმედებაში ოდნავადაც კი არ იჩენს თავს.

სულ სხვაგვარად არის ჩამოყალიბებული ახალგაზრდა ბატონის სახე „გლახის ნამბობში“. აქ ილიას კალამმა უდავო გამარჯვება მოიპოვა.

„გლახის ნამბობში“ ყველაზე მეტად იყო შექმნილი იმის საშიშროება, რომ ავტორს გაუძნელდებოდა ბატონის დადებითი მხარეების ჩვენება, რადგან პირველივე გვერდებიდან, იწყებს თუ არა გაბრო თავისი თავგადასავლის თხრობას, პირდაპირ მიუთითებს, რომ ბატონისა და მისი სიყვარული მოჩვენებითი იყო. მაგრამ მიუხედავად ამ წინასწარი განცხადებისა, ილია ჭავჭავეძე ახერხებს დააჯეროს მკითხველი, რომ მართლაც იყო დრო, როდესაც დათიკო „პირშავად არ იყო“ გაბროსთან, „ტოლ-აზხანაგად ინახავდა“ და „ძმასავით მადლიერი“ იყო მისი.

როდესაც გაბრო თავისი ბატონის ნაკლზე მიუთითებს ქალებთან დამოკიდებულების საკითხში, იქვე დასძენს — „სხვაფრივ კი ღმერთმა კაი მოგცეთ, კარგი ის იყო“ და კიდევ — „ის სხვა ყველაფერში მადლიანი ბიჭი მე მეტად მიყვარდა“. გაბროს ეს სიტყვები არავითარ უხერხულობას არ ქმნიან „გლახის ნამბობში“. აქ ავტორი გვიჩვენებს, რომ გაბროს ჰქონდა ამის განცხადების უფლება, რადგან ყველა ის კარგი, რაც მოთხრობაში დათიკოს შესახებ არის ნათქვამი, გარკვეული ძალის შემცველია და უმალ არ ხდება მისი გაყალბება მოქმედებაში (როგორც ამას „კაკოში“ ჰქონდა ადგილი).

გარკვეულ მომენტამდე დათიკო გაბროს მიმართ არ ამჟღავნებს ცუდ დამოკიდებულებას. აქ ადარა აქვს ადგილი გაბროს მიმართ უხემ მიმართვებს და ქცევებს. პირიქით, „შინ რომ მოვედით, — ამბობს გაბრო, — დათიკომ მეორე დღესვე დამიბარა და მითხრა: — ჩემო გაბრიელ, მე შენს ანაბარა ვარ. აი ეს ჭახლი, ეს კარი, საქონელი, მამულ-

დედული შენთვის ჩამიბარებია. ღვთის მოწყალება გაქვს, მეც მაცხოვრე და შენც იცხოვრე.

ეს რომ მითხრა, ერთი კარგი ხელი ტანისამოსი მაჩუქა“.

ამიტომ არის, რომ, როდესაც დათიკო გიტოსაგან თამროსა და გაბროს სიყვარულის ამბავს გაიგებს, გაბროსთან ერთად მკითხველსაც იმედი აქვს, რომ, შესაძლოა, დათიკომ ხელი აიღოს თავის ბოროტ განზრახვაზე. „მე სმენად გადავიქეცე, — ვთქვი, რომ ან აი, ეხლა, ან ცოტა ხნის შემდეგ, დათიკო იტყვის თავი დამინებებიაო, გიტო ნულარ გაირჯებიაო“, — ამბობს გაბრო და მკითხველიც მოუთმენლად ადევნებს თვალს დათიკოს მოქმედებას. „მაგრამ, — განაგრძობს გაბრო: — მიმტყუნა იმედმა და დათიკოს კაი კაცობამ იმოღენა სიკეთე ვერ შესძლო. შოუბრუნდა გიტოს და გულდადინჯებულად, თითქოს კაი საქმეს შვრებო, უთხრა: — მეწყინა, ეგ რომ მითხარი, მაგრამ არა უშავს-რა. შენ, რაც გითხარ, ისა ჰქენი, მე და გაბრო მოვრიგდებით“. აქ მკითხველი, გაბროსთან ერთად, საბოლოოდ კარგავს დათიკოს „კაი კაცობისადმი“ ყოველგვარ რწმენას.

ამის შემდეგ ავტორი იწყებს დათიკოს დაფარული, ღვარძლიანი, პატივმოყვარე ბუნების ჩვენებას, რომელმაც წინააღმდეგობის წარმოშობისთანავე იჩინა თავი. ახლა უკვე მოთხრობაში ერთმანეთს სცვლიან დათიკოს გაუგონარი უგულობით გამოწვეული მუქი სურათები: კეთილი, პატიოსანი, გულუბრყვილო და უდანაშაულო ადამიანების გაწამებული სახეები, რომლებიც შექმნილი ვითარების გამო იძულებულნი არიან თავისი ბუნებისადმი სრულიად შეუსაბამო საქმეს მოჰკიდონ ხელი — ყჩაღობისა და გარყენილების. გზას დაადგენ. დათიკოს ავკაცობამ აიძულა ღვთის უზომოდ მორწმუნე პეპია სიკვდილის წინ, ზიარების მიღების ნაცვლად, კაცის კვლის ფიცი ჩამოართვას გაბროს.

თუმცა სიუჟეტურად მოთხრობა „კაკო“ უფრო ახლოს დგას „გლახის ნაამბობთან“, ვიდრე „კოლა“, მაგრამ გმირის ხასიათის გამოვლენის მხატვრული ხერხით „გლახის ნაამბობი“ განსაკუთრებით ემსგავსება „კოლას“ პირველ ვარიანტს. „გლახის ნაამბობსა“ და „კოლას“ პირველ ვარიანტში ახალგაზრდა ბატონი თავდაპირველად არ ტოვებს ცუდ შთაბეჭდილებას. მართალია, ავტორი ხშირად ხაზს უსვამს კოლას ხასიათში არსებულ წინააღმდეგობას და მიუთითებს, რომ მისში არის რაღაც ისეთი, რასაც ეჭვის თვალით უნდა შევყურებდეთ, მაგრამ მაინც მკითხველი თავიდანვე არ არის მისადმი სიძულვილით განწყობილი. „კაკოსა“ და „კოლას“ მეორე ვარიანტში კი ახალგაზრდა ბატონი დასაწყისიდანვე ცუდ შთაბეჭდილებას ტოვებს მკითხველზე.

როგორც ჩანს, ახალგაზრდა ბატონის მხატვრული სახე დიდხანს მუშავდებოდა მწერლის შემოქმედებით ლაბორატორიაში. საკითხი, თუ როგორ მხატვრულ ფორმებში და სიუჟეტურ განვითარებაში უმჯობესი იქნებოდა ახალგაზრდა ბატონის ხასიათის ჩვენება, ერთ-ერთ მთავარ საკითხს წარმოადგენდა ავტორის შემოქმედებით მუშაობაში. მუშაობის ამ პროცესში ჩვენ გამოვეყოფთ სიუჟეტის განვითარებას ორ ხაზს: ერთი, რომელიც წარმოდგენილია მოთხრობა „კოლას“ მეორე ვარიანტსა და „კაკოში“ და მეორე — „კოლას“ პირველ ვარიანტსა და „გლახის ნამბობში“.

„კოლას“ მეორე ვარიანტსა და „კაკოში“ ილია ჭავჭავაძემ დახატა დაუნდობელი, უხეში და სასტიკი ახალგაზრდა მებატონის სახე, რომელიც თავის მოქმედებაში მხოლოდ უარყოფით თვისებებს ამკლავებდა, აქ ნაკლებად ჩანს გმირის ხასიათის ორმაგი ბუნება.

„კოლას“ პირველ ვარიანტსა და „გლახის ნამბობში“ სხვაგვარი მდგომარეობაა. აქ ილია ჭავჭავაძეს უხეში და მრისხანე მებატონის ნაცვლად გამოყვანილი ჰყავს ისეთი მებატონე, რომელიც სრულიად არ გამოირჩევა განსაკუთრებული სისასტიკით

მართალია, „კოლას“ პირველი ვარიანტის მიხედვით ახალგაზრდა ბატონის მოქმედებაში ჭერ კიდევ არ ვლინდება მის ხასიათში არსებული წინააღმდეგობა, მაგრამ აქ ამ წინააღმდეგობის არსებობა მხიცივარაუდებია. უდავოა, რომ სიუჟეტის შემდგომ განვითარებაში ავტორი შეეცდებოდა გმირის შინაგანი ბუნების მთლიანად გამოვლენას.

ამდენად, ჩვენ „კოლას“ პირველ ვარიანტს „გლახის ნამბობში“ უკავშირებთ იმის გამო, რომ აქაც ახალგაზრდა ბატონი არ გამოირჩევა სხვა მებატონეებისაგან თავისი სიმკაცრითა და გულქვეობით (ისე, როგორც „კოლას“ მეორე ვარიანტსა და „კაკოში“), არამედ იგი მოთხრობის დასაწყისში კეთილი მებატონის შთაბეჭდილებასაც კი ტოვებს ანალოგიური მდგომარეობა „გლახის ნამბობშიც“, აქ დათიკო უწყინარი და „კეთილია“, ვიდრე მისი ბატონკაცური თავმოყვარეობა შეუღალახავია. მაგრამ ახალგაზრდა ბატონი სულიერად დამახინჯებულია ბატონყმური წყობილების გავლენით და მისი ეს შინაგანი უარყოფითი ბუნება უმალ იჩენს თავს, როგორც კი მას სურვილების განხორციელების გზაზე რაიმე წინააღმდეგობა ხვდება. დათიკოს ვერ წარმოუდგენია მოიკლოს მცირედი წუთიერი სიამოვნებაც კი, თუნდაც ამით დაიღუპოს მისი ყველაზე ახლობელი და ერთგული ყმა. აქ მთავარ როლს თამაშობს ის, რომ იგი ყმაა. მას არ შეიძლება ჰქონდეს ადამიანური სურვილები და გრძნობები — მითუმეტეს ისეთნი, რომლებიც რაიმე მხრივ შეაფერხებენ ბატონის მისწრაფებებს.

„გლახის ნაამბობში“ ისევე, როგორც ყველა დანარჩენი მოქმედი გმირის, დათიკოს მხატვრული სახეც მაღალ ტიპიურ განზოგადებას იღებს. იგი ღრმა დამაჭერებლობით სასიათდება, რადგან აქ მისი შინაგანი ბუნება სრულყოფილად და დროულად ვლინდება მის მოქმედებაში.

„გლახის ნაამბობის“ შექმნის პროცესში დათიკოსთან ერთად გარკვეული ცვლილებები განუცდია გაბროს, პეპისა და სხვა მოქმედ გმირთა სახეებს.

გაბრო თუმცა სამივე მოთხრობაში წარმოდგენილია, როგორც სამართლიანი და კეთილი გლეხი, რომელსაც წრფელი გულით უყვარს თავისი ბატონი, მაგრამ ყველგან ერთნაირი სიძლიერით არ არის გამოვლენილი მისი მხატვრული სახე.

„კოლას“ პირველი ვარიანტის მიხედვით, ზაქრო (იგივე გაბრო) ახალგაზრდა, მოხდენილი მოსამსახურე ბიჭია, რომლის ყოველ სიტყვა-სა და მოქმედებაში ბატონისადმი სიყვარული გამოსჰქვივის.

რაც შეეხება ამ მოთხრობის მეორე ვარიანტს, აქ ზაქრო ბატონთან საკმარისად არის დაახლოვებული. თუ პირველი ვარიანტის მიხედვით ზაქრო მეტწილად ბატონთან თანშეზრდილი მოსამსახურის შთაბეჭდილებას ტოვებს, რომლისთვისაც ნაკლებადაა ცნობილი ბატონის ცხოვრება და საქმიანობა ოჯახის გარეთ, მეორე ვარიანტში ბატონი და ყმა უფრო დაახლოვებულნი ჩანან. მოთხრობის ამ ვარიანტის მიხედვით ზაქროსათვის კარგად არის ცნობილი ბატონის ყველა „სამიჯნურო“ და „საგმირო“ თავგადასავალი. იგი პირადადაც კი იცნობდა კოლას: საყვარლებს და არა ერთხელ ყოფილა ბატონის ჩხუბისა და აყალმაყალის მოწმე. განსხვავებით პირველი ვარიანტისაგან, მეორე ვარიანტში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ კოლას ფელდფებელთან ჩხუბის დროს თან ახლდა ზაქრო. აქ ბატონისა და ყმის სიახლოვე იმდენად დიდია, რომ, მიუხედავად ზაქროს პატიოსანი ბუნებისა, იგი ყოყმანსაც კი იწყებს და კითხულობს „მართლა და რომ მოჰყვეს (კოლა—ლ. ს.) გოგოების დევნას, რა უნდა ქნას ზაქრომ? უშალოს თუ მოეზმაროს?“ მხოლოდ ამ კითხვის დასმითაც კი საკმაოდ დაიჩრდილა ზაქროს, როგორც დადებითი პერსონაჟის, მხატვრული სახე და ახლა იგი ნაკლებად გამოდგება გაბროს ორეულად.

სხვაგვარი მდგომარეობაა ამ მხრივ „კაკოში“. აქ ილია ჭკვევაძე ბატონისა და ყმის სიახლოვეს ბავშვობის წლებიდან გვიჩვენებს, მაგრამ ამავე დროს ავტორი მიუთითებს კაკოს (იგივე ზაქროს) დადებით თვისებებზე — აღნიშნავს, რომ იგი ბეჯითი და ცოდნისმოყვარე, ხალასი გონების ჭაბუკი იყო, რომელმაც „ვეფხისტყაოსნის“ კითხვაში გაზარდა თავისი თავი“. ამ მოთხრობის მიხედვით, კოლა მაღალი სული-

ერი თვისებების მქონეა. აქ ადგილი არა აქვს მის დაეკვებასა და ყოყმანს იმ საკითხში, თუ როგორ უნდა შეხედოს მან ბატონის უზნეო საქციელს. კაკოს გულწრფელად ეცოდება უნამუსობის გზაზე შემდგარი თავისი ბატონი და ურჩევს მას „დაიშალოს საძაგლობა“.

— კოლაე, (ესე ეძახდა ბატონის ნებით ხოლმე კაკო) ღმერთი, რკული, ნუ შერები მაგას! ცუდია! შემოაკვლები ვისმეს, — უთხრა კაკომ, როცა მარტოკანი იყვნენ ოთახში.

— დამეკარგე, სულელი! ტვინი წაიღე ბევრის ყბედობით, — უთხრა კოლამ წყრობითა.

— მე გინდა მართლა დავიკარგები, ოღონდ შენ მოისვენე ცულ საქმეებისაგან! — უთხრა სიყვარულით ბიჭმა.

— რა ცუდი საქმეები, რას მიჰქარავ, მე შენი თავი არა მაქვს, გამეცალე აქედან, — მიუგო ამღვრეულმა კოლამ.

— რა ცუდი საქმეები? ვაი შენ, ჩემო თავო, დაგავიწყდა, — ეტყოდა შებრალების ღიმილით მოსამსახურე, — აბა მოთვალე ერთი მინც, რაც აქა ხარ, რომ ცოდვა არ გექმნას.

— შენ რა ღვდელი ხარ, რომ მოგითვალო! დამესხენ მეთქი, სულელი!

— რათ მინდა, რომ მომითვალო; მე უშენოდაც სულ ყველაფერი ვიცი, რაც კი რამ შენ ჩაგიდენია; შენ თავს მიუთვალე.

— ბიჭო! არ დამესხნები? რა გინდა ჩემგან შენ, რა ჩემი სულთამხუთავი ხარ! ფიე!

— შენ, იცი, კოლაე! შენი ნებაა! როგორც მე შენ მალე დაგესხნები, ისე ნეტავი შენ დაესხნა საძაგლობას და სხვა არა მინდა-რა.

— რა საძაგლობას? რას როტავ, ნეტავი მითხრა?

— შენ კარგად იცი, რასაც ვროტავ, მაგრამ გაგება არ გინდა!

— რისა?

— აი იმისა, რო ნუ რყვნი გლეხის დედაკაცებსა, იმისი, რო ნუ ართმევ და უფუჭებ ძალათა საწყალს გლეხ-კაცსა ცოლსა და საწყალს მამასა უმანკო ქალებსა. ჩვენ კაცი ვართ! — განაგრძელა კაკომ უფრო და უფრო საყვედურითა — ჩვენ თქვენსავით — კაცები ვართ, ერთის ღმერთისა შექმნილები, ერთის კაციდამ ჩამოსულები!..

— კარგი, ბრიყვო მომშორდი! — ეტყოდა ცოტა გულნატკენი კოლა, — მე ოსტატები ღიმნაზიაშიც მძულდნენ და აქ უფრო მეძულება.

— მე ოსტატობა არ მინდა, მე მარტო იმას გეუბნები, რო შეგვიბრალები საწყალი ყმები, შენ ჩვენი მფარველი უნდა იყო და არა წამწყმედელი!

— ეექი მოთმინებიდან გამოიყვან კაცსა! გამეცალე მეთქი. თორემ ცუდად მოგივა, — უთხრა დამუქრებით კოლაძე.

— მე გაგეცლები, მაგრამ ფთხილად იყავი გეუბნები, კოლაძე, თორემ აი ეს დღე ნიშანი, — თქვა და მაშინვე გამოვიდა კაკო გარეთ“.

თუმცა „კაკო“ თავისუფალია ზემოდსახელბული ნაკლოვანებისაგან, მაგრამ ერთგვარ შეუსაბამობას აქაც აქვს ადგილი ბატონის მკაცრ და ყმის ღმობიერ, სიყვარულით გამთბარ მიმართვებს შორის.

როგორც ერთხელ უკვე გვქონდა აღნიშნული, დაუკერებელია, რომ კაკოს კარგი დამოკიდებულება ჰქონოდა ბატონთან, რომელიც ასეთ უხეშობას ამჟღავნებს არა მარტო სხვების, არამედ კაკოს მიმართაც კი.

ამიტომ არც „კაკოში“ კაკოს მხატვრული სახე არ არის მთლიანად სრულყოფილი. იგი ბატონის გამძევარებულ თავდასხმას შებრალეების ღიმილით უპასუხებს და ნაკლებად ახდენს გაბედული და თავზოყვარე გლეხის შთაბეჭდილებას. და ეს მაშინ, როდესაც ილია ჭავჭავაძეს უკვე განზრახული ჰქონდა — ზოთხრობის იდეის გადაწყვეტაში მთავარი როლი კაკოს ეთამაშნა. ამ მიზნით ილიამ მოთხრობას სათაურიც კი შეუტყველა და მას „კაკო“ უწოდა. ეს გარემოება იმაზე მიუთითებს, რომ მას ნაწარმოებში მთავარ გმირად პროტესტანტი გლეხი უნდა გამოეყვანა. მაგრამ აქ ავტორმა ეს დიდი მიზანი შესაბამის მხატვრულ სახეებში ვერ განახორციელა.

ნაწარმოების ამ დიდებულმა იდეამ მალამხატვრული განზოგადება მხოლოდ „გლახის ნაამბობში“ ჰპოვა. აქ ილია ჭავჭავაძემ შექლო შეექმნა გაბროს ისეთი მხატვრული სახე, რომელიც თავის თავეში არავითარ წინააღმდეგობას არ ატარებს. იგი გულწრფელი, კეთილი, პატიოსანი და სამართლიანია. მას ნამდვილად უყვარს თავისი ბატონი, წუხს მისი უწესო საქციელის გამო, თუმცა, დათიკოს სიყვარულისათვის თავს არიდებს მის წყენას. მაგრამ ამავე დროს გაბრო თავზოყვარეა და ვერ გაათელვინებს ბატონს მის სიამაყესა და ღირსებას. იგი ტიპიური სახეა იმ მებრძოლი გლეხისა, რომელიც ვერ ურიგდება ბატონყმური სისტემის უსამართლობას და, თავისი შესაძლებლობის ფარგლებში ეწინააღმდეგება მას. 60-იანი წლების საქართველოსათვის თუმცა ასეთი მებრძოლი გლეხები დამახასიათებელი არ არის, მაგრამ ისინი უდავოდ დიდი პერსპექტივის მქონენი იყვნენ და საზოგადოებრივი ცხოვრების კანონზომიერ განვითარებაში მათ მთავარი როლის შესრულება მოელოდათ. ამით ილია ჭავჭავაძე ჩვენს წინაშე ერთხელ კიდევ წარმოდგება, როგორც დიდი რეალისტი, რომელსაც აქვს თემისა და სიუჟეტის შიგნების შესანიშნავი აღლო. მის მიერ მოხდენილად შეჩეულ მხატვრულ ტიპთა გალერეაში ჩვენ გვხვდება არა მარტო ის,

რაც ჩვეულებრივი იყო ბატონყმობისათვის (თავადაზნაურთა ზნედაცემული თაობა). არამედ ის იშვიათი მოვლენებიც, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამებოდა ბატონყმური წყობილების არსს. ამის საუკეთესო მაგალითს კი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში წარმოადგენს სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი გლეხთა ტიპები.

„გლახის ნაამბობში“ ილია ჭავჭავაძემ არა მარტო გაბროს მოქმედება გაშალა დამაჯერებლად არსებული სოციალური პირობების ფონზე, არამედ კიდევ უფრო დიდი მხატვრული ოსტატობითა და უშუალობით გადმოსცა გაბრიელის სულიერი სამყარო — მისი გრძობების სიფაქიზე და კაცთმოყვარეობა, რისთვისაც, უდავოა, ილიას დიდი ბუშაობა დასჭირდებოდა. ამას ნაწილობრივ ჩვენ ხელთ არსებული მასალების შესწავლაც ადასტურებს. მაგალითისათვის მოვიტანთ „გლახის ნაამბობის“ ავტოგრაფში შეტანილ ერთ შესწორებას. იქ, სადაც აღწერილია გაბროს მღელვარება პეპიასათვის მიცემული კაცისკვლის ფიცის გამო, ილია ჭავჭავაძეს თავდაპირველად დაუწერია: „ეხლა სწორედ ამისთანა დღე დამადგა: წინ მოსაფიქრებლად დიდი დრო მქონდა. მაგრამ მაინც კი კაცი უნდა მომეკლა“. ხოლო შემდეგ ეს წინადადება ასე შეუსწორებია: „ეხლა სწორედ ამისთანა დღე დამადგა: წინ მოსაფიქრებლად დიდი დრო მქონდა, ამიტომაც რამდენსაც ჩემს ფიცზედ ვფიქრობდი, იმდენად ვიტანჯებოდი“. წინადადების პირველი ფორმის მიხედვით ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ თითქოს, გაბროს ერთბაშად გადაწყვიტა დათიკოს მოკვლა. მაშინ, როდესაც „გლახის ნაამბობში“ ილია ჭავჭავაძე შესანიშნავი მხატვრული ოსტატობით აღწერს გაბროს სულიერ მღელვარებას, რომელსაც სურს თავი დააღწიოს საშინელ ფიცს, თავიდან აიცილინოს კაცისკვლის მიუტევებელი ცოდვა. ამ წინადადების უკანასკნელი ფორმის მიხედვით კი სრულიად ბუნებრივია იმ განცდების აღწერა, რასაც ილია ჭავჭავაძე ზემოთხსენებული ტექსტის შემდეგ იძლევა: გაბროს კაცისკვლის ფიცის მოკონებაზე ტანში აერყოლებს და გაწამებული წამოიძახებს: „მე, გაბრიელს, კაცის კვლის ცოდვა უნდა დამდებოდა? მე კაცის სისხლში უნდა გამესვარა ხელი?“ გაბრიელი ბევრს ცდილობს გაამართლოს თავისი განზრახვა, იგონებს, — რომ დათიკომ „ერთი წუთის უინის საკლავად სპი ადამიანის სული არ დაინდო“, მაგრამ კიდევ მაინც ვერ შერიგებია უღმობელ ბედისწერას, რომელმაც მას ეს მძიმე საქმე ატვირთა. გაბროს კეთილ, კაცთმოყვარე ბუნებას აღარაფერი დარჩენია, გარდა იმისა, რომ ღმერთს მიენდოს და მას თამროს უცოდველობა შესთხოვოს. შესთხოვოს არა მხოლოდ საყვარელი ადამიანის ბედნიერებისათვის, არამედ მოსალოდნელი დანაშაულის თავიდან აცილებისათვისაც. მხოლოდ მაშინ, როდესაც გაბრო საკუთარი თვალთ

ხავს დათიკოს უგულობის საშინელ შედეგს. დასძენს: „ჩემი ტოკვა და ყოყმანობა კაცის-კელის თაობაზედ იმ დღეს სრულიად გათავდა“.

მხოლოდ ამ სიტყვებითაც კი გაბრო უაღრესად კეთილშობილი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს. იგი ცამდის მართალია ღვთისა და კაცის წინაშე და თუმცა კაცისმკვლეელი და ყაჩაღია, შინც მკითხველის უზომო სიმპათიას იმსახურებს. გაბრო ავტორის საყვარელი გმირიც არის. მისი საქციელი ილიას მიერ გამართლებული და მოწონებულია.

ასეთია ის გზა, რომელიც ზაქროსა და კაკოს მხატვრულმა სახემ განვლო, ვიდრე იგი აბსოლუტურ სრულყოფას მიაღწევდა „გლახის ნაამბობის“ პერსონაჟებში.

„გლახის ნაამბობის“ მოქმედ გმირთა შორის საინტერესო ფიგურაა პეპია (იგივე დათო). იგი როგორც „კაკოში“, ისე „გლახის ნაამბობში“ თამროს მამად იხსენიება, მაგრამ, ვფიქრობთ, თავდაპირველად ილია ჭავჭავაძეს განზრახული არ ჰქონდა, იგი თამროს მამად გამოეყვანა. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ მოთხრობა „კოლაში“ ზაქრო დათოს ხშირად ძმას უწოდებს. მართალია, ავტორი დათოს შესახებ შენიშნავს, იგი ხანში შესული იყო, მაგრამ ის რომ ასაკით ზაქროს მამის ტოლი ყოფილიყო, მაშინ ზაქრო მას ძმად ვერ მოიხსენიებდა. გარდა ამისა, არის მეორე გარემოებაც, როდესაც დათო ზაქროსაგან ბატონის უზნეო საქციელს შეიტყობს, ამბობს: „ყმისათვისაც კი არ ვარგა უცოლო და მერე მაგისთანა დაუნდობარი ბატონი. რა ვიცი? თავზედ ლაფი არავის დაასხას. მერე ზოგიერთს ისეთი ქალები ჰყავთ, რო თვალი ზედ დაგრჩება“. ასეთ შემთხვევაში შეუძლებელია, მას თავისი ქალი არ მოგონებოდა და, თუ არაფერს იტყოდა მის შესახებ, ფარული შიში მაინც არ ეგრძნო თამროს გამო. მით უმეტეს, რომ „კაკოში“ საკმაოდ გადაჭარბებითაც კი არის აღწერილი დათოს ეს წინასწარი შიში (იხ. ი. ჭავჭავაძე, ტ. II, 1950 წ., გვ. 539—540). „გლახის ნაამბობში“ ილიას აღარ შეუტანია თამროს მამის ეს გაზვიადებული ფიქრი თავისი ქალის მოსალოდნელი უბედურების გამო. ეს გადაჭარბებული თხრობა არც მხატვრული თვალსაზრისით იყო გამართლებული. იგი საკმაოდ ცილდებოდა სიუჟეტური განვითარების ძირითად ხაზს.

უნდა შევნიშნოთ, რომ „კოლასა“ და „კაკოში“ დათო გაცილებით უფრო დაახლოებულია ბატონის ოჯახთან, ვიდრე პეპია „გლახის ნაამბობში“. ვფიქრობთ, დათო „კოლას“ პირველ ვარიანტში ილია ჭავჭავაძეს ბატონის მოურავადაც კი ჰყავდა ნავარაუდევი. ამ მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს ერთი ადგილი „კოლას“. პირველი ვარიანტიდან, სადაც ზაქრო ეუბნება დათოს: „რასაც ეგ (ახალგაზრდა

ბატონი — ლ. ს.) შენ დაგითმობს, არამც თუ შენ, გლუხ-კაცსა, ერთი სიტყვით იმას თავის ტოლს არ მოუთმენს“. „კოლას“ სხვა ადგილებში კი დათო გლუხად იხსენიება. ასე რომ, იგი გლუხიც არის და, თუ შეიძლება ასე ითქვას, არც არის გლუხი, იგი მალღა დგას სხვა გლუხებთან შედარებით, ალბათ დათო ბატონის მოუზრავი იყო, ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ „კაცია-ადამიანში“ მოუზრავის სახელი არის დათო.

როგორც უკვე აღნიშნული გვექონდა, ამას ადგილი აქვს „კოლას“ მხოლოდ პირველ ვარიანტში, მეორე ვარიანტში კი უკვე ზაქრო და დათო თანაბარ საფეხურზე მდგომ გლუხკაცებად იხსენიებიან. აქ ზემომოტანილი ადგილი ასეა წარმოდგენილი: „...რასაც ეგ, შენ და მე დაგვითმობს, იმას თავის ტოლს არ მოუთმენს...“

ილია ჭავჭავაძეს „გლახის ნაამბობში“ არ შეუტანია აგრეთვე თამროს მამის ავტორიტეტულობისა და შეძლებული ეკონომიური მდგომარეობის აღწერა, რაც საკმაოდ ვრცლად არის მოცემული „კაკოში“. აქ ილია მიუთითებდა, რომ დათო მდიდრად ცხოვრობდა, რომ მას საკუთარი წისქვილი და კრამიტით დახურული სახლი ჰქონდა. იგი თავადიშვილებს „წელიწადში ორჯერ თუ სამჯერ დაჰპატიებდა ხოლმე მარანში და კარგა მძღარ ქეიფს გააწევიანებდა“. ხოლო კვირადღეობით ეკლესიიდან მუდამ მოჰყავდა სტუმარი, რომელთანაც მდიდრულ პურ-ღვინოს შეექცეოდა. შესაძლებელია, მოთხრობაში ამ ეპიზოდის შეტანა იმით აიხსნება, რომ ილიას სურდა ეჩვენებინა დათოს გამრჯეობა და შრომისმოყვარეობა, რითაც მან სხვა გლუხებთან შედარებით შეძლებული ეკონომიური მდგომარეობა შეიქმნა; მაგრამ ეს ხომ ასე არ შეიძლებოდა ყოფილიყო ბატონყმობის დროს — მაშინ, როდესაც ყმის მთელი ნაამაგარი მებატონეს მიჰქონდა: ამიტომაც აღარ გვხვდება ეს ტექსტი „გლახის ნაამბობში“.

„გლახის ნაამბობის“ მიხედვით თამროს მამა, პეპია, პატიოსანი, ღეთისა და ოჯახის დიდად მოყვარული მოხუცია. ძირითადად ასეთივეა იგი „კაკოშიაც“. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ დათოსაგან განსხვავებით პეპიას უფრო მეტად აქვს შეგნებული არსებული სოციალური წყობილების უსამართლობა. პეპია თუმცა არ ებრძვის ამ უსამართლობას, მაგრამ იმის შეგნება კი საკმარისი გააჩნია, რომ ეს წყობილება მისაღები არ არის, რადგან იგი უთანასწორობასა და ძალადობაზეა დამყარებული. დათო კი უაღრესად მორჩილია თავისი ბედის, მას იმდენად ბუნებრივად მიაჩნია არსებული წყობილება, რომ ვიდრე მისი ოჯახის მყუდროებას ბატონისაგან საფრთხე არ შეექმნა, ერთხელაც არ გამოუთქვამს უკმაყოფილება ამ წყობილების მიმართ, პირიქით — „მეცა ვარ, უნდა ვიმუშაო. — ამბობდა კეთილი დათო; — ის ბატონია.

იმან უნდა მიიერთოს ჩემი ნაღვაწევი“: დათო ბატონის ერთგულ სამსახურს „თავის სიცოცხლის ვალად სთვლიდა“. მართალია, არც პეპია შესდგომია ნაადრევად ბატონყმური სისტემის კრიტიკას და არ შეზრძოლებია მებატონეებს, მაგრამ ავტორს ზემომოყვანილი დათოს სიტყვები პეპიასთვის მაინც შეუფერებლად უცვნია და აღარ შეუტანია იგი „გლახის ნაამბობში“:

როგორც ერთხელ უკვე მივუთითეთ, გაბროსთან დიალოგში პეპია გაბედულად ამხელს ბატონის საძაგლობას და კიცხავს მას. პეპია იმასაც კი ფიქრობს, რომ დათიკოს მსგავსი მებატონის მოკვლა შესაძლებელია ცოდვად არც კი მიიჩნიოს ღმერთმა. ხოლო, „თუ ეგ ცოდვა იყოს, მე ამიღია კისრადო“, ამბობს ღვთის უზომოდ მორწმუნე პეპია. მაგრამ იგი ამაზე შორს ვერ მიდის და მხოლოდ იმ შემთხვევაში უსურვებს წაწყმედას ამ „მურტალ სამყოფელოს“, თუ თამრო გაუბედურებულია. ხოლო, უკეთუ მისი ქალი ქვეყანაზე უცოდველი დაღის, ბატონის მიზეზით ესოდენ გაწამებული, უზიარებლად მომაკვდავი მოხუცი სიკვდილის წინ ლოცვა-კურთხევასაც კი უთვლის თავის ბატონს.

მიუხედავად პეპიას თვალსაზრისის ასეთი ჩამოუყალიბებლობისა და აზრთა სხვადასხვაობისა, ილია ჭავჭავაძემ მაინც მოახერხა მისი სახით ღრმა ჭეშმარიტებით გამსჭვალული მხატვრული ტიპი მოეცა.

პეპიას მოქმედება ილიამ ტიპიურ გარემოში გვიჩვენა. იგი ბატონყმური ურთიერთობისაგან საუკუნეებით ჩაგრული ყმა-გლეხების იმ თაობის წარმომადგენელია, რომლებიც ერთგვარად შეეჩვივნენ თავიანთ მონურ ყოფას და თუმცა ასეთი ყოფის უსამართლობას გრძნობენ, მაგრამ მის არსებითად შეცვლას მაინც შეუძლებლად თვლიან. იმდროინდელ საქართველოში პეპიას მსგავსი ყმა-გლეხი ბევრი იყო. ამიტომ ილიამ, როგორც დიდმა რეალისტმა, გაბროს გვერდით სამართლიანად შექმნა პეპიას რეალისტური პორტრეტი.

დიდ განსზვავებას დაეინახავთ „კაკოსა“ და „გლახის ნაამბობს“ შორის, თუ ერთმანეთს შევადარებთ გიტოსა და თამროს მხატვრული სახის გამოვლენის საშუალებებს ამ ორ მოთხრობაში.

„გლახის ნაამბობში“ საგრძნობლად შემცირებულია გიტოსა და თამროს შესახებ თხრობა. აქ ავტორი გმირებს მოქმედებაში გვიჩვენებს და ერიდება მათ „მშრალ“ დახასიათებას. თუ „კაკოში“ ილია ჭავჭავაძე ბევრს გველაპარაკებოდა გიტოს ბოროტი, გაიძვერა და შურიანი ბუნების შესახებ, „გლახის ნაამბობში“ ყოველივე ეს გიტოს მოქმედებაში მელაენდება.

„გლახის ნაამბობიდან“ ილია ჭავჭავაძეს ამოუღია გაზვიადებული თხრობა იმის შესახებ, რომ გიტოს სრულიად არ აწუხებდა ბატონყმუ-

რი სისტემის არსებობა. პირიქით, გიტოს სურდა, რომ რაც შეიძლება მეტი სიმკაცრე გამოეჩინათ შებატონებებს, შეევიწროებინათ გლუხები, რომ მას მეტი გამორჩენა ჰქონოდა და ძმათა უბედურებაზე ხელები მოეთბო. თუმცა გიტოსაგან ასეთი თვალსაზრისი არც არის მოულოდნელი, მაგრამ ეს მაინც არ იყო დამახასიათებელი ყმის ფსიქოლოგიისათვის. იგი იშვიათი გამონაკლისი შეიძლება ყოფილიყო. ამიტომ ამის ასე ხაზგასმით მითითება საჭიროდ აღარ უცენია ავტორს; მით უმეტეს, რომ გიტო სწორედ ბატონყმობის არსებობის გამო იყო გაქნილი და გაიძვერად ქცეული. იგი სხვაზე არანაკლებ მწვავედ განიცდიდა ამ სოციალური სისტემის სიმძიმეს. მოვიგონოთ, როგორ მკაცრად ექვეყოდა მას ბატონი, რომელმაც იგი ცემისაგან სიკვდილის პირას მიიყვანა. ამიტომ, მით უფრო, შეუფერებელი იყო გიტოსაგან კიდევ უფრო მკაცრი მებატონის ნატვრა.

„გლახის ნაამბობში“ თამროსაც მეტწილად მოქმედებაში ვეცნობით. აქ ავტორი შედარებით ნაკლებად გვესაუბრება თამროს დადებით თვისებებზე, მის გამრჩეობასა და მოსიყვარულე გულზე, მაგრამ უამისოდაც იგი მკითხველზე ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რადგან ილიამ გმირის მოქმედებაში თანაბრად გამოავლინა ყველა მისი ღირსება.

განსაკუთრებით შემეცირებულა „გლახის ნაამბობში“ თამროს პატროსნებაზე საუბარი, რაც საკმაოდ ვრცლად და, ამავე დროს, სუსტადაც იყო წარმოდგენილი „კაკოში“. აქ ილია ჭავჭავაძე თუმცა მიუთითებდა, რომ თამროს პატროსნებაში მისმა ბუნებითმა მონაცემებმა დიდი როლი ითამაშესო, მაგრამ იგი მაინც ზედმეტი გადაჭარბებით აღწერდა იმ ამბავს, თუ როგორ აშინებდნენ ბავშვობაში თამროს დედნამა, უხატავდნენ რა მას უნამუსო ქალის წამებისა და შერცხვენის სურათს სააქაოსა და საიქიოში.

ამრიგად, ილია ჭავჭავაძემ „გლახის ნაამბობიდან“ საბოლოოდ ამოიღო ყველა ნაკლებდამაჯერებელი და გმირის ხასიათისათვის შეუფერებელი ადგილი და მოგვცა დათიკოს, გაბროს, პეპიას, თამროსა და გიტოს ჭეშმარიტი, ყოველგვარი სიყალბესა და წინააღმდეგობას მოკლებული მხატვრული სახეები.

ორიოდე სიტყვა ენობრივ-სტილისტური ხასიათის სწორებების შესახებ.

როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, „გლახის ნაამბობის“ შავებზე და სრული ავტოგრაფი არ შემონახულა. ჩვენამდის მოღწეულია მხოლოდ ამ მოთხრობის მეორე ნახევრის (VII—XII თავები) ავტოგრაფი (დაცულია ქუთაისის ისტორიული მუზეუმის კირილე ლორთქიფანიძის არქივში, № 1044). ეს ავტოგრაფი სუფთაა, მას არ აჩნია ავტორის მუშაობის კვალი, შეინიშნება მხოლოდ რამდენიმე სტილისტური ხასია-

თის სწორება. მაგრამ „გლახის ნაამბობის“ ენობრივ-სტილისტური თვალსაზრისით გაუმჯობესების მხრივ შედარებით მდიდარ მასალას იძლევა ამ მოთხრობის ავტორის დროინდელი გამოცემების შედარება ავტოგრაფთან. ამ მიზნით ჩვენ „გლახის ნაამბობის“ ავტოგრაფი შევადარეთ 1873 წლის „კრებულის“ და 1892 წლის „ქართველთა ამხანაგობის“ გამოცემას. როგორც შედარების შედეგად გამოიჩვენა, ილია ჭავჭავაძეს გამოცემებში მეტწილად ნაწარმოების სტილი უსწორებია. მაგ. „დათიკო კაი ოჯახის-შვილად დაისახებოდა იმ ახლომახლო თავადის-შვილებში“ — ვკითხულობთ ავტოგრაფსა (გვ. 1 v) და „კრებულში“ (№ 2, გვ. 7). ეს წინადადება ილია ჭავჭავაძეს 1892 წლის გამოცემაში ამ სახით შეუტანია: „დათიკო კაი ოჯახის-შვილად ჩაითვლებოდა იმ ახლო-მახლო თავადის-შვილებში“ (გვ. 78). — „რამდენი ამდენი ცრემლი იღვრება“. წერდა ილია ავტოგრაფში (გვ. 58r) და „კრებულში“ (№ 1, გვ. 301). აქ სტილის გარდა აზრიც ბუნდოვანია, ამიტომ ილიამ იგი 1892 წლის გამოცემისათვის ასე შეასწორა: „რამდენი ამისთანა ცრემლი იღვრება“ (გვ. 95). „მითხრა დაცინებით“ (ავტ. გვ. 8r) გასწორებულია — „მითხრა დაცინებით“ (ქართ. ამხ., გვ. 106); „პურის ჭამას მიეყევ“ (ავტ. გვ. 13r) — „პურის ჭამა დავიწყე“ (ქართ. ამხ., გვ. 128); „ვირჩუნე თავი“ (ავტ. გვ. 14 v) — „ვირჩინე თავი“ (ქართ. ამხ., გვ. 135) და სხვ.

ნშირია შემთხვევები, როდესაც ილია ჭავჭავაძეს გამოცემებში ამოულია ზედმეტი სიტყვები და სხვათა სიტყვის მაწარმოებელი ნიშანი — „ო“, მაგ., „მითხრა იმან ღიმილითა“ ვკითხულობთ ავტოგრაფში (გვ. 3 r) და „კრებულში“ (№ 2, გვ. 16), ხოლო 1892 წლის გამოცემაშია — „მითხრა ღიმილითა“ (გვ. 85); ასევე — „მე შენთან მოსალაპარაკებელი მაქვს რამე“-ს (ავტოგრაფი, გვ. 4 r) ნაცვლად 1892 წლის გამოცემაში (გვ. 91) წერია — „მე შენთან მოსალაპარაკებელი მაქვს“. ანალოგიური ხასიათის შესწორებებია: — „რო შევატყვე რო სომეხია“ (ავტ., გვ. 11r) — „რომ შევატყვე სომეხია“ (ქართ. ამხ., გვ. 119); „ხვალ საქართველოს მიჯნას გავცილდებითო“ (ავტ., გვ. 10v) — „ხვალ საქართველოს მიჯნას გავცილდებითო“ (ქართ. ამხ., გვ. 116); „გარეცხა კი არ უნდაო, სირცხვილის გაქარწყლება უნდაო“ (ავტ., გვ. 7r) — „გარეცხა კი არ უნდა, სირცხვილის გაქარწყლება უნდაო“ (ქართ. ამხ. გვ. 103) და სხვ.

თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც ვხვდებით ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ნაბეჭდ გამოცემებში ცვლილებები შეტანილია ნაწარმოების „დეურ-შინაარსობრივი გაუმჯობესებისათვის. მაგ., „კრებულში“ დათიკოს ქალებთან დამოკიდებულების გამო ვკითხულობთ: „ის უბედური

არავის არ დაინდობდა მაგისტანებში“ (№ 2, გვ. 8). შემდეგი გამოცემისათვის ილიას განუზრახავს კიდევ უფრო მკაფიოდ ეჩვენებინა დათიკოს დაუნდობლობა და დაუწერია: „... თავის ნათესავსაც არ დაინდობდა მაგისტანებში“ (ქართ. ამბ., გვ. 79). შესაბამისი აზრის უკეთ გადმოცემის მიზნით შეუცვლია ილიას წინადადების ფორმა, რომელიც ავტოგრაფში ასე იკითხებოდა: „თვალი დამიბნელდა, — და ის ვაჟი-კაცი წავებარბაცდი“ (გვ. 2r). ამის ნაცვლად „ქართველთა ამხანაგობის“ გამოცემაში ვკითხულობთ; „თვალთ დამიბნელდა — და ეს ამოდენა ვაჟი-კაცი წავებარბაცდი“ (გვ. 81).

ასე წარმოგვიდგება „გლახის ნაამბობის“ შემოქმედებითი ისტორია არსებული მასალების მიხედვით.

* * *

ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობის“ შემოქმედებითი ისტორიის შესწავლა თვალნათლივ ადასტურებს იმას, თუ როგორი გულისყურითა და მონდომებით ქმნიდა ილია თავისი შემოქმედების შედეგებს, ხვეწდა და შესაბამის ფორმებში აყალიბებდა მათ.

ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“ ხანგრძლივი და სერიოზული მუშაობის ნაყოფია, ჯერ კიდევ თავისი შემოქმედებითი მუშაობის გარიჟრაჟზე შეუქმნია ილიას ამ მოთხრობის პირველი ესკიზები.

1858—1859 წლებში ილია ჭავჭავაძეს დაუწერია მოთხრობები: „კოლა“ (ორ ვარიანტად) და „კაკო“, რომლებშიაც „გლახის ნაამბობისა“ და „კაცია-ადამიანის“ იდეა გაერთიანებული სახით არის წარმოდგენილი.

„კოლასა“ და „კაკოს“ ყურადღებით შესწავლა საინტერესო მასალას იძლევა „გლახის ნაამბობისა“ და „კაცია-ადამიანის“ მხატვრული ნააზრების გენეზისის გასათვალისწინებლად.

„კოლასა“ და „კაკოში“ ვხვდებით „გლახის ნაამბობის“ თითქმის ყველა მოქმედ გმირს. დიდი მსგავსებაა ზემოხსენებულ მოთხრობებსა და „გლახის ნაამბობს“ შორის სიუჟეტური ხაზის განვითარებაში. თუმცა ეს მოთხრობები დამთავრებულნი არ არიან, მაგრამ მაინც იგრძნობა, რომ მათი ფინალი და „გლახის ნაამბობის“ დასასრული მსგავსი უნდა ყოფილიყო.

„კოლას“, „კაკოსა“ და „გლახის ნაამბობის“ ანალოგიური ადგილების შეპირისპირებითა და ავტოგრაფებზე დაკვირვებით ირკვევა, რომ ილია ჭავჭავაძეს მუშაობის პროცესში სულ უფრო და უფრო გაუუმჯობესებია თავისი მხატვრული ჩანაფიქრი, გაუძლიერებია სი-

ციალური სიმახვილის შემცველი ელემენტები და მაღალმხატვრულ ფორმებში დამაჯერებლად გადმოუცია ნაწარმოების იდეა.

„გლახის ნაამბობში“ ილია ჭავჭავაძეს განსაკუთრებით გაუმახვილებია ყურადღება იმაზე, რომ მოქმედი გმირების ხასიათები ტიპიური და დამახასიათებელი ყოფილიყო არსებული სოციალური ვითარებისათვის.

„გლახის ნაამბობის“ შექმნის პროცესში გაუმჯობესება და სრულყოფა განუცდია მოთხრობის თითქმის ყველა პერსონაჟს. „კოლასა“ და „კაკოში“ გმირების ხასიათები ყოველთვის ვერ არიან მთლიანად სრულყოფილად წარმოდგენილი ბატონყმური სინამდვილის ფონზე და ისინი ისე მოქმედებენ, რაც ნაკლებად შეეფერება მათ შინაგან სამყაროს. „გლახის ნაამბობში“ კი აღვნიშნავთ არა აქვს ასეთ წინააღმდეგობას. აქ ყოველი ფაქტი, მოვლენა და ხასიათი წარმოდგენილია გმირის ბუნებისათვის შესატყვის ფორმებში და მხოლოდ და მხოლოდ ისე, როგორც იგი ბატონყმურ პირობებში შეიძლებოდა მომხდარიყო.

„გლახის ნაამბობში“ დათიკოს, გაბროს, პეპიას და გიტოს მოქმედების ყველა დეტალი შესრულებულია არსებული სოციალური ვითარებისათვის შესაფერის ფორმებში.

განსაკუთრებით დიდი მუშაობა ჩატარებია ილია ჭავჭავაძეს დათიკოს მხატვრული სახის სრულყოფისათვის. ამ მხატვრული სახის შექმნისას ილია, ერთი მხრივ, ცდილობდა, რომ დათიკოს სახით ქართველი მებატონის ტიპიური სახე მოეცა, ხოლო მეორე მხრივ, იგი ეძიებდა სიუჟეტის განვითარებისა და მხატვრული გამოსახვის ისეთ ფორმებს, რომელშიაც უმჯობესი იქნებოდა ახალგაზრდა ბატონის შინაგანი ბუნების მთლიანი გამოვლენა. ხანგრძლივი შემოქმედებითი ძიებების შემდეგ, ილია ჭავჭავაძეს დაუწუნებია ახალგაზრდა ბატონის ხასიათში არსებული უარყოფითი თვისებების ნაადრევი გამოვლენის ის გზა, რომელიც მან „კოლას“ მეორე ვარიანტსა და „კაკოში“ აირჩია. ილია შემოქმედებითი მუშაობის უკანასკნელ ეტაპზე ახალგაზრდა ბატონის ხასიათის გამოვლენის იმ ფორმას დაბრუნებია, რომელიც მას „კოლას“ პირველ ვარიანტში ჰქონდა მოცემული.

„გლახის ნაამბობში“ ისევე, როგორც „კოლას“ პირველი ვარიანტის დასაწყისში, ახალგაზრდა ბატონი თავდაპირველად არ ტოვებს ცუდ შთაბეჭდილებას. ერთი შეხედვით იგი გულკეთილი და უწყინარი მებატონეა. მაგრამ „გლახის ნაამბობში“ ილია ჭავჭავაძე მოქმედების განვითარების შემდგომ მსვლელობაში ახერხებს ბატონყმური სინამდვილისაგან დამახინჯებული მებატონის მანკიერი სულიერი მხარეების დროულად, დამაჯერებლად და თანაზომიერად გამოვლენას და ქართველი მებატონის ბრწყინვალე რეალისტურ პორტრეტს იძლევა.

გარდა ამისა, „კოლასა“ და „კაკოსთან“ შედარებით „გლახის ნაამბობი“ გამოირჩევა სტილის ლაპიდარობითა და სიუჟეტურ-კომპოზიციური შეკუმშულობით. აქ ავტორი, მიყვება რა მოქმედებისა და ხასიათების განვითარების მაგისტრალურ ხაზს, კვეცს გარეშე სიუჟეტებსა და აღწერებს, რომლებიც მკითხველის ყურადღებას აცილებენ ძირითად ამბავს. ამიტომ, „გლახის ნაამბობის“ სიუჟეტურ განვითარებაში მოქმედება უაღრესად დინამიკურად მიმდინარეობს. „გლახის ნაამბობში“ არ გვხვდება ნაძალადევი სიტუაციები და არაზუსტი ფორმულირებანი. იგი შინაარსის სიმდიდრითა და ენის სისადავით გამოირჩევა.

„არსენა მარაბდელის“ შემოქმედებითი
ისტორიიდან

მხატვრული ნაწარმოების ტექსტის შემოქმედებითი ისტორიის შესწავლა მრავალმხრივია საინტერესო და საგულისხმო ტექსტოლოგიისათვის. იგი გასაღებია მწერლის შემოქმედებითი ლაბორატორიისა. მაშ თანმიმდევრულად მივყავართ მწერლის ამა თუ იმ ნაწარმოების ჩანაფიქრიდან მის საბოლოო დასრულებულ სახემდე.

ტექსტის შემოქმედებითი ისტორიის შესწავლისათვის აუცილებელია ნაწარმოების ყველა წყაროს (ხელნაწერი იქნება ის თუ ნაბეჭდი) ურთიერთშეჯერება, რის შემდეგ გვექნება ნათელი წარმოდგენა, თუ რა შემოქმედებითი პროცესი განვლო ამა თუ იმ ტექსტმა.

ჩვენი მიზანია მკითხველს გავაცნოთ ზოგი რამ მის. ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელის“ შემოქმედებითი ისტორიიდან.

„არსენა მარაბდელის“ შექმნისა და მხატვრული სრულყოფისათვის ავტორს დიდი მუშაობა ჩაუტარებია: ამას ნათლად მოწმობს მის სიცოცხლეში გამოცემული ამ რომანის ნაბეჭდი ტექსტები, ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები და ის საარქვო მასალა, რომელიც დატულია მწერლის ოჯახში.

„არსენა მარაბდელის“ პირველი თავი 1926 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „მნათობში“. ამის შემდეგ, ერთხანს, მის. ჯავახიშვილმა შეწყვიტა რომანის წერა. მუშაობის პროცესმა იგი დააწმუნა, რომ მის ხელთ არსებული მასალა არ იყო საკმარისი იმ დიდი მიზნის განსახორციელებლად, რაც მწერალს ჩაფიქრებული ჰქონდა. მის. ჯავახიშვილი დიდი სერიოზულობითა და პასუხისმგებლობით ეკიდებოდა თავის ლიტერატურულ საქმიანობას. ყოველ მის ნაშრომს წინ უძღვრდა მასალაზე წლობით თავდაუზოგავი და მრავალმხრივი მუშაობა.

„არსენა მარაბდელის“ დაკავშირებით იგი შენიშნავს: „არსენა მარაბდელის“ პირველი თავი დაბეჭდვ. „მნათობში“ დაბეჭდვ და მა-

შინვე შევწყვიტე, იმიტომ შევწყვიტე, რომ მოგროვებული მასალა საკმარისი არ აღმოჩნდა. საერთოდ ჩვენი ისტორია ჯერ სისტემატურად არ არის დალაგებული, ხოლო მე-19 საუკუნის ისტორია სულაც არ დაწერილა. ამიტომ იძულებული ვაგზდი, მე თვითონვე შემესრულებინა ჩემთვის ეს უმაღლური შრომა. ვსწავლობდი კავკასიის იმდროინდელ ისტორიას, ადმინისტრაციულ წყობილებას, ბატონყმობას, ეთნოგრაფიას, ხალხურ პოეზიას, ლექსიკას, გრამატიკას, ეკონომიკას, ისტორიულ გეოგრაფიას, მოქმედ პირთა ბიოგრაფიას, გენეალოგიას, იმ ეპოქის საერთო სტილს და ამგვარად მსხვილმანსაც და წვრილმანსაც... ამ საქმეს კიდევ ოთხიოდე წელიწადს მოვუნდი და ბოლოს 1930 წელს საკმაოზე მეტი მასალა დამიგროვდა და რომანის წერაც განვაახლე¹. დასრულდა ეს რომანი 1932 წელს, 1930—1932 წლებში იგი მთლიანად გამოქვეყნდა ქუბრულ „მნათობში“.

მაგრამ ავტორი ზემოაღნიშნული მუშაობით არ დაკმაყოფილებულა. მ. ჯავახიშვილის შემოქმედებითი ლაბორატორიის შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ მწერალი მუშაობის პროცესში ხშირად უბრუნდებოდა ნაწარმოების ამა თუ იმ ადგილს, ასწორებდა და აზუსტებდა მას, შეჰქონდა სხვადასხვა ცვლილებები, იღებურ-შინაარსობრივი და ენობრივ-სტილისტური სრულყოფის მიზნით. ამასთან ერთად, ავტორი აზუსტებდა რომანში მოტანილ ისტორიულ ფაქტებსაც.

ამ მხრივ საინტერესო მასალას იძლევა ერთ-ერთი ჩანაწერი, რომელიც ავტორს გაუკეთებია უბის წიგნაკში 1931—1933 წწ.: „კუჭატნელის ვინაობა-სადაურობა უფრო დაწვრილებით. „არსენა“, გამოც. I, გვ. 51, შეადარე რუსულს და შეასწორე; „არსენა“ თავი II — შეცვლილი იქნეს იმერეთის აჯანყება (იხ. церковный бунт Потт. кав. война, т. II, вып 4). „არსენა“ მეორე გამოცემის ზოგიერთი ადგილი რუსული თარგმანის მიხედვით შესწორდეს.

ლოპიანამ არსენას დიდ მარხვაში დედალი გაატანა (თ. XIII), — შესწორდეს.

უფრო ვრცლად ითქვას ჭავჭავის და გრ. ორბ-ნის შესახებ.

„არსენა“ მაკაროვის ამბავი დაიბეჭდოს, დაწერილი მაქვს.

„არს“. თ. IX—XI სარი გასჩეხეს და არა გასთაღეს.

„არსენა“ პირველ გამოცემაში შეცდომაა, კუჭატნელი სოფ. კუჭატანში ჩაესიძა ვიდაცას, ბუაჩიძის ქალი კი ზალიკამ შეიერთო (იხ. წერილი ნიკო სვანიძისა).

„არსენა“ შეთქმულთა შესახებ იხ. „მნათობი“ 1932 წლის № 10—

¹ როგორ იწერებოდა „არსენა მარაბდელი“, თხზ., ტ. VI, -1964, გვ. 394.

14. თ. XI, მაშინ ზარბაზანს კლიტე არ ჰქონდა. *заклѣтка*-შემოწმდეს (თ. VIII), ხილული ლოპიანას ბალში².

ამ ჩანაწერიდან ნათლად ჩანს, თუ რა დიდ მუშაობას აწარმოებდა მწერალი რომანის გამოქვეყნების შემდეგაც. შემოქმედებითი ძიება გრძელდებოდა.

ყოველ ახალ გამოცემას მ. ჯავახიშვილი პირვანდელი გულმოდგინებით ასწორებდა და სრულყოფდა. რომანის თითოეულმა ადგილმა მრავალჯერ იცვალა სახე და დაიხვეწა მწერლის ლაბორატორიაში დიდი ხნის სწორების შედეგად. როგორც თვით ავტორი აღნიშნავს: „მეორე კორექტურასაც მე ვასწორებდი. ამონაბეჭდს ერთხელ კიდევ გავკრავდი კალამს და წიგნად აწყობილის მეორე კორექტურაც მე შევაკეთე. ამრიგად, პირვანდელმა დედანმა 8—9-ჯერ გაიარა ჩემი კალმის ქვეშ და მეორე გამოცემასაც საკმაო ოპერაცია დასჭირდა“³—გადმოგვცემს ავტორი.

საინტერესო მოგონება აქვს „არსენა მარაბდელის“ ტექსტის შემოქმედებით ისტორიასთან დაკავშირებით პროფ. შ. რადიანს, იგი წერს: „მიხეილ ჯავახიშვილმა გამაცნო ჩანაწერების რვეული, არსენა მარაბდელზე მუშაობისას. იგი დაწვრილებით სწავლობდა კავკასიის იმდროინდელ ისტორიას, ადმინისტრაციულ წყობილებას, ბატონყმურ ურთიერთობას, ისტორიულ გეოგრაფიას, მოქმედ პირთა ბიოგრაფიასა და გენეალოგიას, საარქივო მასალებს. ზოგიერთი სოფელი მან საკუთარი ფეხით მოიარა.“

მიხ. ჯავახიშვილი ეცნობოდა და იყენებდა ისტორიულ წყაროებს, მათ შორის იონა ბატონიშვილის „კალმასობას“, პლატონ იოსელიანის „ცხოვრება მეფისა გიორგი მეცამეტისა“, „თავგადასაჯალს იესე ოსესძისას“ და სხვ.⁴

საყურადღებო წერილები აქვს მ. ჯავახიშვილს „არსენა მარაბდელის“ ტექსტის შემოქმედებითი ისტორიისათვის. განსაკუთრებით საინტერესოა ამ მხრივ წერილები „როგორ იწერებოდა „არსენა მარაბდელი“, „როგორ ვმუშაობ“, „ჩემი პასუხი“, რომლებშიც ავტორი იძლევა რომანის თანდათანობით ჩამოყალიბების ზოგიერთი მომენტის აღწერას.

მიხ. ჯავახიშვილის არქივში დაცულია „არსენა მარაბდელის“ 1934 წლის გამოცემის ცალი, რომელიც ჩაუსწორებია ავტორსა და მღვდელ

2 მიხ. ჯავახიშვილის პირადი არქივი, საქალაქე 50.

3 როგორ იწერებოდა „არსენა მარაბდელი“, თხზ., ტ. VI, 1964, გვ. 397.

4 შ. რ ა დ ი ა ნ ი, მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება და შემოქმედება. თბ., 1957. გვ. 61.

ნ. ოქრ(უაშვილს). ამ წიგნის ფორზაცზე მოთავსებულია ნ. ოქრ(უაშვილის) შემდეგი წერილი მიხ. ჯავახიშვილისადმი:

„ბ. მიხეილ, ავტორო!

ჩემი ჰაზრით ეს დიდებული ქმნილება (საუბარია „არსენა მარაბ-დელზე“—ლ. მ.) შედევრია შენს თხზულებებში და წმინდა ქართულიც შექმნის და გადაეასწორე, თუ გნებავს ითნე, შემდეგისათვის. ეს დიდებული თხზულება ისე დაბეჭდე, რომ მწვანის ფასად იყოს და ვეფხისტყაოსანით ყველა ოჯახს მისი შექმნა სავალდებულოდ მიაჩნდეს. ზოგ გაუგებელ სიტყვებს ხაზი აქვს (გასმული), უნდა აიხსნას. ზოგსაც ლექსიკონში შესატანად აქვს (გასმული) ხაზი. ხშირად ხმარობ არ, არ, არ რუსულის მიხედვით, ძველ ქართულში ასე ოხრად არ იხმარება! თუ ფრანგულად გადასთარგმნი ვეფხისტყაოსანზე არა ნაკლებ საინტერესო წასაკითხი იქნება“.

საინტერესოა ვიცოდეთ, თუ რა ხასიათისაა ეს შენიშვნები და მიიღო თუ არა მ. ჯავახიშვილმა ოქრ(უაშვილის) მითითებანი.

ის სიტყვები, რომლებიც ხაზგასმულია რომანის ტექსტში, ოქრ(უაშვილს) ლექსიკონში შეტანის მიზნით გაუკეთებია: „თარეში, მოთარეში რუსულად ვერ მოვიგონე, რომ ლექსიკონში ჩამეწერა რუსულად“. ხოლო იმ სიტყვებისათვის, რომლებიც არ მოსწონებია, გაუკეთებია შენიშვნები: ასე მაგ. მე-8 გვერდზე აღწერილია ელიზბარ მაღალაშვილის ბერიკაობით გატაცება: მიხ. ჯავახიშვილი წერს: „თვითონ ელიზბარიც გატაცებით ბერიკაობდა. ხან ღორის ტყავს წამოიცივამდა თავზე, ხან ანაფორას მოიხვევდა“... ამ წინადადებაში სიტყვა „ღორი“ გახაზულია და გვერდით მიწერილია — „ტახი“. ბერიკები და ხალხიც ტახს ეძახიან“. ამ აღგილის შეჩერებამ შემდეგ გამოცემასთან გვიჩვენა, რომ მიხ. ჯავახიშვილს გაუზიარებია ოქრ(უაშვილის) შენიშვნა და ყველგან, სადაც „ღორი“ ეწერა, შეუცვლია სიტყვა „ტახით“.

მე-7 გვერდზე ვკითხულობთ: „მისი ძმა გრიგოლი კადნიერად იღიმებოდა“. წერილის ავტორს სიტყვა „მისი“ გადაუხაზავს და გვერდით მიუწერია „ეფემია“. მიხ. ჯავახიშვილს ზემოაღნიშნული შენიშვნა არ გაუზიარებია, მაგრამ წინადადება დაუხვეწია და ასე ჩაუსწორებია: „გრიგოლი კადნიერად იღიმებოდა“, გრიგოლი ეფემიას ძმან რომ იყო, ეს რომანის ზემონაწილში იყო აღნიშნული და მისი აქ გამეორება საკვიროდ აღარ სცნო ავტორმა.

მე-7 გვერდზე ვკითხულობთ: „ან რა მეტი შარა იყო. მელიამ თავისი კუდი მოწმედ მოიყვანაო?“ სიტყვა „შარა“ გახაზულია და გვერდით მიწერილია: „ჩარა არ აქვსო იტყვიან“. ეს ცნობილი ხალხური

ანდაზა მიხ. ჭავჭავიძის იქვე ჩაუსწორებია, მაგრამ 1936 წლის გამოცემაში ისევ „შარა“ დაუბეჭდავს. ანდაზებში სიტყვა „შარა“ არ იხმარება, საფიქრებელია, რომ ამ ადგილის გასწორება ავტორს შემდეგი გამოცემის დროს შექანიკურად გამორჩა.

მე-17 გვერდზე ვკითხულობთ: „ფეხზე რბილი რუმბის კარიკინები ეცვა“. სიტყვას „კარიკინები“ ხაზი აქვს გასმული და მიწერილია: „რუმბის ან რუმბულის კარიკინები არ იქნება! საბასით: კარიკინი — ნაქსოვი ფეხთ-საცმელი, რომელს სპარსნი ჩორბოს უხმობენ. თუშები ჩითას, ჩითებს“. 1936 წლის გამოცემაში სიტყვა „კარიკინი“ ავტორს შეუცვლია „ქალამნებით“ და წინადადება ასე გაუმართავს: „რუმბის რბილი ქალამნები ფეხზე ეცვა“.

მე-400 გვერდზე ვკითხულობთ: „მე შეიდ ალაგას ვარ დაჩრილი და პირისახეზე კი არც ერთი იარა არა მაქვს“, სიტყვა „იარა“ ოქრ(უაშვილს) გადაუხაზავს და იქვე მიუწერია: „იარა აქ შარამის მაგიერაა ხმარებული, რუსულად — ЯВВА. „მართლაც „იარაში“ იგულისხმება ახალი, ღია ჭრილობა, ზემოაღნიშნულ წინადადებაში კი ლაპარაკია ძველ მოუშუშებელ ჭრილობაზე“. ეს წინადადება მიხ. ჭავჭავიძის არ ჩაუსწორებია, მაგრამ როგორც 1936 წლის გამოცემიდან ირკვევა, ავტორს გაუზიარებია ოქრ(უაშვილის) შენიშვნა და სიტყვა „იარა“ გასწორებულია „ნიშნით“, რაც წინადადებას უფრო აზუსტებს და ნათელს ხდის. სწორების შემდეგ ეს ადგილი ასე იკითხება: „მე შეიდ ალაგას ვარ დაჩრილი და პირისახეზე კი არც ერთი ნიშანი არა მაქვს“.

529-ე გვერდზე ვკითხულობთ: „მარიამი უფრო მთვრალ ბაბას ჭავდა“. ოქრ(უაშვილს) სიტყვა „ბაბა“ გადაუხაზავს და იქვე მიუწერია „მათუშკას ეძახიან ქართველები რუსის ყველა დედაკაცს“. მიხ. ჭავჭავიძის ეს შენიშვნა გაუზიარებია და 1936 წლის „არსენა მარაბდელის“ უკანასკნელ გამოცემაში სიტყვა „ბაბა“ შეუცვლია „მათუშკათ“.

549-ე გვერდზე ვკითხულობთ: „ბარნაველი აღარ დაბრუნდა შუაპთაში, მარინეს მონასტერში შედგა ისანში“ და 552-ე გვერდზე „საპეურნალოდ მარინეს მონასტერში გადმოიყვანეს“. ოქრ(უაშვილს) ორივე შემთხვევაში „მარინეს მონასტერი“ გაუხაზავს და იქვე მიუწერია: „მარინეს მონასტერი სად იყო ან როდის ისანში“. ეს ფაქტი დაუზუსტებია მიხ. ჭავჭავიძის, იქვე გადაუხაზავს და მიუწერია „დარიის“ მონასტერი.

მიხ. ჭავჭავიძელმა გაიზიარა ოქრ(უაშვილის) ის შენიშვნები, რომლებიც გამორიცხავდა უარყოფის ორმაგი ნაწილაკების ხმარებას წინადადებაში („არაფინ არ“, „არსად არ“, „არაფერი არ“), ნაწილაკი არ უმეტეს შემთხვევაში ავტორს გადაუხაზავს. ასე მაგ., 275-ე გვერ-

დზე ვკითხულობთ: „ლაშქრად არავინ არ გაჰყავდათ“, „არ“ გადახაზულია. 387-ე გვერდზე „...უკან არავის არ მოჩანსო“, „არ“ გადახაზულია. 442-ე გვერდზე „არსენას არავინ არ უჭერებდა...“ „არ“ ნაწილაკი ყველგან გადახაზულია.

წერილის ავტორის ყველა შენიშვნა მიხ. ჯავახიშვილმა გულდასმით შეისწავლა და მათგან მხოლოდ გარკვეული ნაწილი გაიზიარა, მთელი რიგი შენიშვნებისა კი არ მიიღო. განსაკუთრებით ეს ეხებოდა იმ სიტყვებს, რომლებიც ხალხურიდან მომდინარეობდა ან „მკვდარი“ სიტყვა იყო და მიხ. ჯავახიშვილს ახლებური მნიშვნელობით შეჰქონდა „არსენა მარაბდელის“ ტექსტში. ასე მაგ.:

მე-18 გვერდზე წერია: „წამოვიდა გავეშებული კუჭატნელი“, სიტყვა „გავეშებული“ ოქრ(უაშვილს) გაუხაზავს და იქვე შენიშვნა გაუკეთებია—„გაჯერებული სჯობია, მკვდარი სიტყვების გაცოცხლება რა საჭიროა“.

24-ე გვერდზე ვკითხულობთ: „რახსი ტაიკი მიაართევს“, სიტყვა „რახსი“ ოქრ(უაშვილს) გაუხაზავს და იქვე მიუწერია „მკვდარი სიტყვაა“.

მ. ჯავახიშვილი დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა ყოველი ახალი ფორმის ხმარებას. ერთ-ერთ მის წერილში ვკითხულობთ: „ზოგი სიტყვა კვდება-მეთქი! სამაგიეროდ უფრო მეტი მხოლოდ იბადება, ზოგიც დროისაგან დაფერფლილი ისვენებს და შემდეგ ხელახლა უბრუნდება თავის საქმეს. ჩვენც მათს გაცოცხლებასა და შენარჩუნებას უნდა შეუწყოთ ხელი და ფრთხილად გავამდიდროთ ჩვენი ცოცხალი ლექსიკონი ხალხურითა და ზოგიერთი მივიწყებული სიტყვებით“⁵.

ზოგი სწორება მიხ. ჯავახიშვილს რომანის, 1934 წ. გამოცემაში თვითონ შეუტანია.

ეს სწორება ნათელ სურათს იძლევა, თუ როგორ იხვეწებოდა ნაწარმოების ესა თუ ის ადგილი, იცვლებოდა ფრაზების თანმიმდევრობა, ენობრივად სწორდებოდა ტექსტი, მეტ ლაქონიურობასა და სიზუსტეს იძენდა ესა თუ ის გამოთქმა ან მხატვრული პასაჟი. მაგ., მე-6 გვერდზე ვკითხულობთ: „ერთხელ დიდი ზაალი. და დიდი დავითი წაგებულ-მოგებულ ბრძოლებს ანგარიშობდნენ“, რომ უფრო ნათელი ყოფილიყო წინადადებაში ვისზეა ლაპარაკი, სიტყვა „დავითთან“ მ. ჯავახიშვილს მიუწერია „ორბელიანი“ და ეს ადგილი 1936 წლის გამო-

⁵ „ქართული ენა“, გვ. 5, არქივი, საქალაქე (60).

ცემაში ასეა დაბეჭდილი: „ერთხელ დიდი ზაალი და დიდი დავით ორ-
წელიანი“.

მე-12 გვერდზე ვკითხულობთ: „გამხნევა ერეკლე ზაალმაც და
საალერსოდ აშვერილი ხელი ძლიეს მიუწვდინა იმის ყურს“.

ასეთი მამაშვილური მოქცევა ზაალისა ავტორმა არაბუნებრივად
მიიჩნია და ეს წინადადება ასე ჩაასწორა: „გამხნევა ერეკლე ზაალმა
და ყური მოუსრისა“.

მე-13 გვერდზე წერია: „მეორე ვის უნდა ეკიდაოს არსენა? განა ვინ
გადურჩა მას ახლო-მახლო წაუქცეველი“. ავტორს გადაუხაზავს „განა
ვინ გადურჩა მას ახლო-მახლო წაუქცეველი“. ამ ადგილის გასწორე-
ბით მიხ. ჯავახიშვილი ცდილობს არსენა გამოიყვანოს თავდაბალ და
არა თავის თავში დაჯერებულ და ყოყლოზინა პიროვნებად, როგორც
ეს პირველი ვარიანტიდან ჩანს.

მე-15 გვერდზე ვკითხულობთ: „დილას ზაალის გზირმა იაღლუ-
ჯის ბინებში უთხრა არსენას — მოვიდა თუ არა ი ოხერი, მაშინვე მა-
რინეს დაადგა თვალი. ამბობენ ზაალს, დიდ ფულს შეაძღვესო“.

არსენას წამოსვლა ეზარებოდა, მაგრამ მარინეს სახელს რომ ყუ-
რი მოჰკრა, ლურჯას მოახტა და ისეთი ჩორთით წამოიყვანა, რომ გზი-
რის ცხენი ნავარდით და ჰენებითაც ვერ მოჰყვა და მალე ჩამორჩა“.
ეს ადგილი ჩასწორებულია ავტორის მიერ ასე: „სანამ არა ენა ტანთ იხ-
დიდა ერეკლემ უთხრა: მოვიდა თუ არა ის ოხერი, მაშინვე მარინეს
დაადგა თვალი. ამბობენ ზაალს დიდ ფულს შეაძღვესო“. ამ ადგილის
გასწორებით ავტორი ცდილობს სიტუაცია უფრო ნათელი, წინადადე-
ბა უფრო მოკლე და სხარტი გახადოს და ჩქარა მიუბრუნდეს თხრო-
ბის ძირითად ხაზს.

მე-16 გვერდზე წერია: „თრიალეთსა და ბორჩალოში არავინ არ
მოიძებნება, არსენას ქება რომ არ გაეგონოს“. ამ ადგილას არსენა ქე-
ბა ავტორს მეტისმეტად გადაჭარბებულად მიუჩნევია და ამიტომ იგი
მთლიანად გადაუხაზავს.

25-ე გვერდზე ერთ-ერთ წინადადებაში სიტყვა „წასვლა“ შეუც-
ვლია „ხეტიალით“, რათა უფრო გაემძაფრებინა ბატონისა და ყმის და-
ნოკიდებულება და უფრო მწვავედ გამოეხატა ბატონის გაბრაზება.
სწორების შემდეგ წინადადება ასე იკითხება: — „აბა, იმ ოხერ არსენას
რალა ეხლა მოუნდა მეთქი ცხვარში ხეტიალი“.

განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევს მიხ. ჯავახიშვილი
სტილს, ხეყს მას, ენობრივად მართავს წინადადებებს, ცვლის სიტ-
ყვებს უფრო შესაფერისი სიტყვებით. ასე მაგ:

არცერთი მთავარმართებელი არ იყო (გვ. 3).

ტაფაში იხარშებოდა (გვ. 275). ამგვარი ჩივილი არსენას ყოველ მხრივ ესმოდა და რადგან ჯერ ძალა არ შესწევდა... (იქვე)

მშვილობა ქვეყანასა ზედა და კაცთა შორის სათნოება, — დაუმატა ბერმა:—ამაზე მეტი რა გინდა (გვ. 302).

ორთავ ისე გაოცდნენ, თითქო მარაბდელი რაღაც თილისმით სხვა კაცად ქცეულიყოს. ჯერ არსენას დააშტერდა... (გვ. 303).

ეხლა კი მოლამუნედ არავინ არ გამოადგა (გვ. 306).

ცხვარი დააყრევინა გატაცებული ხალხს. კი ვეღარ უშველა, ამბობ თოთხმეტი წლის ვაჟი და ათი წლის ქალიშვილი მოყვა... (გვ. 405)

...მომეცი თუ არა და მე თვითონ დაგიხვდები ადგილზე, ან ისევ არსენას გამოგიგზავნი (გვ. 405)

არცერთი მთავარმართებელი არ ყოფილა.

ტაფაში იხრაკებოდა. რადგან არსენას ჯერ ძალა არ შესწევდა.

დაუმატა ბერმა.

ორივე ჯერ არსენას დააშტერდა.

ეხლა კი მოლამუნედ არავინ არ გამოჩნდა.

ცხვარი და ოციოდე ქალ-ვაჟი გაიტაცაო, მათ შორის ფარსადანის თოთხმეტი წლის ვაჟი და თორმეტი წლის ქალიც მოხედნენო.

მომეცი თუ არა და მე დაგიხვდები ადგილზე, ან არსენას გამოგიგზავნი.

როგორც აღვნიშნეთ, ამ სწორებების მიზანი ერთია — „არსენა მარაბდელის“ ტექსტი და ენა იყოს დახვეწილი, ლაკონური, სხარტი, თავისუფალი ზედმეტსიტყვაობისაგან. მიხ. ჯავახიშვილი ასეთ შედეგებს აძლევს „არსენა მარაბდელს“: „გივი შადური“ რითმული პროზით დავწერე და ამიტომ მისი სინტაქსი ალაგ-ალაგ ყალბია. „არსენა“ კი ამ მხრივ გაცილებით მირჩევნია და მის ქართულსა და 'ლექსიკასაც არც ურთ ჩემი ნაწარმოების ქართული არ სჯობია“⁶.

ზემოაღნიშნულიდან ცხადი ხდება, თუ როგორ დასტრიალებდა

⁶ ქუთაისში გამართულ დისპუტზე „არსენა მარაბდელის“ შესახებ ნათქვამი სიტყვა, გვ. 4 (არქივი).

თავს მიხ. ჯავახიშვილი ქართულ სიყტვას. მეცრად იცავდა მის ბუნებას და ლექსიკას, ამდიდრებდა და აახლებდა მას. „არსენა მარაბდელის“ ყოველ ახალ გამოცემას წინ უძღვოდა დაუღალავი, ხანგრძლივი შემოქმედებითი ძიება. ამ ძიების ნაყოფი წარმატებითაა მოპოვებული—„არსენა მარაბდელის“ სახით მწერალმა მოგვცა დახვეწილი, აბრუნებული, ღრმადინარსიანი მხატვრული თხზულება.

ვასილ ბარნოვის „ხაზართა სასძლოს“ შემოქმედებითი ისტორია

ვასილ ბარნოვის რომანი „ხაზართა სასძლო“ ისე, როგორც მისი რომანების უმრავლესობა, ისტორიული ხასიათისაა. ბარნოვის განსაკუთრებული მიდრეკილება ისტორიული თემატიკისადმი, ჩვენი აზრით, მისი პროზის მხატვრული თავისებურებიდან გამომდინარეობს.

„ხაზართა სასძლოში“ აღწერილია ქართლის მეფის არჩილის უმცროსი ქალის შუშანის თავგადასავალი. მეფე არჩილის ცხოვრების დასასრული, მისი მოკვლა არაბთა ემირის ასიმ ჭიჭნაუმის მიერ აღწერილია „არჩილის ცხოვრებაში“, ხოლო არჩილის გარდაცვალების შემდეგ მეფის ოჯახისა და, კერძოდ მისი უმცროსი ქალის, შუშანის თავგადასავალს ვრცლად მოგვითხრობს ჯუანშერისა და იოვანეს ისტორია.

ბარნოვის რომანის შედარება ხსენებულ ისტორიულ წყაროებთან ნათელყოფს, თუ როგორ გადაამუშავა მხატვრულად მწერალმა „ქართლის ცხოვრების“ ისტორიული ცნობები.

ლეონტი მროველი „არჩილის ცხოვრების“ დასაწყისში აღნიშნავს ჭიჭნაუმის შემოსვლას ქართლში და მიუთითებს, რომ ქართველები, რომლებიც დაუძღვრებულნი იყვნენ მურვან ყრუს შემოსევებისაგან, „არა შემძლებელ იყვნენ წინააღმდეგობად“¹. შემდგომ აბზაცში კი ლაპარაკი იწყება არჩილ მეფეზე, რომელმაც განიზრახა მისულიყო ასიმთან და ეთხოვა მისთვის ქვეყნის მშვიდობა, ეკლესიათა შეურყვნელობა და სჯულის დაცვა. ამას მოსდევს თხრობა იმის შესახებ, თუ რო-

¹ როგორც ეს, ისე ყველა დანარჩენი ციტატი ისტორიული წყაროებიდან მოტანილია „ქართლის ცხოვრების“ I ტომის (სიმ. ყაუხჩიშვილის გამოცემა, 1955 წ.) გვ. 245—251-დან.

ვორ კარგად მიიღო თავდაპირველად არჩილი ასიმმა, რომელიც მოიხიბლა მეფის მშვენიერი თვალტანადობით. მაგრამ მალე ჭიჭნაუმმა მეფეს ქრისტეს სჯულის უარყოფა მოსთხოვა, რაზედაც კატეგორიულად უარი მიიღო. განრისხებულმა ასიმმა არჩილის დაპატიმრება ბრძანა. შემდეგ არჩილი ჭიჭნაუმთან დააბეზლა ერთმა სარკინოზად მიქცეულმა გარდაბანელმა მთავარმა. უკანასკნელმა უთხრა ასიმს, რომ არჩილისათვის ცნობილი იყო ის სამალაგები, სადაც არჩილის მამამ სტეფანოზმა გადაინახა სახელმწიფო განძეულობა და აგრეთვე ისიც, თუ სად გადამალა ერეკლე კეისარმა უამრავი თვალმარგალიტი. ასიმმა მოსთხოვა არჩილს მიეთითებინა ბერძენ მეფეთა განძეულის ადგილსამყოფელი, გამოეცვალა სჯული და აღუთქვა— „იყოს სამეფო შენი შენადვე, და საგანძურისა მამათა შენთანი მოგანიჭე შენვე“. ასიმმა კვლავ უარი მიიღო არჩილისაგან. ამაზე განრისხებულმა ასიმმა ბრძანა 'თავი მოეკვეთათ მეფისათვის. არჩილის ცხოვრების ბოლო აბზაცში ლეონტი პროველი აღნიშნავს, რომ „მივიდეს ღამესა მას გოდერძიანის ტბელნი და მათ თანა სხუანიცა აზნაურნი მამეანნი, და მოიპარეს გუამი წმიდისა მოწამისა არჩილისა, წამოიღეს... და დამარხეს ნოტკორს“.

რომანის პირველ ხუთ თავში გადმოცემულია ყველა ზემომოტანილი ფაქტი, გარდა არჩილის გვამის მოპარვისა, რომელზედაც შემდეგ ლაპარაკობს ავტორი.

მატიანეებიდან მოტანილი ფაქტების მხატვრული აღწერის გარდა რომანის პირველ ხუთ თავში გვხვდება ერთი პატარა დეტალი. ეს არის — სიონის ტაძრის მარცხენა კედელზე გამოსახული არჩილისა და ამისი ცოლ-შვილის სურათის მოხსენიება ავტორის მიერ. ბარნოვი შენიშნავს, რომ მასზე ბავშვობიდანვე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა არჩილის უმცროსი ქალის შუშანის სახე; რომლის ამბითაც დაინტერესდა მწერალი, ამიტომ მან შეისწავლა და აღწერა მისი ისტორია.

საინტერესოდ არის რომანში ჩართული ქართველ მეფეთა ზემოხსენებული გადანახული განძის ამბავიც. დედოფალი ოჯახის წევრთა და დიდებულთა თანდასწრებით გახსნის გადამალულ საგვარეულო საგანძურს და იქიდან ერთ ბეჭედს საჩუქრად გადასცემს თავის უმცროს ქალს შუშანს. ეს არის ის საბედისწერო ბეჭედი, რომლის მსხვერპლიც შექიმნა, ბოლოს მეფის ასული.

გარდა იმისა, რომ ყველა ზემომოტანილი ისტორიული ფაქტი მწერლის ხელში მხატვრულად დამუშავებულია, არის ბარნოვის მიერ ჩართული ერთი პატარა დეტალიც. რომელიც ხაზს უსვამს ქართველი ხალხის ერთსეულოვნებას გასაჭირის დროს და ეკლესიის მსახურთა

ერთგულებასა და პატრიოტიზმს:—მაშინ, როდესაც დედოფალი გახს-
ნის მეფეთა სალაროს, მის წინაშე წარსდგება კათალიკოსი და შესთა-
ვაზებს დედოფალს საქართველოს ეკლესიათა საგანძურს.

რომანის პირველ ხუთ თავში იწყებს ბარნოვი იმ ამბების თხრო-
ბასაც, რომელიც აღწერილია არჩილის შვილების — იოვანესა და ჯუ-
ანშერის—ცხოვრებაში („მატიანე ქართლისა“ I თავში).

იოვანესა და ჯუანშერის ცხოვრების დასაწყისში მემატიანე მო-
გვითხრობს არჩილის გარდაცვალების შემდგომ ამბებს. აქ აღნიშნუ-
ლია, რომ მამის გარდაცვალების შემდეგ იოვანე გაემგზავრა ეგრისს
და თან წაიყვანა დედოფალი და ორი თავისი და, ხოლო ჯუანშერი და
მეფის ორი ასული დარჩნენ ქართლში. შემდეგ მემატიანე იწყებს არ-
ჩილის უმცროსი ქალის—შუშანის—გარეგნული სილამაზის აღწერას
და მიუთითებს, რომ მისი მშვენიერების ამბავი ესმა ხაზართა ხაკანს.
ხაკანმა მოციქული გამოგზავნა შუშანის ხელის სათხოვნელად და სა-
ქართველოს სარკინოზთა წინააღმდეგ დახმარება აღუთქვა. ქართვე-
ლებმა უარყვეს ხაკანის წინადადება და „შუშანცა აგინა ხაზართა მე-
ფესა“. სამი წლის შემდეგ ხაკანმა გამოგზავნა თავისი სპასალარი
ბლუჩანი (რომანის მიხედვით ბლუჩანი). იგი ლეკეთიდან შემოვიდა კა-
ხეთში და აიღო ციხე, რომელშიაც თავს აფარებდნენ ბატონიშვილე-
ბი. ბლუჩანმა ტყვედ წაიყვანა ჯუანშერი და შუშანი. სამშობლოსაკენ
გაბრუნებულმა ხაზარებმა აიკლეს თბილისი და ქართლის სოფლები.
მეფის ასულმა წარმართთაგანშეურაცხყოფას სიკვდილი ამჯობინა. შუ-
შანმა შესვა ბეჭდის თვალში ჩამალული საწამლავი და თავი მოიკლა.

ბლუჩანმა ხაკანს მიპგვარა ჯუანშერი და აუწყა შუშანის სიკვდი-
ლის ამბავი. ხაკანი ბლუჩანს „განუწყრა არა-მიტანებისათვის გუამისა
მისისა, რომლისა წადილ იყო ხილვად. შეიპყრეს ბლუჩან და მოაბეს
ყელსა საბელი და განზიდვად სცეს ორთა ცხენოსანთა იმიერ და ამი-
ერ, და მოსწყვიტეს თავი მისი ბოროტად“.

ჯუანშერმა შვიდი წელი დაყო ხაზარეთში, შემდეგ კი ხაკანმა იგი
სამშობლოში დააბრუნა.

„ხაზართა სასძლოში“ ბარნოვი არაფერს ამბობს არჩილის ძის
ჯუანშერის არც ხაკანის კარზე ყოფნის, არც სამშობლოში დაბრუნე-
ბის შესახებ. რომანი ბლუჩანის დასჯით მთავრდება. ყველა დანარჩენი
ბემომოტანილი ამბავი კი ზედმიწევნითი სიზუსტით აქვს გადმოცემუ-
ლი ავტორს.

„ხაზართა სასძლოში“ ცოცხალ, რეალურ სახეებში არის ასახუ-
ლი საუკუნეთა მიღმა მომხდარი ამბები. ბარნოვმა შესძლო მკითხვე-
ლის წინაშე ხორცშესხმულად, დაეხატა ისტორიული პირები. ისინი

რომანში წარმოდგენილი არიან იმ ტიპური ნიშნებით, რაც სავსებით შეესაბამება არსებულ ისტორიულ პირობებსა და მოვლენებს:

შუშანი—ლაშაზი, გონიერი, რკულისა და სამშობლოს უზომოდ მოყვარული;

ხაკანი — გულზვიადი, დაუნდობელი და ყინიანი;

ბღუჩანი — ძლიერი, მოსაზრებელი, შეუდრეკელი და უშიშარი;

დედოფალი—სათნო, მოსიყვარულე დედა და ჭკვიანი პატრიოტი ქართველი ქალი და ა. შ.

„ხაზართა სასძლოსი“ ისტორიულ პირთა გვერდით ავტორს გამოყვანილი ჰყავს არა ერთი და ორი გამოგონილი გმირი. ამ გმირების საქმიანობა ბუნებრივად ერწყმის მოვლენათა განვითარების საერთო ხაზს.

„ხაზართა სასძლოსი“ არაისტორიულ პერსონაჟთა შორის ყურადღებას იპყრობენ ქართლის ერისთავის ძმისწული მანგიური და ფარსმან გოდერძიანი. ამ გმირების ბედი შუშანს უკავშირებდა. როგორც ერთს, ისე მეორეს თავდავიწყებით უყვარს შუშანი.

მანგიური სათნო და ნაზი პიროვნებაა. იგი სარწმუნოებითა და მეცნიერებით არის გატაცებული. მწერალი არაერთგზის უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ იმ მძიმე დროში მანგიურისთანა სწავლულებზე მეტად სამშობლოს ბრძოლაში უშიშარი ვაჟკაცები უფრო სჭირდებოდა. ასეთად კი ბარნოვს, რომანში გამოყვანილი ჰყავს ფარსმანი. ფარსმანი მწერალმა იმ გოდერძიანებს დაუკავშირა, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს არჩილ მეფის გვამის მოტაცებაში. იგი შეუპოვარი მეტროლოია. ის მანგიურივით არ მორჩილებს თავის ბედს და ცდილობს უზა გაიკვლიოს ბატონიშვილის გულისაკენ. როგორც მანგიური, ისე ფარსმანი სიცოცხლეს შუშანს სწირავენ. ფარსმანი შუშანის გამოხსნისათვის ბრძოლაში იღუპება, ხოლო მანგიური შუშანის საფლავის მკველად რჩება უცხო ქვეყანაში.

არაისტორიული პირია ქართველი სოვდაგართუხუცესი ჯოჯიკ ოდიშარიც. სხვათა შორის, პირვანდელ ხელნაწერში ავტორს იგი ხან ებრაელ მორდხედ, ხან უცხოელ ნევთალიმად ჰყავს გამოყვანილი. ბარნოვი შეეცადა ხაზართა ხაკანის ტრფობა შუშანისადმი უფრო ბუნებრივად და დამაჯერებლად წარმოედგინა. თუ ადრე ხაკანს ქართველი ბატონიშვილი თვალთაც არ ენახა, ჯოჯიკის მეშვეობით მას ხელში ჩაუვარდა შუშანის სურათი, რამაც კიდევ უფრო გაზარდა მისი ტრფობა. როგორც ცნობილია, სურათით ასე ძლიერ გამიჯხურება ხშირად გვხვდება აღმოსავლურ რომანებში. საყურადღებოა, რომ ჯოჯიკ ოდიშარს ხაკანის გულის მოგებით აინტერესებს არა მხოლოდ

თავისი პირადი საქმის მოგვარება. ჯოჯიკი იმასაც ფიქრობს, რომ ამით „იქნებ დაწყნარდეს იგი ყვინი“ და არ მოეუღინოს რისხვად საქართველოს.

არაისტორიული პირია ხალილიც. იგი სასახლის. გაქნილი მოხელე, ბოროტი და ღვარძლიანი ვეზირია. მას მხოლოდ ბღუაჩანს დაღუპვის სურვილი ამოქმედებს, მაგრამ ახერხებს დაფაროს თავისი. განზრახვა ხაკანის ერთგულების ნიღბის ქვეშ.

არაისტორიული პირები „ხაზართა სასძლოს“ სხვებიც გვხვდება: მხატვარი გაიოზი, შუშანის გამზრდელი, მისანი, მანგუ და სხვები. მაგრამ ისინი შედარებით უმნიშვნელო როლს ასრულებენ. რომანში.

არსებობს „ხაზართა სასძლოს“ ორი ხელნაწერი ავტოგრაფი, რომლებიც დატულია გ. ლენინის სახელობის ლიტერატურულ მუზეუმში: № 13055, რომელიც აკადემიურ გამოცემაში აღნიშნულია C ლიტერით და № 13056—აღნიშნული B ლიტერით.

ჩვენც იმავე აღნიშვნებს გამოვიყენებთ, რაც აკადემიურ გამოცემაშია ნახმარი. რომანის ადრინდელი ვარიანტია 13055 ხელნაწერი. პირველ შავად იხსენიებს მას ავტორიც (იხ. ავტოგრაფზე მინაწერი):

არსებობს კიდევ ავტორის ხელით ჩასწორებული 1922 წლის გამოცემა.

რომანის ავტოგრაფებზე მუშაობის დროს ჩვენ პირველყოვლისა ყურადღება გავამახვილეთ იმ სწორებებზე, რომლებიც ავტორს ნაწარმოების იდეურ-შინაარსობრივი გაუმჯობესების მიზნით შეუტანია ტექსტში. თუმცა „ხაზართა სასძლოს“ ავტოგრაფებში ამ სახის სწორებები შედარებით მცირეა, მაგრამ მაინც გამოიყოფთ რამდენიმეს:

1) B ხელნაწერში 131 II გვერდზე ავტორს დაუწერია—ვეზირი ბაღუ ოცნებობდა გატოლებოდა ბღუჩანს, „როგორც რომ ვარსკვლავს ცის სხვა მნათობი“. მაგრამ, რადგან ცაზე მნათობელ სხეულთა შორის ვარსკვლავი ყველაზე პატარაა, ამიტომ ავტორს ბოლო რედაქციაში ეს ადგილი ასე შეუცვლია: „ვით რომ ვარსკვლავი სხვა მნათობს ცისას.“ (გვ. 334)².

2) ერთგან, სადაც ლაპარაკია საქართველოს სამეფო გვარეულობაზე, C ხელნაწერში აღნიშნულია: ბიზანტიას სურდა საქართველოსთან მჭიდროდ დაკავშირება, მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხერხდებოდა, თუ საქართველოს ტახტზე სასანიდების ნაცვლად რომელიმე სხვა დინასტია ავიდოდაო, თუნდაც იგივე ბაგრატიონები.

² როცა გვერდის მითითებას თან არ ერთვის ლიტერი, იჯლისხმება რომ იგი მოტანილია ვ. ბარნოვის თხზულებათა VI ტომიდან (1962 წ.).

ამ განცხადების შემდეგ კი ხელნაწერში ბაგრატიონთა შესახებ ნათქვამი იყო მხოლოდ ის, რომ მათ „პირველში ვერ გაუმართლეს ბიზანტიას იმედები, მაგრამ ესლა ისევ ისწრაფოდნენ სამეფო ტახტისადმი“. როგორც ვხედავთ, აქედან გაუგებარია, რატომ ამჯობინებდა ბიზანტია საქართველოს სამეფო ტახტზე სასანიდების ნაცვლად ბაგრატიონთა დინასტიის ასვლას. ამ გაუგებრობას ადგილი აღარ აქვს რომანის ბოლო რედაქციაში, სადაც ვკითხულობთ: „ბაგრატიონთა გვარს ნათესაური კავშირი ჰქონდა ბიზანტიის იმპერატორთან“-ო (გვ. 231). ასლა უკვე აშკარაა, თუ რატომ ანიჭებდა ბიზანტია უპირატესობას ბაგრატიონთა ბატონობას საქართველოში.

3) C-ში იქ, სადაც აღწერილია დედოფლის მიერ მეფეთა სალაროდან შუშანისათვის ბეჭდის გადაცემის ამბავი, თავდაპირველად ჩართული იყო დედოფლის სიტყვები:

„—ესლა მოწყობა-ლა სჭირდება საერთო მგზავრობას, მასაც დასჯირდება რამდენიმე დღე“, ამას კი კვლავ დედოფლის სიტყვები მოსდევდა: „შვილო, შუშან, აბა ეს ბეჭედი...“ და ა. შ. დედოფლის ზემომოტანილი სიტყვები მგზავრობის შესახებ, რა თქმა უნდა, თიშავდა ამბის (ბეჭდის ჩუქების) მიმდინარეობას. ეს უხერხულობა უგერძნია ავტორს და რომანის ბოლო რედაქციიდან ამოუღია დედოფლის სიტყვები მგზავრობაზე (გვ. 239).

4) ამავე ხელნაწერში, სადაც ლაპარაკია დადარდინებულ ხაკანთან მისი პირველი მეუღლის შესვლის შესახებ, თავდაპირველად მხოლოდ ის იყო ნათქვამი, რომ ხაკანმა ხელი წამოავლო კვერთხს. შემდეგ კი ავტორს ხელნაწერში ჩაუმატებია სიტყვები: „ბევრჯელ რომ შედებილიყო კადნიერთ სისხლით“ (C, გვ. 11).

ამით ბარნოვმა ხაზი გაუსვა ხაკანის დაუნდობლობას და სისასტიკეს, მის ყულმობლობას.

5) თუმცა ბარნოვს ზღუჩინი გამოყვანილი ჰყავს, როგორც ჰკვიანი მხედართმთავარი, მაგრამ მაინც ხელნაწერებიდან იგი არაერთხელ იღებს ისეთ სიტყვებს, რომლებშიაც ჩანს მგზავრობის დროს ბღუჩანის განსაკუთრებული ყურადღება შუშანისადმი. მაგ. B-ში გადახაზულია სიტყვები: „გამოცდილი მხედართმთავარი ყველაფერს თვალს ადევნებდა და მეტადრე თვითონ შუშანს, რომელიც იყო ერთადერთი საგანი მთელს ამ ბრძოლებისა“. რა თქმა უნდა, ეს სიტყვები ავტორმა ამოიღო იმ მოსაზრებით, რომ თავიდან აეცილებინა ის წინააღმდეგობა, რასაც ადგილი ექნებოდა ზემომოტანილ სიტყვებსა და ნაწარმოების ფინალს შორის. ამავე მიზნით არის გადახაზული ხელნაწერში სიტყვები:

„ეს იყო მიზეზი, რომ ის ყოველთვის ფრთხილი და ყოველმხრივ ღრმად გამოცდილი კაცი აათქეცებდა თავის გამჭრიახობას; ჰაზრს არ აძინებდა, ყველაფერს თავისი თვალით ათვალთვლიერებდა, თავისი ყურით ისმენდა, თითონ აკეთებდა. არც თუ ძალიან ძნელი იყო ეს იმისთანა ძლიერი ბუნების კაცისათვის, როგორც იყო ხაზართა მთავარსარდალი ბლუჩან. მით უფრო ძალიან საძნელო არ შეიქნა მისთვის ყოველივე სარისტის გაწევა და წესის მიდევნება, რომ მან იმთავითვე ჰაზრიახად გარემოზღუდა თავისი პირდაპირი მზრუნველობის საგანი (იგულისხმება შუშანი—ლ. ს.). ლამაზად შემოფარგლა იგი. და უკვე შეეძლო არავითარი წვლილი არ ასცდენოდა მის მახვილ ყურადღებას“ (გვ. 629).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბლუჩანს ავტორი წარმოგვიდგენს ძლიერ, გონიერ და მოსაზრებულ სარდლად, მაგრამ ზედმეტად ხაზგასმა მის ყოველმხრივ სიფრთხილეზე შეუსაბამობას გამოიწვევდა რომანის ბოლოს, სადაც აღწერილი უნდა ყოფილიყო შუშანის თვითმკვლელობის ამბავი. უდავოა, რომ ბლუჩანის სიფრთხილისა და „გამჭრიახობის გაათქეცების“ შემთხვევაში შუშანი ასე ადვილად ვერ შეძლებდა თავისი მიზნის განხორციელებას. აქი თვითონვე შენიშნავს ავტორი—ახლა „უკვე შეეძლო არავითარი წვლილი არ ასცდენოდა მის ყურადღებას“.

შედარებით მეტი რაოდენობით შეინიშნება ავტოგრაფებში ცალკეული სიტყვებისა და გამოთქმების შესწორებები, რომლებიც აზრის უფრო სწორად გადმოცემას ემსახურებიან:

1) ერთგან ავტორი ლაპარაკობს ქალის გრძნობებზე და სიტყვა „სიგრძე“-ს ცვლის სივრცე-სიღრმით. ამ შესწორების შემდეგ წინადადება ამჟღად უკეთეს ფორმას იღებს: „ავნუსსზე სივრცე-სიღრმე ქალის გრძნობათა“ (გვ. 227) და არა—„სიგრძე ქალის გრძნობათა“.

2) როგორც ცნობილია, სიტყვას „ძღვევამოსილი“ გარდა მისი ძირითადი მნიშვნელობისა თან ერთვის მტკმელის სიმპათია. ჩვეულებრივ „ძღვევამოსილს“ იტყვიან ძლიერ მოკეთებზე და არა მტერზე. ამიტომ გადაუშლია ბარნოვის ეს სიტყვა იქ, სადაც საუბარი შეეხებოდა არაბთა ემირს (გვ. 227).

3) ასევე „საწყალს“ ამბობენ არა მარტო იმაზე, ვინც ებრალებათ, არამედ იმაზე, ვინც ამავე დროს უმწეოდაც მიაჩნიათ, ამიტომ ბარნოვი მეფე არჩილის ოჯახის მიმართ „საწყალის“ ნაცვლად საბოლოოდ ირჩევს სიტყვას „დაობლებული“ (C, გვ. 4).

4) ასიმმა „არ აღიარა საქართველო თავისუფალ სამფლობელოდ „თვითმპყრობელად“, წერდა ბარნოვი B ხელნაწერში. აქ „თვითმ-

პერობელი“, რომელიც იწვევს დამპყრობლის ასოციაციას, უდა-
ოდ შეუფერებელი ფორმა იყო. ამიტომ ბოლო რედაქციაში ავტორს-
ეს სიტყვა „თვითმბრძანებლით“ შეუცვლია (გვ. 228).

5) C ხელნაწერში ვეზირის სიტყვები ასე იკითხება: „—მარ-
თალს ამბობ ჯუანშერ! ხალხს გული გაუტყდება, რაკი ნახავს მეთაუ-
რები გაგვეცალწენო. ხალხი შეუგნებელია. ის არ დაიჭე-
რებს (ხაზი ჩვენია ლ. ს.) იმას, რომ ბატონი მეფე სწორედ იმისათვის
უნდა წავიდეს იქ, რომ იქიდან გაამაგროს თავისი სამეფო ტახტი და
იხსნას ხალხი ვასაქირიდან“. მაგრამ რადგან, როგორც არ უნდა უქი-
რდეს ადამიანს სხვისი ნათქვამის აზრის ამოცნობა, თუ მას შთქმელი
პატივს სცემს, არ იტყვის მასზე შეუგნებელიაო. ამიტომ ვეზირის ეს
სიტყვები „ხაზართა სასძლოს“ საბოლოო ვარიანტში ასე იკითხება:

„გაუტყდება ხალხს გული, რა განშორდებიან მას მესვეურნი: ვერ
დარწმუნდება (ხაზი ჩვენია — ლ. ს.), რომ ბატონი მეფე სწო-
რედ იმისთვის უნდა წაბრძანდეს აქედან, რომ დასავლეთიდან განამ-
ტყიოს სამეფო ტახტი, იხსნას ხალხი სხვისი მონობისაგან“ (გვ. 235).

როგორც ვხედავთ, საბოლოო ვარიანტში საგრძნობლად შეცვლი-
ლია ვეზირის თხრობის ტონი. აქ იგი თავის ხალხს „შეუგნებლად“
ალარ იხსენიებს.

ავტოგრაფებში ზოგჯერ ვხვდება განმეორების მოსპობის მიზ-
ნით ამოღებული ადგილებიც. მაგ. მეორე თავის დასაწყისშივე ავტო-
რი ამბობს, რომ მეფე არჩილი კეთილად მიიღო აგარიანთ ემირმა. ამი-
ტომ ცოტა ქვემოთ C ხელნაწერიდან ამოღებულია სიტყვები—„არ-
ჩილი თავიდან კარგად მიიღო ჭიჭუმ ასიმმა“ (532.12) და სხვ.

თუმცა ბარნოვს გარკვეული მუშაობა ჩაუტარებია „ხაზართა სა-
სძლოს“ სიუჟეტურ-შინაარსობრივი სრულყოფისათვის, მაგრამ ეს
მუშაობა მთლიანად დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება. ბარნოვი
შეტყუარდლებას აქცევდა ნაწარმოების მხატვრული თვალსაზრისით
დამუშავებას. ამიტომ არის, რომ მიუხედავად შინაარსობრივი ხასიათ-
ის ზოგიერთი სწორებისა, რომანის საბოლოო რედაქციაშიც ამ მხრივ
ყველაფერი რიგზე არ არის. განსაკუთრებით შეინიშნება სიუჟეტური
დაფანტულობა და არათანმიმდევრობა. საილუსტრაციოდ მოვიტანოთ
მხოლოდ ერთი მაგალითი:

„ხაზართა სასძლოს“ მეშვიდე თავში ავტორი აღნიშნავს, რომ ქა-
რთველ სოვდაგართუხუცესს ოდიშარს დაებადება აზრი — მიერთმია-
ხაკანისათვის შუშანის სურათი. ამავე თავში იწყებს ოდიშარი თავისი
განზრახვის განხორციელებას. გაიოზ მხატვარის დახმარებით მას უკვე
ხელთა აქვს მეფის ასულის სურათი.

რომანის მერვე თავის დასაწყისში კი აღწერილია „სახეკმუნველი“ ხაკანი. მას შემდეგ, რაც მეფეს ქართველი ვაჭარი ოდიშარი ჰხლებია, იგი განმარტოებულა და ახლოს არავის იკარებს. ბევრს ცდილობენ ქვეშევრდომნი იხსნან იგი „ფიქრთა ესე ხანგრძლივი ბურუსისაგან“, ხან ხუმარა მიუგზავნეს, ხან ბრძენი დემურჩი, ხან ულამაზესი მეუღლენი, მაგრამ ამაოდ, ყენის დარდი ვერ გადაჰყარეს. შეწუხებული ბღუჩანი აღნიშნავს, რომ „ეს იმ დღიდან მოხდა, რაც კოლხიდელი სოვდაგარი იყო მბრძანებელთან“. სულ რამდენიმე აბზაცის ქვემოთ ახლა ნაზირი თითქმის; სიტყვა-სიტყვით იმეორებს ბღუჩანის ნათქვამს: „რაც ის კოლხიდელი სოვდაგარი ეახლა, მას აქეთ არის“-ო მეფე ამ დღეში. ბოლოს ყენთან მისი პირველი მეუღლე შეგზავნეს, რომელსაც დიდ პატივს სცემდა ხაკანი, მაგრამ მაინც ვერ ამოიციენს მისი ჳმუნვის მიზეზი.

რომანის მეცხრე თავი კვლავ ხაკანის უილაჯო ტანჯვის აღწერით იწყება. აქვე არის მითითებული, რომ „ხელთა ჰქონდა მას ბატონიშვილის შუშანის სურათი მაღლიანი ყალბით ამოხატული. იმ ხატს დაეტყვევებინა იგი მბრძანებელი“. ამას მოსდევს ხაკანის მონოლოგი სურათთან და კვლავ განმეორებით სიტყვები იმის შესახებ, რომ განძი, რომელიც მეფეს მოართვა ქართველმა სოვდაგარმა „ტილო იყო, რომელზედაც ამოხატნათ ქალის სახე“.

ამრიგად, ჯერ კიდევ რომანის მე-7 თავში ეცნობა მკითხველი სოვდაგარის გადაწყვეტილებას ხაკანისათვის სურათის მირთმევის შესახებ. მეორე თავიდან უკვე გავიგეთ, რომ სოვდაგარს განუხორციელებია თავისი მიზანი, იგი საჩუქრით ჰხლებია ხაკანს, რის შემდეგაც ხაკანი განმარტოვებულა და ახლოს არავის იკარებს.

ბოლოს, მერვე თავის დასაწყისშიც კვლავ რამდენჯერმე არის მოხსენიებული, რომ ხაკანს ხელთ ჰქონდაო შუშანის სურათი.

და ყოველივე ამის შემდეგ, „ხაზართა სასძლოს“ მე-9 თავში დაწვრილებით არის აღწერილი სურათის მირთმევის სცენა. ამ ნიადაგზე სოვდაგარსა და ხაკანს შორის გამართული საუბარი და ოდიშარის გაცემა იმ დიდი შთაბეჭდილებით, რომელიც ხაკანზე მოახდინა შუშანის სურათმა.

კიდევ უფრო მოულოდნელია ის, რომ მომდევნო აბზაცში (იმავე მე-9 თავში) ავტორი საუბარს იწყებს იმაზე, თუ პირველად როდის დაებადა ვაჭარს ხაკანისათვის შუშანის სურათის მირთმევის იდეა და რას მოელოდა ოდიშარი ყენის გულის მოგებით. ამას კი მოსდევს სოვდაგარის ოცნება არ განელებოდა ხაკანს შუშანის სიყვარული, კვლავ გამიჯნურებული ხაკანის ზილვით გამოწვეული ოდიშარის სიხარული და ყენის სიტყვები:

„ახ, ნეტავ ერთი დამანახვა მისი (შუშანის — ლ. ს.) სახე“. მოისმინა ეს სიტყვები ოდიშარმაო, აღნიშნავს ავტორი, — და გადაწყვიტა „მეგრეთშია ყვენი სათვის ქალის სურათი“, რითაც ძლიერ აამებდა მას და სხვა...

როგორც ვხედავთ, თხრობა ოდიშარის განზრახვის ჩასახვაზე, მის განხორციელებაზე, სურათის მიმართმევსა და მით გამოწვეულ შედეგებზე რომანში მეტისმეტად არალოგიკურად არის წარმოდგენილი.

რა თქმა უნდა, ლიტერატურაში სრულიადაც არ არის სავალდებულო ასტრონომიული დროის თანმიმდევრობით გადმოიკეს ამბის განვითარება. მხატვრულ ნაწარმოებში ძალიან ხშირია შემთხვევა, როდესაც ზომდევნო ამბავი უსწრებს წინა ამბავს. მსოფლიო ლიტერატურიდან ასეთი მაგალითების დასახელება ათეულებით კი არა ასეულებით შეიძლება, მაგრამ ამისათვის ასევე მრავალი მხატვრული ხერხი არსებობს, რაც ბუნებრივს სდის მოვლენების არათანმიმდევრულ გადმოცემას. ასე: შემთხვევაში ხშირად მიმართავენ გმირის დღიურების, წერილებისა და მოგონებების ჩართვას ნაწარმოებში, ან რომელიმე პერსონაჟის გამოყვანას მთხრობლის როლში და ა. შ. მაგრამ იქ, სადაც ამბავი თავიდან ბოლომდე გადმოცემულია ავტორის მიერ მესამე პირში, სადაც გამოყენებულია თხრობის ყველაზე მარტივი ხერხი, ასეთი სიუჟეტური არევედარევა გამართლებული არ არის.

გარდა სიუჟეტური აღრევისა, „ხაზართა სასძლოში“ შეინიშნება აგრეთვე მოქმედ გმირთა აღწერითი წარმოდგენა. პერსონაჟები ნაკლებად ავლენენ თავიანთ თვისებებს მოქმედებაში. მათ, შესახებ ძირითადად ავტორი ან რომელიმე მოქმედი გმირი გვესაუბრება.

ვასილ ბარნოვი თავის შემოქმედებაში გაცილებით მეტ ყურადღებას უთმობს ნაწარმოების მხატვრულ მხარეს, მის გარეგნულ სამკაულს, ვიდრე იდეურ-შინაარსობრივს. რა თქმა უნდა, ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს ვასილ ბარნოვის ნაწერებს აკლდეს იდეური სიღრმე და მიზანდასახულობა. არა, მაგრამ როდესაც სპეციალური კვლევის საგანია ბარნოვის შემოქმედებითი ლაბორატორია, როდესაც შეისწავლება მისი ამა თუ იმ თხზულების შექმნის ისტორია, აშკარა ხდება, რომ მწერალი შემოქმედების პროცესში ძირითად ყურადღებას ნაწარმოების მხატვრულ მხარეზე ამახვილებს. საგულისხმოა, რომ ამ დასკვნამდის მიდის ბარნოვის კრიტიკოსების უმრავლესობა, ისინიც კი, ვის მიზანსაც არ წარმოადგენს ბარნოვის ნაწერების შექმნისა და ჩამოყალიბების პროცესის ანალიზი. პირველად გრ. კიკნაძემ³ (1957 წ.) მი-

3 იხ. „მეტყველების სტილის საკითხები“, 1953, გვ. 52—53.

უთითა, რომ ბარნოვის თხზულებათა ადრინდელ და ბოლო რედაქციებს შორის არსებითი ცვლილებები არ შეინიშნებაო. ეს აზრი სათანადო მაგალითების მოტანით დაასაბუთა რ. კუსრაშვილმა და აღნიშნა, რომ „ვ. ბარნოვის მუშაობა ტექსტზე ძირითადად მიმართულია არა შინაარსობრივ, არამედ გრამატიკულ, ლექსიკურ და სტილისტურ ცვლილებებზე, ტექსტის დახვეწაზე“⁴. საყურადღებოა, რომ სხვაგვარი აზრი არ გამოუთქვამს არც ელ. კოშორიძეს, რომელმაც ყველა ზემოდასახელებულ მკვლევარზე უფრო სრულად, მონოგრაფიულად შეისწავლა: ვ. ბარნოვის ისტორიული რომანების ენა. კოშორიძეც აღნიშნავს, რომ ვ. ბარნოვის თხზულებათა ტექსტში არ შეინიშნება არსებითი ხასიათის შინაარსობრივი ჩასწორებები, მაგრამ ისინი საინტერესო სხვაობებს ავლენენ ენობრივ-სტილისტური თვალსაზრისით⁵.

ის გარემოება, რომ ვასილ ბარნოვი შემოქმედებით პროცესში გასაყუთრებულ ყურადღებას აქცევს ნაწარმოებების მხატვრული თვალსაზრისით სრულყოფას, ძირითადად გაპირობებულია მისი წერის თავისებური მანერით. ვ. ბარნოვის თხზულებების უმრავლესობა დაწერილია რიტმული პროზით, რომელშიც ზოგჯერ რითმისაკეი ვხვდებით. რიტმულობა არის ძირითადი განმსაზღვრელი ბარნოვისათვის. იგი თავის წერილში „პოეზია და მისი საფუძვლები“ აღნიშნავს: „ენამ რომ შეძლოს..... და შეიქმნას პოეტურ განცდათა თუ ჩვენებათა უკლებლივ ამსახველ იარაღად (თავისებურნი არიან მგოსნის განცდანი და ჩვენებანი), უაღრესად უნდა იყოს იგი განვითარებული, რომ სავსებით შესძლოს მრავალსახე განცდათა და ჩვენებათა დაყალიბება. ამასთან ენას აუცილებლივ ექნება ერთი თავისებაც: ის იქნება მუსიკალური, რიტმიული არა მხოლოდ სიტყვებში ბგერათა სათანადო შეწყობით თუ შეხამებით, არამედ სიტყვათა დარაზმულობითაც ფრაზაში და თვით ფრაზათა აღნაგობაშიც მოთხრობილში“⁶.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმში დაცულია ბარნოვის ტაბიძის შემოქმედებისადმი მიძღვნილი პატარა წერილის ავტოგრაფი. (№11047), რომელიც ავტორს განსაკუთრებული ნიშნით (Z) დაუყვია რიტმულ ერთეულებად. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ბარნოვი წერის დროს საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას შინაგან რიტმზე. იგი ყველანაირად ცდილობს, რაც შეიძლება, მუსიკალური გახადოს ტექსტი. ეს აშკარად ჩანს მისი თხზულებების შე-

4 რ. კუსრაშვილი, ტექსტოლოგიური დაკვირვებანი ვ. ბარნოვის შემოქმედებით პროცესზე, „ლიტ. ძიებანი“, ტ. XIV, 1962 გვ. 356.

5 იხ. ელ. კოშორიძე, ვასილ ბარნოვის ენა..., 1966, გვ. 18—19.

6 ვ. ბარნოვი, თხზულებანი, ტ. X, 1964, გვ. 48.

მოქმედებითი პროცესის შესწავლისა და თვით ამ თხზულებების უბრალოდ კითხვის დროსაც კი. დაკვირვებული მკითხველისათვის აშკარაა, რომ ავტორი ყოველ ღონეს ხმარობს ტექსტის აქტუალობისათვის. ამ მიზანს უქვემდებარებს იგი ყველაფერს. ამიტომ არის, რომ ზოგჯერ ესა თუ ის აბზაცი არაბუნებრივ შთაბეჭდილებას ტოვებს და მას აშკარად ნაძალადეგობის დაღი აზის.

თითქმის ყველა მკვლევარი, ვინც კი ამ საკითხს შეხებია, ბარნოვის პროზის შემოსწავლულ თავისებულებას ძველ ქართულ საეკლესიო მწერლობას უკავშირებს. საიდანაც არ უნდა მიმდინარეობდეს ბარნოვის პროზის რიტმულობა, ერთი აშკარაა, მას ახლა ქართულ ლიტერატურაში წინამორბედი არ ჰყავს.

„ხაზართა სასძლოც“ დაწერილია ბარნოვისათვის დამახასიათებელი თავისებური სტილით.

„ხაზართა სასძლოც“ დაწერის თარიღად აღიარებულია 1922 წელი. ალბათ, ეს თარიღი მომდინარეობს აკადემიური გამოცემიდან. როგორც ამ გამოცემის პასპორტშია მითითებული, აქ „ხაზართა სასძლო“ თარიღდება ავტორის მიერ ჩასწორებული 1922 წლის გამოცემის მიხედვით. სამწუხაროდ, აკადემიურ გამოცემაში აღნიშნული არ არის, სად ინახება ავტორის მიერ ჩასწორებული ეს ცალი, თუ გამოცემელს მხედველობაში აქვს გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის ხელნაწერთა ფონდის № 19461, ამ ცალს არც ნაბეჭდი, არც ხელით მიწერილი თარიღი არ გააჩნია. მას აქვს მხოლოდ ასეთი წარწერა: „ბ. კოტე მაცაშვილს ვასილ ბარნოვი 1922 წ. ივლისის 5-ს“. შესაძლოა, გამოცემელი ამ თარიღს ეყრდნობა, მაგრამ ეს არის წიგნის ჩუქების და არა რომანის დაწერის თარიღი. ანალოგიური ჩასაყრის შეცდომასთან გვაქვს საქმე აკადემიურ გამოცემაში B ხელნაწერის თარიღის მითითების დროსაც. აქ B ხელნაწერის თარიღად მითითებულია: 1921 წ. მარტის 1-ს. მაგრამ, როგორც წინა შემთხვევაში, აქაც ეს რომანის დაწერის თარიღი კი არ არის, არამედ ხელნაწერზე გაკეთებული მინაწერის თარიღი. ეს მინაწერი მოთავსებულია ხსენებული ავტოგრაფის პირველ გვერდზე ტექსტის ანგარიშის განხილვის ფურცლის მექანიკით და ასეთი შინაარსისა: „ერთი ცალი ამ რომანისა ვარაზაშვილის კანტორაშია 1921 წ. მარტის 1-ს“. ავტოგრაფის ბოლო გვერდზე კი იმავე მექანიკით, რომლითაც დაწერილია რომანის მთელი ტექსტი, მიწერილია თარიღი: 1920 წ. 23 აგვისტო. რატომღაც ეს თარიღი აკადემიურ გამოცემაში არსად იხსენიება.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ „ხაზართა სასძლო“ დაწერილია არა 1922 წელს, არამედ 1919—20 წლებში. ჩვენი მოსაზრება ეყრდნობა იმ ფაქტებს, რომ ავტორმა 1919 წელს დაბეჭდა ამ რომანის დასაწყისი, რომელიც ასე დაათარიდა: გიორგობისათვის 9 (იხ. გაზ. „საქართველო“ № 244), ხოლო მისი სრული ტექსტის შემკველი დღეისათვის ცნობილი ორივე ავტოგრაფი დათარიღებულია 1920 წლით: C — 1920 წლის თიბათვის 6-ით და B — 1920 წ. 23 აგვისტოთი.

როგორც რ. კუსრაშვილი აღნიშნავს, „გარდატეხა მწერლის შემოქმედებით პროცესში 1918—1919 წლებში შეინიშნება, ხოლო 1920—22 წლებიდან მისი ნაწარმოებების ძირითადი ნაწილი რიტმული პროზის სრულყოფაა“⁷.

როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, „ხაზართა სასძლო“ დაწერილია 1919—20 წლებში. ამრიგად, თუ კუსრაშვილის ზემოხსენებულ თვალსაზრისს იმასაც დავუმატებთ, რომ ბარნოვი წერის თავისებურ მანერას ისტორიული ხასიათის ნაწარმოებებში იყენებდაო, მაშინ გააძლიერდება, რომ „ხაზართა სასძლო“ არის პირველი ნაწარმოები, რომელშიც ბარნოვი მკითხველის წინაშე წარმოდგება, როგორც თავისებური შემოქმედი. თუ ეს მართლაც ასეა, მით უფრო საინტერესოა „ხაზართა სასძლოს“ შემოქმედებით პროცესზე დაკვირვება და მხატვრულ თავისებურებათა გაანალიზება. ამ ინტერესს აძლიერებს ისიც, რომ ე. კოშორიძეს, რომელმაც ყველა მკვლევარზე უფრო ამომწურავად შეისწავლა ბარნოვის ისტორიული რომანების მხატვრული და ენობრივი თავისებურებანი, შე დ ა რ ე ბ ი თ ნ ა კ ლ ე ბ ი. მასალა მოაქვს „ხაზართა სასძლოდან“. ამის მიზეზი, შესაძლოა, იმაში მდგომარეობს, რომ კოშორიძე ბარნოვის შემოქმედებაში გარდატეხის წლებად ჰიჩნევს 1923—25 წლებს. ამდენად, „ხაზართა სასძლო“ კოშორიძესთან ქრონოლოგიური საზღვრის მიღმა აღმოჩნდა (ისიც რომანის დაწერის თარიღად 1922 წელს თვლის).

როგორც არაერთხელ იყო აღნიშნული, ვ. ბარნოვის პროზა რიტმულია. აქ წინადადებები დაყოფილია რიტმულ ერთეულებად.

ბარნოვის რიტმი ძირითადად ემყარება სტილისტურ თავისებურებებს, რასაც ნაწილობრივ ხელს უწყობს განსხვავებული ლექსიკაც.

ვ. ბარნოვის სტილისტურ თავისებურებათა განმსაზღვრელ მრავალ ნიშანს ასახელებენ. მაგრამ „ხაზართა სასძლოს“ მიხედვით ამ თავისებურებათაგან ძირითადად ჩვენ მივიჩნევთ შემდეგს:

1) მარტივი წინადადებების სიხშირე, რთულ ქვეწყობილ წინადა-

⁷ ლიტერატურული ძიებანი, ტ. XIV, 1962, გვ. 358.

დებათა: სიმცირე და მათი ხმარება მაქვემდებარებელი კავშირების გარეშე:

2) კეთილსმოვან ფონემათა განმეორება — ალიტერაცია;

3) საზღვრულ-მსაზღვრელის ხმარება;

4) უშემასმენლო წინადადებები — მიმღეობიანი კონსტრუქციები.

„ხაზართა სასძლოში“ შეინიშნება ყველა ზემოჩამოთვლილი თავისებურება; მაგრამ გამოკვეთილად წარმოდგენილია მხოლოდ პირველი და მესამე — მარტივ წინადადებათა სიჭარბე და საზღვრულ-მსაზღვრელის ხმარება. ორივე ეს თავისებურება ტექსტის რიტმულობას ემსახურება.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ „ხაზართა სასძლოში“ დაცულია ვ. ბარნოვის რიტმის ერთი ნიშანდობლივი თავისებურება: განსხვავებული რიტმით წარმოდგენა დინამიკური და სტატიკური ადგილებისა. ბარნოვის პროზის ეს თავისებურება დახასიათებული აქვს პროფ. შ. რადიანს. იგი წერს: „რამდენადაც რიტმულ პროზას ახასიათებს მოძრაობა და მოქმედება, ვ. ბარნოვიც სტილის ამ ხერხს მიმართავს. იქ, სადაც მძაფრი მოქმედებაა, დინამიკაა. ასეთ შემთხვევაში თვით ბგერათა განვითარებაც გვაგრძობინებს მოქმედების სიმძაფრეს; ხოლო იქ, სადაც საჭიროა რომელიმე მოვლენაზე დადინჯებული, შენელებული თხრობა. მწერალი მიზანშეწონილად ხმარობს რთულ კავშირიან წინადადებას“⁸. მოტანილი ციტატისაგან განსხვავებით „ხაზართა სასძლოში“ რიტმულადაა დაწერილი არა მხოლოდ ის ადგილები „სადაც მძაფრი მოქმედებაა“, არამედ ისიც, სადაც „დადინჯებული, შენელებული თხრობაა“, აქ რიტმი გვხვდება პერსონაჟთა მეტყველებაშიც კი.

ქვემოთ მოგვაქვს. სათანადო მაგალითები:

დინამიკური თხრობა

1. ...მტრის ურდოები შემოეხვივნენ ციხე-სიმაგრეს. შეიქნა ზახილი, ბრძოლა, ყიყინა, შეიჭრა მტერი ციხის გალავანში. ავარდა ალი: მტერმა ცეცხლი მისცა შენობებს. გრგვინვად ისმრდა ცეცხლის გუგუნი. სქეჟავდა ლახტი ფოლადის. ფარზედ. მკახედ ილუწებოდა ჰაერში მებრძოლთ კივილი, მათი შეტევა. ზეაწეულს აღს წითლად გაენათებინა მიდამო. მძიმე ბოლს ჩაებნელებინა ცა უსინათლო (გვ. 300).

2. შეჭგუფდა ხალხი. ქანაობდა მებრძოლთა ტალღა. წამოვიდა ზვირთი ზევისაკენ, შევლო გვირაბი. მისწყდა ზახილი. შეჩუმდა იარა-

⁸ შ. რ ა დ ი ა ნ ი, ვასილ ბარნოვის ისტორიული რომანები, 1944, გვ. 146.

ლის ელერა. დაბოროილდა მტერი ბრძოლის ადგილას, დატრიალდა მბრუნავ მორევად. რასმე ღრეობდნენ. გასცდნენ ადგილსა განსაცდელისას. გრძლადვე წავიდნენ გრაგნილ შარაზედ.

ნაბრძოლ ადგილას შავი რამ ზოლები დააჩნდა ქვეშობს. მებრძოლთ სისხლი თუ იყო უხვად. ნანთქრევი. გმინვა გაისმა, კენესა საზარი (გვ. 330).

3. დაჰკრეს ნალარა. გაისხნა რკალი ზღუდელ მომდგარი ზალხისა. მტკიცის ნაბიჯით შემოვიდა ასპარეზზედ ბლუჩან შემცოდე. ბორკილი აღარ ეღვა. მხოლოდ ხელები ჰქონდა უკან გაკრული. შეაყენეს შეიდნის შუა.... (გვ. 358).

4. კვლავ გაისმა ხმა ნალარისა. ნავარდი დაჰკრეს მხედართ, შემოუარეს. ბლუჩანის ამაყნი თვალნი მიეპყრნენ მეფისკენ. გაისრიალეს ჰაერში ერთსა და იმავე დროს საგდებლებმა ორივე მხრიდან (გვ. 358).

ს ტ ა ტ ი კ უ რ ი თ ხ რ ო ბ ა

1. ერთ წამს შესდგა დედოფალი. თვალი მოავლო იქაურობას. სხვა არავინა სჩანდა მეფის სავანეში, კეისრის გვერდზედ და ვერ გაეგო, რად წარმოსთქვა ესეთი სრტყვა. მხოლოდ რაღაცა ეტრათი ეჭირა მეფეს მისი შესვლისასა და მას ჩაჰკვირვებოდა. ქალმა კარგად ვერ გაარჩია იგი ეტრათი... (გვ. 252).

2. უმძლავრესი მფლობელი კი დიდის ხაზარეთისა უილაჯოდ იტანჯებოდა, სულ მთლად უღონოდ; წამებიდან გამოსასვლელ გზას ვერ ხედავდა; გადაკვეთილი იყო მისთვის ყოველივე სახსარი სასომიხდილი სურვილის აღსრულებისა, საშინელის მისწრაფებისა, ალავარდნილ ვნებისა მცხინვარისა... (გვ. 253).

3. ამოდანუგეშობდნენ, ხაზართა ხაკანი გადაივიწყებდაო უძლიერეს მისწრაფებას თავისის გულისას, დაივიწყებდაო შუშანს მშვენიერს (გვ. 241).

4. — ჰტიქრობ, ხალუმო, დამიწუნებს? თუ დავძაბუნდი ბუმბერაზთ შორის, ისე დავკნინდი გმირად ნაქები, რომ შევიქენი ქალთაგანაც კი დასაწუნი?! (გვ. 243)

როგორც ვხედავთ, ბატალური სცენებისა და დრამატული სურათების აღწერისასა, მართლაც, აშკარაა მარტივი წინადადებათა სიჭარბე რთულთან შედარებით. და საერთოდ, თუ შემომოტანილ ადგილებს დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ ავტორი შეგნებულად არიდებს თავს რთული წინადადებების ხმარებას და ცდილობს გააზრტივოს ისინი.

„ხაზართა სასძლოში“ გვხვდება წინადადებათა ისეთი კონსტრუქციები, რომლებიც რთული წინადადებების ბაღდადაა ნახმარი. ეს ერთ-

გვარი ცდაა რთული წინადადებების გამარტივებისა⁹, რაც შემდეგ ასე ხიზანდობლივი გახდა ბარნოვის შემოქმედებისათვის.

ცნობილია, რომ უკანასკნელ წლებში დაწერილ ბარნოვის თხზულებებში არაიშვიათად ვხვდებით რითმას შემთხვევებს. საგულისხმოა, რომ „ხაზართა სასძლოში“ შეინიშნება რითმის ხმარების რამდენიმე შემთხვევა:

1) „თბილისს მხოლოდ ტოტი დაჰკრა, როგორც ვეფხვმა მსხვერპლისაჲენ გადაფრენილმა და მსწრაფლ დასტოვა ალავერდნილი. გაემართა ჩრდილოეთისაჲენ მტაცებელი იგინადირი“ (გვ. 310).

2) „ისე სცელავს მტრის რაზმს მებრძოლსა, როგორც მთიბავი ღბილ ბალახს ნორჩსა“ (გვ. 290).

3) „ჩაეშვა მთის კალთებიდან ქართველთა ჯარი, გზა გადაუქრა მიმავალ მტერსა. გალადებული არ მოელოდნენ ამ განსაცდელსა“ (გვ. 317).

„ხაზართა სასძლოს“ სტილისათვის დამახასიათებელია მსაზღვრელ-საზღვრულის ინვერსიული წყობა. აქ ჩვეულებრივად გვხვდება ასეთი ფორმები: სურვილს ძლიერს, ქვეყანა მშვენიერი, განცდა ბოროტი, ჭალი უმრწემსი, მთა შეუვალი, მტერს უძინებელს, აფთარს ჯაგარაშლილს და ა. შ.

საზღვრულ-მსაზღვრელის ხმარება იმდენად ჩვეულებრივია ბარნოვისათვის, რომ თუ იშვიათად „წასცდება ხელი“ და დაწერს მსაზღვრელ-საზღვრულს, იგი უმალ ასწორებს მას საზღვრულ-მსაზღვრელად. მაგ. ჯერ დაუწერია: განციფრებული ასიმ, შეუცვლია: ასიმ განციფრებული (გვ. 226), ანდა, იყო: მეტყველი სურათი, შეცვალა: სურათი მეტყველით (გვ. 227) და სხვ.

ჩვენ ერთხელ უკვე მივუთითეთ, რომ ბარნოვი მეტწილად მარტივ წინადადებებს ხმარობს. იგი ყველანაირად ცდილობს გაამარტივოს არა მარტო რთული წინადადება, არამედ მარტივიც კი. მწერალი ამცირებს სიტყვათა რაოდენობას წინადადებაში, იღებს არსებით სახელს, ზედსართავს, ნაცვალსახელს, ზმნიზედას, კავშირს, ნაწილაკს. მაგრამ „ხაზართა სასძლოში“ ჯერ კიდევ არ შეინიშნება ზმნა — შემასმენლის ამოღების შემთხვევები. როგორც ცნობილია, შემდგომ წლებში ბარნოვი იშვიათად ხმარობს წინადადებაში ქართულ ენის ქვაკუთხედს — ზმნას პიმლეობიანი კონსტრუქციებისა და სახელდებითი წინადადებების ხარჯზე. „ხაზართა სასძლოში“ კი თითქმის სრულიად არ ვხვდებით უზმნო წინადადებებს. აქ ავტოგრაფებში ზმნის ამოღების შემთხვევები შეინი-

⁹ ე. კ. შ. ი. რ. ი. ძე, ვ. ბარნოვის ისტორიული რომანების ენა, 1966, გვ. 123.

შენება მხოლოდ მაშინ, თუ ამ ზმნის ფუნქციას ადვილად ასრულებს წინადადების მეორე ანალოგიური ზმნა. მოვიტანთ წინადადების ამა თუ იმ წევრის ამოღების რამდენიმე შემთხვევას:

1). გავიგე, რომ ეს უმცროსი ქალი არჩილისა [ძალიან]¹⁰ ჰგვანდა მამას სახითაც, აღნაგობითაც (გვ. 2).

2). ჩხოსროიანთი ეკლესია მუდამ ღია იყო მეფის სახლობის სალოცავად. ეს არჩილის განკარგულება იყო, რომელიც ხშირად განცალკევდებოდა ამ [პატარა] სავანეში [და] იქ ეტყოდა [თავის] ღმერთს გულის ნაღებს, შესჩივლებდა მას თავის გასაჭირს (C, გვ. 18).

3). „—[როგორ] შემოსულხარ ეკლესიაში; [მე რომ] ვერ განახე? — ლოცვად იყავი [შენ], როდესაც უძღვეველმა სურვილმა [გზად მიმავალი] უნებლიეთ ძალით შემომპაბრუნა საყდარში. [რა] განახე ლოცვად იყავი (C, გვ. 19).

4). „—შენ, როგორა გგონია, ჯუანშერ, განა ის ჯარი გზად რომ ჩამორჩენილნი მოსპო [გუშინ], ჩვენი უმთავრესი ლაშქარი იქნებოდა? ნუთუ ჩვენი ძმა იოანე მეთაურობდა [იმათ]?! (გვ. 67).

5). „[მე] ძალიან მიკვირს, რომ აქამდისინ არ შეუტრა გზა (C, გვ. 67).

6). „დააფიქრა ბლუჩანის დაქვემდებარებულმა ლაპარაკმა [ყველანი] მისი თანამებრძოლები (გვ. 52¹¹).

7). „[უსათუოდ] უნდა გამოვარკვიოთ (B, გვ. 34¹¹) და სხვ.

ბარნოვი იმდენად გატაცებულია წინადადებების 'შეკუმშვით, რომ ხშირად ყურადღებიდან რჩება, — ამა თუ იმ წევრის ამოღებას აზრიც რომ ესწრება. მაგალითად, აშკარად გაბუნდოვანებულია აზრი წინადადებაში: „დაღონებული სახე ჰქონდა მშვენიერს, [რალასაც] მეტყოდნენ მისი თვალები. ვერ [კი] გაეგონებინა“ (CE გვ. 2). დაახლოებით იგივე ითქმის ასეთ შესწორებაზე: იქ, სადაც ლაპარაკია არჩილის დაობლებულ ოჯახზე C-ში ეწერა: მეფის ოჯახი თავს ვერ ანებებდაო „არჩილის განსასვენებელ ადგილს: თითქო მკვდარი შეფეც რალაცა იმედს აძლევდა დაჩაგრულ ოჯახობას თავის საფლავიდან“. ეს ადგილი ასე შეცვალა ავტორმა: „წამებულის ადგილს განსასვენებელს: მეფე იმედს აძლევდა დაობლებულ ოჯახს თვით საფლავიდან“. აქ სიტყვების ამოღების შემდეგ ტექსტის მეორე ნახევარი აზრობრივად აშკარად გაუარესდა.

¹⁰ ოთხჯერ ფრჩხილებში მოთავსებული სიტყვები ამოღებულია რომანის ბოლო ვარიანტიდან.

„ხაზართა სასძლოს“ შექმნისათვის ჩატარებული მუშაობის უდიდესი ნაწილი ნაწარმოების მხატვრულად გაუმჯობესებასთანაა დაკავშირებული. აქ განსაკუთრებით არის გამახვილებული ყურადღება, თუ შეიძლება ასე ითქვას, თხზულების გარეგნულ სამკაულზე — ტექსტის რიტმულობაზე. რიტმულობას ემსახურება ხელნაწერებში შეტანილი სწორებების ღიდი უმრავლესობა. მაგალითად:

იყო:

შეცვალა:

1. ძლიერ მიზიდავდა ბაღს ეს ქალწული.

ძლიერ მიზიდავდა ეს ქალწული ბაღს (C გვ. 1).

2. მაინც უბრუნდებოდა გონება სურათს.

მაინც ვერ ვივიწყებდი, უბრუნდებოდა გონება სურათს (C გვ. 1).

3. მე ის უფრო მიკვირს, რომ მთლად განმარტოვდა მბრძანებელი.

ის უფრო მიკვირს, რომ განმარტოვდა მთლად მბრძანებელი (C გვ. 23).

4. ამის გამო იყო, რომ დააჩქარა დაპყრობილ ქვეყნებიდან ჯარის გამოყვანა,

ეს იყო მიზეზი, რომ ტბილისს დაპყრა, როგორც ვეფხვმა მსხვერპლისაგან გაფრენილმა და მსწრაფლ დასტოვა ალავერდნილი

ეს იყო მიზეზი, რომ ტბილისს მხოლოდ დაპყრა ტოტი, როგორც ვეფხვმა მსხვერპლისაგან გაფრენილმა და მსწრაფლ დასტოვა იგი გაძარცვილი ალავერდნილი, გაემართა ჩრდილოეთისაკენ, როგორც მტაცებელი რამ ნადირი, რომელსაც მსხვერპლი უკვე პირში ეჭირა.

როგორც ვეფხვმა მსხვერპლისაგან გადაფრენილმა და მსწრაფლ დასტოვა ალავერდნილი გაემართა ჩრდილოეთისაკენ მტაცებელი იგი ნადირი, რომლის მსხვერპლი პირში ეჭირა.

5. და აწამა მეფე ქველი ვაჟკაცი მამულისათვის და სჯულისათვის თავდადებული გმირი უტეხი.

და აწამა მეფე ვაჟკაცი, მამულისათვის, სჯულისათვის თავდადებული გმირი უტეხი.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ ბარნოვი, რომელიც ღიდი გატაცებით ამცირებს წინადადებაში სიტყვათა რაოდენობას, არ ერადება მათ გავრცობას მაშინ, როცა ამას შინაგანი რიტმი მოითხოვს. ამ მიზნით ავტორს გაუფრცხვია შემდეგი წინადადებები:

1. უთუოდ ხმას ამოიღებდა, გამაგებინებდა თავის წადილს, გამაგებინებდა სურვილს.

2. გავიდა წლები მრავალი. არ განქრა ჩემში ეს სურათი მეტყველი, არ მიეფარა გონების თვალთაგან.

3. არსად ეწერა რას მეტყოდა მისი ხატება.

უთუოდ ხმას ამოიღებდა გამაგებინებდა თავის წადილს, თავის სურვილს ძლიერს.

გავიდა წლები მრავალი არ განქრა ჩემში ეს სურათი მეტყველი, არ მიეფარა ჩემის გონების თვალთაგან იგი.

არსად ეწერა რას მეტყოდა მისი ხატება, რას მიბრძანებდა.

როგორც ზემომოტანილი მაგალითებიდან ჩანს, ბარნოვი ტექსტში შინაგანი რიტმის შევოტანისათვის არა მხოლოდ ავრცობს ან ამოკლებს წინადადებებს. არამედ გადაადგილებს და ცვლის სიტყვებს, ზოგჯერ უფრო შეუფერებელი ფორმიტაც კი.

ამრიგად, „ხაზართა სასძლოს“ ვ. ბარნოვმა ზორცი შეასხა და მკითხველის თვალწინ გააცოცხლა საუკუნეთა მიღმა მომხდარი ისტორიული ფაქტები. მან თვალნათლივ წარმოგვიდგინა ჩვენი წარსულის სახელოვანი აღამიანები. მართალია, აქ ზოგჯერ ამა თუ იმ პერსონაჟის ხასიათი მთლიანად ვერ ვლინდება მოქმედებაში, მაგრამ ყოველი მათგანის შინაგანი ბუნება ნაკარნახევია სათანადო ისტორიული ფონით, რაც დამაჯერებლობას მატებს მათ მხატვრულ სახეს.

რომანის შედარება ისტორიულ წყაროებთან ნათელყოფს იმ დიდ შემოქმედებით შრომას, რომელიც ავტორს ნაწარმოების შექმნისათვის უწარმოებია. მაგრამ, როგორც მწერლის შემოქმედებითი ლაბორატორიის შესწავლით დასტურდება, შემოქმედებითი შრომის დიდი ნაწილი ბარნოვს გაუწევია „ხაზართა სასძლოს“ მხატვრულად სრულყოფისათვის. ნაწარმოების მხატვრულობა, მისი ენობრივი სამკაულის მიშზიდველობა, შინაგანი რიტმი და ელერადობა განსაზღვრავს იმ სწორებათა უმრავლესობას, რომელიც ავტორს „ხაზართა სასძლოს“ შექმნისათვის ჩაუტარებია.

თხზულებათა განლაგება აკადემიურ გამოცემაში

თხზულებათა აკადემიური გამოცემის დროს დიდი და გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა თითქმის ყველა საკითხის მოგვარებას, რაც ავტორისეული ტექსტის სრულყოფას მოგვცემს. გადამწყვეტია, მაგალითად, ნაწარმოებთა ხელნაწერი და ნაბეჭდი წყაროების არსებობა, ძირითადი ტექსტის შერჩევა-დადგენა, ტექსტის დათარიღება, ატრიბუციის საკითხი, თითოეული ტექსტისათვის სამეცნიერო აპარატის დართვა და სხვა. მთელი ეს სიმძიმე და პასუხისმგებლობა ამ საქმეში პირველყოფლისა გამომცემელ-ტექსტოლოგს ეკისრება. მაგრამ არის კიდევ ერთი სირთულე, რომელზედაც არაერთხელ დაფიქრებულან ავტორები და უფრო მეტად ტომის შემდგენლები: საკითხი, თუ როგორ დალაგდეს ნაწარმოებები გამოცემებში, ისეთი საკითხია, რომელიც პაშინვე წამოიჭრება ავტორისა და ტექსტოლოგი გამომცემლის წინაშე. როგორც კი ტექსტები დამზადდება გამოსაცემად. ამ საკითხის სირთულეს მისი სხვადასხვა პრინციპი ქმნის. სხვადასხვა პრინციპის გამოყენება კი დამოკიდებულია გამოცემათა ტიპებზე, მათ რაობაზე. ასევე მწერლის შემოქმედების ხასიათზე. გამომცემელი (ან ავტორი) ამ საკითხის გადაჭრაში შედარებით შეუზღუდველია მასობრივ, პოპულარულ გამოცემებში. მას შეუძლია ნაწარმოებები დაალაგოს ნებისმიერად, იმისდა მიხედვით, თუ როგორ სურს მიაწოდოს მკითხველს ამა თუ იმ მწერლის შემოქმედება: ჟანრობრივად, თემატურად, ქრონოლოგიურად თუ სხვა რაიმე ნიშნის მიხედვით. მაგალითად, 1883 წელს გამოცემულ ტუტჩევის კრებულში ტექსტები ასეა განაწილებული: „ბუნება“, „სიყვარული“, „ცხოვრება“, „ისტორია“ და ა. შ.

ალექსანდრე ბლოკის ორტომეულში (1933 წ., რედაქტორ-გამომცემელი ვლ. ორლოვი) კი ნაწარმოებები დალაგებულია ჟანრობრივ-ქრონოლოგიურად (ლექსები, პოემები, თეატრი და ეპისტოლარული

ნემკვიდრობა). როგორც რედაქტორი აღნიშნავს, ბლოკის ლექსები დათარიღებულია ძირითადად ავტორისეული თარიღებით. თუმცა ზოგან შესწორებებიც შეუტანია, თუ ამისათვის სათანადო მასალები მოეპოვებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ორტომეული ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის არის განკუთვნილი და თავისი ტიპიურობისა და ხასიათის მიხედვით არავითარი სპეციალური მიზანი არა აქვს, გამომცემელმა მაინც საჭიროდ ჩათვალა, მისი აზრით, საინტერესო და მნიშვნელოვანი ვარიანტული სხვაობების, რედაქციების და კომენტარების დართვა.¹

სულ სხვაგვარად არის გამოცემული პაოლო იაშვილის თხზულებათა სრული კრებული (1965 წ.). მასში, მართალია, ყანრების მიხედვითაა ტექსტები დალაგებული, მაგრამ თითოეულ ყანრში ისინი ხარისხის მიხედვით ნაწილდება. როგორც ჩანს, რედაქტორს (ა. გომიანიშვილს) თავისი გემოვნებით დაულაგებია ტექსტები, რაც, რასაკვირველია, ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას გამორიცხავს. თავისებურია ლექსების დაჯგუფება განყოფილებაში „პოეზია“. ეს განყოფილება იხსნება 1924—1937 წლებში დაწერილი ლექსებით, შემდეგ მათ მოსდევს უთარილო ლექსები („უთარილონი“), შემდეგ ისევ თარიღიანი — 1913—1923 წლებში დაწერილი, ბოლოს კი „ელენე დარიანის დღიურების“ სათაურის ქვეშ გაერთიანებული ლექსები. შესაძლებელია უკეთესი ყოფილიყო ტექსტების ასე განაწილება: 1913—1923 წლებში დაწერილი ლექსები, შემდეგ „ელენე დარიანის დღიურები“ (რადგანაც მასში შემავალი ლექსები 1915—1924 წლებს ეკუთვნის), 1924—1934 წწ. დაწერილი ლექსები და ბოლოს უთარილონი. მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კრებული მასობრივი ხასიათისაა და გამომცემელმა ისე გამოსცა იგი, როგორც მას მიზანშეწონილად მიაჩნდა.

გაცილებით მეტ სირთულეს ქმნის თხზულებათა განლაგების საკითხის გადაწყვეტა აკადემიურ და მეცნიერულ გამოცემებში. სხვა ტიპის გამოცემებთან შედარებით, მათ უფრო მკაცრი, ზუსტი და დიკანონებული წესები აქვთ (განსაკუთრებით აკადემიურს), რის გამოც თითქმის ყველა საკითხში შეზღუდულია მათ მიმართ ნებისმიერი მიდგომა. ამიტომ საბჭოთა ტექსტოლოგების წინაშე წამოიჭრა მთელი რიგი საკითხებისა, რომლებიც გამომცემაში ტექსტების განლაგებასთან არიან დაკავშირებულნი, კერძოდ: როგორ დაუკავშირდეს გამომცემათა ტიპები ნაწარმოებთა განლაგების პრინციპს? ერთხელ შემუშავებული პრინციპი მისაღებია თუ არა ყველა შემთხვევაში? შეიძლება თუ არა

¹ А. Л. Блок, Сочинения, 1933, т. I, стр. 703—704.

ხვადასხვა პრინციპის გაერთიანება ერთ სინთეტურ პრინციპად და
:ოლოს, როგორ მოვექცეთ ზემოხსენებულ გამოცემებში ავტორის
ებას, რომლის მიხედვითაც განაწილდა ტექსტები.

ტექსტოლოგიაში ნაწარმოებთა განლაგების სამი პრინციპია მილე-
ბული: **ქანობრივი**, **თემატური** და **ქრონოლოგიური**. აკადემიურ და
ქეცნიერულ გამოცემებში გამომცემელმა შეიძლება იხელმძღვანელოს
ითოეული ამ პრინციპის მიხედვით და ნაწარმოებები დაალაგოს ან
ხოლოდ ქანობრივად, ან თემატურად ან ქრონოლოგიურად. ანდა
ინთეტური პრინციპით: ქანობრივ-ქრონოლოგიურად, თემატურ-
ქრონოლოგიურად/თემატური დალაგება ტექსტებისა უფრო მიღებუ-
ლია საბავშვო გამოცემებსა და სახელმძღვანელოებში. მათში შეიძლე-
ა ნაწარმოებები დალაგდეს თემების მიხედვით; ისტორიული ცალკე,
გეოგრაფიული ცალკე, ასტრონომიული ცალკე და ა. შ. საყმაწვილო
გამოცემებში კი შეიძლება უფრო ქანობრივი პრინციპი გამოვიყუ-
ნოთ (გამოყოფილ იქნეს ერთმანეთისაგან ლექსები, პოემები, მოთხ-
რობები, პუბლიცისტური წერილები და სხვა). რასაკვირველია, გაცი-
ლებით მეტს მოიგებს გამოცემა, თუ ამავე დროს ქრონოლოგიურ
პრინციპსაც მივუყენებთ ქანობრივ თუ თემატურ დალაგებას.

აქ არ შევეხებით, როგორ არის საქმე ამ მხრივ ჩვენს მხატვრულ
ლიტერატურაში. ამის განხილვა ჩვენი წინამდებარე ხაზრომის მიზანს
არ წარმოადგენს (თუმცა გზადაგზა მაინც მოგვაქვს საილუსტრაციოდ
მსობრივი გამოცემები, როცა ამას ჩვენი თემის საჭიროება მოი-
თხოვს). შეგვიძლია მხოლოდ გავიმეოროთ ზემოთ ნათქვამი: მსობრივ
გამოცემებში გამომცემელი ნაკლებ შეზღუდულია და ისე მკაცრად არ
იცავს დაკანონებულ წესებს, როგორც ამას აკადემიურ და მეცნიერულ
გამოცემებში აკეთებს.

ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპების გამოყენება ჩვენში არც ისე
ახალი მოვლენაა. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70—80-იან წლებში
თანდათანობით ფეხს იკიდებს ტექსტების ქანობრივი თუ ქრონოლო-
გიური დალაგება. 1892—1893 წლებში გამოსული ი. ჰევკავადის
თხზულებანი ტომებში ქანრების მიხედვით არის დანაწილებული; ხო-
ლო 1893 წელს გამოსულ გრ. ორბელიანის თხზულებათა კრებულში
გამომცემელმა პ. უმიკაშვილმა ტექსტები ქრონოლოგიურად დაალაგა.²
მაგრამ მანვე დაარღვია ეს წესი ვახტანგ ორბელიანის თხზულებათა

² ი. ლორთქიფანიძე, ტექსტოლოგია, როგორც მეცნიერება; ტექსტო-
ლოგიის საკითხები, წიგნი I, 1970, გვ. 9.

სრული კრებულის გამოცემის დროს (1894 წ.) და ტექსტები დაალაგა არაქრონოლოგიური თანამიმდევრობით³.

არადამაკმაყოფილებელია ამ მხრივ ე. ნინოშვილის თხზულებათა 1904, 1920 წლების გამოცემანი. და 1925 წელს დაბეჭდილი მისივე სრული კრებული ორ ტომად, რომელსაც აკადემიური გამოცემა ეწოდება.

„ჩერხნობით ჩვენში ძალიან ძნელი არის ქართველი კლასიკოსების შესაფერისად გამოცემა, აკადემიურ გამოცემაზე რომ არ ვილაპარაკოთ“⁴, — გულისტყვილით აღნიშნავდა ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მკვლევარი სიმონ ხუნდაძე. შეიძლება ითქვას, რომ ს. ხუნდაძე ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელმაც დასაბამი მისცა ტექსტებზე დიდი მეცნიერული მუშაობის ჩატარებას. მისთვის აკადემიური გამოცემის მომზადება ნიშნავდა დიდ საპასუხისმგებლო და შეტად რთულ საქმეს. იგი მომხრე იყო აკადემიური გამოცემისათვის „შემუშავებული წესების მკაცრად დაკანონებისა და 30—40 წლის წიხათ თავის საგანომცემლო მუშაობაში ძირითადად იმავე მეთოდითა და პრინციპებით ზელმძღვანელობდა, როგორც დღეს საბჭოთა ტექსტოლოგიაში მიღებული.

სიმ. ხუნდაძე გამოცემებში ნაწარმოებთა განლაგებისათვის ქრონოლოგიურ პრინციპს იზიარებდა, რადგანაც ქრონოლოგიური თანამიმდევრობის დაცვა „...ერთი მხრით, საშუალებას იძლევა მკითხველს ნათლად უჩვენოს თვით მწერლის თანდათან ზრდა, მისი აზროვნებისა და მსოფლმხედველობის ევოლუცია. მეორე მხრივ, გააცნოს ისტორიული თანამიმდევრობის მიხედვით ის საკითხები, რომლებიც ამა თუ იმ ეპოქაში წამოიჭრებოდა. ამრიგად, ქრონოლოგიური წესით მკითხველი უფრო ღრმად და სრულად ეცნობა. როგორც ეპოქის (ან ეპოქების) შინაარსს, ისე თვით მწერლის თანდათანობით განვითარებას“⁵.

თანამედროვე ტექსტოლოგიაში ნაწარმოებთა განლაგების საკითხს ჰსპეციალურად შეეხნენ აკად. დ. ლიხაჩოვი და ე. პროხოროვი⁶. ორივე ავტორის მოსაზრებები პრინციპში თანხვედება ერთმანეთს, კერძოდ: 1) რომ გამოცემებში ნაწარმოებთა განლაგება დაძოვილებულია

3 ნ. კილანავა, ვახტანგ ორბელიანის თხზულებათა გამოცემანი, ტექსტოლოგიის საკითხები, წიგნი, 1, 1970, გვ. 220.

4 გ. წერეთელი, პუბლიცისტური წერილები ტ. I, გვ. XII.

5 სიმ. ხუნდაძე, ნიკოლაძე, მოგონებანი, პუბლიცისტური წერილები, ტ. I, გვ. 9—10.

6 დ. ლიხაჩოვი, Расположение произведений в изданий, Текстология, краткий очерк, 1964, გვ. 90—93 და ე. პროხოროვის იმავე სათაურით წერილი, დაბეჭდილი კრებულში, „Основы текстологии“, 1962, გვ. 158—171.

მწერლის შემოქმედების ხასიათსა და გამოცემის ტიპზე. 2) ძირითადი პრინციპი ქრონოლოგიურ-ქანობრივია. 3) რომ ქრონოლოგიური განლაგება ტექსტებისა მკაცრად უნდა იყოს დაცული კრიტიკულ გამოცემებში. 4) ასევე ამ ტიპის გამოცემაში აუცილებლად უხდა შევიდეს მწერლის მიერ უარყოფილი და დაწუნებული ნაწარმოებები, რასაკვირველია, გარკვეული მითითებით ან შენიშვნის დართვით და სხვა. ამ უკანასკნელში ეს ორი ავტორი ოდნავ სცილდება ერთმანეთს: ე. პროხოროვი მოითხოვს მწერლის მიერ ყველა უარყოფილი ნაწარმოების უკლებლივ შეტანას კრიტიკულ გამოცემაში, დ. ლიხაჩოვი კი უფრო მეტ სიფრთხილეს იჩენს და ამბობს: „ამ შემთხვევაში შესწავლილ უნდა იქნეს ის ვითარება, ის შემოქმედებითი თუ არაშემოქმედებითი პერიოდი, რომლის დროსაც ავტორს დასჭირდა თავისი ნაწერის უარყოფა, ან როდესაც მოისურვა მან თავისი ნაწერების დალაგება ტომებში გარკვეულ პერიოდებად“. ამ მკვლევართა შეხედულებებზე გზადაგზა შევჩერდებით ქვემოთ.

ის გამოცემა, რომელიც გულისხმობს მეცნიერულად ტექსტის შესწავლას, ტექსტის ისტორიას და აქედან გამომდინარე მწერლის მთელი შემოქმედებითი გზის ისტორიის დადგენას, რასაკვირველია, დამაკმაყოფილებელ სურათს ვერ მოგვეცემა, თუ ზემოთ ჩამოთვლილ განლაგების პრინციპებს ცალ-ცალკე მივუყენებდით მათ. ამიტომ ამგვარ გამოცემებში ძირითად, მაგრამ არა ერთადერთ პრინციპად მიღებულ იქნა სინთეტური პრინციპი: ქანობრივ-ქრონოლოგიური. მისი გამოყენება უმეტეს შემთხვევაში დადებით შედეგს იძლევა და ნათელ სურათს ქმნის მწერლის შემოქმედებით პროცესზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მკვლევარს უადვილდება მწერლის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლა და მისი განვითარების ეტაპების დადგენა. ამიტომ, მაგალითად, ე. პროხოროვი ისე მკაცრად იცავს ამ პრინციპის გატარებას თხზულებათა გამოცემის დროს, რომ იგი მასობრივ მეცნიერულ-პოპულარულ გამოცემებშიც კი უარყოფს მის აღრევას. ხშირად გამოცემლები ამ დროს მწერლის კარგ ნაწარმოებებს წინ მოათავსებენ ხოლმე და კრებულს ან მთელ გამოცემას ამ ნაწარმოებებით ხსნიან, შემდეგ კი მოდის ავტორის ნაკლებხარისხოვანი ან ყრმობისდროინდელი ნაწერები. ე. პროხოროვი კატეგორიულად უარყოფს თხზულებათა ასეთ განლაგებას და აღნიშნავს, რომ იგი ტრადიციულ გახდა კრიტიკული გამოცემებისთვისაცო (გვ. 160), თუმცა იქვე დასძენს, რომ ქრონოლოგიური აღრევა გამოწვევის შემთხვევებში მაინც დასაშვებია უმაღლესი ტიპის გამოცემებში.

ქრონოლოგიური პრინციპის დარღვევის მაგალითები გვაქვს ქართულ კრიტიკულ გამოცემებში. თითქმის ვერ ვნახავთ ვერცერთ აკადემიურ ან მეცნიერულ გამოცემას ქართველი კლასიკოსისას, რომელშიც არ იყოს დარღვეული ეს პრინციპი, მასთან ერთად ზოგჯერ უანრობრივიც, რასაც გამომცემლები მხოლოდ ერთი გარემოებით ამართლებენ: ეს მწერალი კლასიკოსია. მკითხველის თვალში იგი კლასიკოსი, სიტყვის დიდი ოსტატი უნდა იყოს. მისი ადრინდელი, თუნდაც სუსტი ნაწარმოებები კლასიკოს მწერალს სახელს გაუტენს, მკითხველის თვალში ფასს დაუკარგავსო.

ყველასათვის ცნობილია, რომ ხელოვნების ყველა დარგში, ასევე ლიტერატურის დარგშიც არ არსებობს კლასიკოსი შემოქმედი, რომელსაც იმ შედეგების გვერდით, რომლებმაც ავტორს კლასიკოსის სახელი მოუტანეს, არ გააჩნდეს შედარებით სუსტი და მდარე ნაწარმოები, ამიტომ მკითხველს და განსაკუთრებით მკვლევარს მუდამ აინტერესებს, შემოქმედმა ხელოვნებისა თუ ლიტერატურის მწვერვალები შემოქმედების რა საფეხურების გავლით დაიპყრო, როგორ მიაღწია მან დიდებას, როგორ შევიდა შემოქმედების სამყაროში — სუსტი თუ თავიდანვე ძლიერი ნაბიჯებით. ამიტომ ასეთი კლასიკოსების ქრონოლოგიურად წინმდგომი სუსტი ნაწარმოებების უკანა პლანზე გადაწევა ან მათი მთლიანად ამოღება უფრო გაუგებრობას ქმნის და ვერავითარ გამართლებას ვერ ჰპოვებს.

ზემოთ ნათქვამის ნიმუშები ქართულ ლიტერატურაში ბევრია, მაგრამ დაკვირვებით ზოგი მათგანის აღნიშვნით.

1960—1963 წლებში გამოვიდა აკაკი წერეთლის თხზულებათა თხუთმეტტომეულის აკადემიური გამოცემა. აქ აღარ შევჩერდებით იმაზე, თუ რამდენად კარგი საქმე გაკეთდა ამით ქართული კულტურისა და ლიტერატურისათვის. ჩვენთვის საინტერესოა, როგორ იცავს იგი აკადემიური გამოცემისათვის თხზულებათა განლაგების წესს. I—IV ტომში მოთავსებულია ლირიკა, რომელიც დაჯგუფებულია ასე: პირველად მიდის ორიგინალური ლექსები, მას მიჰყვება ნათარგმნი ლექსები და ბოლოს მოთავსებულია ყრმობისდროინდელი ლექსები. ორიგინალური ლექსებიდან ჯერ თარიღიანი ლექსებია, რომლებსაც შემდეგ უთარიღონი მოსდევს. უმჯობესი იყო აკადემიურ გამოცემაში ეს ლექსები ასე დალაგებულიყო: ყრმობისდროინდელი ლექსები, შემდეგ ქრონოლოგიურად მათი მომდევნო ლექსები, უთარიღონი და ბოლოს თარგმანები. აკაკი წერეთლის აკადემიური გამოცემის პირველ ოთხ ტომში, მაშასადამე დარღვეულია როგორც ნაწარმოებთა განლაგება, ისე ქრონოლოგიური პრინციპი. V—VI ტომებში შედის ჯერ პო-

ემები, შემდეგ გადმოკეთებული და აღრეული ნაწერები. ამ უკანასკნელშიც აღრეულია ქრონოლოგია. ჯერ დაბეჭდილია „გორის ციხე“ (1892 წ.), შემდეგ „მეუღაბნოე“ (1889 წ.) და ბოლოს „ალექსი“ (1869 წ.). გამოცემის ძირითად ტექსტებს ცალკე დამოუკიდებელ ტექსტებად მოსდევს მათივე რედაქციები და ვარიანტები და ხაწყვეტები. ნაწყვეტები, ბუნებრივია, ტომს ბოლოს უნდა ერთვოდეს, მაგრამ ძირითადი ტექსტების ვარიანტები რომ კვლავ დამოუკიდებელ ლექსებად იბეჭდება, ეს მიზანშეწონილი არ არის.

პოეზიის შემდეგ VII ტომიდან იწყება პროზა. ეს ჟანრი იხსნება „ჩემი თავგადასავლით“ (1894—1908), მას „ბაში-აჩუკი“ (1896) მოსდევს, ხოლო შემდეგ ცალკე განყოფილებად გამოყოფილია მოთხრობები. გამომცემლებს ტომის დასაწყისში შეგნებულად აქვთ აღრეული ქრონოლოგიური თანმიმდევრობა (პროზას „ჩემი თავგადასავლითა“ და „ბაში-აჩუკით“ ვიწყებთო) იმიტომ, რომ აკაკის საუკეთესო თხზულებანი წამოსწიონ წინა პლანზე. პუბლიცისტურ წერილებში კი ზუსტადაა დაცული ქრონოლოგიური თანმიმდევრობა. ჩვენ პუბლიცისტური წერილები ქრონოლოგიურად დავალაგეთ, „როგორც ეს აკადემიური გამოცემის ხასიათს შეეფერებოდაო“ — აღნიშნავს მე-11 ტომის შესახებ მისი რედაქტორი გ. აბზიანიძე (გვ. 527, ტ. 11). როგორც ვხედავთ, ის, რომ ქრონოლოგიური პრინციპის დაცვა აკადემიური გამოცემისათვის დაკანონებულია, აკაკის თხზულებათა 15 ტომეულის გამომცემლებისათვის ცხადია, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათ მაინც არასწორად დაალაგეს ამ გამოცემაში მხატვრული ნაწარმოებები. ალბათ მხოლოდ იმიტომ, რომ აკაკი წერეთლის ავტორიტეტი ძველთხველის თვალში არ დაცემულიყო. სჭირდებოდა კია ასეთი „გაფრთხილება“ ჩვენს დიდ პოეტს ხალხის წინაშე?

ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს გ. ტაბიძის აკადემიურ გამოცემაში. მისი ე. წ. ბევრი სუსტი ლექსი ამოღებულ იქნა; ხოლო მე-7 ტომში მოთავსებული ლექსები რედაქტორების გეგმონების მიხედვით ზოგი კორპუსით დაბეჭდეს და ზოგი პეტიტით. კორპუსით უკეთესი ლექსები დაიბეჭდა, პეტიტით — შედარებით სუსტი ლექსები. რა გამოვიდა ამით? პეტიტით დაბეჭდილი „სუსტი“ ლექსები ხომ უფრო ხაზს უსვამს მკითხველის თვალში მათ სისუსტეს?

შედარებით უფრო მოწესრიგებულია ამ მხრივ საქმე ვაჟა-ფშაველას თხზულებათა აკადემიური გამოცემის ატომეულში (1964 წ.). მასში ასეა განლაგებული ნაწარმოებები: I—II ტომებში ლექსებია მოთავსებული, III—IV ტომებში პოემები, V—VI ტომებში მოთხრობები, VII ტომში მოთხრობები და დრამატული ნაწერები, VIII ტომში

თარგმანები, IX—X ტომში პუბლიცისტური წერილები, მიმოწერები და სხვა დოკუმენტები.

აქაც ფაქტიურად დარღვეულია ქრონოლოგიური პრიციპი იმის გამო, რომ ლექსები იწყება არა ადრინდელი პერიოდიდან, არამედ იმ პერიოდიდან, როცა პოეტი უკვე ჩამოყალიბებული 'შემოქმედია. ხოლო ადრინდელი ე. წ. ყრმობისდროინდელი ლექსები II ტომის ბოლოს არის მოთავსებული და ცალკეა გამოყოფილი სათაურით „ყრმობისდროინდელი ლექსები“.

იგივე ითქმის ვ. ბარნოვის აკადემიურ გამოცემაზე (10 ტომად 1961—1964 წწ.). დიდ პროზაიკოსს სამწერლო მოღვაწეობა ლექსებით დაუწყია. ეს დასაწყისი პერიოდი პირველ ტომში კი არ არის მოთავსებული, არამედ გადატანილია IX ტომში, რითაც ირღვევა ქრონოლოგიურად ნაწარმოებების დალაგების პრინციპი.

ყრმობისდროინდელი ლექსების ადგილს აკადემიურ გამოცემაში სპეციალურად იხება ლ. ჭრელაშვილი თავის წერილში „თხზულებათა სრული კრებულის აკადემიური გამოცემა“ (იხ. კრებ. „ტექსტოლოგიის საკითხები“, წიგნი I, 1970 წ.), მაგრამ გადამწყვეტ პასუხს მაინც ვერ იძლევა. იგი წერს: „ყრმობისდროინდელი ლექსები დამატების სახით ერთვის ვაჟა-ფშაველას თხზულებათა სრული კრებულის აკადემიური გამოცემის ხუთტომეულის პირველ ტომს (ეს იგივე ათტომეულია, რომელიც ხუთტომეულის განმეორებითი გამოცემა — რ. კ.), ხოლო მ. ლერმონტოვის თხზულებათა აკადემიური გამოცემის ექვსტომეულში (1954—1957 წწ.) კი დასაწყისშია დაბეჭდილი. მაშასადამე, არსებობს ამ საკითხის სხვადასხვანაირი გადაწყვეტა. ერთი ტიპის გამოცემებში აღნიშნული საკითხის სხვადასხვანაირად გადაწყვეტა გამოცემათა სახის აღრევის შედეგია. მწერლის თხზულებათა სრული კრებულის აკადემიურ გამოცემაში ყრმობისდროინდელი ნაწარმოებები დასაწყისში უნდა დაიბეჭდოს, მაგრამ როცა ასეთი გამოცემა დიდი ტირაჟით იბეჭდება, იძულებული ვართ ბოლოში მოვათავსოთ“ (გვ. 26—27). არ უნდა იყოს სწორი ლ. ჭრელაშვილი, როცა ამ საკითხს ასეთ ახსნას უკეთებს. მთავარია აქ გამოცემათა ტიპის დამახასიათებელი ნიშნები, მისთვის დაკანონებული წესები და არა ტირაჟი. ტირაჟს, რასაკვირველია; მნიშვნელობა აქვს, მაგრამ არა გადაწყვეტი. თუ ტირაჟის გამო აკადემიური გამოცემა დაკარგავს თავის სახეს, მაშინ ამ გამოცემას აკადემიური აღარც უნდა დაერქვას. მაგრამ რადგანაც აკადემიურის პრეტენზიით გამოდის, სრული უფლება გვაქვს მოვითხოვოთ ყველაფერი, რაც აკადემიურ გამოცემას მოეთხოვება. ალბათ, ასეთი „იძულებებია“ დაშვებული, რის გამოც თეორია და პრაქტიკა აკადემი-

ერი გამოცემისა ბევრ საკითხში სცილდება ერთმანეთს და, ე. პროხო-როვის თქმისა არ იყოს, ტრადიციულად ქვეულა მეცნიერების ამ დარ-გში.

გაუგებარია, რა პრინციპით არის დალაგებული ნ. ბარათაშვილის 1968 წლის საიუბილეო გამოცემა (ტექსტების გამომცემელი პ. ინგო-ჩოყვა). იგი აკადემიური თუ არა, მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემა მაინც არის, რადგანაც გამომცემელი მსჯელობს ნ. ბარათაშვილის თხზულებათა კანონიკურ ტექსტებზე, ცდილობს დაადგინოს ასეთი ტექ-სტები, ცდილობს მოგვეცეს ტექსტის ისტორია და ხელნაწერების ვარი-ანტული სხვაობები. კრებულს დართული აქვს კომენტარები და შენი-შვნები. მაგრამ ამ გამოცემაში არასწორად არის დალაგებული ტექს-ტები. კერძოდ: ჯერ მიდის ლექსები, შემდეგ პოემა („ბედი ქართლისა“), შემდეგ ძირითადი ლექსების რედაქციები ასევე დამოუკიდებელ ლექ-სებად; ამას მოსდევს ყრმობისდროინდელი ლექსები, შემდეგ ერთი სახუმარო ეპიგრამა და ბოლოს წერილები. როგორც ზემოთ არაერთ-ხელ აღვნიშნეთ, ასეთი დალაგება ტექსტებისა ამგვარი გამოცემისათ-ვის მიუღებელია. მკითხველისათვის ბუნდოვანი რჩება ის სამწერლო გზა, რომელიც პოეტმა დასაწყისიდან დასასრულამდე გაიარა. ნ. ბარათ-აშვილის საიუბილეო კრებული მოიგებდა, რომ მასში ტექსტთა ქრო-ნოლოგიური თანმიმდევრობა ყოფილიყო დაცული; ყრმობისდროინ-დელი ლექსები, შემდეგ დანარჩენი ლექსები, მათ შორის ეპიგრამაც და პოემა. რაც შეეხება ძირითად რედაქციებს, ისინი ჯობდა ამ თითოეუ-ლი ძირითადი ტექსტის სამეცნიერო აპარატში მოთავსებულები და და-მოუკიდებელ ლექსებად არ წასულიყო. ნ. ბარათაშვილის 1968 წლის საიუბილეო გამოცემა ანალოგიურია 1945 წლის საიუბილეო გამოცე-მისა, იმ განსხვავებით, რომ 1945 წლის გამოცემაში ცალკე ლექსებად არ არის გამოყოფილი ძირითადი ტექსტების რედაქციები. ასევე აქ ტექსტებს დართული აქვს უფრო ვრცელი ვარიანტები; ვიდრე 1968 წლის გამოცემაშია. როგორც ჩანს, ამ მხრივ 1945 წლის საიუბილეო გამოცემა ტექსტოლოგიური თვალსაზრისით უფრო სრულყოფილია, ვიდრე 1968 წლის გამოცემა.

1940 წელს გამოვიდა ი. გრიშაშვილის მიერ შედგენილი ალ. ჭავ-ჭავაძის თხზულებათა აკადემიური გამოცემა, ი. გრიშაშვილის რედაქ-ციით, შესავლით, შენიშვნებითა და ლექსიკონით. „წინამდებარე გამო-ცემა წარმოადგენს ალ. ჭავჭავაძის ტექსტის აკადემიური დადგენილე-ბის პირველ ცდასო“ — წერს გამომცემელი. გამოცემა მაქსიმალურად შევსებული და სრულია (დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ჩვენი წერი-ლი „ი. გრიშაშვილი რედაქტორი-გამომცემელი“, კრებ. „ტექსტოლო-

გის საკითხები, წიგნი II, 1970, გვ. 11). მაგრამ ჩვენ ამჟამად გვინტერესებს მასში ტექსტების განლაგების საკითხი. ტომი იწყება ორი გინალური ლექსებით, პოეზიას მოსდევს თარგმანები, ხოლო დამატების სახით—პროზა. არცერთი ტექსტი დათარიღებული არ არის, გარდა ერთი-ორი თარგმანისა. არც მეცნიერულ აპარატში ეხება ი. გრიშაშვილი დათარიღების საკითხს. კმაყოფილება მხოლოდ იმით, რომ თუ ძირითად ტექსტს საფუძვლად უდევს ავტოგრაფი, ამას აუცილებლად აღნიშნავს, მაგრამ ეს ავტოგრაფი დათარიღებულია თუ არა, მის შესახებ არაფერს ამბობს. შესავლიდან ჩანს, რომ ი. გრიშაშვილს ტექსტების დათარიღებისათვის შეგნებულად აუვლია გვერდი. „ზოგიერთი ლექსის დათარიღებას მოვერიდეთ მასალების უქონლობის გამო“ — წერს იგი. თვითონ ტექსტები კი დაულაგებია იმავე თანმიმდევრობით, როგორც 1881 წლის ალ. ჭავჭავაძის თხზულებათა პირველ კრებულშია. თუმცა გამომცემლისთვისაც ტექსტების ასეთი განლაგება ცოტა გაუგებარი ყოფილა, რადგანაც ასე წერს 1881 წლის კრებულის შემდგენლებზე: „ილია ჭავჭავაძეს, პ. უმიკაშვილს, გ. თუმანიშვილს ალბათ რაიმე მოსაზრება ჰქონდათ, როცა ამ უთარიღო ლექსებს ასე აწყობდნენ! დე, ეს ჭაშნიკი მათ დაეუტოვოთ“ (გვ. VXXIX). 1881 წლის გამომცემლებს რომ არ შეეძლოთ ტექსტების დათარიღება, ეს გასაგებია, მათ ხომ არცერთი ავტოგრაფი არ ჰქონდათ ხელთ. ამავე დროს ის იყო პირველი ცდა ალ. ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის გამომცემისა. ი. გრიშაშვილი ამ მხრივ ბედნიერი გამომცემელი იყო, მან 40-მდე ავტოგრაფს მიაკვლია. ამათგან ერთი ნაწილი თვით ალ. ჭავჭავაძისა აწყობილია დათარიღებული საერთო თარიღით—1808 წლით, ხოლო რე ნაწილზე დ. კარიჭაშვილს მიუწერია—„დაწერილია არაუადრეს“ წელს. ქაღალდი ამ წლისააო“ (გვ. VXXVX—VXXVII). ლექსების გვეყუელ ნაწილზე კი თვითონ ი. გრიშაშვილი წერს: „ყველა ეს ლექსი, რომელიც პერობილობის უამს არის დაწერილი და რომელთაც ქვემ ძველი რედაქტორების მიერ მიწერილი ჰქონდათ — „კაზარმობის დროს თქმული“—ეკუთვნის 1804 წელს, პოეტის პირველი პატიმრობის პერიოდს და არა 1832 წელს“ (გვ. VXXIX); როგორც ჩანს, გამომცემელს ავტოგრაფიდან შეეძლო ზუსტი თუ არა, მიახლოებითი ან პირობითი თარიღები დაედგინა და ტექსტები მათ მიხედვით გაენაწილებინა.

აკადემიური, მეცნიერული გამომცემა ვერ პასუხობს თავის დანიშნულებას, თუ იგი არ ექვემდებარება მისთვის დაკანონებულ წესებს. მისთვის სხვა პრინციპებთან ერთად აუცილებელია ქრონოლოგიური პრინციპიც. ამიტომ აქამდე ფეხმოკიდებული მცდარი ტრადიცია სასურველია აღარ გამეორდეს.

ხშირად ავტორი თვითონ ანაწილებს ტომებში ნაწარმოებებს. მაგალითად, ვ. ბარნოვმა მთელი თავისი ლიტერატურული მემკვიდრეობა 20 ტომად დაყო. მწერლის სურვილიც ასეთი იყო: ოც ტომად განოცემულიყო თავისი ნაწარმოებები. ასევე, კოროლენკოს სურვილი იყო თავისი ნაწერები 10 ტომად გამოსულიყო. რასაკვირველია, თითოეულ ტომში ტექსტები დალაგებულია ამ ავტორების ნება-სურვილით. უნდა გავითვალისწინოთ თუ არა ამ შემთხვევაში ავტორის ნება აკადემიურ გამოცემაში? ამ ტიპის გამოცემის დროს ტომებად დაყოფა შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად უნდა ექვემდებარებოდეს გარკვეულ შემოქმედებით ჩარჩოებს, მწერლის შემოქმედებით პერიოდებს. თუ ავტორი ასე ანაწილებს თავის ლიტერატურულ მემკვიდრეობას, მაშინ მისი სურვილი გაზიარებული იქნება. მაგალითად, ი. გრიშაშვილმა თავის პირველ ტომში 1914 წლამდე დაწერილი ლექსები მოთავსა, ავივე განმეორდა მისი მეცნიერული გამოცემის დამზადების დროსაც: ი. გრიშაშვილის ათტომეულის მეცნიერული გამოცემის I ტომში 1914 წლის ჩათვლით შევიდა ლექსები. მაგრამ ვ. ბარნოვის სურვილი, რომ 20 ტომად გამოსულიყო მისი ნაწერები, აკადემიური გამოცემის დროს არ იქნა გათვალისწინებული (ასევე მწერლის მიერ ტექსტების განაწილება) და მთელი მისი შემოქმედება 10 ტომში მოთავსდა. კოროლენკოს თხზულებათა მასობრივ გამოცემაში კი დატულია ის თანმიმდევრობა, როგორც თვითონ ავტორმა გაანაწილა 1914 წლის გამოცემაში: I ტომში შევიდა ციმბირული მოთხრობები და ნარკვევები, II-ში—უკრაინული მოთხრობები და ა. შ.⁷ ასეთი დაყოფა დასაშვებია მასობრივ გამოცემაში, მაგრამ აკადემიურსა და მეცნიერულში იგი მიუღებელია. მაგალითად, სწორად არ მიგვაჩნია, როცა ვლ. შაიკოვსკის თხზულებათა მეცნიერულ გამოცემაში 13 ტომად (1955—1961 წწ.) პირველი ტომი იწყება ავტობიოგრაფიული პროზაული ტექსტით „მე თვითონ“ (1922, 1928 წწ.), შემდეგ კი მოდის ლექსები 1912 წლიდან 1917 წლამდე. აქ გათვალისწინებულია ნება ავტორისა, რომელიც მუდამ ამ ნაწარმოებით ხსნიდა თავის კრებულებს (გამოცემა ეკუთვნის მ. გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტს).

ტექსტების ქრონოლოგიური დალაგებაც თავისებურ წესს მოითხოვს. ქრონოლოგიური პრინციპის დაცვა იმას არ ნიშნავს, რომ ერთმანეთს ქრონოლოგიურად მისდევდნენ დამთავრებული და დაუმთავრებელი ტექსტები, ზოგჯერ ნაწყვეტები და ჩანაწერებიც კი, როგორც ეს მ. გორკის თხზულებათა ოცდაათტომეულშია გაკეთებული. ეს გამო-

⁷ ვ. პ რ ო ხ ო რ ო ვ ი, Расположение произведений в издании, Основы текстологии, 1962, გვ. 164.

ცემა მასობრივია და მით უმეტეს დაუშვებელია ნაწარმოებების ასეთი განაწილება. თუმცა იგი არც აკადემიური გამოცემისთვისაა მისაღები, რადგანაც დაუმთავრებელი ტექსტები, მონახაზები და ნაწყვეტები გამოცემას ბოლოში უნდა ერთვოდეს. ამასთან ერთად, როგორც ვთქვი, ანგარიში ეწევა მწერლის შემოქმედების ხასიათსაც. ალბათ ეს უღვეს საფუძვლად, მაგალითად, ვლ. მაიაკოვსკის ზემოაღნიშნულ გამოცემას, რომელშიც ტექსტები მეტად თავისებურად არის განაწილებული. მისი გამომცემლები აღნიშნავენ, რომ მასში ნაწარმოებები დალაგებულია ქრონოლოგიურ-ჟანრობრივი პრინციპით (ტ. I, გვ. 5), ფაქტიურად კი აქ ეს პრინციპი დარღვეულია; პოეტის მთელი შემოქმედება ორ პერიოდად იყოფა: რევოლუციამდელ პერიოდად (ტ. I) და რევოლუციის შემდგომ პერიოდად (დანარჩენ ტომებში). გამომცემლებმა ეს პრინციპი ალბათ იმიტომ აირჩიეს, რომ მათ გაითვალისწინეს ის მკვეთრი სხვაობა, რაც ვლ. მაიაკოვსკის ლიტერატურულ შემოქმედებას ახასიათებს ამ ორი პერიოდის მიხედვით. სწორია თუ არა გამომცემლების მიერ არჩეული ეს გზა? ჩვენი აზრით, სწორი იქნებოდა, რომ თვითეული ამ პერიოდის შიგნით ჟანრობრივ-ქრონოლოგიური პრინციპი დაეცათ.

ქრონოლოგიის დაცვა ვერ ხერხდება, როცა მწერლის შემოქმედება ციკლებად იყოფა. ციკლებს ჰეტწილ შემთხვევაში ავტორი ქმნის. ამ მიზნით იგი ერთი ციკლისა და ერთი სათაურის ქვეშ აერთიანებს სხვადასხვა დროს დაწერილ ნაწარმოებებს. ეს კი იწვევს ტექსტთა გადაადგილება-გადმოადგილებას, რის გამოც საერთო ქრონოლოგია ირღვევა. ასეთ შემთხვევაში გამომცემელმა უნდა იცოდეს, როდის გაიზიაროს ავტორის სურვილი. მაგალითად, შეიძლება მწერალი რაიმე ნიშნით აერთიანებდეს ნაწარმოებებს ერთ ციკლში, მაგრამ ისიც შეიძლება, რომ ციკლი დაარქვას, ხოლო მასში თავმოყრილი ნაწარმოებები არაფრით არ იყოს ერთმანეთთან დაკავშირებული. პირველ შემთხვევაში გამომცემელმა შეიძლება დატოვოს ციკლი და ამით გაითვალისწინოს ავტორის ნება. მეორე შემთხვევაში კი გამომცემელს შეუძლია და ვალდებულიც არის არ გაიზიაროს ავტორის ნება და ციკლი დაშალოს.

ამის საილუსტრაციოდ ე. პროხოროვს მოჰყავს მაგალითი ნ. გოგოლის მიერ შედგენილი ციკლებისა „მირგოროდის“ და „არაბესკის“ სათაურით: „მირგოროდში“ მოთავსებული ნაწარმოებები გარკვეული ნიშნებით უკავშირდება ერთმანეთს. სხვა რომ არაფერი, მასში ჩანს ავტორისეული სისტემატიზაცია ნაწარმოებებისა, ეს კი გამომცემლისაგან ანგარიშგასაწევიანო. „არაბესკის“ სათაურის ქვეშ კი შემთხვევით არის თავმოყრილი სხვადასხვა ჟანრისა თუ თემის ნაწარმოებები, რო-

მელთა შორისაც არაფერია საერთო (შეიძლება ასეთი ციკლის შექმნისათვის ავტორს ჰქონდა თავისი გამართლება, მაგრამ ამ შემთხვევაში გამომცემლისათვის ის არაფერს წარმოადგენდა, ამიტომ ეს ციკლი შემდგომში დაშალეს).

სავსებით მართებულად მიგვაჩნია დ. ლიხაჩოვისა და ე. პროხოროვის აზრი იმის შესახებ, რომ აკადემიურ გამოცემაში უნდა შევიდეს მწერლის ყველა ნაწარმოები. ისიც კი, რომელიც თვით ავტორმა დაიწუნა და უარყო.

ცნობილია, რომ ბევრი მწერალი შერჩევით ბეჭდავს ხოლმე თავის ნაწარმოებებს. ამას განსაკუთრებით აკეთებს მაშინ, როცა მისი შემოქმედებითი გზა განვლილი პერიოდია და საშუალებას აძლევს შემოქმედს კრიტიკული თვალთ გადახედოს მას. ამის გამო ბევრ მწერალს შეგნებულად არ შეაქვს ესა თუ ის ნაწარმოები. ის, რაც სუსტად და უვარგისად მიაჩნია, მისგან დაწუნებული და უარყოფილი ხდება, ენდობა რა მხოლოდ თავის გემოვნებას. ი. გრიშაშვილმა, მაგალითად, კატეგორიულად უარყო ზოგიერთი თავისი ლექსი, რომელსაც იქვე მიაწერა: „არ დაიბეჭდოს“. ხოლო თავის ადრინდელი ლექსების უმრავლესობას ერთ სქელტანიან მუყაოს ყდაში მოუყარა თავი და ზედ დააწერა „ჩემი ხალტურა“. მას აღარ სურდა ამ ლექსების გამოქვეყნება (თუმცა იქიდან შემდგომში მაინც დაბეჭდა ზოგიერთი ლექსი კრებულებში). ამჟამად მზადდება ი. გრიშაშვილის მეცნიერული გამოცემა; მასზე მუშაობენ შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილების მეცნიერთანამშრომლები, რომელთა შორისაც აზრთა სხვადასხვაობა წამოიჭრა—შევიდეს თუ არა პოეტის მიერ დაწუნებული ლექსები მეცნიერულ გამოცემაში.

ამ საკითხის შესახებ ცნობილი საბჭოთა ტექსტოლოგები დ. ლიხაჩოვი და ე. პროხოროვი იმ აზრისანი არიან, რომ აუცილებლად უნდა დაიბეჭდოს კრიტიკულ გამოცემაში მწერლის მიერ დაწუნებული ნაწარმოებები. ე. პროხოროვი წერს: „Конечно, сегодняшний подготовитель текста может не считаться с такого рода авторскими запрещениями и стремится опубликовать все произведения и даже наброски автора, однако, во первых стремиться к этому можно и нужно только в критических (особенно академических) изданиях, а в массовых в этом необходимости нет“⁸.

⁸ ე. პროხოროვი, Расположение произведений в издании. Основы текстологии, 1962, გვ. 16—163.

დ. ლიხაჩოვის აზრით, გამოცემა, რომელიც მიზნად ისახავს მწერლის შემოქმედებითი ლაბორატორიის შესწავლას, უნდა მოიცავდეს ყველაფერს: ავტორის მიერ დაწუნებულ ნაწარმოებებსაც, შავ მონახაზებსაც, ჩანაწერებსაც და. ა. შ. მაგრამ თუ გამოცემა ფართო მკითხველისათვის არის განკუთვნილი, რასაკვირველია, ეს არ არის საჭირო.

ჩვენი დიდოსტატი კონსტანტინე გამსახურდია თავის გამოსვლებაში ხშირად აცხადებს, რომ იგი კატეგორიული წინააღმდეგია მის მიერ დაწუნებული ნაწარმოებების ან წერილების გამოქვეყნებისა. რომ მას არ სურს მის სულში „ხელები აფათურონ“ გამომცემლებმა. მწერლის ასეთ განცხადებას მუდამ წინააღმდეგობა ხვდება. მას პირდაპირ ეუბნებიან, რომ მისი დაწუნებული თუ მოწონებული ნაწარმოებები თანაბრად საინტერესოა მკითხველისათვის, უფრო კი მკვლევრისათვის. და, რომ ამის გამო ანგარიში არ უნდა გაეწიოს ამ შემთხვევაში ავტორის სურვილს. მართებულად შენიშნავს ლიხაჩოვიც: „Воля автора не является истиной в „последней инстанции“. Напротив, она сама нуждается в изучении“⁹.

როდესაც აკადემიურ გამოცემაში ავტორის მიერ დაწუნებული ნაწარმოები თავსდება, საჭიროა ამაზე მკითხველიც იყოს საქმის კურსში. ამიტომ თუ ცოტაა ასეთი ტექსტები, თითოეულ მათგანს შენიშვნებში მიეთითება ავტორის დამოკიდებულებაზე ამ ტექსტების მიმართ. ხოლო თუ მათი რიცხვი საკმაოდ დიდია, იგი ცალკე განყოფილებად უნდა გამოიყოს და ერთად მოეყაროს თავი. ასეა, მაგალითად, გაკეთებული ჩეხოვის ოცტომეული. გამომცემლებს, სურდათ ყველაფერი მიეტანათ მკითხველამდე: ავტორის მიერ დაწუნებული ნაწარმოებებიც, რომლებიც შემდეგდროინდელ კრებულებში არ შექტონდათ ასევე არქივში დაცული მრავალრიცხოვანი გამოუქვეყნებელი ტექსტიც. ამიტომ მთელი მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა ამ ოცტომეულში სამ ნაწილად დაყვეს: 1. ჩეხოვის მიერ სრულ კრებულში შეტანილი ტექსტები, 2. ნაწარმოებები, რომლებიც არ შეიტანა ჩეხოვმა სრულ კრებულში და 3. ნაწარმოებები რომლებიც ხელნაწერების სახითაა მხოლოდ არქივში. რასაკვირველია, თითოეულ ამ განყოფილებაში მკაცრად და დაცული ტექსტთა ქრონოლოგიური თანამიმდევრობა.

რომელი უნარით ჯობს გამოცემის დაწყება? აქაც ანგარიშგასაწეწია, თუ როგორ მწერალთან. გვაქვს საქმე. მაგალითად, ბარნოვი პირ-

⁹ დ. ლიხაჩოვი, Расположение произведения в издании, текстология, краткий очерк, 1964, გვ. 92.

ველყოვლისა მწერალი პროზაიკოსია და არა პოეტი, ამიტომ მასობრივ პოპულარულ გამოცემებში, რასაკვირველია, კრებული გაიხსნება მწერლის პროზაული ნაწერებით. მაგრამ აკადემიურ გამოცემაში ამას ანგარიში არ უნდა გაეწიოს და გამოცემა ლექსებით უნდა დაიწყოს. ვაჟა-ფშაველა დიდი პოეტი და დიდი პროზაიკოსია. ასეთ შემთხვევაში აკადემიური გამოცემა პოეზიით უნდა გაიხსნას და პროზით დამთავრდეს. თუმცა მასობრივი გამოცემის შემდგენელებს, როგორც სურთ, ისე მოიქცევიან: ვაჟას კრებულებს ან პროზით დაიწყებენ, ან პოეზიით. უანრობრივი დალაგება გამოცემის ტიპზეა დამოკიდებული, ავტორის ნებას ამ მხრივ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს, თუ ეს დალაგება აკადემიური გამოცემის წესებს არ ემორჩილება. ამით იძის თქმა გვინდა, რომ მხოლოდ ქრონოლოგიური პრინციპით ვერ ვიხელმძღვანელებთ აკადემიურ გამოცემაში. საჭიროა ნაწარმოებთა უანრობრივად განაწილებაც. მხოლოდ მაშინ არის შედეგიანი ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაცვა.

ამასთან დაკავშირებით ხშირად არის დავა, როგორ მოვიქცეთ: სად მოვათავსოთ ტექსტი, რომელსაც ზუსტი თარიღი არ უზის, შეიძლება ნაწარმოები ზუსტად იყოს დათარიღებული (წელი, თვე, რიცხვი), შეიძლება მხოლოდ წელი და თვე ჰქონდეს მითითებული, ან მხოლოდ წელი. ასეთ შემთხვევაში გამომცემელი მაქსიმალურად ცდილობს კვლევის შედეგად დააზუსტოს თარიღი, თუ არა და პირობით მანიც ათხრილებს. როდესაც ტექსტები ასე სხვადასხვანაირად გვაქვს დათარიღებული, ამ შემთხვევაში პირველად მოთავსდება ზუსტთარიღიანი ლექსები: თუ წელი და თვეა ცნობილი და რიცხვი კი არა, მაშინ ტექსტები მოთავსდება იმ თვეს დაწერილ ზუსტად დათარიღებულ ტექსტთა ბოლოს: მაგალითად, 1960 წლის 5 იანვარი, 1960 წლის 10 იანვარი და ა. შ. ამ იანვრის თვის ბოლოს წავა უკვე ისეთი ლექსები, რომლებსაც იანვარი უზის, მაგრამ რიცხვი არა აქვს (ე. ი. 1960 წლის იანვარი), იგივე ითქმის წელის შესახებაც, ამა და ამ წელს დაწერილ ლექსს თუ თვე და რიცხვი არა აქვს, ის წავა ამ წელს დაწერილი ზუსტი თარიღიანი ლექსები ბოლოს.

ამრიგად, უანრობრივ-ქრონოლოგიური პრინციპი ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია აკადემიურ-მეცნიერულ გამოცემაში, მაგრამ არა ერთადერთი. მისი და მასთან ერთად სხვადასხვა პრინციპების გამოყენების დროს ანგარიშგასაწევია გამოცემათა ტიპების რაობა, ავტორის ნება ან მწერლის შემოქმედებითი ლაბორატორიის ხასიათი.

პლატონ იოსელიანი—რედაქტორ-გამომცემელი

პლატონ იოსელიანის მოღვაწეობა იმ პერიოდს განეკუთვნება, როცა საქართველო მამულიშვილებისაგან მრავლის ცოდნასა და მრავალმხრივ მუშაკობას განსაკუთრებით საჭიროებდა. ეროვნული კულტურისა და ისტორიის მეჭირნახულეებს მრავალფეროვანი საქმე უხმობდა და მათს ნიჭსა და თავდადებულ შრომას ელოდა.

1835 წელს პეტერბურგიდან საქართველოში ჩამოსული სწავლამწესრულებული პლატონ იოსელიანი სემინარიაში ფიზიკასა და ფილოსოფიას ასწავლის, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი პატარა უბანია მისი დაუდალავი მოღვაწეობისა. იგი მოგზაურობს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, აღწერს ისტორიულ ძეგლებს, აგროვებს ეკლესია-მონასტრების უძველეს წარწერებს, ამ მონასტრებში თუ კერძო ოჯახებში დაცულ სიგელ-გუჯრებს, აღწესებს და ადგენს მნიშვნელოვანი საეკლესიო წიგნთსაცავების, კატალოგებს, წერს სახელმძღვანელოებს ქართული სასწავლებლებისათვის; უამრავ წერილს ბეჭდავს თბილისისა და პეტერბურგის პრესაში საქართველოს ისტორიისა და კულტურის საკითხებზე, რედაქტორობს „ზაკავკასკი ვესტნიკს“, მიმოწერას აწარმოებს ქართული ლიტერატურითა და კულტურით დაინტერესებულ პირებთან (მარი ბროსე, კეპჰენი, შეგერენი, ფრენი და სხვა) და ყოველ ღონეს ხმარობს კიდევ უფრო გააცხოველოს მათ გულში საქართველოს ისტორიის, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის, ლიტერატურის შესწავლისა და მსოფლიო ასპარეზზე გატანის სურვილი. მარი ბროსესთან პლატონ იოსელიანის მიმოწერა ამის ნათელი დადასტურებაა. პლატონ იოსელიანი აღაფრთოვანა იმ ფაქტმა, რომ უცხოელი მეცნიერი ასერიგად დაინტერესდა ქართული ლიტერატურის, ისტორიის, კულტურის შესწავლით. „განვლო დუმილმან საუკუნეთა და გონებათა განიღვიძეს დასაბამიდან ამა დიდისა ეპოხისა; ვიტყვი პირუთვნელად გამოსჩნდით თქვენ. რასა იქმოდენ ქართველნი, ვისა გა-

ნაკვირვებდნენ მწერლობასა თვისსა, და რომელთა ნაყოფთა მწერლობისათა ბერძენთა და რომაელთა შორის, შეაფასებდენ თვისთა წერილთა, უკეთუ არა გამოსჩნდებოდა ღირსებისა მათისა აღმწონი თვით ევროპასა შინა? მრავალჯერ მსუროდა აღმეწერა რისმეისა საჩუენებლად და დასამტკიცებლად, რომელ ერიცა ქართუელთა არა დარჩენილ არს უძრავად დროსა საზოგადოისა ჰსწავლათა განფენილები-სა...! ამ ჩემს სურვილს, აღნიშნავს პლატონ იოსელიანი, აბრკოლებდა იმის შიში, რომ ევროპის მეცნიერება გულგრილად მოეკიდებოდა ამ საკითხსაო. ახლა კი, როცა არაერთი ევროპელი მეცნიერი დაინტერესდა ამ დიდი კულტურული წარსულის მქონე ერის სიძველეთა შესწავლით, პლატონ იოსელიანი მოუწოდებს ყველა ქართველ პატრიოტს—„ძალისაებრ თვისისა შეეწეოდეს საზოგადოსა ზრუნუასა აღდგენისათვის დაცემულისა სიტყვიერებისა და მწერლობისა“².

ამ ფაქტით აღფრთოვანებულმა პლატონ იოსელიანმა დაწერა ნაშრომი „ისტორიები და ლეოგრაფიული აღწერა ძველისა საქართველოსა“ და გაუგზავნა იგი, რუსულ ენაზე თარგმნილი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიას.

ამავე მიზნითაა ნაკარნახევი პლატონ იოსელიანის სხვა ორიგინალური ისტორიული, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული თუ ბიოგრაფიული ხასიათის ნაშრომების გამოქვეყნებაც, რომელთაც იმ დროს დიდი რეზონანსი ჰქონდათ საქართველოს ისტორიული და ლიტერატურული წარსულით დაინტერესებულ რუს და უცხოელ მეცნიერთა წრეში. ამ შრომათა უდიდესი ნაწილი რუსულ ენაზე ქვეყნდებოდა, რომ იგი უფრო ადვილად ხელმისაწვდომი ყოფილიყო უცხოელ მეცნიერთათვის. პლატონ იოსელიანის ასეთი ხასიათის ნაშრომთა მეცნიერული მნიშვნელობის შეფასება ამ წერილის მიზანს არ შეადგენს. ამიტომ განვიხილავთ იმ საკითხებს, რომლებიც პლატონ იოსელიანის სარედაქტორო-საგამომცემლო საქმიანობას შეეხება.

ჯერ კიდევ მარი ბროსესთან მიმოწერაში, როცა პლატონ იოსელიანმა განსაკუთრებული თავდადებით მოჰკიდა ხელი ძველი ქართული ხელნაწერების, სიგელ-გუჯრებისა თუ წარწერების შეგროვებას, ელინდება პლატონ იოსელიანის ტექსტოლოგიური აღლო.

დიდი სიხარულით ამცნობს პლ. იოსელიანი მარი ბროსეს ყოვე-

1 იხ. შ. რუსთაველის სახ. ბათუმის სახ. სამასწავლებლო ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ნაწ. 1. ბათუმი, აჭარის სახ. გამომცემლობა, 1941 წ., ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ე ვ ი ლ ი, პლ. იოსელიანის წერილები აკად. მარი ბროსესადმი, გვ. 150 (ქვემოთ მოკლედ მივეთითებთ — წერილები ბროსესადმი...).

2 იქვე.

ლი მნიშვნელოვანი ხელნაწერის მოძიების შესახებ, აღწერს ამ ხელნაწერის ფოტოგრაფიულ სახეს, აღწერს მის ისტორიულ თუ ლიტერატურულ ღირებულებას, აზუსტებს ხელნაწერთან დაკავშირებულ ბევრ ტექსტობრივ საკითხს — ატრიბუციას, დათარიღებას და სხვა.

„არის თთუე ერთი რაცლა ვიპოვე შემთხვევითად ცხოვრება ქართველთა მეფის ძისა პეტრესი; რომელიცა იყო ძე ვარაზ ბაქარ მეფისა, აღწერილი მოწაფისა მიერ თვით პეტრესა, რომლისაღაცა ზაქარიასა, წელსა ქრისტესითგან 398-სა მე ვპგონებ, უწინარეს და უძველეს წერილისა ამის არა იპოების ჩუენ შორის, თვით შტილიცა წერისა ამტკიცებს ამას“³.

1838 წლის 4 აგვისტოს მიწერილ წერილში პლ. იოსელიანი ატყობინებს მარი ბროსეს თავისი მოგზაურობის შესახებ არაგვის ხეობაში. ეს ხეობა, როგორც მტერთა შემოსევებისაგან საგრძნობლად დაცული მხარე, პლატონ იოსელიანის ვარაუდით, ყველაზე უკეთ შემოინახავდა ძველ ხელნაწერებსა და სიგელ-გუჯრებს, ამიტომაც გადაწყვიტა ამ მხარის გულმოდგინე მოვლა. პლ. იოსელიანის ვარაუდი გამართლებულა. „ამ მოძიება ჩემი არა დაჰშთა უნაყოფოდ, — წერს იგი მარი ბროსეს, — ყოვლისა ღონის ძიებითისა მოხმარებითა მოვიპოვე ოცდაერთი ძუელი წიგნნი; მათგან ექვსნი პერლამენტთა ზედა წერილნი და სხ. ქალაღებზედ. ამა უკანასკნელთა ზედა წერილნი არიან სამნი დავითნი, შემცველნი თვის შორის, სხუათა და სხუათა ცუალებათა (Varieties), ყოველნივე ესე აღწერილნი ხუცურად; ტყავზედ შესანიშნავი უმეტესად სრული, სახარება ყოვლად ძუელი ხატებითურთ, ოთხთა მახარებელთა, აგრეთუე გრაგნილი ტყავზედ დაწერილი კონდაკი, რომლისა სიგანე არის ერთი მტკაველი და სიგრძე რუა აღლი რუსული“⁴.

მოტანილ წერილში საგულისხმო ფაქტია ფიქსირებული—პლატონ იოსელიანი განსაკუთრებით დაუინტერესებია დავითნის ხელნაწერებს, შეუნიშნავს მათში არსებული ვარიანტული სხვაობები. უნდა ვივარაუდოთ, რომ ხელნაწერთა სხვა დამახასიათებელ თავისებურებებთან ერთად (პერგამენტის ფაქტურა, ხატების სიძველე და სხვა); დავითნის ხელნაწერთა ვარიანტულ შეჯგერებას იგი ამ ძეგლების მეტნაკლები სიზუსტით დათარიღებისათვის მოიხმობდა.

საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს პლ. იოსელიანი მარი ბროსესადმი მიწერილ სხვა წერილშიც, როცა იგი მის მიერ შედგენილ კა-

³ წერილები მარი ბროსესადმი, გვ. 150—151.

⁴ იქვე, გვ. 155—156.

ტალოგს ახასიათებს, აფრთხილებს მარი ბროსეს. რომ ამ კატალოგში შემავალი ყველა წიგნი ერთნაირი მხატვრული ღირებულებებისანი რო- დი არიანო, მაგრამ მაინც საჭიროდ მიაჩნია მათი დაცვა და აღნუსხ- ვა, რადგან ყველაზე უფრო მდარე წიგნიც კი გარკვეულ მნიშვნელო- ბას იძენს, როგორც ამათუიმ ეპოქის ისტორიული ძეგლი: „ჩემი! პაწრით, ღირსება ლიტერატურისა აღინიშნების და დაფასდების არა რაოდენობით წიგნთათა, არამედ ვითარებათა მათთა. მივხედოთ რო- ძაელთა და ბერძენთა? რავდენნი დაგეშთენენ შემდგომად მათსა წიგ- ნნი? რავდენთა მოიბოვეს ღირსება, რათა გადაცემულ ყოფილიყუნენ საუკუნეთადმი უშემდგომესთა? ყოველთა წიგნთა და ანუ ნაყოფთა ლიტერატურისათა ყოველსა ზედა ენასა აქუსთ ორ-გუარი ღირსება, ე. ი. ანუ ეკუთვნიან მას საუკუნესა, ოდეს იგინი დაიბეჭდებიან, ანუ შეიქმნებიან საკუთრებად ყოველთა უშემდგომესთა საუკუნეთასა“⁵...

საგულისხმოა ისიც, რომ პირველად პლატონ იოსელიანმა აღძრა საკითხი თბილისის სინოდალურ კანტორაში დაცული სიგელ-გუჯარე- ბის უმდიდრესი კოლექციის აღწერისა და ასლების მოპოვებისა, რათა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წიგნთსაცავს შემოენახა ქარ- თული კულტურისა და ისტორიის უმცველი ეს ღირსსახსოვარი ლო- კუმენტები.

„დიდად და მრავლად სასარგებლო იქმნება მოვჭკრიფოდ ეკკლე- სიათა და მონასტერთა გუჯარნი, რომელნიცა სინოდისა კანტორასა აქ, ტფილისში მოსახმარად თვისსა აქუსთ. აქა იპოვებიან ძუელთა მეფეთა შეწირულებათა სიგელნი და სხ. სრულებით გამოტანა მათი არა შესა- ძლებელია და კობითა შოვნა აღვილი“⁶... ხოლო ექვსი თვის შემდეგ ისევ შეახსენებს ბროსეს წერილით: „გუჯართათვის, სინოდისა კანტო- რისათა აქა, — გთხოვთ არ დაივიწყოთ: მრავლად შეეწევიან იგი ის- ტორიასა, ეხლა კუალად ვსცან, რომ ესე გუჯარნი იპოვებიან მუნ ვიდ- რე 10000-მდე. მე გარდამოღებისათვის მათისა ვარ მზა“⁷. მარი ბრო- სეს, რა თქმა უნდა, კარგად ესმოდა ამ გუჯართა მნიშვნელობა და მა- ლე მიიღო მეცნიერებათა აკადემიის გზით ნებართვა ამ გუჯარების ას- ლების მოპოვებისა, რასაც დიდი თავდადებით შეუდგა პლ. იოსე- ლიანი.

ძველი ფოლკლორული ნიმუშების შეგროვებითაც დიდად ყოფი- ლა დაინტერესებული პლ. იოსელიანი, 1839 წელს იგი მარი ბროსეს

5 წერილები მარი ბროსესადმი, გვ. 157.

6 იქვე, გვ. 153.

7 იქვე, გვ. 165—166.

სწერს: „სამსა დღეს შემდეგ გამოვისტუმრებ... შეკრებილთა ჩემ-
მიერ გამოცანათა ძუელთა ჟამთაგან ზეპირ გარდამოცემულთა ერთა
შორის ქართულთასა. ესრეთი შრომა ჯერეთ არავეისგან არს ქმნილ“⁸.

როგორც ზემოთაც შევნიშნეთ, ამ წერილის მიზანია პლატონ-
იოსელიანის სარგდაქტორო-საგამომცემლო საქმიანობის შესწავლა.
ამისათვის განსაკუთრებით საგულისხმო და უხვ მასალას იძლევა პლა-
ტონ იოსელიანის მიერ განხორციელებული გამოცემები: „თამარიან-
ნი“, „აბდულ-მესია“, არჩილის „ცხოვრება მეფის თეიმურაზისა“, იო-
სებ თბილელის „დიდმოურავიანი“, ანტონ I-ის „წყობილსიტყვაობა“,
გ. ერისთავის „გაყრა“, ტიმოთე გაბაშვილის „მოხილუა“ და იოანე მი-
ტროპოლიტის (გედევანიშვილის) „მიმოსლვა“. ამ გამოცემების გან-
ხილვა ნათელ სურათს წარმოგვიდგენს, თუ რა პრინციპებით ხელ-
მძღვანელობდა პლ. იოსელიანი ამა თუ იმ ძეგლის ბეჭდვის დროს. ამ
პრინციპების გასათვალისწინებლად დიდად საგულისხმოა 1869 წლის
„ცისკარში“ გამოქვეყნებული პლ. იოსელიანის წერილი „სიტყუა სა-
ყოველთაოდ საუწყებელი, წიგნთა ქართულთა ბეჭდვისა გამო“.

ამ წერილში პლ. იოსელიანი ჯერ ევროპელ მეცნიერებს იხაზუ-
მებს ძველი ლიტერატურული თუ ისტორიული ძეგლების შენახვისა-
და შთამომავლობისათვის გადაცემის უდიდესი ეროვნული მნიშვნე-
ლობის დასადასტურებლად: „მეცნიერნი ევროპისა, ჰყვედრიან ძველ-
თა და მამა-პაპთა თვისთა, დაუდევნელობასა წიგნთა გამო, რომელ-
ნიცა ანუ არა ჰსწერეს, ანუ არა — დაიცუეს დაწერილნი მოჰავალ-
თა დროთათვის“⁹. დიდ შეფასებას აძლევს იგი უძველეს ქართულ
მწერლობას, განსაკუთრებით კი ქართულ ენას—„ენა ქართუელთა, ეკ-
კლესიასათვის ქრისტესსა შემზადებული, უმეტეს და უკეთესად რო-
მაეულთა ანუ ლათინთა ენისა, არის ღირსი გაფრთხილებითა დაცვისა.
ენამან ამან დაბადა ენა რუსთაველისა, შაეთელისა, ჩახრუხაძისა და
ქართუელთა წმინდათა მამათა ცხოვრებისა აღმწერელთა. ვითარცა
ზცოდნე, ვიტყვი გაბედვით, ლათინთა ენისა, ბერძულისა და რუსული-
სა, ვითარცა მთავართა ენათა, ორთა დიდთა ეკკლესიათათვის შემზა-
დებულთა, რომელ, ენა ქართუელთა მრავლით უმცირესი ბერძულისა,
არის მრავლით უმაღლესი ორთა სხუათა, მხოლოდ ეკკლესიურისა
იწერებოდენ არა ეგოდენ ძლიერთა და ტკბილთა კალმითა. და რო-
მელთაცა მოაწიეს დროთა ჩუენთადმი, აღმოჩნდნენ. ესენი ადგილ --
ადგილ შეცულილად მათგან, რომელნიცა გარდასწერდნენ მათ“¹⁰.

⁸ წერილები მარი ბროსესადმი, გვ. 166.

⁹ „ცისკარი“, 1863, № 3, გვ. 2.

¹⁰ „ცისკარი“, 1869, № 3, გვ. 3.

პლატონ იოსელიანი სინანულით იგონებს იმ მრავალთ უმრავლეს წიგნს, რომლებიც ქართული ლიტერატურის საგანძურიდან გაცამტვერდა მტრების დაუსრულებელი შემოსევების შედეგად. მით უმეტეს, გადაუდებელ საჭიროებად მიიჩნევს იგი ჩვენამდე მოღწეული ყოველი მნიშვნელოვანი ძეგლის მოვლასა და პატრონობას; „ქართულთა ქუეყანისა ოხრებამან მტერთაგან სარწმუნოებისა მათისა და მეფობისა, დაგვიკარგა მრავალი წიგნი. დღესაცა ვეძებთ და ვერღა ვპოვებთ წიგნთა მათ, რომელთაცა მოიხსენებენ არსენი. კათალიკოსი ანტონი, ბესარიონ, ვახტანგ, ვახუშტი და სხუანი. ვეძიებ და ვერღა ვპოვებ მათ, რომელნიცა მინახავან და წარმიკითხავს ბოდბელთან, რუსთუელთან და სხუებთან... ნუ მივსცემთ დავიწყებასა მამა-პაპისა ჩუენისა კალმის შრომათა. ნუ განვაქრობთ მათსა გონებისა, ლექსთა-წყობათა და პროზად, მწერლობისა გმირობასა, ნუ დაეკარგაეთ კაცთა ნათესავსა, ძუელთა და წარსულთა დროთა მწერლობისავე ღუაწლთა“¹¹.

მით უფრო საჭიროდ მიაჩნია პლ. იოსელიანს ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლების გამოცემა, რომ „ითხოვს ამას ჩუენგან მეცნიერთა გუნდ-გუნდად წყობა ყოვლადისა ევროპისა და თვით რუსეთისა“¹².

ზემოთქმულის შემდეგ ბუნებრივად გამოიყურება ის დაუცხრომელი შრომა და ღვაწლი, რომელიც პლატონ იოსელიანმა დასდო ქართული წიგნის გამოცემის საქმეს. იმ დროს, როცა აქა-იქ თითო-ოროლა ხელნაწერი თუ იყო მიკვლეული ქართული მწერლობის უმნიშვნელოვანესი ძეგლებისაც კი, საგამომცემლო შრომა განსაკუთრებით ძნელდებოდა. პლატონ იოსელიანი ყველა შესაძლებელ შემთხვევაში ცდილობდა გამოსაცემი ძეგლის უძველესი ხელნაწერი მოეპოვებინა და დაებეჭდა იგი „უცვალებლად“, როგორც თავად შენიშნავს. მის მიერ გამოცემული წიგნები მისი რედაქტორული და საგამომცემლო საქმიანობის ნათელ სურათს წარმოგვიდგენენ.

1838 წელს პლატონ იოსელიანმა გამოსცა ქართული სახატბო პოეზიის ორი მნიშვნელოვანი ძეგლი — ჩახრუხაძის „თამარიანი“ და შავთელის „აბდულმესია“, პლატონ იოსელიანის გამოცემები ორივე ამ თხზულების პირველი პუბლიკაცია იყო.

„თამარიანის“ სათაურია: „თამარ შეფასი და მეუღლისა მისისა დავით მეფისა შესხმა თქმული ლექსად ჩახრუხას-ძისაგან, წელსა ქრი-

11 „ცისკარი“, 1869, № 3, გვ. 5.

12 იქვე, გვ. 5.

სტესით 1187-სა, აღბეჭდილი პლატონ ეგნატეს-ძის იოსელიანის მიერ“.

პლატონ იოსელიანის ყოველ გამოცემას, როგორც წესი, აქვს მიძღვნა ამა თუ იმ პირისადმი და აქვს ეპიგრაფად მოტანილი ადგილი ძველი ან ახალი აღთქმის წიგნებიდან, ან ანტონ I-ის „წყობილ-სიტყვაობიდან“. ამ გამოცემას ეპიგრაფად უძღვის ანტონ I-ის „წყობილსიტყვაობიდან“ 802-ე მუხლი, რომელიც ჩახრუხხადის ქებას წარმოადგენს. წიგნის პირველ გვერდზე, სქოლიოში, მოთავსებულია ტექსტოლოგიური კომენტარი, რომელიც ამ წიგნსა აქვს დართული წინასიტყვაობის ნაცვლად: „ძულსა დედანში ზედა-წარწერა წიგნისა ამის ესრეთ იყო: სრულიად საქართველოს, ქართ-კახეთ იმერეთისა და სუთთა სამთავროთა, და სხუათა და სხუათა მპყრობელის ბაგრატიონის მეფის გიორგის ასულის თამარ მეფასი და მეუღლისა მისისა მეფისა სოსლან დავითისა შესხმა ჩახრუხხას ძისაგან, რომელ იყო ადგილთაგან არაგვისათა, თემით მოხვევე; ესე მან დალექსა, ოც მარცულთონად თვითოსა ტაეპსა შინა წყობილად, და მის გამო უწოდენ ქართველნი ჩახრუხხაულთა; თვარა ესე გვარი წყობილი ჩახრუხხაული არაბულიდამ არს ქართულს ენასა ზედა გადმოღებული“.

92-ე გვერდზე სქოლიოში აგრეთვე ტექსტოლოგიური ხასიათის კომენტარი გვხვდება: „აქა შესანიშნავს არს, რომელ ოთხნი ესე ოოსეულნი (ე. ი. სტროფი, ლ. გ.) 109, 110, 111 და 112, მოხსენებულნი რიცხუთა ქვეშე 28, 29, 30, 31 ორგზის განიმეორებიან, ამა პოემასა შინა: — რომლისა მიზნისათვის არა ჰსჩანს. კუალად ოთხეულნი რიცხუისა ქვეშე 27-სა და ორნიცა სხუანი რიცხუთა ქვეშე 85 და 86-სა არიან არა ჩახრუხხაულისა ლექსთ-ქმნულეებისა გუარისანი, არა-მედ შაირნი“.

ეს შენიშვნა ნათელპყოფს, თუ როგორი პასუხისმგებლობით ეკიდება პლატონ იოსელიანი ტექსტის გამოცემის საქმეს. განმეორებული სტროფები მას ადვილად შეიძებოდა მიეჩნია გადაძწერლის დაუდევრობად ან თვითნებობად და ამოეღო იგი ძირითადი ტექსტიდან, მაგრამ რადგან სხვა ხელნაწერი წყარო მას შესაპირისპირებლად არ გააჩნდა, ტექსტი უცვლელად დატოვა, ხოლო სათანადო ადგილას დაურთო შენიშვნა.

როგორც ი. ლოლაშვილი შენიშნავს, პლატონ იოსელიანის ხელთ ერთადერთი ხელნაწერი ნუსხა უნდა ყოფილიყო, სავარაუდოა, დავ. რექტორის მიერ გადაწერილი, რადგან ტექსტობრივად გამოცემა ამ ხელნაწერს მიჰყვება (იხ. ძველი ქართველი მეხოტბენი, 1957, წიგნი 1, გვ. 11).

სხვა შენიშვნა, ზემოხსენებულის გარდა, გამოცემის ტექსტს არ ახლავს, რაც აგრეთვე აიხსნება იმ ფაქტით, რომ პლ. იოსელიანს ერთადერთი ხელნაწერი წყარო ჰქონდა ხელთ და მოკლებული იყო შესაძლებლობას ტექსტოლოგიური დაკვირვებანი ეწარმოებინა თხზულებაზე. წიგნის ბოლოს შენიშნავს მხოლოდ, რომ შრიფტი ამ გამოცემისათვის „თავისის მატრიცებითა და პუნსონებითა“, შისი დაკვეთით შეამზადა ეჩმიაძინელმა ხელოსანმა სეირანოვმაო. ამ შენიშვნიდანაც ცხადი ხდება, რამდენი სირთულის დაძლევა სჭირდებოდა პლ. იოსელიანს განზრახულის სისრულეში მოსაყვანად.

თხზულებას არ ახლავს პლ. იოსელიანის არც სხვა ხასიათის შენიშვნები, რომელშიც დახასიათებული იქნებოდა „თამარიანთან“ დაკავშირებული ლიტერატურული თუ ისტორიული საკითხები. აღსანიშნავია მხოლოდ, რომ 1860 წელს გამოქვეყნებულ მის ნაშრომში „Описание города Душета“ არის ცალკე თავი—„Поэт Чахрухадзе“, სადაც განიხილავს იმ მხარეს, რომელსაც ისტორიული თუ ლიტერატურული ტრადიციით უკავშირდება ჩახრუხადის სახელი, გადმოცემული აქვს ხევის გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული, ისტორიული აღწერილობა, დახასიათებული აქვს ჩახრუხადის პიროვნება, მისი პოემა. ლექსთწყობა, ძეგლის ლიტერატურულ-მხატვრული ღირებულებები, ჩახრუხადის მეტრისა და რიტმის ახასიათებს პარალელურად ბერძნული და ფრანგული პროტიკიდან, იდეურად აფასებს პოემას და ასკვნის: „Поэма его носит характер христианско-нравственный. Он не Тибулл, писатель любовных элегий. Он Вергилий и Фенелон грузинский. Он певец и Пинда и Сиона“¹³.

პლატონ იოსელიანის ამ ნარკვევს იმდროისათვის დიდი მეცნიერულ-ლიტერატურული ღირებულება გააჩნდა, რადგან როგორც ი. ლოლაშვილიც შენიშნავს: „პლ. იოსელიანის ეს შეფასება მკვეთრად უპირისპირდებოდა „თამარიანზე“ იმ დროს გაბატონებულ საზოგადოებრივ აზრს საქართველოში“. იმ დროს, როცა „თამარიანის“ „ზედმესრულების“ გროვად და „დავარდნილ ცხენსავით მგოგავ“ პოემად მიიჩნევდნენ, პლატონ იოსელიანის ზემოთ მოტანილი შეფასება ჭეშმარიტად მნიშვნელოვანი ლიტერატურული ფაქტი იყო.

ამავე წელს გამოსცა პლ. იოსელიანმა სახოტბო პოეზიის მეორე ტომი „აბდულმესიანი“. ამ თხზულებას სათაური ასეთი აქვს: „თამარ მეფასი და მეუღლის მისისა დავით მეფისა შესხმა, თქმული

¹³ Описание города Душета, 1860, стр. 64.

¹⁰ ტექსტოლოგიის საკითხები, III

აბდულ-მესსია შავთელისაგან წელსა ქრისტესით 1192-სა, აღბეჭდილი პლატონ ეგნატის-ძე იოსელიანის მიერ“.

როგორც სათაურიდან ცხადი ხდება, პლატონ იოსელიანი აბდულ-მესიას შავთელისავე ზედწოდებად მიიჩნევს და არა თხზულების სათაურად. ეს შეცდომა მომდინარეობს ხელნაწერიდან, რომელიც ძირითად ტექსტად დასდებია გამოცემას. ამის შესახებ პლატონ იოსელიანი შენიშნავს: „ძველსა დედანში ზედა წარწერა წიგნისა ამის ესრეთ ეწერა: დიდისა თამარ მეფის გიორგი მეფის ასულისა, დავითიან-ბაგრატიონისა და მეუღლისა მისისა ბაგრატიონისავე დავით მეფისა სრულიად მპყრობელისა სამთა სამეფოთა; ქართლისა, კახეთისა, იმერეთისა და ხუთთა სამთავროთა საათაბაგოსა, ოდიშისა, გურიისა, აფხაზეთისა, სვანეთისა და სხუათა და სხუათა და სხუათა მპყრობელისა შესხმა აბდულ-მესია შავთელისაგან (ესე იგი მონა ქრისტესი) თქმული, რომელი იყო აღგილთაგან საათაბაგოსათა, ამან მიართუა გელათიდამ, მეფესა თამარს, რომელი იყო მდივანი მეფა თამარისა და შემდგომად იქმნა მონაზონ. და უწოდეს სახელად იოახე, რომელმან მოიგო ცხოვრება თვისი გელათისა მონასტერსა შინა ეკლესიასა, რომლისათვის იტყვის რუსთაველი შოთა ვეფხის ტყაოსნის დამწერელი. კაცი ბრძენი, ღვთის მეტყველი და ფილოსოფოსი და მრავალთა ენათა ზედმიწევნლი: „აბდულმესია შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა“ გვ. 1).

ასევეა მოხსენებული ხოტბის ავტორად აბდულმესია შავთელი მომდევნო გამოცემებშიც — დ. ჩუბინაშვილისა და ზ. ჭიჭინაძისა. როგორც ჩანს, ყველა ეს გამოცემა ერთ საერთო ხელნაწერს ეყრდნობოდა. როგორც სპეციალისტთა გამოკვლევებიდან ცხადი ხდება (იხ. ალ. ბარამიძე, ნარკვევები, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, წიგნი 1; ი. ლოლაშვილი, ძველი ქართველი მეხოტბენი, წიგნი 11), ეს ხელნაწერი უნდა ყოფილიყო დავ: რექტორის ნუსხიდან 1835 წელს ვინმე ბალინოვის გადაწერილი. ი. ლოლაშვილის მიკვლევით პლ. იოსელიანს, ბალინოვის მიერ გადაწერილი ნუსხის გარდა, რომელსაც სტამბის ლაქები ატყვია, რაც მოწმობს, რომ პლ. იოსელიანს აქედან გადაუბეჭდინებია ტექსტი. ხელთ უნდა ჰქონოდა აგრეთვე რომელიღაც მესამეხარისხოვანი, დღეისათვის უცნობი სრული ხელნაწერი, რომლისთვისაც შეუდარებია ანაწყობი ტექსტი და დეფექტური ტაეპები გაუმართავს¹⁴. ვრცელი სათაური კი, რომელიც მოტანი-

¹⁴ ძველი ქართველი მეხოტბენი, წიგნი 11, გვ. 35.

ლი აქვს შენიშვნაში პლ. იოსელიანს, მომდინარეობს ნუსხიდან, რო-
კელიც, აგრეთვე, შესაძებ ჩკუთის ხელნაწერებს განეკუთვნება¹⁵.

როგორც სპეციალისტების მიერ კვლევის შედეგად ზღუდა ცხა-
დი, იმ დროს, როდესაც პლატონ იოსელიანმა ხელი მოჰკიდა ამ ძეგ-
ლის გამოცემას, მხოლოდ მესამე ჩკუთის ხელნაწერები არსებობდა.
იგი რომ ეს გამოცემა თავისი დროისათვის სავსებით კრიტიკულ სიმ-
აღმდეგობად შეიძლება ჩაითვალოს, მით უმეტეს, რომ მესამე
ჩკუთის ხელნაწერებში არსებობდა უამრავი ნუსხა, მომდინარე ია-
კობ შემოქმედლის ხელნაწერიდან, რომელმაც შავთელის ოხზულების
კომპილაცია მოახდინა, თამარის ნაცვლად არჩილ მეფის სახელი შეი-
ტანა ტექსტში და არჩილის ქებად გადააკეთა იგი. იაკობ შემოქმედ-
ლის ხელნაწერი ნუსხიდან ბევრმა გამაწერელმა ეს თხზულება
კვლავ არჩილის ქებად გადაწერა, მათ შორის თვით უკვე რექტორ-
მაც, რომლის ადრინდელ ხელნაწერებში არჩილის ქება ჰქვია ამ
პოემას.

ასეთ ვითარებაში პლატონ იოსელიანის გამოცემა, როგორც ზე-
მოთ შევნიშნეთ, შეძლებისდაგვარად საკმაოდ კრიტიკული გამოცემის
სახეს ატარებს.

არაკრიტიკულად შეიძლება ჩაითვალოს პლ. იოსელიანის მიერ მი-
თითებული თხზულების დაწერის თარიღი — 1192 წ., რომელიც, ალ-
ბათ, ხელნაწერის ჩვენებიდან მომდინარეობს. მაშინ როცა თანამედ-
როვე მკვლევრების მიერ ტექსტის ანალიზის შედეგად დადგენილია
„აბდულმესიას“ შექმნის ფართო თარიღი 1204—1206 წლები. რაც შეე-
ხება საცნობარო აპარატს, რომელიც პლ. იოსელიანის სხვა გამოცე-
მებში ასე საინტერესო და მრავალფეროვანია, ამ გამოცემას არ ახლავს.

1850 წელს პლატონ იოსელიანმა დაბეჭდა გ. ერისთავის კომე-
დია „გაყრა“. ეს გამოცემა მკვლევართათვის საინტერესოა წინასა-
ყვობით, რომელიც კომედიას აქვს დართული და რომელშიც გადმო-
ცემულია პლ. იოსელიანის დამოკიდებულება „აბალასა გუარისა“
ქართული ენისადმი. წინასიტყვაობაში პლ. იოსელიანი შიშოხილავს
ძველი ქართული მწერლობის მნიშვნელოვან ძეგლებს, „ვეფხისტყა-
ოსანს“, „თამარის“, „აბდულ-მესიას“, „ქაცვია მწყემს“, „სიბრ-
სიცრუისა“ და სხვა „საფილოსოფოსო, ღვთისმეტყველებითს, ისტო-
რიულსა და ზნეობითს“ თხზულებებს და შენიშნავს: „მაგრამ მწერლო-
ბა ძველთა, გარდა რუსთაველისა და მცირედთა სხუათა, არა იყო ჩვე-
ულებითის საუბარის ენითა, რომელიც არის და უნდა იყოს კუმარო-

¹⁵ ძველი ქართული მეხოტბენი, წიგნი II გვ. 11.

ტი ენა ხალხისა. დამწერმან ამა პირუელისა ქართულსა ენაზედ კო-
მედისა, თავადმან გიორგი დავითის ძემან ერისთავმან, დაბადა ეს
ქართული ახლისა გუარისა მწერლობისათვის“... პლ. იოსელიანი
გ. ერისთავის სახელს ცნობილი ბერძენი და რომაელი კომედიოგრა-
ფების გვერდით აყენებს და შენიშნავს: „მაქუს იმედი, რომ ესრეთ-
სა ჩემგან ახლისა გუარისა მწერლობისა მოწონებასა, არ ვინ მიიღებს
პირმოთენობით თქმულად და თვითოეული კეთილგანმზრახი ქართუ-
ელი სიხარულით და სიამოვნით წაიკითხავს ამ კომედიასა და სსუანი-
ცა ახალნი მწერალნი გაბედვით შეუდგებიან მაგალითსა მისსა“¹⁶.

საცნობარო აპარატი არც ამ გამოცემას ახლავს თან. ამ მხრივ
უფრო საინტერესოდ გამოიყურება 1851 წელს პლატონ იოსელიანის
მიერ გამოცემული „დიდმოურავიანი“. სათაურში პლ. იოსელიანი
წერს: „დიდი მოურავიანი, თქმული სააკაძის-ძის იოსებ თფილელისა-
გან, დამატებით სსუათა მისთა თხზულებათა“. მართლაც, „დიდმო-
რავიანის“ ტექსტს გარდა ამ გამოცემაში მოთავსებულია იოსებ თბი-
ლელის ანბანთქება და იგავი, მიწერილი იაკობ შემოქმედლისადმი.

წიგნს ეპიგრაფად აქაც „წყობილსიტყვაობის“ შესაფერისი აღგი-
ლი აქვს წამძღვარებული (678, . 679).

წინასიტყვაობაში პლატონ იოსელიანი გადმოგვცემს თბილელის
მოკლე ბიოგრაფიას. იგი მას გიორგი სააკაძის შვილიშვილი ჰგონია,
სიაუშის ძე. დაბადების წელი იოსებ თბილელისა არ არისო ცნობილი,
შენიშნავს იგი, მხოლოდ სიონის ეკლესიის ერთ-ერთი გუჯარი გვა-
უწყებს, რომ 1662 წელს იგი თბილელ მიტროპოლიტად იწოდებოდა.
მოკლედ მოგვითხრობს პლატონ იოსელიანი იოსებ თბილელის აღზრ-
დისა და სასულიერო კარიერის შესახებ. საინტერესოა ბიოგრაფიაში
მოტანილი ერთი ფაქტი, რომელზეც იგი ამახვილებს ყურადღებას:
„გრამატიდამ, რომელიცა აწცა ჰგეის საქართუელო-იმერეთის სინო-
დის კანტორასა შინა (ქორონიკონით 376—1683) ჰსჩანს, რომელ დი-
დად განამრავლა ბიბლიოტეკა, ანუ წიგნთა-საცავი სიონის ეკკლეს-
იისა“¹⁷. ბიოგრაფიაშივე მოაქვს პლ. იოსელიანს სავარაუდო ცნობა
იოსებ თბილელის სხვა თხზულებების შესახებ: „წერილნი მისნი იყუ-
ნენ იტყვიან მრავალნი, გარნა აწ უწინონი არიან, გარდა ამა მისისა
პოემისა, პატივად დიდისა მოურავისა დაწერილისა, არიან მცირედ-
ნიცა საგალობელნი, რომელთაცა ჰგალობს დღესცა ეკკლესია ქართუ-
ელთა“¹⁸.

¹⁶ გაყრა, 1850, გვ. 1—2.

¹⁷ დიდი მოურავიანი, 1851, გვ. 2.

¹⁸ იქვე.

წინასიტყვაობაში პლ. იოსელიანი გადმოგვცემს. თბილელის ამ თხზულების შეფასებას თანამედროვეთა მიერ. აღნიშნავს. მრავალმა შეაქოო იგი, ანტონ პირველიც კარგ მწერლად თვლის მას, ოღონდ მიაჩნია, რომ ქების ობიექტი, ე. ი. გიორგი სააკაძე არ იყო ღირსი პიროვნება. აქ პლატონ იოსელიანი ხელახლა ახდენს ციტირებას „წყობილსიტყვაობის“ 678, 679 სტროფებისას. წინასიტყვაობის ბოლოს პლ. იოსელიანი იძლევა ცნობას, თუ რომელი წყაროდან დაბეჭდა ტექსტი. „აქა ჯერ არს მოვიხსენიო, რომელ თხზულება ესე მისი დიდმოურავიანი დავპბეჭდე უმეტნაკლებოდ ამა დედანზედ, რომელიც ეპპოვე გარდაწერილი კარგისა და გარკუეულის ხელით თელავის სემინარიის რექტორის დავით ალექსიევისაგან მისართმევად თავადის სტატისკის სოვეტნიკის გიორგი ეგნატის-ძის თუმანოვისა, წელსა 1823-სა.“

ამავე ხელნაწერით უსარგებლია პლ. იოსელიანს, როცა რუსულ ენაზე შეუდგენია თხზულება „Жизнь Великого Моурава Князя Георгия Саакадзе, родоначальника князей Тархан Моуравих, с приложением описания Эртауминдского храма и Квбташевского монастыря“¹⁹.

ეს თხზულება (რუსულად) თავდაპირველად „Закавказский Вестник“-ში დაუბეჭდავს 1848 წელს.

წინასიტყვაობის დასასრულს პლ. იოსელიანი აღნიშნავს: „ამავე ჰოემას დაურთე ბოლოს სხუანიცა ორნი მისნი თქმულებანი, იმა ჰაზრითა, რათა არა დაკარგულ-იყუნენ დროთაგან, პირუელად ანბანო ქება, თქმული შაირად და მეორედ იგავი მისი, მიწერილი იაკობ შემოქმედელისადმი, კაცისა ბრძნისა და გონიერისა, რომელიცა მისს დროს ბრწყინავდა მეცნიერებითა გურიასა შემოქმედის ეპარხიის კათედრასა ზედა. აქავე დაურთე პასუხიცა მისი“²⁰

მაგრამ იაკობ შემოქმედლის ზემოაღნიშნული დახასიათება არ მიუხედავია საკმარისად პლ. იოსელიანს და წინასიტყვაობის ბოლოს სქოლიოში შენიშნავს, „იოსებ (sic) შემოქმედელი, მწერალი ლექსად წიგნისა, რომლითაცა არღუევს მაჰმადისა სარწმუნოებასა. წიგნი ესე აღწერა მან თხოვნითა ქართლის მეფისა გიორგი XII შაჰნავაზ წოდებულისა. მოხუცებისა ჟამსა დაუტევა მან ეპარხია თვისი გურიისა,

19 დიდი მოურავიანი, 1851 გვ. 3.

20 იქვე, გვ. 4.

წარვიდა იერუსალიმად და მუნ გარდაიკუალა, იხ. წყობილსიტყვაობა ანტონისა § 675, 676²¹.

ტექსტში ერთადერთი შენიშვნაა: 175 სტროფში ნახსენებ ხოსრო მირზას კომენტარი აქვს სქოლიოში. „ამას ეწოდა შემდგომ როსტომ და მეფობდა ქართლსა“.

მეორე შენიშვნა ახლავს თხზულების ბოლოს მოთავსებულ ან. ზანთქების ტექსტს, სადაც იოსებ ტფილელის გვარი — ბაბათაშვილია ნახსენები. პლ. იოსელიანი განმარტავს: ბაბათა არის ლექსი თათრული და ეწოდა მამასა მისსა სიაუშს მას ჟამსა ოდეს ჰსცხოვრებდენ უცხოებასა შინა აზრუმსა და ოსმალის სამზღლუართა ძენი და ასულნი დიდისა მოურავისა, განდევნილისა მეფისა როსტომისაგან²².

როგორც „დიდმოურავიანის“ გ. ლეონიძისეული გამოცემიდან ირკვევა, ბაბათაშვილი ყოფილა არა გიორგის უშუალო მემკვიდრეთა გვარი (ისინი მოურავიშვილებად იწოდებოდნენ თურმე), არამედ გიორგის ძმის—სიაუშის ბაბათას შთამომავლებისა, ხოლო თბილელი იოსებ ამ სიაუშის ვაჟი, ე. ი. დიდი მოურავის ძმის შვილი უნდა ყოფილიყო. ამრიგად, პლ. იოსელიანის ეს ცნობა, როგორც ჩანს, ტრადიციული ჯადმოცემის გაზიარების შედეგია და არა მეცნიერული კვლევა-ძიებისა. ამ თვალსაზრისით გაცილებით უფრო მაღალ დონეზეა შესრულებული პლატონ იოსელიანის გამოცემა „მოხილუა წმინდათა და სხუათა აღმოსავლეთისა ადგილთა ტიმოთესაგან ქართლის მთავარეპისკოპოსისა“. რომელიც 1852 წელს გამოქვეყნდა.

ეპიგრაფად გამოცემას ძველი აღთქმიდან აღებული ციტატა უძღვის; „რაოდენ მშუენიერ—არიან მათა ზედა ფერხნი მშვიდობისა მათუწყებელთა და კეთილისა მახარებელთა“²³.

გამოცემას წინ უძღვის პლატონ იოსელიანის წინასიტყვაობა, რომელშიც მოთხრობილია ტიმოთე გაბაშვილის ვინაობა, აღზრდა, საეკლესიო კარიერა. როგორც თავად შენიშნავს, რუსეთის სინოდის კანტორაში მუშაობის დროს 1843, 1844 წლებში, პლატონ იოსელიანს მიუკვლევია დოკუმენტებისათვის, რომლებიც აზუსტებენ ტიმოთე გაბაშვილის ზოგიერთ ბიოგრაფიულ ფაქტს. ასე მაგალითად, მის წარგზავნას რუსეთს ქუთათელი მიტროპოლიტის ხარისხით 1738 წელს, და კიდევ ერთი ცნობისათვის მისი გარდაცვალების შესახებ 1764 წლის ივლისში, ქალაქ ასტრახანს²⁴. სხვა ბიოგრაფიული მასალა პლ. იოსე-

21 დიდი მოურავიანი, 1851, გვ. 4.

22 დიდმოურავიანი, 1939, გვ. 22.

23 მოხილუა, 1852, გვ. 4.

24 იქვე. გვ. 5.

ლიანს ტიმოტეს წინამდებარე თხზულებიდან აქვს აღებული (მთავარ-ეპისკოპოსად მისი განწესება, მოგზაურობა რუსეთსა, პალესტინასა და საბერძნეთში, მოღვაწეობა დავით გარეჯის უდაბნოში და სხვა).²⁵

წინასიტყვაობის დასასრულს პლატონ იოსელიანი თხზულების გამოცემის შესახებ ლაპარაკობს: „წიგნი ესე, შემოწმებით ორთა სხუათა ესე ვითართა თანავე, დაიბეჭდა თანახმად იმა ძუელისა დედანისა, რომელიცა ვჰპოვე გარდაწერილი 1787 წელსა თელავის სემინარიის რექტორის დავით ალექსის ძისა ხელითა“.

წინასიტყვაობის ტექსტის ამ ნაწილს სქოლიოში პლატონ იოსელიანი ასეთ განმარტებას ურთავს: უკანასკნელსა ფურცელზედ ამის დედანისა, რომელიცა ეკუთვნის დეისტვიტელნის სტატისკის სოვეტნიკს თავადს ნიკოლოზ იოსების ძეს ფალავანდოვს, ესრეთ იყო თვით მწერალისაგან მიწერილი:

ესე წიგნი გაბა-შვილის ტიმოთე მთავარ-ეპისკოპოსისაგან გაკეთებული, მთა-წმინდისა და იერუსალიმისა და სხუათა ადგილთა მოხილუა“, რომელიც თვით ეხილუა, ყოველივე აღეწერა და ესთა (ერთსა?) წიგნად ექმნა. ხოლო მე მაღალ-კეთილ-შობილმან ალექსის-ძე მან სრულიად კახეთის სამეფოს, თელავის ქალაქს რექტორმან, ფილოსოფიისა და ღუთის-მეტყუელებისა მოძღუარმან დავით ალექსანდრე წიგნი ესე გარდანუსხვით; და ვინცა ამისგან კითხვით და ამბის მეტყობით ირგოთ, ლოცუა-ჰყავთ ჩემ მშრომელისათვის.

აღიწერა წიგნი ესე თთუესა მარტსა, რიცხუსა ია, ქორონიკონსა ეოე. მაღალ-კეთილ-შობილი ალექსის ძეა რექტორი დავით“²⁶.

წინასიტყვაობის დასასრულს პლ. იოსელიანი კიდევ ერთ, ტექსტოლოგიური ხასიათის შენიშვნას აკეთებს: „გუერდებზედ აქ უნდა ამას უძველესსა ხელწერილსა, გარდანუსხულსა ოც-ოდენ წელშემდგომად გარდაცუალებისა თვით ტიმოტესსა, — მცირედნი შენიშვნანი; და ესენიცა აქავე დაურთენ სხოლიოდ. სხუანი ესე გუარნი, რომელიცა ვჰგონე ჰეროვან— სასარგებლოდ მკითხველთათვის, განსამარტებლად და დასახსნელად რაოდენთამე სიძნელეთა, ჩემით დაურთენ“²⁷.

მოტანილი ადგილებიდან ცხადი ხდება, რომ პლატონ იოსელიანს ხელთ ჰქონია 1787 წელს დავით რექტორის მიერ გადაწერილი ნუსხა. შეუდარებია იგი აგრეთვე მის ხელთ არსებული ორი სხვა ხელნაწერისათვის და დაუბეჭდავს. რა ხელნაწერები ჰქონდა მას კიდევ ხელთ, წინასიტყვაობიდან არა ჩანს.

²⁵ მიხილუა, 1852, გვ. 6.

²⁶ იქვე გვ. 7.

²⁷ იქვე, გვ. 8.

ამ ძეგლის აკადემიური გამოცემა მოამზადა და გამოცა 1955 წელს პროფ. ელ. მეტრეველმა. გამოცემისათვის დართული გამოკვლევიდან ირკვევა, რომ ტიმოთე გაბაშვილის თხზულების უაწრავ ხელნაწერს მოუღწევია ჩვენამდე, მათ შორის ოთხ ავტოგრაფულ ნუსხას. ეს ნუსხები გარდა მიმოსლვის ტექსტისა, შეიცავენ ტიმოთე გაბაშვილის სხვა თხზულებებსაც. სხვადასხვა ავტოგრაფი ტიმოთე გაბაშვილის თხზულებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპს ავლენს. ძირითადად ეს ნაშრომი ტიმოთეს მოგზაურობის დროს დაუწერია. უკანასკნელი რედაქცია კი, ე. ი. უკანასკნელი ავტოგრაფი, საქართველოშია გადამუშავებული და დამთავრებული, დაახლოებით 1759 წლისათვის.

სწორედ ეს უკანასკნელი ავტოგრაფული ნუსხა გადაუწერია დავით რექტორს.

უადრეს ავტოგრაფში მთაწმინდის ივერიის მონასტრის გეგმა — ნახაზია მოთავსებული, შესრულებული თავად ტიმოთე გაბაშვილის ხელით. მომდევნო ავტოგრაფულ ნუსხაში იერუსალიმის ჯვრის მონასტრის კედლის მხატვრობიდან გადმოღებული და ფერებით შესრულებული სამი ქართველი მეფის — მირიანის, ბაგრატ კურაპალატისა და ვახტანგ გორგასლანის სურათებია მოთავსებული; უკანასკნელ ავტოგრაფში ქართველთა კარის ეკლესიის ღვთისმშობლის (პორტიკის) ხატი ათონის მონასტრიდან და წინა ავტოგრაფში გადმოღებული მეფეთა პორტრეტებია ოდნავი ცვლილებით, როგორც ჩანს, უკვე საქართველოში დახატული. დავით რექტორისეულ ნუსხაში სურათებიც უკანასკნელი ავტოგრაფიდანაა გადაღებული, ოღონდ შესამოსელია შეცვლილი და სამკაულები მიხატული. პლატონ იოსელიანის გამოცემაში მეფეთა პორტრეტები და პორტიკის ღვთისმშობლის ხატი დავით რექტორის ნუსხიდან გადავიდა. მაგრამ ეს სურათები დართული აქვს არა ტიმოთე გაბაშვილის თხზულებას, არამედ პლ. იოსელიანის მომდევნო გამოცემას — „მიმოსულა იოანე რუისის მიტროპოლიტისა“, რომელიც ამავე, 1852 წელს განხორციელდა. ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

დავ. რექტორის ხელნაწერი ნუსხიდან მიუღია პირობითად პლატონ იოსელიანის გამოცემაში თხზულებას სათაურიც: „მოხილუა წმინდათა და სხვათა აღმოსავლეთისა ადგილთა ტიმოთესაგან ქართლისა მთავარ-ეპისკოპოსისა“.

როგორც პროფ. ელ. მეტრეველის ნარკვევიდან ვგებულობთ, უძველეს ხელნაწერს თავფურცელი აკლია და გაურკვეველია, რა ერქვა პირველ ავტოგრაფულ ნუსხაში ამ თხზულებას. მაგრამ მომდევნო ავტოგრაფის შემორჩენილ ასლში ეს სათაური შემონახულია: „მეტრ-

ფენი განშორებად და უცხოებად და მიმოსლვად უცხოთა ადგილთა და უცხოებასა შინა თხოვად ტკივილთ მოყვარებით ღმთისაგან, რათა უვნებელად დაიცვას და საწადელსა თვისსა ღირს ყოს და იხილენეს სამარტიკრონი და ნიშებშემოსილნი ადგილნი წმიდათანი და მუნ ხილულნი და სმენილნი აღწერებოდეთ, ერთა სარგებელად და აღსაშენებელად სულთა მორწმუნეთასა, ამისთვის წიგნსა ამას ეწოდების ეზო“. სათაურის ასეთი სივრცელისა, ხოლო მოკლე სათაურის „ეზოს“ სიმბოლურობის გამო, გვიანდელ რედაქციებში გაჩნდა სხვადასხვა სახელწოდება თხზულებისა. ასე მაგ: „წიგნი ესე მღუდელმთავრის ტიმოთეს მიმოსლვისა“ და სხვა. დავ: რექტორისეული რედაქცია სათაურისა თვით თხზულების ტექსტიდან უნდა მოდიოდეს, სადაც ტიმოთე ხმარობს ტერმინს „მოხილუა“ ნახვის, მონახულების მნიშვნელობით.

როგორია „მოხილუასათვის“ დართული საცნობარო აპარატი?

საგულისხმოა, რომ პლატონ იოსელიანს ჰქონია საშუალება ძირითადი ტექსტის შეჭერებისა სხვა ხელნაწერ ნუსხებთან, ამიტომ ზოგადგილს იგი ვარიანტული ნაირწყაიკთხვის სურათსაც იძლევა, ასე მაგ., გვ. 9, სიტყვა „უღებად“, სქოლიოში გატანილია: „სხვა მანუსკრიპტში, ანუ ხელწერილში, უღებად“. საინტერესოა, რომ ელ. მეტრეველის აკადემიური გამოცემის ტექსტში ეს სიტყვა სწორედ ამ ნაირწყაიკთხვითაა წარმოდგენილი (იხ. გვ. 3), თანაც ვარიანტებში არაა მინიშნებული სხვანაირი წაკითხვა, როგორც ჩანს, ეს დავით რექტორისეული ნუსხის კალმისმიერი შეცდომაა. როგორც პროფ. ელ. მეტრეველი შენიშნავს, დავ. რექტორის ნუსხაში და შემდეგ პლ. იოსელიანის გამოცემაში ავტოგრაფული ნუსხის ზოგი ადგილი ორთოგრაფიულადაა ნასწორები, ზოლო ზოგი სიტყვა არასწორად წაკითხული. ძნელია თქმა გარდა დავ. რექტორის ნუსხისა ჰქონდა თუ არა ხელთ პლ. იოსელიანს ავტოგრაფული ნუსხა და ეს შეცდომები ნუსხიდანაა მომდინარე, თუ პლატონ იოსელიანის არასწორი წაკითხვის შედეგი.

სქოლიოში გაუტანია პლ. იოსელიანს დავ. რექტორისეულ ნუსხაზე გადამწერლისავე მინაწერები და ტიმოთე გაბაშვილის შენიშვნები. ასე მაგ., 112-ე გვერდზე ტიმოთეს მიერ განმარტებულია სიტყვა — „გოივოდა რუსული ენაა, ქართულად ეწოდების მოურავი“. 120-ე გვერდზე: — „ბეი — ქართული ენა არ არის, ქართულად ეწოდების არაონი“. 128-ე გვერდზე ტიმოთეს კომენტარია მოტანილი ქალაქ ბერუსთან დაკავშირებით.

151-ე გვერდზე სქოლიოშია ჩამოტანილი ტიმოთეს მიერ გადმო-

ლებული კასთა ლეონ მეფის საფლავის ქვაზე ქართული წარწერის ტექსტი.

158-ე გვერდზე ტიმოთეს მიერვე ხელნაწერის კიდევზე ნუსხურით მინაწერი ტექსტია ჩამოტანილი სქოლიოში — ტიმოთეს საუბარი იერუსალიმის პატრიარქთან.

50-ე გვერდზე სქოლიოში დავით რექტორის კომენტარია გატანილი წმინდა ათანასეს ლავრის შესახებ.

სხვა შენიშვნები ტექსტთან დაკავშირებით პლატონ იოსელიანის მიერაა გაკეთებული. ცნობილია, რომ 1849 წელს პლატონ იოსელიანმა ათონისა და სინას მთაზე იმოგზაურა და მისი შენიშვნების უდიდესი ნაწილი საკუთარი თვალით ნახული ამბების აღწერაა.

კომენტარები სხვადასხვა ხასიათისაა: გეოგრაფიული, ისტორიული, ეთნოგრაფიული და სხვა. საკომენტარო მასალა დიდი ზომიერებითაა შერჩეული, ფრიად საგულისხმო ცნობების შემცველია და სავსებით გეცნირულ დონეზე დგას. სანიშნოდ მოვიტანთ რამდენიმე მათგანს:

მე-14 გვერდზე ზარზმის მონასტერს ასეთი კომენტარი აქვს სქოლიოში: „ადგილი ესე უპყრიეს დღეს თურქთა: მდებარეობს ახლოს ყუელის ციხისა, რომელსაცა ძველად ბერძენნი უწოდებდეს: Типо-кастра. ახლოს ამა ციხისა მთაჲ შინა არს მონასტერი, რომლისათვისცა ჰსწერს ვახუშტი, რომელ იყო იგი მისს დროსაცა გაუქმებული. შენობანი ამა მონასტრისა დღესცა იხილვებიან მრთლივ“...

35-ე გვერდზე პლატონ იოსელიანი ტიმოთე გაბაშვილის მიერ ტექსტში დაშვებულ ფაქტობრივ შეცდომას ასწორებს. ტიმოთე თორნიკე ერისთავის ისტორიის თხრობისას შენიშნავს: „თორნიკეს აქეთ არიან წელნი წარსულნი 748“, პლ. იოსელიანი სქოლიოში შენიშნავს: „წელიწადი ესე დაუსუამს მწერალსა შეცთომით. რადგან მოგზაურობა მისი იყო წელსა 1755-სა და უამს თორნიკისა ცხოვრებისა გვითხრობდა საბერძნეთს მიხაილ VI სახელწოდებით სტრატიოტიკე და რომელმანცა იმეფა წელსა 1056-გან ვიდრე 1057-დღე. ამისთვის წელნი წარსულნი თორნიკედამ იქმნებოდა მოგზაურობისა მისისა წელსა, არა 748 არამედ 698, ხოლო დღემდე ჩვენისა 1852 წლისა, იქმნება 796 წელი“.

35-ე გვერდზევე კომენტარში თორნიკე ერისთავის შესახებ პლ. იოსელიანი წერს: „ამან თორნიკი მრავალი დაჰსდუა ღუაწლი აღშენებაზედ ათონისა მთასა ქართუელთა მონასტრისა და მისსავე დროსა გარდმოღებულ იქმნა ბერძნულითგან ქართულად დაბადება. — 1849 წელსა, უამსა ყოფნისა ჩემისა ათონისა მთასა, მოვჰსთხოვე მონასტრისა ძმაჲ დაბადება ესე დაწერილი ორ ნაწილადი ტყავზედ 1078 წელსა

და შოვიტანე თფილისს გარდასაწერად. — ერთი გარდაწერილი აქა თფილისს ამა ნამდვილიდამ ეკზემპლარი ახლავს აწ უგანათლებულესსა გინგრელიის მთავარს დავითს ლეონის-ძეს დადიანს და მეორე ეკზე-მპლარი უქაზითა საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორისა 7 სექ-ტემბრისა რიცხვით 1851 წელსა № 3238 გარდაეცა დასაცველად სა-კათედროსა სიონის ეკლესიასა შინა“.

დაბადების ეს ხელნაწერი, რომელიც პლატონ იოსელიანმა ჩამო-იტანა ათონის მთიდან, წარმოადგენს ოშკის ბიბლიის უძვირფასეს ხელნაწერს (იხ. ლ. მენაბდე — ქართული კულტურის კერები უცხო-ეთში, 1967 წ.). ასევე ძვირფასი შენაძენია ქართულ ხელნაწერთა ფონდისათვის საყოველთაოდ ცნობილი „ათონის კრებული“, რომე-ლიც პლატონ იოსელიანმა აღმოაჩინა ათონის ივერიის მონასტერში ყოფნის დროს. ამ ხელნაწერს ტიმოთე გაბაშვილის ნუსხური წარწერა ჰქონია არეზე. ტიმოთეს „მოხილუაში“ პლ. იოსელიანი შენიშნავს: „სხუათა წიგნთა შორის, ვჰპოვე მუნ ცხოვრება ევთვიმე ათონელისა ტყავზედ ნაწერი და სხვათა, წიგნისა ამის თავზე ხუცურად ესრეთ და-უწერია ტიმოთეს:

„ღმერთო მალალო და ხატო დიდებულო პორტაიტისაო. შეიწყალე ცოდვილი ქუთათელ-ყოფილი და არქიეპისკო-პოზი ქართლისა ტიმოთე, რომელიცა მოვიწიე მთასა ამას მონასტერსა ქართუელთასა ქორონიკონი იყო უმგ 1755. აქავე ეწერა ესეცა, „ღმერთო და პორტაიტისა ღვთის-მშობელო. შეიწყალე უღირსი მონა უფლისა თბი-ლულ-ეპისკოპოზი ელისე, რომელი მოვაწიე მთასა ამას წმინდასა ქორონიკონი იყო ტკ ამინ. წელიწადი ესე იქ-მნებოდა ქრისტესით 1640, ამ დროს მეფობდა ქართლ-სა მეფე როსტომ, ამანვე ელისე აღაშენა ეკუდერი თფი-ლისის სიონის ეკლესიისა, მიდგმული სამხრეთით. გუა-რით იყო იგი საგინა-შვილი“²⁸.

მთელ რიგ გვერდებზე პლ. იოსელიანი განმარტავს სიტყვების ეტიმოლოგიურ ან ისტორიულ მნიშვნელობას. მაგ., გვ. 68 „ესილმე-ნი. — ნიშნავს ადგილსა შეიწრებულსა მთათაგან. ესრეთცა არს ადგი-ლი მონასტრისა ამის“.

გვ. 44—ომილია, ნიშნავს ქადაგებასა (Homilia).

გვ. 90—ტექსტში ნახმარი „ღუქარიო“ კომენტარში ასეა განმარ-ტებული: „ღოხარია, ლექსი ესე ნიშნავს პალატსა სასიამოვნოსა“.

გვ. 38—„აღრიპინა—ნიშნავს ღამის თევასა, რომელიცა დიდთა დღესასწაულთა დღეთათვის იწყება 5 საათსა მწუხრისას და დაბოლოვდება წირვითა დილით მზისა აღმოსვლაზედ. ესრეთი ღამის-თევა დაწყება დიდის მწუხრისა არა კითხვითა, არამედ გალობითა, მერეთ შეუდგება ცისკარი ესრეთისავე განგრძელებულისა გალობითა“.

საინტერესო შენიშვნას ვხვდებით 79-ე გვერდზე დიონისეს მონასტრის კომენტარში. ტიმოთე აღნიშნავს თხზულების ტექსტში, რომ გადმოცემით ქართველთა მეფის აშენებულად მიიჩნევიან ამ მონასტერს, ოღონდ რომელი მეფისას, „ვერა ვჰსცანიო“. პლატონ იოსელიანი კომენტარში შენიშნავს: „დიდად მსურდა წერილთაგან ამა მონასტრისა შემეტყო ვინაობა ამა მეფისა, გარდაკითხვით ძველთა ბერძულთა სიგელთა ვჰსცან მხოლოდ, რომ მონასტერი ესე დაფუძნდა ზერძენთა კეისრისაგან ალექსი კომნინისაგან, რომელმანცა უბოძა მას გრამატა ოქრობეკლიანი (ხრიზოვული) წელსა 1375. იმპერატორი ესე მოიხსენიებს აქა: „ნებითა ლუთის მეფე და თვით მპყრობელი აღმოსავლეთისა, ივერთა და პერატისა ალექსი დიდი კომნენი“. ესე ალექსი კომნენი იყო ნამდვილ იმპერატორად ტრაპეზუნტისა და ეპყრაცა დროთა მათ ლიმანა, აქარა და სხუანიცა ირისესა გარემო ადგილები, ქართველთა საგანენი. — ვჰვონებ, ამა მიზეზით უწოდებენ მონასტერსა ამას აღშენებულად ქართველთა მეფისაგან“.

პლატონ იოსელიანის ამ ვარაუდთან დაკავშირებით პროფ. ელ. მეტრეველი შენიშნავს: „პლატონ იოსელიანის მიხედვრად უთუოდ მართებულია, ათონის ბერებს ალექსი კომნენი მისი ოფიციალური ტიტულატურის გამო ქართველების მეფედაც მიუჩნევიათ და ერთი და იმავე ხრიზოვულის საფუძველზე დიონისეს აღმაშენებლად ზოგს ალექსი კომნენი გამოუცხადებია, ზოგს კი ქართველთა მეფე“²⁹.

81-ე გვერდზე პლ. იოსელიანი შენიშვნაში ასწორებს ტექსტში დაშვებულ ფაქტობრივ შეცდომას. ტიმოთე გაბაშვილი შენიშნავს, რომ გრიგორის მონასტერში დაცულია წმინდა ნაწილები „ანტონი რომაელისა“, პლ. იოსელიანი წერს: „ესე შეცთომით დაუწერია ანუ ტიმოთეს და ანუ გარდამწერალსა. ნაწილნი არიან არა ანტონისა, არამედ ანასტასია რომაელისა, რომელსა დღესასწაულობს ეკკლესია 23 ოქტომბერსა“.

უამრავი საგულისხმო კომენტარია მოთავსებული გამოცემაში გამოჩენილ სწავლულთა, ღვთისმსახურთა, მეფეთა შესახებ. კომენტარო

29 პლ. იოსელიანი, მიმოსლვა, 1956, გვ. 025.

ქვეს ოლიმპოს მთას (გვ. 118), პლატონის აკადემიას (გვ. 181), არეო-
პაგს (გვ. 183) და სხვა.

როგორც ზევით შევნიშნეთ, პლატონ იოსელიანის მიერ გამოცემუ-
ლი „მოხილუა“ ყველა სხვა წინა გამოცემაზე უფრო მეტად პასუხობს
კრიტიკული გამოცემის თანამედროვე მოთხოვნებს, ერთი მხრივ, და,
მეორე მხრივ, ნათელს ხდის პლატონ იოსელიანის დიდ განსწავლულო-
ბას თეოლოგიაში, ისტორიასა და ლიტერატურაში.

1852 წელსვე გამოსცა პლატონ იოსელიანმა „მიმოსულა ანუ
მგზავრობა იონა რუისის მიტროპოლიტისა“. იონა მიტროპოლიტი,
გვარად გედევანიშვილი, როგორც პლატონ იოსელიანის მიერ წამძღვა-
რებული ბიოგრაფიიდან ირკვევა, ანტონ I-ის თანამდგომი სასული-
ერო პირი ყოფილა. იგი დევნილებაშიც თან ზღებია ანტონ კათალი-
კოსს, მასთან ერთადვე დაბრუნებულა უკან სამშობლოში და 1775
წელს მიტროპოლიტობა მიუღია. მაგრამ იმდროინდელი მღვდლვარე
პოლიტიკური ვითარების გამო რაღაც მიზეზებით ერეკლე მეორის
რისხვად დაუქმდა და დიდხანს ყოფილა იძულებული საქართვე-
ლოს გარეთ ეძია მფარველობა. მისი მოგზაურობის წიგნს ბევრი ფრი-
ად მნიშვნელოვანი ისტორიული თუ პოლიტიკური ხასიათის ცნობა
შემოუნახავს, რის გამოც ეს თხზულება პლატონ იოსელიანის, რო-
გორც გამომცემლის, ყურადღების საგანი გამხდარა.

როგორც პლ. იოსელიანის ზემოთ მოტანილი წერილიდან ირკვე-
ვა, ამ წიგნის გამოცემის ხარჯები ევრონცოვს გაუღია, ამიტომ სატი-
ტულო ფურცელს ამშვენებს წარწერა — „მათს უგანათლებულესობას,
კავკასიისა ნამესტნიკს, კნიაზსა მიხაილ სვიმონის ძეს ევრონცოვს
მათსავე ბრძანებით აღბეჭდილი წიგნი ესე ეძღვნის უმდაბლესად“. ხო-
ლო მომდევნო გვერდზე ძველი აღთქმიდანაა მოტანილი ციტატი ეპი-
გრაფის სახით. „...ჰსდევით გზასა და იხილეთ, და გამოკულევით საუ-
კუნეთა წარსულთა ჰსცანით, რომელი არს გზა კეთილი და ვიდოდეთ
მას-ზედა, და ჰპოვოთ განსუენება სულთა თქუნეთა, იერემ. 6. 16“.

„მიმოსულას“ წინ უძღვის იონა მიტროპოლიტის ცხოვრებისა და
მოღვაწეობის ამსახველი ბიოგრაფიული ქარგა. ეს ბიოგრაფიული ნარ-
კვევი ისტორიული მოვლენებითაა სავსე და, როგორც ყოველთვის,
აქაც, ყოველი ისტორიული მოვლენა თუ ფაქტი სათანადოდაა დოკუმენ-
ტირებული სქოლიოში. ამის გამო კომპოზიციურად ბიოგრაფია
ძალზე სანტიერესოა. საგულისხმოა, რომ ბიოგრაფიის ძირითად ტექს-
ტში არავითარი გადახვევები არ გვხვდება თხრობის ერთი მთლიანი
ხაზიდან. ყველა, ავტორის აზრით, საჭირო თუ სასურველი განმარ-
ტება ბიოგრაფიის ამა თუ იმ დეტალისა, ჩამოტანილია სქოლიოში და

აქ დაწვრილებითაა იგი გადმოცემული. ასე მაგალითად: ბიოგრაფიაში ნათქვამია, რომ „კათოლიკოზმან ანტონი, განდევნილმან ქართლით 1754 წელსა წარიყუანა იგი (ე. ი. იონა გედევანიშვილი, ლ. გ.) თანა რუსეთსა და სცხოვრებდა მასთან...“ ტექსტის ამ ადგილისათვის მინიშნებულ სქოლიოში კი ვკითხულობთ: „ს. პეტერბურლის უწმინდესის სინოდის არხივში ვპოვე საქმე 1757 წლისა № 350, რომელშიაც არის თანა-ხლებულთა გუამთა სია; და მას შინა მოიხსენების იეროდიაკონი იოანე „მღუდელ-მონაზონებაში წოდებული იონად“³⁰.

როცა ბიოგრაფიაში ნახსენები აქვს ისეთი ამბავი, რომლის შესახებაც იონა მიტროპოლიტი თავად ლაპარაკობს თხზულებაში უფრო ვრცლად, პლ. იოსელიანი სქოლიოში მიუთითებს: „იხ. წიგნისა ამის გუერდი“...

კიდევ სხვა რიგის საინტერესო ხასიათის სქოლიოებსა ვხვდებით ამ გამოცემაში: ტექსტში მოთხრობილია იონა მიტროპოლიტის შეჩვენება და „წარგზავნა პყრობილად დავით-გარეპსჯისა ჟუდაბნოსა“. სქოლიოში ტექსტის ამ ნაწილის განსამარტავად პლ. იოსელიანს მოაქვს სინოდის არქივიდან ცნობა იმის შესახებ, თუ ვინ დანიშნა ანტონ კათალიკოსმა მის ადგილზე მიტროპოლიტად. შემდეგ იძლევა მოკლე ბიოგრაფიას ამ პიროვნებისას (ნიკოლოზ მროველი—ყიფიანი) და ბოლოს შენიშნავს: „აქა მოვიხსენებ-სასარგებლოდ ისტორიისათვის, რუისის იერარხისა განმგეთა მღუდელ-მთავართა სახელთა, რაოდენნიცა სხუათა და სხუათა წერილთაგან შევიმეცნე“³¹ და ჩამოთვლის რუისის იერარქიის სათავეში მდგომ ყველა მღვდელმთავარს, თან შეძლებისამებრ იძლევა მათი პიროვნების დამახასიათებელ მოკლე კომენტარებს, ასე მაგ., „დომენტი, გუარით ავალის-შვილი, შაპ აბაზისა და დიდმოურავისა ჟამისა მცხოვრები“. ან კიდევ: „ათანასი, ამილახუარის გუარისა, რომელიცა იყო შემდეგ თფილელადცა, მმართუელი მოსკოვს სტამბისა ქართულისა და აღმბეჭდი ქართულთა საეკლესიოთა წიგნთა 1736 წ.“ და სხვა. დაუცხრომელი სურვილი, რომ ყოველი ღირსსაცნობი ისტორიული ფაქტი შემოუნახოს შთამომავლობას, უბიძგებს პლატონ იოსელიანს იმისაკენ, რომ ყოველ მოხერხებულ შემთხვევაში ამ ცნობების ფიქსირება მოახდინოს ამა თუ იმ გამოცემაში.

კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი კომენტარების საკითხში ამ წიგნთან დაკავშირებით: როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1852 წელსვე გამოსცა პლ. იოსელიანმა „მოხილუაი“... ტიპოთე გაბაშვილისა და კომენ-

30 იხ. მიმოსულა..., გვ. 1.

31 იქვე, გვ. 3.

ტარები, რომელიც ამ გამოცემაშია მოთავსებული, აღარ მემორდება „მომოსულის“ ტექსტში, არამედ სქოლიოში ვსვდებით შენიშვნას „იხტიმოთეს მოხილუა, გვ...“³² ძნელია თქმა, რა მოსაზრებითაა გაკეთებული ეს ასე. ისეთი მრავალფეროვანი და უხვი საკომენტარო მასალა ამ გამოცემაშია მოთავსებული, რომ ძნელი დასაჯერებელია, თითქოს ეს ეკონომიის მიზნით იყოს გაკეთებული. როგორც ჩანს, პლ. იოსელიანის თვალსაზრისით, ეს წიგნები, თითქმის ერთდროულად გამოსული, დაინტერესებულ მკითხველს ერთდროულად ეჭირებოდა ხელში და არც კომენტარის მონახვა გაუძნელდებოდა. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს უბრალო ვარაუდია მხოლოდ.

ბიოგრაფიული ნარკვევის ბოლოს პლატონ იოსელიანი იძლევა გამოცემის ტექსტოლოგიურ მიმოხილვას. ირკვევა, რომ დაბეჭდილია ტექსტი ავტოგრაფიდან, რომელიც თვითონ იონა მიტროპოლიტს მოსკოვიდან გამოუგზავნია: „წიგნი ესე დაბეჭდა იმა ნამდვილიდამ, რომელიცა გარდაეწერინა თვით მას მოსკოვს და წარმოეგზავნა მუნით თვისთა ნათესავეთათვის“³³.

პლ. იოსელიანი იძლევა ამ ხელნაწერი ავტოგრაფის დახასიათებას შედგენილობის თვალსაზრისით. ჩამოთვლის, რა მასალა აქვს „მომოსულის“ ხელნაწერს დართული, გარდა ძირითადი ტექსტისა: „ამავე მოგზაურობისათვის თვით მწერალსა დაურთავს მოთხრობა გვარ-შთამოობისა თვისისა; და მეცა აქა დავებეჭდე ესე, სახედ, რათა სხუანიცა ქართულნი შეუდგნენ. ესე ვითარსა მაგალითსა, სასარგებლოსა ისტორიისათვის და დროთა წარსულთა საცნობელად“³⁴.

როგორც ზემოთ შევნიშნეთ, ტიმოთე გაბაშვილის „მოხილუაის“ ტექსტისათვის დართული პორტაიტის ღვთისმშობლის ხატი და ოთხ ქართველ მეფეთა პორტრეტები პლატონ იოსელიანმა დაურთო ამ გამოცემას. ამის განმარტებისათვის წინასიტყვაობის დასასრულში ვკითხულობთ: „ტიმოთეს მოხილუაში, წინარე ამისა დაბეჭდილსა წიგნში, იყვნენ დახატულნი: ხატი ივერიისა პორტაიტისა ანუ კარისა ღვთისმშობლისა და ოთხნიცა სახენი მეფეთა ქართულთა, გარდამოდებულნი იერუსალიმსა და ათონისა მთასა თვით ტიმოთესგან. ქუეშე ყოვლად წმინდისა დედისა ღვთისა ხატისა, გარდამწერალსა წიგნისა მის, დავით რექტორსა, დაერთო შემდეგი აკროსტიხი ლექსად“³⁵...

32 იხ. მომოსულა, გვ. 5.

33 იქვე, გვ. 7.

34 იქვე.

35 იქვე.

პლ. იოსელიანს მოაქვს ეს აკროსტიხი და სქოლიოში კომენტარს უყუთებს „კიდურ-წერილობა ამისი: „დავით ალექსი ძე“.

პლატონ იოსელიანი შენიშნავს, რომ პორტაიტის ხატი და ოთხთა მეფეთა პორტრეტების ზუსტი ასლი (fac-simile) დაურთო ამ გამოცემას ვორონცოვის სურვილითა და მითითებით, ხოლო მცირე განმარტებები ამ პორტრეტებთან დაკავშირებით „სასარგებლონი მკითხუელთათვის“ ჩემს მიერ არის შედგენილი.

საინტერესოდ განმარტავს პლ. იოსელიანი გამოცემისათვის დართული კომენტარების მიზანს: „ვკვანებ სასარგებლოდვე მკითხუელთათვის დამატება ადგილ-ადგილ სხოლიოთა და შენიშვნათა. ნუ იქმნეზის საკიცხუელად ჩემდა შრომა ესე ჩემი, უკეთუ მას შინა კპოვონ ანუ შეცთობა, ვითარცა კაცისა, ანუ მოხსენება რავედენტამე, შესახებელად ჩემდა მოთხრობათა, რომელთაცა მკსურდა გარდაცემა შემდეგთა ჟამთათვის და მომავალთა მემამულეთა ჩემთა საცნობელად, ოდეს არცა შშრომელილა იქმნების სოფელსა ამას, არცა თანა-მედროისა ჩემისა მკითხუელი“³⁶.

ფრიად საგულისხმა, რომ გამოცემისათვის დართულ განმარტებებს პლ. იოსელიანი თავად ჰყოფს ორ ძირითად ჯგუფად: — „სხოლიონი და შენიშვნანი“, აქ სქოლიო რეალური კომენტარის მნიშვნელობით უნდა იყოს ნახმარი. მართლაც, წიგნისათვის დართული განმარტებებიდან მკვეთრად გამოიყოფა შენიშვნები, ე. ი. ტექსტში მოტანილ რაიმე ფაქტსა თუ მოვლენასთან დაკავშირებით მოკლე ცნობის მიცემა, წყაროს მითითება, მწერლის მიერ უნებლიე ფაქტობრივი შეცდომის გასწორება და სხვა.

როგორც ცნობილია, თანამედროვე ტექსტოლოგიაში არც თუ ისე მკვეთრია საზღვრები რეალურ კომენტარსა და შენიშვნას შორის, ტექსტოლოგთა ის ნაწილი, რომელიც მომხრეა, რომ „შენიშვნები“ მკვეთრად გაიმიჯნოს რეალური კომენტარისაგან, ასეთ განმარტებას იძლევიან: „Термин примечания подразумевает краткую справку фактического содержания и таким образом по своим функциям имеет более частичный характер... замыкается в сфере чисто фактических сведений“³⁷.

საგულისხმა, რომ პლატონ იოსელიანის მიერ მომზადებულ გამოცემაში შენიშვნები ძირითადად პასუხობენ თანამედროვე ტექსტოლოგთა ამ მოთხოვნას. ასე მაგ.: თხზულების 32-ე გვერდზე იონა მიტ-

³⁶ მიმოსულია, გვ. 8.

³⁷ Основы текстологии, 1962, გვ. 178.

კომპოლიტი იძლევა ათონის ივერიის მონასტრის პორტაიტის ლეთის-
ქობლის ხატის ზედწარწერის ტექსტს: „მე, გამზრდელმან დადიანი-
სამან შევამკე ხატი ესე...“ პ. იოსელიანი სქოლიოში შენიშვნას აკე-
თებს: „დადიანის სახელი არა არს მოხსენებული წმინდისა ხატისა
შემკულებაზე. არ ვიცი, სადა აღმოუკითხავს მას (ე. ი. იონა მიტრო-
პოლიტს ლ. გ.) ესე.— სრული და ყოვლადი გადმოწერილი ხატიდამ
სიტყუაჲ დავბეჭდე წიგნში. მოხილუაი ტიმოთესი გუერ. 38“³⁸.

ან კიდევ, 31 გვერდზე ათონის ივერიის მონასტრის შესახებ ტექ-
სტში ვკითხულობთ— „ციხე ესე მონასტრისა არს ზარბაზნებ წყობი-
ლი“. პლ. იოსელიანი შენიშნავს სქოლიოში: „ზარბაზნები არაა აქუსთ
აწ ათონის მამათა. ივინი წარიხუნეს თურქთა 1825 წელსა, ბრძოლისა
კამსა ბერძენთა თანა“³⁹.

ანდა წინასიტყვაობაში, სადაც იონა მიტროპოლიტის ბიოგრაფიაა
გადმოცემული; პლ. იოსელიანი წერს, რომ პატივცემილი იონა „მოს-
რული თფილისს, ჰსცხოვრებდა ეზოსა შინა წმინდისა გიორგისა ეკ-
ლესიისა გარეგან ქალაქისა თფილისისა, ქაშოეთად წოდებული-
სა“, სქოლიოში შენიშვნას აკეთებს: „ესრეთ ჰსწერია თვით მას
წერილსა შინა, რომელიცა კათალიკოსმან ანტონი მიჰსწერა
კონსტანტინოპოლისა პატრიარხსა... დროსა ამას ეკკლესია ქაშოეთისა
წმინდისა გიორგისა, ნამდვილ იყო გარე ქალაქისა“⁴⁰. ესე იგი, თავის
დაწერილ ტექსტში, მან ეს ფაქტი ზუსტად ისე მოიხსენია, როგორც
იმდროინდელი დოკუმენტები, რომლებსაც იგი ეყრდნობოდა ბიო-
გრაფიის წერისას, მოიხსენიებდნენ, ხოლო სქოლიოში გააკეთა შენი-
შვნა, რომელიც აზუსტებს ამ ფაქტს თანამედროვე მდგომარეობის შე-
საბამისად.

71-ე გვერდზე იონა მიტროპოლიტი წერს: „ადასა მას შინა ანუ
წისსა ესე იგი ქალაქსა არს სამოცი ქალაქი და სოფელნი, ხოლო აწ
უპყრიესთ რუსთა“. პლ. იოსელიანი სქოლიოში შენიშვნას აკეთებს:
„რუსთა ეპყრათ დროებით: რავდენსამე თთუესა იდგა მუნ მხედრობა
მათი“.

75-ე გვერდზე სამი შენიშვნაა გაკეთებული, რომელიც აზუსტებს
ტექსტში შეცდომით დასახელებულ გეოგრაფიულ ადგილების სა-
ხელწოდებებს. იონა გედევანიშვილი წერს: „წამოველთ ნავით ანდრი-
აჩკის ზღუასა“ — შენიშვნაში პლ. იოსელიანი აზუსტებს „ადრიატისა
ზღუა, რომელიცა განჰყოფს საბერძნეთსა და იტალიასა“.

³⁸ მიმოსულა, გვ. 32.

³⁹ იქვე.

⁴⁰ იქვე, გვ. 3.

იონა--გამოჩნდა მთა იგი აზოპისა? პლ. იოსელიანი — ვეზუფი-
სა მთასა უწოდებს მწერალი.

იონა--მივედით სტრიესტს ქალაქსა მშუენიერსა. პლ. იოსელია-
ნი — ტრიესტი.

შენიშვნების ასე გამოკვეთილი ნიმუშები პლ. იოსელიანის სხვა
გამოცემებშიცა გვხვდება და სათანადო ადგილზე ესეც ფიქსირებულია
საჭიროებისამებრ.

როცა გამომცემელი რაიმე რუსული დოკუმენტის პერიფრაზს ახ-
დენს კომენტარში ან ტექსტში, ცდილობს საჭირო შემთხვევაში დედ-
ნის სიზუსტე დაიცვას — ხშირად მოაქვს ხოლმე რუსული ტექსტი
ქართული პერიფრაზის გვერდით. ასე მაგ., გვ. 2-ზე, ნიკოლოზ მრო-
ველთან დაკავშირებით წერს „... ანდერძისამებრ მისისა დასაფლავეს
კარ-ლიათა შესავალსა (в проезде ворот) ქუეშე სამრეკლოისა“⁴¹.

კომენტარები, რომელნიც იონა მიტროპოლიტის „მიმოსულა“-ს
ახლავს, შინაარსის მხრივაც მეტად მრავალფეროვანია; აქ ვხვდებით ის-
ტორიული, ეთნოგრაფიული, გეოგრაფიული, ლიტერატურული ხასია-
თის ცნობებს, უცხო სიტყვის განმარტებას, ან გარკვეულ ვითარებაში
ახალი მნიშვნელობის, შინაარსის შექმნას ამა თუ იმ სიტყვის მიერ,
პიროვნების კომენტარს და სხვა, განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ
კომენტარში მოცემული ცნობები მალალმეცნიერულ დონეზეა შედ-
გენილი და უმრავლეს შემთხვევაში სათანადო დასაბუთება ახლავს თან.
კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომლის შესახებაც ზემოთ
გვქონდა ლაპარაკი: პლატონ იოსელიანმა იმოგზაურა 1849 წელს
ათონისა და სინას მთაზე და კონსტანტინეპოლში, თავად მოიხილა/
ყველა ის ღირსშესანიშნაობა, რომლის შესახებაც იონა მიტროპო-
ლიტი მოგვითხრობს თავის თხზულებაში, ამის გამო კომენტარები უფ-
რო მრავალფეროვანი და საინტერესო მასალის შემცველია, ხოლო
ხშირ შემთხვევაში იონას მიერ შეცდომით ან არაზუსტად მოტანილ
ცნობას პლატონ იოსელიანი, როგორც თვალთ მხილველი ყოველივე
ამისა, ასწორებს და აზუსტებს. ამის ნიმუშად ზემოთ მოტანილი მაგა-
ლითებიც გამოდგება.

მე-16 გვერდზე იონა მიტროპოლიტი აღწერს კონსტანტინეპოლში
მისვლას თავისას, „შესავალსა მას ბოლახსა არიან დაშენებულნი ცი-
ხენი“... პლ. იოსელიანი კომენტარს უკეთებს სიტყვას „ბოლახსა“ და
წერს „ესე არს ბოსფორი, დიდთა და მშუენიერთა მთათა შორის ზე-
ობა, რომლისა სიგრძე შავი ზღვით თვით ქალაქამდე კონსტანტინოპო-“

41 მიმოსულა, გვ. 3.

ლისა არის 16 ვერსტი. სიგანე ამა ხეობისა, რომლის შუაზედ სდის ზოსფორისა ზღუა დიდთა ხომალდთათვის საეღელი, არის 350 საეენი. ამა ხეობისა მთიანთა გუერდთა ზედა მარჯუნივ და მარცხნივ, თურქთა აქუსთ ციხენი და სიმაგრენი ზარბაზნებითა მოწყობილნი. ამის გამო ბოლაზი ესე ზოსფორისა, ყოვლად შეუვალ-არს მტერთაგან“. პლ. იოსელიანი ვრცლად აღწერს შავი ზღვის სანაპიროს, მის ბუნებას, აგარაკებს; შენიშნავს, რომ ბუუკდერეში არისო „სასახლე რუსეთის დესპანისა და მეცა აქა ვისადგურე მოწოდებით დესპანისაგან, ტაინის სოვეტნიკის ვლადიმირ პავლეს-ძისა ტიტოვისა“. მოაქვს ისტორიული ფაქტები ამ ადგილების აოხრებისა დონელ კაზაკთა მიერ 1641 წელს, ბიზანტიელთა მიერ ფილიპე მაკედონელის ფლოტის შემუსვრის ამბავი და სხვა. საინტერესოდაა მოთხრობილი კომენტარში მედეას მითიც. „ამა ადგილსა თქმულა ძუელადვე, მედეამან დედოფალმან კოლხიდისა დაჰსტოვა ყუთი სავსე შელოცვილითა სამკურნალოთა ბალახებითა, რომელთა ძალმან მიაძინა კოლხიდისა მძუინუარე გუელი და ესრეთ დაიხსნა შეყუარებული თვისი. ვითარცა სწერს დიონისი ბიზანტიელი 170 წელს — შემდგომად ქრისტესსა. დღესაცა ერთსა დაქცეულსა ბურჯსა, ეწოდება ბურჯი მედეასი და აქავე ერთსა ადგილსა ეწოდება ყურე არღონავტთა, რომელთაცა იაზონისა ბრძანებითა, შეასუენეს და განამაგრეს თვისი ხომალდი, რომელსაცა ეწოდებოდა არღოს. ესე ზღაპარ-სიტყუაობისა ქამისა მოთხრობა მიაშბო თვით კონსტანტინე პატრიარხად ყოფილმან კონსტანტინეპოლისა და აწ გარდამდგარმან“.

ამავე კომენტარში აღწერს იგი „დაუძინებელთა“ ძველი მონასტრის, ანუ სამხოლოს ნანგრევებს, აქვე მოაქვს რუსული და ბერძნული სახელწოდება ამ მონასტრისა (აკიმიტელთა, неусыпных) და ჰყვება მისი დაფუძნების ისტორიას. „ესე დაფუძნდა 420 წელსა ქრისტესით და ტიბიკონითა მისითა 300 მამანი ამა სამხოლოსა, ბერძენნი, რომაელნი და სირიელნი (ასურნი) მოუწყუეტელად ღამე და დღე იტყოდენ ლოცუათა და გალობათა ეკკლესიასა შინა, სამთა ზედა, ქრისტიანეთათვის მის ქამისა, უპირუელესთა ენათა. — ამა მონასტერში შინა პატიმარ-ჰყუეს განდევნილი ვახტანგ გორგასლანისაგან საქართულოდამ მთავარ-ეპისკოპოსი მიხაილ“⁴².

ასე მრავალმხრივი და საგულისხმო ცნობების შემცველია ერთ საგანთან დაკავშირებული კომენტარი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ, რა თქმა უნდა, პლ. იოსელიანს კომენტარის სივრცელე თვითმიზნად

არა აქვს გადაქცეული, ეს მხოლოდ საკითხის სირთულითა და განმარტების საკიროებითაა განპირობებული. მთელ რიგ კომენტარებში იგი დიდად სიტყვაძეწი და კორექტული ჩანს. ასე მაგ., გვ. 27. იონა მიტროპოლიტი წერს—„შემდგომად ამისა წარველ ნავით და მიველ ბოხჩა ადასა“. პლ. იოსელიანი განმარტავს: „ტენედოსის ჭალაკი, სადაცა იყო პატიმრად დომენტი კათალიკოსი. იხ. მოხილუა ტიმოთესი, გუერდი 29-31“, ან კიდევ, 35-ე გვერდზე იონა მიტროპოლიტი წერს—„მონასტერი ესე ვათაპეტი ლავრა, არკადი და ონორისაგან აღშენებულიან პირსა ზღვისასა“. პლ. იოსელიანი სქოლიოში წერს: „იმპერატორი არკადი მეფობდა 395-დან ვიდრე 408 წლამდე; ხოლო ონორი ემა მისი იყო იმპერატორად რომისა და ყოვლისა დასავლეთისა მასვე დროსა“.

საინტერესო კომენტარი აქვს „ხალკიდონს“. მასში გადმოცემულია ის მნიშვნელოვანი ისტორიული პერიპეტეები, რომელიც ამ ადგილთანაა დაკავშირებული „ხალკიდონსა უწოდებენ აწ თურქნი კალი-კოი. დიდის სურვილით ვეძიებდი ადგილსა, იყო ძუელად ტაძარი წმინდისა დიდისა მოწამისა ეფემიასი, სადაცა 324 წელსა იყო დიდი იგი 4 მსოფლიო კრება ხალკიდონისაი — დრომდე დიდისა კონსტანტინესსა იყო აქა დიდი ტაძარი წარმართთა ღმერთაისა ვენერასი. სულთანმან სოლიმან II (1522) შემუსრა იგი და დანაქცევითა მისითა აღაშენა თვისი მეჩითი.

ხალკიდონისა ხილუა იყო ჩემთვის სასიხარულო, ამისთვისცა რომელ აქა, ვითარცა ჰსწერს რომისა მებისტორიე ტაციტი, ქართუელთა მეფე ფარასმან მოუხდა დიდისა ჯარითა ბერძენთა და შემუსრა ხალკიდონი. ამის ფარასმანისა სახე ანდრიანტად გამოკუეითილი პატივად ახოვნებათა მისთა და საქმეთა, დაასუენეს რომაელთა კაპიტოლიისა ტაძარში. აქავე იყო უმსჯულო იგი მსჯავრი, რომლითაცა დიდი იგი სუეტი ეკკლესიისა იოანე ოქროპირი განიღვენა კონსტანტინოპოლით, ვიხილუ ადგილსა ამას წყარო ოქროპირისა: თავსა ზედა ამა ნაკადისა ჰკიდავს კანდელი წინაშე ხატისა წმინდისა იოანე ოქროპირისა და არს თაყუხანის საცემელად ლოცვათა მიმავალთათვის“⁴³.

36-ე გვერდზე იონა მიტროპოლიტი აღწერს ათონის მთის მახლობლად მდებარე მართლმადიდებლურ სოფლებს, პლ. იოსელიანი კომენტარში ძალზე საინტერესო ცნობას გვაძლევს: „სხუათა შორის არის სოფელიცა ერთი, რომელსა ეწოდება ივერი. აქა მეფეთა ანუ მთავართა ძუელთა დაუსადგურებიათ ორასი. კომლი ქართუელი და შეუ-

⁴³ მიმოსულა, გვ. 25—26.

წირავთ ივერიისა მონასტრისათვის მსახურად, მშრომელად და მუშაკობად. დროთა სიგრძისა გამო შესცულიათ მათ ენა ქართული და აწ მოუბნარობენ ბერძულად. ამა ადგილთა თურქთა არა აღირჩევენ სვისთდა სადგური და ამისთვის თათრულიცა მცირედთა იციან“.

55-ე და 83-ე გვერდებზე გეოგრაფიული ადგილების კომენტარიცა ლიტერატურული ძეგლით დამოწმებული: ერთგან ალაბი. მეორეგან მალრიბი, განმარტებულია შავთელის „აბდულმესიანიდან“ და ჩახრუხადის „თამარიანიდან“ მოტანილი სათანადო ადგილებით.

დიდად საგულისხმო ცნობას ვხვდებით თხზულების 64-ე გვერდზე. კაპიტოლიუმის კომენტარში პლ. იოსელიანი წერს: „აქავე ათინაა ეზიხლე მარმარილოსა ქვითა აღგებული ტაძარი ეოლისა წარმართთა ღმერთისა. ესე აღუშენებია 35 წლის წინათ ქრისტესსა ანდრონიკე კირსოსტელსა, ვითარცა ჰსწერს ძუელი მწერალი ვარონიოს, სახე მისი გარე არის რუ-კუთხე, ხოლო შიგნით მგურგული. სიგანესა მისსა შინა—შენობისა აქუს ხუთი საეენი დიამეტრი, სიმაღლე ტაძრისა არს 6 საეენი.“

პლანი ამა ტაძრისა მოვიტანე ათინიდან ქ. თფილისს და აქა სოლოლაკისა ხეობისა თავში ვიწყე აღშენება მასვე პლანით ეკკლესიისა, სახესა ზედა ქრისტეს ამაღლებისა. ყოვლად მსგავსსა ეოლისა ტაძრისა არხიტექტურისა შენობასა ამას, განდიდებისათვის მივეუმატე კარისბქე“.

ამის შემდეგ პლ. იოსელიანი გადმოგვცემს მშენებელ თქმულებას ეოლის შესახებ, რომელსაც ვირგილიუსიდან ციტატირ ასრულებს. და შემდეგ ისევ განაგრძობს ტაძრის ამბავს: „მოსახსენებელად დროთათვის, ვიტყვი ამასცა, რომელ სახესა ზედა ეოლისა ტაძრისა, ვიწყე აღშენება, სოლოლაკისა ადგილსა ზედა, რომელიცა გამოვითხოვე საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორიდან. 12 მარტს 1851 წელსა ყოვლად სამღვდლომან ნიკიტორე, ეპისკოპოსმან გორისა და ვიკარქან საქართველოსამან, აწ გარდაცულებულმან, აკურთხა საძირკუელი მისი, სადაცა ოთხსავე მხარისა კუთხეთა შინა დაეჰსდევ თვითო მცირედი ქვა, რომელიცა მოვიტანე ათონის მთიდან, რიყიანის ზღვისა პირით ჩვენ ქართველთა პორტაიტისა მონასტრისა. ვჰგონებ, ლუთისა შეწევნითა, ჰსრულ-იქმნას ეკკლესია ესე ამაღლებისა ამავე წელსა, სადიდებელად ჰეშმარიტისა ღვთისა“. ეს წიგნი 1852 წელსაა დაბეჭდილი, როგორც ჩანს, ეკლესია უკვე მშენებლობის პროცესში იყო და პლატონ იოსელიანს მისი დასრულების იმედიცა ჰქონდა.

შესანიშნავი კომენტარებია მიძღვნილი ათენის სიძველეთადმი (გვ. 67), სადაც პლ. იოსელიანი შატობრიანის ციტირებას ახდენს; კორინ-

თოსადმი (გვ. 68—69), რომლის აღწერას ჰორაციუსის ლექსით ამთავრებს, ალექსანდრიისადმი (გვ. 84—85), დახასიათებულია იგი, როგორც სიბრძნეთსწავლულების კერა, სინას მთის ისტორიული და გეოგრაფიული აღწერილობა და სხვა მრავალი.

ყურადღებას იპყრობს 88-ე გვერდზე მოთავსებული გარეჯის მონასტრის ეტიმოლოგიური შინაარსის კომენტარი. იოანე მიტროპოლიტი ტექსტში ხმარობს ფორმას „გარეჯურების მონასტერი“. პლატონ იოსელიანი კომენტარში შენიშნავს: „არსად წარმიკითხავს ესრეთი წოდება გარეჯისა მონასტრისა დიდად შესანიშნავია ეტიმოლოგისტათვის, ლექსი⁴⁴ ესე გარეჯუარი, რომლითაც უწოდებს ათორმეტთა მრავალმთისა საქართუელოს მონასტერთა. შაჰაბაზისა და სხუათა ღრთთა შემთხვეულობათა მოთხრობაში, რომელიც დამიტევა გარდაცვალებულმან ნიკიფორე ეპისკოპოსმან, ჰსწერია: „გარეჯუარისა მონასტერი მიეცა ოხრებსა და ჭუარნი, სიქადულად მუნ მიმსვლელთა ვიდრე ორასნი ადგილ-ადგილ გზისა მაჩუნებელნი, შეიმუხსრნენ მოძულეთაგან ქრისტეს სახელისა“ — მოვიგონე ათონისა მათთა გზანი, სადაცა ურიცხვნი ჭუარნი არიან აღმართულნი თაყუანისსაცემად და შესასვენებლად“. როგორც ვხედავთ, ისტორიულ ძეგლში დადასტურებული სიტყვის ეტიმოლოგიური ანალიზი საშუალებას აძლევს პლ. იოსელიანს. ვარაუდით მოიაზროს გარეჯის უდაბნოს ადრინდელი სახე.

საინტერესო კომენტარები და განმარტებები აქვს მოცემული ამ გამოცემაში მთელ რიგ სიტყვებს — ეტიმოლოგიური, გეოგრაფიული, ისტორიული და სხვა. 163-ე გვერდზე სიტყვა „სიგელი“ ასეა ახსნილი: „ბერძნულბერ და ლათინურბერ sigellum დაბეჭდილსა ანუ ბეჭედსმულსა და ანუ ბეჭედით დამტკიცებულსა წერილსა ეწოდების. აქედამ ქართველთაცა მივიღეთ ძველად ლექსი იგივე „სიგელი“.

„სოფიოს კენჭი“ — თხზულების 143-ე გვერდზე პლ. იოსელიანს ასე აქვს განმარტებული: „ამა ხელოვნებასა ეწოდება ბერძნულად მონაიკა; ხოლო ქართულთა უწოდეს სოფიოს კენჭად ამისათვის, რომელ მოიღეს პირველი მაგალითი მისი თვისდა ქვეყანად აია-სოფიოს კონსტანტინოპოლის დიდის ეკლესიიდან, რომელიცა ესრეთ იყო შემკული იუსტინიანე იმპერატორისაგან“.

136-ე გვერდზე განმარტებულია სიტყვა „თემელიანი“ — „ესე იგი საძირკველიანი, ანუ ბინიანი და უმჯობესად საიმედო“.

69-ე გვერდზე ტექსტში ნახსენები სიტყვა „მორა“ პლ. იოსელიანს ასე აქვს განმარტებული — „მორეა არს ძველი სპარტა“.

⁴⁴ პლ. იოსელიანი ტერმინს „ლექსი“ სიტყვის მნიშვნელობით ხმარობს.

განმარტებულია „უტევანი“ — „ნახევარისა ვერსტისა გზა. ბერძ. ნულად უწოდებენ სტადიონსა“ (გვ. 24).

საინტერესო განმარტება ახლავს ტექსტის 37-ე გვერდზე ნახმარ სიტყვას „პოლის“. „ესე იგი კონსტანტინოპოლის. ბერძენნი სწორად ღმარობენ ლექსსა პოლის, რომელიცა ნიშნავს ქალაქსა, ნაცულად კონსტანტინოპოლისსა. ჩვენ ქართველნიცა ესრეთვე სწორად ვიტყვიან ნაცულად „თფილისსა“ „ქალაქსა“ — რომაელნიცა პატივად ღიღისა ქალაქისა რომისა, ოდეს იტყოდენ წარვალ „ქალაქად“, იგულისხმებდენ რომისა მხოლოდ ქალაქსა (urbs in orbe). — ესრეთსა ფრაზასა უწოდებდნენ ბერძენნი „კატ-ექსოხინ“ (par excellance).

კომენტარების ასეთი ვრცელი მიმოხილვა იმიტომ მოვახდინეთ, რომ, ერთი მხრივ, ნათელგვეყოს პლ. იოსელიანის, როგორც გამომცემლის ტექსტოლოგიური ალღო და მუშაობის სტილი, ხოლო, მეორე მხრივ, წარმოგვეჩინა ის მრავალმხრივი ინტერესები, რომელიც მას გააჩნდა მეცნიერების სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხებისადმი.

გამოცემაში „მიმოსულის“ ტექსტის გარდა მოთავსებულია იონა მცტროპოლიტის თხზულებები: 1. „სიტყუა, ლექსად თქმული იონა მცტროპოლიტის გედეონის-ძისაგან“, რომელშიც გალექსილია მოკლედ მოგზაურობის ამბები, 2. „გუარ შთამოება ესე იგი თვისთა მშობელთა და სახლისა თვისისა მოთხრობაი ანუ სიტყუაი“.

წიგნის ბოლოს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დართულია ათონის ივერიის მონასტრის პორტიტის ლეთისმშობლის ხატი და 4 ქართველი მეფის პორტრეტი, გადმოდებული ათონის მონასტრის ფრესკებიდან ტიმოთე გაბაშვილის მიერ. ყოველ პორტრეტს თან ახლავს პლატონ იოსელიანის მოკლე წერილი, რომელშიც აღწერილია მეფობის ქაში, მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები ამ მეფობის ქაშს, მათე მეფური ღვაწლი ერის წინაშე, ფრესკის მხატვრობის დათარიღების კდა, მითითებულია, რომელმა ეკლესიამ შემოინახა ასეთივე ფრესკა, და ბოლოს დართული აქვს შესაბამისი ადგილი „წყობილისიტყვაობიდან“.

ასეთია სახე პლ. იოსელიანის მიერ განხორციელებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოცემისა.

1853 წელს მან გამოსცა „ცხოვრება მეფის თეიმურაზ I-ისა“. თხზულების სრული სათაური ასეთია: „ცხოვრება მეფისა თეიმურაზ პირველისა აღწერილი ლექსად, არჩილისაგან მეფისა 1853—წელს“. ეპიგრაფად უძღვის არჩილ მეფის სტროფი:

„ვექვე ესე ჩემი ნათქვამი, კარგი რამ მოსაგონარი,

არ საკიცხავი ამბავი, ამო და მოსაწონარი,
არც სხუთ ზღაპრულთა შაირთა, ტყუილად გასაგონარი
ესევე ვარჩიე ღუმელსა, წაწყმდაო ყოვლი მცონარი“.

წიგნს არა აქვს წინასიტყვაობა, არც თეიმურაზისა თუ არჩილის ბიოგრაფია. იწყება არჩილისავე პროზაული სტრიქონებით: „ამბავი მოწყალისა და მოსამართლისა“... ამ პროზაულ მონაკვეთს წიგნისას სქოლიოში პლატონ იოსელიანის განმარტება ახლავს. „მეფე ესე თეიმურაზ იყო ამა სახელით პირუელი და შვილი დედოფლის ქეთევანისა მოწამეობისა გვირგვინით ქრისტესთვის აღსრულებულისა. იგი გამეფდა 1605—წელსა და იმეფა 61 წელიწადი“⁴⁵.

ტექსტს ახლავს რამდენიმე პიროვნების კომენტარი. ასე მაგ., გვ. 2: „პაპამისი (იგულისხმება თეიმურაზისა—ლ. გ.) იყო მეფე კახეთისა ალექსანდრე მეორე, რომელიცა გამანხმადიანებულმან შვილმან მისმან კონსტანტინე, მოსრულმან სპარსეთით, მოკლა კახეთს 1605 წელსა. მასთანავე მოკლა ძმაცა თვისი გიორგი. რუსთუელი პავლე და სხუანი (იხ. ჩემგან დაწერილი რუსულად წიგნი: Путевые записки по Кахети, стр. 71. უცხოდ და დაწურილებით სამწუხაროსა ამას მოთხრობას აღწერს რუსთა მწერალი კარამზინი“.

გვ. 5: „მამა მისი იყო დავით, ქმარი წმინდისა ქეთევან დედოფლისა. ამან არა ღირსმან მეუღლეობისა წმინდისა ქეთევანისა, მიჰსტაცა მეფობა მამასა თვისსა ალექსანდრეს, პატიმარჰყო იგი და თვით გამეფდა. გარნა ღმერთმან შეუმოკლა მას ღლენი და შემდგომად ექუსისა თვისა მოჰკუდა. მამა მისი ალექსანდრე, გამოსრული საჰყრობილით, კულადვე აღვიდა ტახტსა და მეფობდა“.

აღსანიშნავია, რომ პლატონ იოსელიანი ისტორიულ მოვლენებს არა მარტო აღწერს, არამედ აფასებს კიდევ მათ თავისი თვალსაზრისით. თხზულების შექმნის გვერდის სქოლიოში აგრძელებს თითქმის წინა კომენტარს, რომელიც დავით მეფეს (თეიმურაზის მამას) ეხება და შენიშნავს „მოთხრობა ესე ვრცლად აღვსწერე რუსულად წიგნსა:

Взгляды на состояние Грузии под властью царей магометан. 1849 Тифлис. стр. 99“.

მოკლე ცნობას უერთავს ისტორიულ თუ ლიტერატურულ წყაროს, რომ დაინტერესებულმა მკითხველმა შესძლოს, უფრო ვრცლად გაეცნოს საკითხს.

მერვე გვერდზე ტექსტის კომენტარია მოცემული. ტექსტში ვკითხულობთ: „წამოვიდა, მოახლოვდა, მეფეს ესმა შვილის მოსვლა.“

⁴⁵ ცხოვრება მეფის თეიმურაზ პირველისა, 1853, გვ. 1.

ერთი მკვდარი მოაგონდა და მეორის სხუაგან წასლვა“.

სტრიქონს სქოლიოში განმარტება აქვს: „ესე იგი უშვილოდ დარჩენილსა გიორგის სიკუდილი და ერეკლეს სტამბოლს წასულა სულთანთან“.

გვ. 8:—„მეფესა ალექსანდრეს, ბოროტ-შემთხუეულებითა გულ-შემუსრვილსა და მოხუცსა, უნებდთა მონაზონად შესულა და მკუდროებით ცხოვრებისა თვისისა აღსრულება ალავერდსა. — სახე მისი და მამისა მისისა ლეონ მეფისა ვიხილე ათონისა მთასა ფილოთეოსის მონასტრის სატრაპეზოსა კედელზედ დახატული (1849 წელსა)“.

ამ კომენტარის პირველი ნაწილი ტექსტს განმარტავს (264), მეორე ნაწილში კი პლ. იოსელიანი ისტორიული ცნობის ფიქსირებას ახდენს, რათა შემოუნახოს იგი შთამომავლობას.

გვ. 19-ზე ტექსტში გადმოცემული ამბის — თეიმურაზის მეფედ კურთხევის ცერემონიალის მცხეთაში მოხდენის შესახებ, პლატონ იოსელიანი თავის განსხვავებულ ვარაუდს გამოთქვამს და ცდილობს დაასაბუთოს იგი ისტორიული მოვლენების კანონზომიერებით. „ზოგნი ჰგონებენ ბოღბეს წმინდის ნინას ეკკლესიაში კურთხევათა დაგვირგვინებასა მისსა. ვკვანებ უფრო ჰეშმარტი იყოს ესე ჰაზრი: ამისთვის რომ, დროთა ამათ ქართლსა განყოფილსა კახეთისაგან მეფობდნენ საკუთარნი ქართლისა მეფენი, კახეთისა მეფეთა მებრძოლნი“.

გვ. 132—სქოლიოში მოთავსებულია შენიშვნა, რომელიც ხელნაწერში არჩილს გაუკეთებია თავისი თხზულების 517-ე სტროფისათვის:

„ამას ზეით ლექსები სამისა ერთ-გუარია, იამბიკოდ რომ თავბოლო ლექსად აქუს; სხვის იამბიკოდ ზეით-ქუეთით სტრიქონი, და თავბოლო ლექსი აქუს, ცხრა ლექსი ანბანთქებისა ოსეთს არს ნათქუამი ქორონიკონის ლექსით, ორმოცს დღეს“. არჩილის ამ შენიშვნას პლ. იოსელიანის არავითარი განმარტება არ ახლავს.

თუ კომენტარების საკითხი ამ გამოცემაში ერთგვარად მოწესრიგებულია, სამაგიეროდ სრულიად უგულვებელყოფილია გამოცემის ტექსტოლოგიური დახასიათება — რა ტექსტით ისარგებლა, რა ხელნაწერ წყაროს ეყრდნობოდა და სხვა. ამ თვალსაზრისით ეს გამოცემა არ დგას კრიტიკული გამოცემის სიმაღლეზე.

1853 წელსვე დაიბეჭდა პლატონ იოსელიანის მიერ უკანასკნელად გამოცემული ძეგლი — ანტონ I კათალიკოსის „წყობილსიტყვაობა“, თხზულების სატიტულო ფურცელზე დაბეჭდილია: „წყობილსიტყუაობა ქმნილი ანტონისაგან პირუელისა კათალიკოს-პატრიარქისა ყოვლისა საქართუელისა“. ეპიგრაფად გამოცემას უძღვის ციტატა ძველი აღთქმის წიგნიდან „დიდება მათი არა წარხდეს. გვამთა მათთა

შვედობითა განისუენონ. სახელნი მათნი ჰკიებდენ ნათესავითი ნათესავად, სიბრძნესა მათსა აუწყებდენ ერნი და ქებასა მათსა ჰქადაგებდეს. ეკლესია: ისო ზირ. 44. 12. 14“. გამოცემას ახლავს წინასიტყვაობა, რომელშიც გადმოცემულია ანტონ I-ის ბიოგრაფია—დაბადება, აღზრდა, ბერად აღკვეცა. შემდგომი სასულიერო კარიერა საქართველოს ისტორიული და პოლიტიკური ძვრების ფონზე. შემდეგ დახასიათებული აქვს მისი საკათალიკოსო მოღვაწეობა. „განმგებობა მისი ეკლესიისა განჰსხუავდა განმტკიცებათა ყოველგან სარწმუნოებისა, განმშუენიერებითა გალობისა წესითა, წიგნთა განმრავლებითა და მეცადინეობითა, რათა ყოველგან დაწესებულ-იყუნენ :სასწავლებლებნი. დროთა ამათ თვითცა, ვითარცა განჰსწავლული, აღჰწერდა წიგნთა სამეცნიეროთა და ქადაგებათა, შეჰკრებდა დაკარგულთა ძუელთა წერილთა“⁴⁶.

დაწვრილებით არის ბიოგრაფიაში აღწერილი ანტონ პირველის საქართველოდან გაძევების მიზეზები, მისი რუსეთში ცხოვრების პირობები, საქართველოში კვლავ დაბრუნება ერეკლე II-ის მოწოდებით. მთელი ეს ცნობები, გადმოცემული ბიოგრაფიაში, იქვე სათანადო გვერდზე სქოლიოებში მოტანილი დოკუმენტური ამონაწერებითაა დადასტურებული.

დიდი ადგილი აქვს დათმობილი ბიოგრაფიაში ანტონ პირველის მწიგნობრული მოღვაწეობის აღნუსხვას. პლატონ იოსელიანი ჩამოთვლის ყველა მის თხზულებას, თარგმანსა თუ ორიგინალურს, და თავის შეფასებასაც გვაძლევს:

„ამან კათალიკოსმან ანტონი დაჰსდუა დიდი ლუაწლი ეკლესიისა განბრწყინებასა რაოდენი ძალ-იდებოდა საქართველოსა ქუეყანისა ოხრებისა დროთა ლეკთაგან; იმეცადინა საეკლესიო წიგნთა დაბეჭდუა, განთესა ჰსწავლა და სწავლისა წიგნნი და განფინა ნათელი მეცნიერებისა, მწერლობისა და მწიგნობრისა“⁴⁷. შემდეგ პლატონ იოსელიანი ახასიათებს მის პედაგოგიურ მოღვაწეობას, ჩამოთვლის მის მოწაფეებს და მათ ღვაწლს, საქართველოს სიკეთისათვის დადებულს. დიდის სასოებით აღწერს ანტონ I-ის გარდაცვალებისა და დაკრძალვის ცერემონიალს. წინასიტყვაობის ბოლოს პლ. იოსელიანი ათავსებს ანტონ პირველის დიაკონის—ტრიფოლეს ორ შესხმას ანტონისადმი.

პლ. იოსელიანის წინასიტყვაობის შემდეგ დაბეჭდილია გაიოს არხიდიაკონის შაირი, დაწერილი ანტონ პირველის წყობილსიტყვაობის წი-

⁴⁶ წყობილსიტყვაობა, 1853. გვ. VII.

⁴⁷ იქვე, გვ. XIV—XV.

ნასიტყვად. „წინა-სიტყვაობა წინა-მღებარისა წიგნისა, ხუთთაეპოვან-
თა სტიხთა ანუ შაირთა: ქმნილი ჯაიოსის მიერ, არხიდაკონისა“. ეს
წინასიტყვაობა შეიცავს 26 ხუთსტრიქონიან სტროფს, მასში განხილუ-
ლია წყობილსიტყვაობის მნიშვნელობა და ღირსებანი. ოცდამეხუთე
სტროფს ახლავს პლატონ იოსელიანის კომენტარი სქოლიოში: „ამა
მუხლში მწერალსა გამოუხატავს აკროსტიხად ანუ კიდურ-წერილობად
სიტყუა.

ანტონ —

o სტიხ —

ობს მო-

წაფე წ-

ინასი —

ტყუაობს“.

ამ კომენტარში განსაკუთრებით საყურადღებოა ის ნაწილი, სა-
დაც პლ. იოსელიანი იამბიკოთა ქართული ნიმუშების განზოგადებულ
დახასიათებას იძლევა და ცდილობს თავისებურება ქართული იამბი-
კოსი ქართული ლექსის ბუნებით ახსნას: „შესამეცნებელად ლექსთა
იამბიკოთა ვიტყვი, რომელ ქართულნი მწერალნი არა შეჰსდგომიან
სრულთა და ყოვლადთა კანონთა და წესდებათა, რომელნიცა მოუღიათ
ბერძენთა ჰსჯულად იამბიკოთათვის. ეპგონებ ესრეთი ცუალება იყოს
უნებლიეთი მოთხოვა ქართულთა სტიხთა თვისებისა, დაფუძნებუ-
ლისა მარტუალთა ზედა (Syllabe). გარნა ამა ქართულთა იამბიკოთა
შინა იპოებიან რდესმე ბერძულთა იამბისა ბგერანი დაკტილი, სპონტე
და ანაპესტი“

გამოცემას დართული აქვს სარჩევი—პინაქსი წყობილ-სიტყუა-
ობისა, სადაც ტექსტში ანბანურად გადანომრილი თავები რიცხვითაა
აღნიშნული, ხოლო გვერდების ნაცვლად სტროფის ნომერია მითითე-
ბული.

გამოცემისათვის დართული კომენტარები მრავალფეროვანი და
უამრავი საინტერესო ცნობის შემცველია. კომენტარებულია თითქმის
ველა მნიშვნელოვანი პიროვნება, ნახსენები წყობილსიტყვაობაში.

ხშირია ტექსტის ამა თუ იმ ადგილის განმარტებაც, ან ცალკეუ-
ლი სიტყვებისა. ასე მაგ., გვ. 3, ტექსტში ნახსენებ სიტყვას „თეატრს
დიდებულთა მამათა“ პლ. იოსელიანი განმარტავს — „თეატრს დიდე-
ბულთა მამათა ეწოდება ჰსწავლათა მათ, რომელნიც დასაჯუელად
მართლ-მადიდებლობისა აჰსწერეს წმინდათა და ღირსთა მამათა. ამა
წიგნთა ბერძნულად და ლათინურად აღწერილთა და დაბეჭდილთა,
ეწოდება პატრისტიკა ანუ რუსულად Творение Св. Отцов (patres

ecclesiastice) ნეგეტო ფილოსოფოსი კრუგი სამართლიანად უწოდებს. ესრეთსა ჰსწავლასა „ეკლესიისა ანუ ეკლესიურად ფილოსოფიად“ (patristische philosophie, kirchiiche philosophie)⁴⁸.

კომენტარში ხშირადაა მოხმობილი აგრეთვე შესაბამის ადგილებში ფსალმუნნი (გვ. 7). ხშირად კომენტირებულია ისტორიული ფაქტიც, მით უმეტეს, თუ ტექსტში იგი ბუნდოვნადაა მოხსენებული. მაგ. „ვითა იჩუქა ახლად, ფლორენცას კოლტმან მგელთამან უსირცხვილოდ“ (გვ. 9)—ასეა განმარტებული: „კრება ფლორენციისა იყო 1439 წელსა. მუნ დაესწრო ქართუელთა მიტროპოლიტი გრიგორი, რომელმანცა თანახმად მარკოს ეფესელისა მტყიცედ ჰსდგა კრებას; შინა, უარჰყო სურვილი რომთა პაპისა ევგენისა და თვით ბერძენთა იმპერატორისა კონსტანტინე პალეოლოღისა, რათა ბერძენთა ეკლესიასა აღეარებინა ლათინთა ცთომანი. იღუმალ წარმოვიდა ფლორენციით ვენეციას, აქედან კონსტანტინეპოლეს და მუნით საქართველოდ“⁴⁹.

Древн. снблиот. том VI, стр. 33—35. philippi Cuprū chronic, pag. 228, 290—292, изд. фран. 1687. Seberin Bin. de concil. том IV, pag. 411, ამისათვის დავჰსწერე ვრცლად ჩემგან შედგენილსა კრუსულად წიგნსა „Кр. ист. Груз. церкви С. П. Б., 1843, стр. 96—97 изд. 2. ასეთივე სისრულითაა განმარტებული მეშვიდე მსოფლიო კრება, უამრავი პიროვნების კომენტარი, უზუსტესი და უსაინტერესოესი ცნობებით სავსე. ხშირად მოაქვს ტექსტის განსამარტავად პლ. იოსელიანს საინტერესო ადგილები „დაბადებიდან“, მაგრამ იქვე მიუთითებს ძირითად წყაროსაც, თუკი: მკითხველი უფრო ვრცლად მოინდომებს ამ მასალის გაცნობას (გვ. 20—21).

საინტერესო სქოლიოს ვხვდებით ოცდამეექვსე გვერდზე, 72-ე სტროფს ასეთი შენიშვნა ახლავს „72—მუხლად იყო დადებული 76 ქუემორე ამისა დადებული მუხლი თვით ნამდვილსა ანტონისაგან დაწერილსა წყობილსიტყუაობაში, რომელცა მაქუს მე. მერეთ თვითვე წაუბღალავს ესე და უნებებია ქუემოთ დადება და არა აქა“.

ეს საგულისხმო ტექსტოლოგიური შენიშვნა ცხადჰყოფს, რომ მას ხელნაწერის ავტოგრაფი ჰქონია ხელთ. ავტორისავე ნასწორები. ტექსტის 31-ე გვერდზე, 78-ე სტროფში განმარტებულია ორი სიტყვა — აზიმა და არტონ. მაგრამ საგულისხმოა, რომ პლ. იოსელიანი უბრალო განმარტებით როდი კმაყოფილდება, იგი ვრცლად გადმოგვცემს

⁴⁸ წყობილსიტყუაობა, გვ. 5—6.

⁴⁹ იქვე, გვ. 9.

ამ ორი საეკლესიო ტერმინის წარმოშობის ისტორიასა და მასთან დაკავშირებულ ამბებს ეკლესიის ისტორიიდან.

ტექსტი ასეთია:

„არა აზიმა, ესე იგი უცომო
არამედ არტონ პური შეზავებული
ცომისა მიერ და შეუენიერ მარილით,
ზავებულიცა ლეინო წყლიერ—ქმნილი
დაგებად ჯერ-არს შესაწირავად საღმრთოდ“.

პლ. იოსელიანის კომენტარში ვკითხულობთ: „აზიმა არს ლექსი ბერძული, რომელიცა ეწოდება აურსა უცომოსა ანუ უხაშოსა, რომელსაც ზედა იწყეს ლათინთა შეწირუა მეცხრესა საუკუნესა. ეკლესია ბერძენთა ანუ აღმოსავლეთისა, დამცუელი ძუელთა წეს-ღებათა, წინა-აღუდგა ლათინთა და დაარღვიეს წერილთა მიხილ კერუალარიმან, პეტრე ანტიოხელმან, ნიკიტა სტოდიელმან და სხუათა. ამა დღეთგან უწოდებენ ლათინთა აზიმიტლებად და დასდუეს კანონად განშორება მათგან, ვითომცა დამარღუეველთაგან წმინდათა ძუელთა კანონთა (Начерт. церк. ист. Инуок. отд. 1, стр. 137) რომდევნო სქოლიო ამის შეპირისპირებული მცნების განმარტებაა, „არტონ ნიშნავს ბერძულად ცომოვასა. ამას ხმარობდა წმინდა ეკლესია ძუელადვე, რადგანაც თვით ლექსი ესე ნიშნავს პურსა არა უცომოსა, რადგანაც მაცხოვარმან მიჰსცა იგი მოწაფეთა სერობისა 13 თვის რიცხუსა, ოდეს არა იყუნენ ჯერეთ დაწყობილნი ებრაელთა შორის უცომოებისა დღენი. რადგანაც თვით პურიანი 7 მხრლოდ დღესა ჰსჯამდენ უცომოსა და არა წელიწადსა მრთელსა“.

87-ე სტროფში „თვის შვიდთა მსოფლიოთა კრებათა“ ნახსენებია დანთქმული ქალაქი ქოდოლა-გომარ. სქოლიოში განმარტებაა: „რასა უწოდებს ქოდოლად, არა ვუწყი. სამღრთოსა წერილიდამ ჰსჩანან მხოლოდ სახელნი ოთხთა ქალაქთა ცეცხლითა დანთქმულთა, რომელნიცა არიან: სოდომი, გომორი, ადამ და სევოიმ“⁵⁰.

38-ე გვერდზე განმარტავს ანტონ I გრამატიკიდან ქარაგმათა სისტემას და მოაქვს სათანადო მაგალითები.

„წყობილსიტყვაობის“ პირველი ნაწილი განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი კომენტარებით ხასიათდება.

მეორე, მესამე და მეოთხე ნაწილს თხზულებისას სრულებით არა აქვს კომენტარები.

მეხუთე ნაწილი — „თვის ქართველთა წმინდანთა“ ისევ სავეა

⁵⁰ იხ. წყობილსიტყვაობა, გვ. 34.

კომენტარებით. ყველა წმინდანად შერაცხულ ქართველ ისტორიულ პირზე მრავლისმეტყველი კომენტარები ერთვის ტექსტს.

მეექვსე თავში „თვის ქართველთა რომელთამე მეფეთა ჩინე-ბულთა“ — შედარებით ძუნწი და მოკლე, კონკრეტული კომენტარები.

მეშვიდე თავი — „თვის ქართველთა სიბრძნის მოყვარეთა კაცთა მწიგნობართა“ აგრეთვე მრავალ საინტერესო კომენტარს შეიცავს; ასე მაგ., კომენტარი არსენ კათალიკოსზე (გვ. 213)—„ესე ჰსცხოვრებდა ვითარცა ჰგონებენ, 13 საუკუნესა, თუმცა კათალიკოსთა სიაში არ არის მოხსენებული. წმიდისა ეესტათი მცხეთელის საგალობელში ვკპოვებთ დაბეჭდილად ქმნილსა მისგან იამბიკოსა პატივად ღუთისა დედისა შემდეგსა ლექსსა (და მოაქვს იამბიკოს ტექსტი—ლ. გ.), ამან აღწერა პროლოგი იამბიკოდ ოთხთუფეული პატივად წმინდათა, რომელნიცა მოიხსენებიან თთუეთა ფებერუალსა, მარტსა, აპრილსა და მაისს“.

სულხან საბა ორბელიანის კომენტარი მოკლედ გადმოცემული ბიოგრაფიული ქარგაა, ძალზე საინტერესოდ შედგენილი: დაბადება, აღზრდა, ბერად აღკვეცა, მოგზაურობა ისპაჰანში და ევროპაში, მისი ნაშრომების სია და ა. შ.

დიდი სიყვარულითაა შედგენილი კომენტარი ქეთევან წამებულზე — მისი ღირსებების დასახასიათებლად იმოწმებს სომხურ და ლათინურ წყაროებს, მოაქვს ტექსტი ქეთევანზე შეთხზული საეკლესიო საგალობლისა, ნიკოლოზ ორბელის ძე თბილელისა და იოანე ფილოსოფოსის მიერ და სხვა და სხვა.

ასეთ სახეს ატარებს პლატონ იოსელიანის მიერ განხორციელებული ქართული ლიტერატურული ძეგლების გამოცემანი. როგორც შემოთ აღვნიშნეთ, ყველა ამ გამოცემის ტექსტი მეტნაკლებად კრიტიკულადაა შესწავლილი პლ. იოსელიანის მიერ და აღჭურვილი სათანადო სამეცნიერო-საცნობარო აპარატით. იმ ვითარებაში, როცა გამოცემა საცემ თხზულებას ხშირად ერთადერთი და ისიც მეორე-მესამეხარისხოვანი გადამწერლის მიერ შესრულებული ნუსხა იპოვებოდა, ძნელი იყო ტექსტის მეცნიერული, კრიტიკული დადგენა და გამოცემისათვის იმეორებული იყო თავისი ტექსტოლოგიური პრინციპები შესაძლებლობის ფარგლებში გამოყენებინა მხოლოდ. რაც შეეხება მეორეხარისხის ტექსტის გამოცემისას, კერძოდ საცნობარო აპარატს, პლატონ იოსელიანის თითქმის ყველა გამოცემაში იგი მაღალმეცნიერულ დონეზე დგას, სწორედ ამიტომ პლატონ იოსელიანის გამოცემებს და პლატონ იოსელიანსაც, როგორც რედაქტორ-გამომცემელს, ქართულ ტექსტოლოგიის ისტორიაში მნიშვნელოვანი და საპატიო ადგილი აქვთ დამკვიდრებულნი.